

114
1971



საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკა

გეტოგო

10

1971

გნეოტოპი

ქრველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-კოლექტიური შუბნალი

წელიწადი 47-ე

№ 10

ოქტომბერი, 1971 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი მხატვრობის კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ ს ი

ალექსანდრე ქეთათელი — სათვალთვალთ. რომანი. ნაწილი მეორე. გაგრძელება	3
ზურაბ კუხიანიძე — ლექსები	30
კოლიკაძე კაკაბაძე — მეფე დიმიტრე მეორე. პიესა გაგრძელება	32
მისიელ ნაჩუა — ლექსები	54
ოტიან იოსელიანი — ტყვეთა ტყვე. რომანი. დასასრული.	55

კრიტიკა და კუბლიცისტია

მიმი ვარდოსანიძე — დიმილი და ციკელი	89
გიორგი კალანდიაძე — ლალო ასათიანი (1917-1943)	101
ამთანდილ უთუბაშვილი — ინტელიგენციის სოციალური გუნება სოციალისტურ საზოგადოებაში	118
ზაზა გაჩეჩილაძე — დილან ტომასის შემდეგ...	126
ვილენ ქოჩიაძე — გავრცელებული ხალხის გვირგვინი ბავშვების ისტორიიდან	140
ელენე გაბუნია — კვირან მელვილის „ტაიტი“ და „ოვბ“	145

ფაქტები, მოგონებანი

მისიელ კვეციელაძე — ას ერბანის დღე. წიგნი III	154
-----------------------------------------------	-----

წიგნების მიმოხილვა

ნოდარ ლომოური — წიგნი პრინციპული ხასიათის შემდგომებით	174
მისიელ ქვეთარია — ვიქტორიატაოსის ხელნაწილები და მათი მცენებრული აღწერილობა	186
ბ. გამყარელიძე — ნაწარმი მოხავეთა საოჯახო ყოფის შესახებ	190



საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა



11636

შთაფარი რედაქტორი ელგუჯა მალრაძე

სარედაქციო კოლეჯია:

ირ. აბაშიძე, დ. ხანაშვილი, დ. ზაფხარაძე, მ. ლუბანიძე, ბ. შლენგი, ა. სულაიაშვილი, ა. კოსტაშვილი, ე. ჟივინი (პ/მგ. შლივანი), ს. ზანთაძე, დ. შენგელაია, მ. ვოლკოვიჩი, მ. ბილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ბეჭდვითი რ. ნაპოვანი

რედაქციის მისამართი: თბილისი,
რუსთაველის ქრონოგრაფი № 18.

ბეჭდვითი: რედაქტორის — 98-55-11-
პ/მგ. შლივანი — 98-55-18, განყოფილება-
თბ — 98-55-16, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 6/IX-71 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 10/IX-71 წ., ასაწყობის ზომა
7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/2,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პარობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-საგამომცემლო
თაბახი 18.

№ 01189. ტირაჟი 12.850 შეკვ. № 3143.
საქ. კა. ც-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ს ა თ ვ ა ლ თ ვ ა ლ ო

რომანი

ნაწილი მორაბი

1

თავშიშველ, ახოვან ქაბუქს ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა. იგი ბათუმის სადგურზე მატარებლიდან ჩამოვიდა, ეტლის დასაქერად, ხალხით სავსე სადგურის მოედანზე რიგში ჩადგა და წარმოტაც არემარეს კავშირით თვალით გაახედა.

1932 წლის ივნისი იყო. შუადღის ტროიკული მზე უმოწყალოდ აჭერდა. თეთრი ღრუბლები აჭარის მთებს მისგაროდნენ, ცასა და მიწას შორის ფარასავით გაწოლილიყვნენ და ბათუმში, ისე როგორც საბურთაში, უმოძრაო, შეხუთული ჰაერი ჩამდგარიყო.

ოფლში გაღვარულმა ქაბუქმა ლურჯი ხალათის საკინძე გაიხსნა და მკერდი მოიღვლა. მისი სახის ნაკეთები და ტანის აღნაგობა ჯიშზე მეტყველებდა. რიგში ჩამდგარი გოგოები საამო ღიმილით შესცქეროდნენ და მთიდან ბარში ჩამოვარდნილ ხარიჩემს ადარებდნენ, მოხუცი ქალები კი, ერთმანეთის გასაგონად ამბობდნენ: „ნეტავი, შვილო, შენს დედასო!“ რა იცოდნენ, იმ ქაბუქის გულში ცეცხლი რომ ტრიალებდა! ის ქაბუქი

რევაზ — რეზო გარსევანიძე-კვეზურელი იყო.

ძალე რევაზის რიგმაც მოაღწია. რევაზი ეტლში ჩაჯდა და სანაპირო ქუჩისაკენ გასწია. მან ევკალიპტით, პალმით, მაგნოლით, ლიმონითა და დაფნით დამშვენებული ბაღის ხეივანი გაიარა და ერთსართულიან, კოხტა ქვის სახლს მიადგა. მის ბინაში არავინ არ აღმოჩნდა. სარკმლის ყველა დარაბა ჩარახული, ხოლო წინა და უკანა კარიც ჩაკეტილი დაუხვდა. გაიფიქრა: დღეს კვირაა, იქნებ ძმა, ოჯახითურთ, მახინჯაურში, ან ციხისძირში დასასვენებლად წავიდაო. მაშინვე დერეფანში კარი გაიღო და იქიდან კოტეს მეზობლის — ტექნიკუმის დირექტორის ნიკო გიორგაძის მეუღლემ, მზეთუნახავმა, ახალგაზრდა ქალმა თინა ჯაფარიძემ თავი გამოჰყო, რევაზი იცნო, ხელი ჩამოართვა და აცნობა:

— ბატონმა კოტემ წუხელ ოჯახობა ქუთაისში გაისტუმრა. ისა და ჩემი მეუღლე ეს-ეს არის ქალაქში წავიდნენ. — თვალწარმტაცმა ქალმა რევაზი თავით ფეხამდე შეათვალიერა, მომაჯადოებლად გაუღიმა, ხორცსავსე, ლამაზ ტანზე ლამის მოსასხამი შემოიტმანა და სტუმარი შინ მიიპატიჟა. სტუმარი უარზე დადგა. კარგად იცოდა, ამ ლამაზს,

თეთრსა და თელეუქუნა ახალგაზრდა ქალს მოხუცი, უშვილო ქმარი რომ ჰყავდა, ამიკობა უყვარდა, მაგრამ დედის ავადმყოფობით დადარდიანებულმა, რატომღაც დაიმორცხვა. ქალი კი ჩემოდანს ხელიდან სტაცებდა და ისევ შინ ეპატიებოდა:

— მობრძანდით, ჩემოდანი დადგით. ნამგზავრი ბრძანდებით, პირი დაიბანეთ, ისაუზმეთ და მერმე საცა გენებოთ, აქ წაბრძანდით!

— გმადლობთ, ქალბატონო თინა, — ფეხი გაიდგა რევანზმა და იცრუა: — პირი უკვე დაეიბანე და ვისაუზმე კიდევ. ნუ სწუხდებით.

— აბა რა შეწუხებია! ბატონი კოტეს ძმა კიდევ რომ არ ბრძანდებოდეთ, თქვენისთანა ადამიანი ყველასათვის სასურველი სტუმარია. რომელი ქართველი ოჯახი არ გაუღებს ფართოდ კარს ცნობილ მწერალს, რევანზ კვეზერელს! — წაიგრძელა ენა ჯაფარიძის ქალმა. რევანზმა დარცხვენით მიუგო:

— მე რა ცნობილი მწერალი ვარ! ორიოდ რაღაც მოთხრობა დავსტამბე. გვახსოვდეს შოთას დანაბარები: „მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი“...

— ეს თქვენზე არ ითქმის, — არ აცალა თინამ შაირის დამთავრება. — თქვენ არა ერთი და ორი მშვენიერი მოთხრობის ავტორი ბრძანდებით. მართო თქვენი „ოცნების მსხვერპლი“ რაღა ღირს! არა, წლებანდელი გაზაფხული ჭეშმარიტად თქვენი დიდებული მწერლობის გამოფენა იყო.

ოცდახუთმეტწულს თითქმის მიღწეული რევანზ გარსევანიძე-კვეზერელი მართლაც წარჩინებული, განათლებული ოჯახიდან გამოსული, ერუდირებული კაცი იყო. კარგად გაეგებოდა ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების არსი და ღირსება. მან მრავალი ისეთი ფაქტი იცოდა, როდესაც თავის ნაწარმოებს გენიოსი მწერლებიც კი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ და რცხვენოდით კიდევ თავისი მწერლობისა. ამიტომ თუ ვინმე უყვიც, შინგამოზრდილი კრიტი-

კოსი, მით უმეტეს უმეცარი პროვინციელი მკითხველი, ან ამაზე უარესი შინაბერა, ქარაოცი და უსაქმური ქალი ჩაიპარად პირში ქებას დაუწყებდა, იგი უხერხულობას გრძნობდა, ბრანდებოდა და ასეთ დროს მისთვის შეურაცხყოფის მიყენებაც კი შეეძლო. მაგრამ ახლა თივი შეიკავა და ჯაფარიძის მზეთუნახავი ქალის შეგონება დაიწყო:

— მწერლის, განსაკუთრებით კი დამწყები მწერლის ქებას და ხოტბას დღია ზიანის მოტანა შეუძლია. ხელოვნების ყოველი დარგი, მათ შორის მწერლობა, ტალანტთან ერთად, დიდ ცოდნასაც მოითხოვს. ხელოვნება მთლიანად, უკომპრომისოდ მოითხოვს შემოქმედისაგან მისდამი სამსახურს. ჭეშმარიტ შემოქმედს თავისი თვალსაზრისი, გრწამსი და იდეალი უნდა გააჩნდეს. ჭეშმარიტი ხელოვნისათვის მწერლისათვის მრწამსისა და იდეისადმი შელიაობა, ქლესაობა, მლიქვნელობა და სიყალბე გამოირიცხებულია. მწერლობა რაინდობა და თავგანწირვაა, კარგად მაქვს შეგნებული, შიმქე ჯერის ტარება რომ ვიკისრე. მაპატიეთ, ქალბატონო თინა, ასეთ ქრესტომათიულ, ანბანურ ჭეშმარიტებას რომ ვასწავლით. ალბათ იმიტომ, პედაგოგი რომ ვარ, თანაც არ მიყვარს, როდესაც პირში მაქებენ. ნახვამდის.

— დაიცათ, — შესძახა თინამ, — პატიება რას მიქვიან! თქვენ თავად უნდა მაპატიოთ, იმთავითვე რომ არა გკითხეთ, ქალბატონი ოღდა როგორ ბრძანდებო? მისმა ავადმყოფობამ დიდად დაგვამწუხრა.

— დედა, ექიმების რჩევით, სოფელში ჩავიყვანეთ. მისი დღეები, სამწუხაროდ, დათვლილია, დიდი, დიდი, ორისამი თვე კიდევ იცოცხლოს, — მიუგო გულმოკლულმა სტუმარმა.

— საცოდავი. ეს რა მოულოდნელი უბედურება დაატყდა თავს! რა ჭკუიოდა გრძნობით სავსე, განათლებული ქალი იღუპება! — თანაგრძობით წარბოთქვა თინამ და მის სახეზე მწუხარება გამოიხატა, რამაც კი არ დაამახინჯა, არამედ უფრო დაამშვენა ლამაზი ქალი და

მგლოვიარე მადონას დაამგვანა. მერმე გულითადი ხმით უთხრა რევაზს: — დმერთო ჩემო, აქ რას ვუდგვივართ, დერეფანში. შემობრძანდით...

— არა, ქალბატონო თინა, არა მცალია, ქალაქში უნდა წავიდე, საქმე მაქვს, ნახვამდის, — გადაჭრით მიუგო რევაზმა და დერეფნიდან გავიდა.

სახტად დარჩენილი ქალი ბაღში ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ჰაბუკს გასცქეროდა, თანაც ჭავრობდა, მწერლობის თათბაზე „კულტურულ ქალს“ რევაზმა სახარების კითხვა რომ გაუბედა და „ბათუმის თვალმარგალიტის“ — თინა ჭაფარიძის თხოვნა და შინ მიპატიებება არ შეიწყენარა. პატივმოყვარე, ამაყმა ქალმა შეუტარცხყოფა იგრძნო, შუბლი შეიკრა, თმა გაისწორა და მაშინვე რევაზის ძმის — კოტეს საყვარელი, ძველი რომანსი „ო, მარგალიტა“ მოაგონდა. თინას ყურში თითქო ეშმაკი ჩაჰღიღინებდა:

რა მენაღვლება, შენ თევზად იქცე, მე შეთევზედა გადავიქეცი.

გამოვიდგები ეშმაკურ ბაღით, მაინც და მაინც ჩემი იქნები —

ეს იყო თინა ჭაფარიძის ხელობა: ეშმაკური ბაღით მამაკაცების ჰერა.

ძმა არც მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტში და არც ბოტანიკურ ბაღში დაუხვდა რევაზს. გაწბილებული ჰაბუკი ისევ ძმის ბინაში მობრუნდა,

• • •

ბათუმის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორს კოტე გარსევანიძეს ბათუმის სახელგანთქმული, სანაპირო ბაღის მახლობლად აგარაკივით გაშენებულ ლამაზ, ცალკე სახლში ეჭირა ბინა. ზღვა სულ ახლო იყო მიჭრილი სახლის სადარბაზო ტერასებსა და კიბესთან. ზღვა, დიდი ქარიშხლის დროს, იმ კიბეს წვდებოდა და აბობოქრებულ ტალღებს ქალაქის ბაღის წინა ხეივანს და სანაპირო ქუჩის შენობების საძირკვლებს უტლაშუნებდა. სანაპირო ქუჩაზე მცხოვრებ კოტესა და სხვა მობინადრეებს არა-

ერთხელ უქამიათ ამის გამო დიდა შერში: ვაითუ ზღვამ ქალაქი წალეკოსო, მაგრამ, პირიქით: ამ ბოლო წლებზე მანძილზე საწინააღმდეგო მოვლენა შეიმჩნეოდა. ზღვა თითქოს უკუიქცა, ხმელეთმა იმატა და ქალაქსაც არავითარი საფრთხე არ მოელოდა. კოტე გარსევანიძეს — საქართველოს სუბტროპიკული ზონის ფლორითა და ფაუნით გატაცებულ მეცნიერს — მეტი სამუშაო გაუჩნდა. თავისი დაკვირვებანი მან გამოჩენილ რუს მეცნიერს, ბიოლოგს დიმიტრი უტკევიჩის აცნობა. უტკევიჩი ბათუმში ჩამოვიდა, რათა საკუთარი თვლით ენახა ზღვის მიქცევის გამო გამოწვეული ბუნების ღირსშესანიშნავი მოვლენები. ამ ნიადაგზე, აგრეთვე ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობის წყალობითაც, რუს და ქართველ მეცნიერს შორის მალე მჭიდრო, მეგობრული კავშირი გაიბა, ცოტა ხნის მერმე კოტემ, რევაზის დახმარებით, ქართულად თარგმნა იმ დიდი რუსი მეცნიერის შრომა — „ზღვის საიდუმლოებანი“.

რევაზი სადარბაზო კიბით წინა აივანზე ავიდა, მაგიდაზე ჩემოდანი შესდო და ჭილის სავარძელში ჩაჯდა. აივანი ოვალური იყო და ზღვას ამფითეატრივით გადაჰყურებდა. მის გულმათოვან, ცისფერ ჰერზე შუქფარიანი ნათურა ეკიდა. ამ აივანზე უყვარდათ კოტეს, მის მეუღლეს ანეტას და მათ სტუმრებს კარგი ამინდის დროს ჯდომა, პურის ჰამა, მასალათი, ზღვისა და წარმტაცი დაისების ცქერა. თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, ორმოცდაათ წელს მიღწეული ზურაბი, რუსული დივიზიის უფროსი გრიგოლი, პედაგოგი თამარი, ექიმი ქალი მაიკო და სამხედრო სკოლის ლექტორი — მწერალი რევაზ ხშირად ჩამოდიოდნენ თავის ძმასთან — კოტესთან ბათუმში. მიუხედავად ასაკობრივისხვაობისა, ძმები განუყრელი მეგობრებივით ცხოვრობდნენ, ერთად იყვნენ ჰერსა და ლხინში. ამ ტრადიციას მათი შვილებიც აგრძელებდნენ და გარსევანიძეთა ოჯახი, ამ მხრივ, ერთგვარ საგვარეულო თემს მოგვაგონებდათ. ზურაბს, კოტეს,

გრიგოლსა და რევას იშვიათი ხმა და სმენა ჰქონდათ. ქეიფის შნო და ეშხიც გააჩნდათ. ქეიფში მათ არც მათი დეიდაშვილები სერგო სლავინსკი, დავითა, დიმიტრი, მიტო და სანდრო წერეთლები ჩამორჩებოდნენ, მაგრამ ამ ბოლო ხანს კოტესთან ხშირი სტუმრობა, მისი მეუღლის ანეტას გამო, შეანელეს. ტანმოჩილი, ოდნავ ღიბიანი, ლამაზი, შუახნის, ქერა კაცი კოტე გარეგნულად მშვიდი, ბედნიერი გეგონებოდათ, ნამდვილად კი მის გულს უხილავი დარდი ღრღინდა. მას მისთვის შეუფერებელი, გონებაშეზღუდული, უწიგნო, ერთი ხელმოჭერილი და კუშტი ქალი შეხვდა. ელიზბარ გარსევანიძის გარდაცვალებისა და 1905 წლის რევოლუციის მერმე ოლღას სამი უფროსი სტუდენტი შვილის რუსეთში შენახვა გაუჭირდა. ხელმოკლე ქვრივი ქალი იძულებული გახდა მის შვილს კოტეს ქუთაისის მდიდარი ვაჭრის — ერმალოზ ციტიშვილის ქალი ანეტა შეერთო. სტუდენტობის დროიდან მოყოლებული, აგერ უკვე ოცდახუთი წელი იქნებოდა, რაც კოტე იმ მძიმე ჭვარს ატარებდა, მაგრამ ცოლს ქმარი გააჩეუბით უყვარდა და სწორედ ეს იყო კოტესათვის ერთგვარი ხაფანგი: გაყრაზე ფიქრი აშინებდა, რადგან ქალს შეეჩვია და მეგობრად თვლიდა. თუმცა იმ „მეგობარს“ ქმრის სულიერი ცხოვრებისა არა გაეგებოდა რა, ამავე დროს ანეტას თავისი ღირსებაც გააჩნდა: იგი ჩინებულ დიასახლისი და კულინარი იყო. ქართულ საკამადს ისეთი ხელოვნებით კმაზავდა, კაცი შიგ თითებს ჩაიტკვერდა. კოტეს ბავშვსავით უვლიდა, ნიაგსაც კი არ აკარებდა, ანებივრებდა. სამსახურში ქმრის გასტუმრებისთანავე თავს წაიკრავდა, წინსაფარს გაიკეთებდა და, მოსამსახურე ქალთან ერთად, ჭურჭელს დარეცხავდა, მერმე ავეჯსა და იატაკს მიაღებოდა, ტომრით, შალით, ჩერითა და ჯაგრისით წმენდდა, ხეხავდა, აკრიპლებდა. ანეტა უშვილო იყო, ალბათ ამის გამო მთელი თავისი ქალური სინახე, ზრუნვა, სიყვარული და დედობრივი გრძობაც კი კოტეზე გადაიტანა. არც

კოტეს მეგობარს — ტექნიკუმის დირექტორს ნიკო გიორგაძეს და მის მზეთუნახავ მეუღლეს, თინა ჯაფარიძეს მკაცრად შეილი. მაგრამ იქ სხვაგვარი ვითარება წამოიჭრა: უშვილობაში ზრალი ქმარს, და არა ცოლს, ედებოდა. იქნებ უზრალონი — კოტე და თინა ამის გამო არ მიითვლიდნენ ცოდვად ამიკობას! როგორც კოტეს — ქალები, ასევე თინას — მამაკაცები ფურტკარივით ესეოდნენ, ეტანებოდნენ და ესენიც ზნეობრივ სიმტკიცეს ვერ იჩენდნენ და ცდუნების წინაშე ადვილად ჰყრიდნენ ფარ-ხმალს.

რევაში იცოდა კოტეს შეცოდებანი, მაგრამ თვალს ხუჭავდა. ღირსეული ძმის ცოდვათა მიტევებასა და შეწყნარებას გაუნათლებელი, ულამაზო და კუშტი ცოლის უშვილობითა და ხებრეობით ცდილობდა. რაც უნდა იყოს, უფროსი, სათაყვანებელი ძმის უზნეობა და ცუდი მაგალითი უმცროსი ძმის სულში გარკვეულ კვალს ტოვებდა. რევაში, ისე, როგორც ყოველი სპორტსმენი, არ იყო ქალების მადღვარი. გულმართალი, ზნეობრივად სპეტაკი და მაღალი იდეალუბით გატაცებული ქაბუჯი მალღ სიყვარულზე ოცნებობდა და ადრე იწვინა პირველი გაცულებული მიჯნურობის გამო გამოწვეული ჭირი და ვარამი. ლამაზი, ეშხიანი, უდარდელი კოტე კი ქალებს არ გაუზნებოდა. იგი ოქროპირი, ჩინებული თამიდა იყო. რომელ ოჯახშიც მივიდოდა, იმ ოჯახის ბინის კედლები მხიარულობით მიდგებ-მოდგებოდნენ, იგი, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „სიამტკილობისა“ და მშვიდობის მოსურნე კაცი იყო, ჩინებული მომღერალი და დამკვრელიც. გიტარას რომ შეაღრიპლებდა და ზედ საამო ხმით დაამღერებდა: „ო, მარგალიტო, ჩემო ლამაზო, ნუ, ნუ დამიშლი მე შენსა ცქერას“, — მაშინვე სტუდენტური ხანა, კიევი მოაგონებოდა, თვალეში ეშმაკური შუქით აუციმიციმდებოდნენ და ლამაზმანებიც დაუფარავი ნდომით იზნიდებოდნენ. მეცნიერულ მუშაობასთან ერთად, იგი ცხოვრების ყველა სიტუბოების წუწნასაც ასწრებდა, თუმცა ეს გარემოება მის

სისტემატურ მეცნიერულ მუშაობას ხელს უშლიდა და სამსახურებრივ წინსვლას ვეზბდა, აფერხებდა. ამიტომაც მოხდა, ბათუმის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტს აგერ უკვე ათი წლის განძილზე რომ შეაბერდა და მეცნიერული ხარისხი დიდხანს ვერ მოიპოვა.

• • •

რევანი თავისი ძმის ბინის აივნებიდან ისევ ზღვას გასცქეროდა. ეს ვეება სტიქიონი მუდამ იზიდავდა რევანს თავისი თვალშეუდგამი სივრცითა და იდუმალეებით. ნიაგმა დაუბერა. მშვიდი და ლურჯად მოლივლივე ზღვა ოდნავ შეიორხა და ატორტმანდა, თითქო პირთამდე წყლით საესე ვეება თასს უხილაგმა დემონებმა წვიბურტი ჰკრესო. ნაპირზე გაშოლტილმა და მჯღარმა შიშველმა გოგო-ბიჭებმა მზის აბაზანის მიღებას თავი გაანებეს, წამოცვიდნენ, ზღვაში შევიდნენ და შესცურეს. მათი შემყურე რევანი ეშხზე მოვიდა, მანაც თავისი პატარა ჩემოდანი აიღო, კიბე ჩაიბრინა, ნაპირთან გვიდა, ტანისამოსი გაიხადა, დადგა და ზღვის ჰაერი ჩაისუნთქა. ჩინებული მოვარჯიშისა და ახოვანი ჰაბუკის კუნთებდაგრაგნილი ტანი ლურჯი ზღვის ზეწარზე მძაფრად და ლამაზად აისახა. ცოტა ხნის ვარჯიშის მერმე რევანი მკერდამდე წყალში შევიდა. წყალი ჰეშვით სახეზე შეისხა და თავზეც გადაივლო. მერმე ჰაერში შეტბა, ჩაპყვინთა, გასცურა და, ნაპირიდან შორს წასულმა, წყლიდან თავი ამოჰყო. იგუნშირად ჩამოდიოდა ბათუმში მშასთან და ცურვაც აქ ისწავლა. რევანი მართლაც ჩინებულად ცურავდა. მისი ძალღვანი, ზეადმართული მკლავები მენავეთა ნიჩბებივით მწყობრად და რიგრიგობით ეშვებოდნენ ზღვის ზედაპირზე... მცურავი ძალღში მკერდით მიაპობდა ზღვას და შურდულივით მიჰქროდა.

რევანი ზღვიდან ამოვიდა, ტანი პირსახოცით შეიმშრალა, სველი ტრუსი გაწურა, ქეიშაზე დააფინა, მშრალი კი ჩაიცვა და ზღვის პირას გულადმა გაიშო-

ტა. რა იცოდა ფარდააწვეულ სარკელიდან თინა ჯაფარიძის ქალი თუ უთვალთვალეებდა და თავისი ეშმაკური გრძნეული ბადით დაქერას უბირებდა?! რევანის წინ ზღვა ისევ უშფოთველად ტორტმანობდა, მის თავზე კი თვალშეუდგამი, ლურჯი ცა გაშლილიყო. რევანმა უსაზღვრო სივრცის წინაშე თავისი უსუსურობა იგრძნო და თავი ზღვის აურაცხელ ქეიშის პაწია მარცვლად წარმოიდგინა, ზღვის პირას მოფუსფუსე აღამიანები კი ინდოელი მწერლის — თავორეს მოთამაშე ბავშვებად, ქაღალდის გემებს რომ აკეთებენ, ზღვაში მიაცურებენ და ერთობიან. მაგრამ სულ მალე ცაში თვითმფრინავის ძრავის გრილი გაისმა და მას უსაზღვროების წინაშე აღამიანის გონების ძალა და მოუდრეკელი ნება არწმუნებინა.

ნავსადგურიდან საოკეანო დიდი გემის საყვირი შემოესმა რევანს. აჭარის მთებმა ექო გამოსცეს, თითქო ტყით დაფარულ მთაში ხარიჩევი ყვირისო. რევანმა ბავშვივით გაიღიმა და თვლი გაახილა. მის გარშემო ცნობისმოყვარენი შეგროვილიყვნენ. იგი გოგო-ბიჭების შეკითხვებზე ძუნწ პასუხს იძლეოდა. საჩქაროდ ჩაიკვა, ჩემოდანს ხელი დაავლო, ძმის სახლამდე მიბჭენილ სანაპირო ბაღში შევიდა და ვეება პალმებით დამშვენებულ, ხალხით საესე ხეივანს გაჰყვა.

ხეივანში რევანს მასავით ახალგაზრდა, შავგერმანი კაცი. აჭარის განათლების კომისრის მდივანი შუქრი ლომთათიძე შეეყარა. შუქრის გაეხარდა რევანის ნახვა. არ მოეშვა, ნავსადგურში წაიყვანა, სამგზავრო გემის რესტორანში მიიბატეცა, ჩინებული ლუღითა და მოხარშული კიბობებით გაუმასპინძლდა. კიბოს დანახვაზე რევანი ამბრინა. უზიზღებოდა უშნო ფორმის, მახინჯი ქმნალებანი — ქვეწარმავლები, მორიელი, ნინანგი, კუ, ცხრაფხვა, კიბო, კიბორჩხალი, ლოკოკინა და მისთანანი. განციფრებული მიშტერებოდა შუქრის. მისთვის საზარელ კიბოს მადიანად რომ შეექცეოდა, სახსრებს წუწნიდა. კიბო

დედის კიბო მოაგონა. ცუდ გუნებაზე დაღვა და გემის რესტორნიდან წასვლა დააპირა.

რევაზი და შუქრი შეზარხოშებული გამოვიდნენ რესტორნიდან, რადგან ლუდთან ერთად, შიგადაშიგ, კონიაკსაც მიირთმევდნენ.

— ძმა დამეკარგა, — ისევ სწუნდა რევაზი.

— ბატონ კოტეზე უფრო განათლებული და მეცნიერი კაცი ბათუმში არა გყავს, — დაიწყო შუქრიმ, — ბედნიერი ვიქნებოდი მასეთი დიდებული ძმა რომ მყოლოდა.

ისინი ისევ გაერთნენ საუბრით, რომ ვერც კი შენიშნეს, თუ როგორ აღმოჩნდნენ კოტე გარსევანიძის ბინის წინ. რევაზი ისევ წუნდა:

— მთელი დღე დავეხეტები ბათუმში და ვერ გავიგე, სად არის ბოლოს და ბოლოს ჩემი ძმა?

— გეტყვით, თუ არ გამაცხადებთ, სად არის ბატონი კოტე, — ეშმაკური ღიმილით უთხრა შუქრიმ რევაზს.

— აბა, როგორ გაგაცხადებთ, — მიუგო რევაზმა.

— ბატონი კოტე და მისი მეგობრები ბათუმის მახლობლად, ბახტაძის ბაღში ქეიფობენ, — შეატყობინა შუქრიმ.

რევაზმა ეტლი დაიპირა და ბახტაძის ბაღისაკენ გასწია. ბათუმიდან იმ ბაღამდე სამი კილომეტრი თუ იქნებოდა.

2

ეტლი ღია კარებით ბაღში შევიდა. ხეების ჩრდილში გაშლილ მაგიდებს სხვადასხვა ჭურის პირები უსხდნენ. რევაზმა იმ მაგიდებს ჩაუარა და მალე ცაცხვის ქვეშ ხალხისგან განმარტოებული კომპანია დაინახა. იმ კომპანიის წევრები იყვნენ: პედინსტიტუტის დირექტორი სულეიმან შანიძე, მისი მოადგილე შალვა ქავთარაძე, ტექნიკუმის დირექტორი ნიკო გიორგაძე, რევაზის ძმა კოტე და საამო სახისა და თეთრ სპეტაკწვერიანი მოხუცი, ბოტანიკური ბაღის დირექტორი — გაქართველებული გერმანელი არ-

კადი ზერმანი. რევაზს გაუკვირდა, წესიერი და პედანტი მოხუცი ზერმანი ბახტაძის ბაღში მოქეიფეთა. შორის რომ დაინახა. მოქეიფენი გვიანი სადილის მისართმევად ჩამოსულიყვნენ ბათუმიდან ბახტაძის ბაღში. საპატიო სტუმრების სუფრის გარშემო ორი ოფიციალური ტრიალედა. რევაზმა მეეტლე გაისტუმრა. იგი ბაღის ჩაბნელებული ადგილიდან მოულოდნელად გამოვიდა და ნათურით განათებული მაგიდის წინ გაჩერდა. რევაზის მოსვლა გაუკვირდათ, მაგრამ ძალიან გაეხარდათ დამხდურებს, გადაეხვივნენ, გადაკოცნეს და ძმის გვერდით დასვეს. კოტეს ძალიან ესახელებოდა თავისი უმცროსი ძმის რევაზის მწერლობა, იგი მას უჩვეულო ადამიანად თვლიდა და თავის თავზე მალა აყენებდა. არ ვიცი სხვა ქვეყანაში რა ვითარებაა, მაგრამ საქართველოში ერთი უცნაურობა, წინათ და ახლაც, შემოქმნივია. საქართველოს „პოეტების ქვეყანას“ ეძახიან და ჩვენი ხალხის უმრავლესობა ამ უცნაურობას კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობით ხვდება. ნუთუ საამაყოა, როდესაც მთელ ერს „პოეტების ქვეყანას“ ეძახიან? პოეტების ქვეყანა არსებობდა წინათ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, მაშინ ამ კუთხის მკვიდრნი — მომთაბარენი სოფლის პრიმიტიულ მეურნეობას, მესაქონლეობას მისდევდნენ. იმ ხანად მწყემსი ფანდურს დაახაყუნებდა და ზედ თავის შაირს დაამღერებდა. რასაკვირველია, იმ ჰალარა წარსულშიც შექმნილა დიდებული მხატვრული ნაწარმოები, რომლითაც ეპოპრიობა დღესაც ამაყობს, მაგრამ დღეს რაციონალიზმისა, მეცნიერებისა და ტექნიკის, ინდუსტრიის, სოფლის მექანიზირებული მეურნეობის, ავტომატიკისა და კიბერნეტიკის სწრაფი და უჩვეულო განვითარების ხანაში, რომელსაც ატომურ ეპოქას უწოდებენ, რომელიმე კულტურულ ერს „პოეტების ქვეყანად“ თუ მონათლავენ, საამაყო ამაში არაფერია, წინასწარ ვამშვიდებ მწერლებსა და პოეტებს: სანამ ეპოპრიობა იარსებებს, ლოგიკური აზროვნება მხა-

ტრული სახეებით აზროვნებას ვერ შთანთქვას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში ყოველ ბუჩქზე თითო პოეტი ბუღბუღლივით უნდა იჯდეს, ჰგალობდეს და ამის გამო საქართველოს „პოეტების ქვეყანა“ ეწოდოს, ამით გავიხაროთ და სხვა საზრუნავი ერს არა დარჩეს რა. საუბედუროდ, ეს უცნაურობა, განუსჯელია და ხშირად ქართულ-შუტობა ტრადიციულად დღესაც გრძელდება, დღესაც შეხვედებით ცნობილ მეცნიერს, პატრივებულ და ღირსეულ ადამიანს, ვათემატიკოსს, ბიოლოგს, ფიზიკოსს, ფსიქოლოგს თუ მედიცინის მუშაკს, რომელიც სრულიად უმნიშვნელო, უმეცარ და უნიჭო მწერლისა და პოეტის წინაშეც კი ქედს იხრის, მას თავის თავზე მაღლა აყენებს, შექალაქდება, ან კიდევ ისეთს, რომელსაც შურს მწერლისა და მგოსნის პროფესია და აი, ეგ სახელოვანი მეცნიერი და ღირსეული ადამიანი თვითონვე იწყებს ლექსის, მოთხრობის, ან პიესის ჭაბუნას. და რა გასაკვირია ამის მერმე, არც თუ ისე დიდი მეცნიერები, როგორც კოტე გარსევანიძე და მისი მეგობრები — ბათუმის პედაგოგები იყვნენ, ჩვენს ნიჭიერსა და ერუდირებულ მწერალს — რევან კვებერელს ფეხქვეშ გაკვებოდნენ?

ასეც მოხდა. მხოლოდ აქარის პედი-სტიტუტის დირექტორი სულიმან შანიძე იჯდა აქამი კაცივით, კუშტად, გორბად და ჭაერობდა, ხელქვეითებმა თავისი უფროსის წინაშე მუხლდრეკას, ხობტა-ქებას თავი რომ გაანებეს და მთელი ყურადღება თბილისიდან ჩამოსულ ვლადი ახალგაზრდა ლექტორზე, თუ მწერალზე გადაიტანეს. კოტემ დრო იხელთა და ძმას ჰკითხა:

— როდის ჩამოდი?

— დღეს დილით, შენი ძებნით დავილაღე. შინ ვერ შევედი, ბინა დაკეტილი აღმოჩნდა, — მიუგო რევან.

— გასაღები მეზობელს, გიზო გრიგოლიას მეუღლეს დავუტოვე. სხვა რა ამბავია, როგორ არის დედა? — ჰკითხა კოტემ და მის სახეზე უმაღლვე მწუხარება გამოიხატა.

— ცუდად, ვიღუპებით, — მიუგო რევანმა და მოკლედ უამბო ყოველივე. მოსალოდნელი უბედურებების წინაშე მდგარი ძმები მწარედ ჩაფიქრდნენ.

— გახსოვს, — მოიგონა კოტემ, — ამ განაფხულის არდადეგებზე ძმები კორომეთში რომ შევიყარინით? თამადად დედა ავირჩიეთ. მე შენ გეტყვი, ცუდად ითამადა! რამდენი ვიცინეთ და ვიბზიარულეთ! რა კარგად იყო მაშინ დედა. მერმე კი სწრაფად მოხდა ყოველივე...

თამადამ, შუახნის მელოტმა კაცმა, თინა ჯაფარიძის მეუღლემ, ნიკო გიორგაძემ შემოსასწრები რევანს დიდი ჰქით შესთავაზა. მერმე მისი სადღეგრძელოც შესვა. ცამდე აიყვანა... ქეიფე წამოვიდა. კოტეს და რევანსაც დედის ავადმყოფობა წამით დაავიწყდათ, თავისი ჩინებული ხმით სიმღერა წამოიწყეს და სუფრას მეტი შნო და ლაზათი შემატეს, მაგრამ რევანს ღვინო მოეკიდა. კოტე შეშინდა, რადგან კარგად იცოდა, მისი მოურიდებელი, პირამთქმელი, მეტად თავმოყვარე, ამაყი ძმა, ღვინოს სმის დროს შეტევაზე რომ გადადიოდა და არავის არაფერს არ შეარჩენდა. კოტე ეკალზე იჯდა.

— დიდებული სუფრა გვაქვს, მხოლოდ ქალები გვაკლია, — გულისტყენით განაცხადა თამადამ. თურაშაულის პატრონი ტყეში პანტას ეძებდაო ამაზე არის თქმული, — გაიფიქრა რევანმა და თამადის მზეთუნახავი ცოლი, თინა ჯაფარიძე მოაგონდა.

— ქალებს აქ ვინ მოგართმევს, — შენიშნა შეგვრემანმა, ჯმუხმა კაცმა სულიმან შანიძემ თამადას.

— ჰერი, ჰა! პედისტიტუტს ეგ როგორი დირექტორი გყოლიათ — უჩურჩულა რევანმა კოტეს — ქალებიც არ მომინდომა!

— ეგ ქალების გიყია, — ჩურჩულითვე მიუგო კოტემ.

— შენ გგვანებია, — ღიმილით შენიშნა ძმას რევანმა.

— ძმას რას ეჩურჩულებით, — გასძახა თამადამ რევანს, — ნუ გეშინიათ, ქალებზე არც კოტე იტყოდა უარს.

სუფრის შეზარხოშებულმა წევრებმა ფაშატი აგზნებული ულაყებივით მორთეს კიბენი. კოტემ თამადას უთხრა:

— რად ვიტყვოდი ქალღმერთს უარს, ბატონი სულეიმანისთვის კი უხერხულია.

— რატომ? — ოღონდაც, — მოულოდნელად განაცხადა და ჩაიხიზნითა სულეიმანმა და თამადას ვნებიანი თვალები შეანათა.

— ოღონდ თქვენი სურვილი იყოს, თორემ ქალებს ბათუმთან ცხვრის ფარასავით მოფრეკავ, — მოულოდნელად მიმართა მოქეიფე ხალხს რევაზმა.

ყველანი განცვიფრდნენ, თანაც დაირცხვინეს: რევაზი ცნობილი მწერალია, მასზე ვლოცულობთ და ეგ საქმე როგორ დავავალოთო, — გაიფიქრეს. ძნელი გასაგები იყო, თუ რისთვის იკისრა ეგ სამარცხენო და სათაკლო საქმე თავმოყვარე და წესიერმა ჰაბუკმა! იგი თბილისშიც კი გაურბოდა მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს, არ იცნობდა მათ. ბათუმში კი — მით უფრო. წუთით დუმილი ჩამოვარდა. სულეიმანის მოადგილემ შალვა ქავთარაძემ თავი ასწია, მორიდებით შეხედა რევაზს და უთხრა:

— თქვენთვის უხერხულია, — მაგრამ ღვინისაგან გადაჟღავებული კოტი არ დაეთანხმა:

— რად არის უხერხული! რეზო განა მართო ლექტორი და მწერალია! რეზო ყოფილი ოფიცერი, სპორტსმენი, მეკრივე, თბილისელი ყარაჩოხელი ვაჟკაცი! ყველაფერია!

— ჯერ ერთი, — მიმართა სულეიმანმა რევაზს, ეჭვი გამოთქვა და ვაჟქმა:

— თქვენ თბილისელი ბრძანდებით და ბათუმის ქალებს არ იცნობთ. მეორედ ისა, რომ კახებში არ გვინდა, არ შეგვეფერება. წესიერ ქალებს კი აბა საიდან მორეკავთ?!

— აბა თუ არ ვიცნობ და ვერ მოერეკავ, — გამოიღო თავი სულეიმანის მიერ წაქეზებულმა და ახლა აღჩუხე დამჯდარმა რევაზმა. — გამიშვით ბათუმში და ერთ საათში ლამაზმანები აქ იქნებიან!

— აგერ ეტლი ცარიელია, — შეაგუ-

ლიანა კოტემ ღვინით ისედაც ალყილი უმცროსი ძმა, — ჩაჯექ, გასწი ბათუმში და ერთ საათში ის შენი ლამაზმანები მოგვიყვანე. აი საათი, დრო დაინიშნე, — დასძინა მან და აბრეშუმის თეთრი პიჯაკის გულჯიბიდან ოქროსძეწვევიანი ოქროს საათი გადასცა. მოქეიფეთ ეჭვიც არ ებარებოდათ, რევაზი ბათუმიდან რომ ჩინებულ ქალებს მოიყვანდა.

• • •

რევაზი ეტლში ჩაჯდა და მეეტლეს ცხენები ბათუმისაკენ გაარეკინა. ბათუმში რომ მივიდა, ცხენები ხალხით სავსე მთავარი ქუჩის პირას ნაბიჯით წააყვანინა. ეტლიდან გადახრილმა ქალების დათვლიერება დაიწყო. ძმის ოქროს საათი ხელში ეჭირა, ძეწვევს ათამაშებდა და წალმა-უკულმა თითზე იხვევდა, თანაც ქალების ყურადღების მისაპყრობად მოდურ სიმღერებს უსტვენდა, აბუღბუღებდა. ხის ქვეშ მდგარმა სამმა ქალმა მას თვალი გააყოლა. რეზო ეტლიდან ჩამოვიდა, სამთავეს ხელი მოხვია, შეაქუჩა და უთხრა:

— ნუ შეკრთებით, გოგოებო! ჩამოსული კაცი ვარ... ამ ქალაქის ლამაზმანებს არ ვიცნობ. მე თქვენთან მოკლე საუბარი მექნება, — გოგოები მიანიც შეკრთნენ და უცნობ ჰაბუკს გაოცებით შეხედეს. მოეწონათ. რევაზმა გაუღიმა და განაგრძო: — ბევრი ლაპარაკი, ლათაიები არ მიყვარს. აი ჩემი წინადადება: ბათუმის მახლობლად, ბაღში პურსა ეჭამთ, ჩემი თანამესუფრენი ამ ქალაქის თვალის ჩინი, წარჩინებული, განათლებული ადამიანები არიან. დროს ჩინებულად, ლამაზად გვატარებთ, — მოკლედ მოსკრა რევაზმა. ქალებმა რევაზი ასწონ-დასწონეს. ისევ თვალში დაუჯდათ. ყველაზე ხნიერმა, შავგვრემანმა ქალმა უთხრა:

— აბა ასე მოულოდნელად და ერთბაშად, ისიც უცნობი კაცის წინადადება როგორ მივიღოთ და მას ქალაქგარეთ ბაღში წავეყუთ? ღამის პეპლები ზომ არ გგონივართ!

—ღმერთმა დამიფაროს. ავი გითხარით, ვინცა ვარ და ვისთანაც უნდა წავიყვანოთ. რისა გეშინიათ? ჩვენ წესიერი ხალხი ვართ, — მიუგო რევანმა, თქროს საათს დაჰხედა და ისევ მოკლედ მოსკრა: — დრო აღარ ითმენს. ჰო თუ არა? ნუღარ ყოყმანობთ, გოგოებო, თორემ ბედნიერების მომტანი, უცხო მიტი გაგიფრინდება!

ერთმა ლამაზმა, სრულიად ახალგაზრდა, ცისფერთვალემა გოგომ რევანს თვალი მოსკრა. იმ გოგოზე უფროსი ქალები განზე ვადგნენ და თათბირი დაიწყეს, თანაც უცნობი ქაბუცისაყენ იხედებოდნენ. რევანი მივიდა, ისევ ხელი მოჰხვია სამთავეს და ქუჩაში გაატარა. ეტლი ნაბიჯით უკან მიჰყვებოდა. მალე ქალები დასთანხმდნენ და ეტლში ჩასხდნენ. ეტლი ქალაქგარეთ მინდორში რომ გავიდა, ქალებმა ნისლში გახვეული ზღვა დაინახეს. ზღვა ოდნავ ღელავდა. დროდადრო გმინავდა და ბაღში მოქეიფე უცხო ხალხისაყენ ეტლით მიმავალ ლამაზ გოგონას შეუცნობ შიშსა ჰგვირდიდა. რევანი კი მხიარულ გუნებაზე იყო, ქალებს ანეკდოტებს ეუბნებოდა, აცინებდა, უხაროდა. ერთ გასროლაზე შადღეში ორი ღლაგი და ერთი კალმახი რომ გაახვია. ახლა ის კალმახი — ქერათმიანი და ცისფერთვალემა, ლამაზი გოგონა ეტლის წინა სკამზე გვირდით ეჯდა და თავის ჩასუქებულ, ჭარმაგ მეგობარ ქალებივით უგულოდ, ურცხვად და შემაზრუნენად კი არ ხარხარებდა, არამედ დუმდა და თავისი ცისფერი, ნადვლიანი თვალებით რევანს მიმტერებოდა. ამ გოგონამ უმაღლესი მიიქცია რევანის განსაკუთრებული ყურადღება. „ვინ იცის ბედმა როგორ დასცინა. იქნებ უზნეო, უნამუსო ვიგიინდარებმა შებღალეს ქალწულის უმანკობა!“ — გაიფიქრა რევანმა.

— რას მამტერდები ეგვრე, გოგონავ; ღმერთმა იცოდეს, ავაზაკი, დაკარგული სული არა ვარ. არც ცუდი რამ ზრახვა მიდევს გულში, — გულითადი ხმით უთხრა რევანმა. ლამაზ ლოყაზე ხელი ბავშვსავეთ მოუცაცუნა, მოუალერსა. უც-

ხად მარინე ავალიშვილი მოაგონდა და თავადაც მოიწყინა. ზღვის ჩაკუჭრულ სივრცეს მანაც კაემნით ვახედა. მამონვე მიხვდა, რა უღირს როლს ასრულებდა, სულეიმანისა და მისი მეგობრებისათვის ბათუმიდან ქალების მიყვანა რომ იცისრა. საქციელი წაუხდა. ამირიზა, მაგრამ გვიანდა იყო.

რევანმა მეეტლე გაისტუმრა და მერმე ხის ქვეშ მოქეიფე კომპანიას ქალები გაუბედავად მიაცენა. მოქეიფეებს ორი ჩასუქებული, ჭარმაგი ქალის დანახვისას გულზე შემოეყარათ. ისინი იცნობდნენ ქალაქის იმ ლეჩაქანდელ, სათრეველა როსკიბ ქალებს. სულეიმანმა თამადას უჩუბრულა:

— ეს გაქეილი, შავულავაშინი ბერძენი ქალი ელა და კრუხის პალო რიტა რა ჭირად გვინდა! — მერმე კოტეს გადაუღაპარკა: — ავი იყვებნოდი, ჩემი ძმა ყარაიზელია და ბათუმიდან ლამაზ მანებს მოიყვანსო!

კოტეს შერცხვა და თავი ჩაჰკიდა, მოქეიფენი ამირიზნენ, მაგრამ ახალგაზრდა, მათთვის უცნობი, ლამაზი გოგონა რომ დაინახეს, ყველანი ერთად ახორხოცდნენ, წამოცვიდნენ, მობრძანდით, მობრძანდითო, — დაიძახეს. მერმე სერიოზული სახე მიიღეს და, როგორც „ქენტლმენებს“ შეჰფერით, ის ლამაზი გოგო სუფრაზე ისე მიიპატეიეს, თითქოს მართლა წესიერი ადამიანები არიან და გულში არავითარი ქვენა ზრახვა არ უდევთ, მაგრამ თვალები, ნადირის ვნებით ანთებული, მთერალი მამაკაცების თვალები ფარდას ხდიდნენ მათ ქეშმარიტ ზრახვას. ჭარმაგმა, გამოცდილმა ქალებმა — ელამ და რიტამ მათ გვერდით მჭდარ კოტესა და თამადას უმაღლეს მხარი აუბეს და სანატრელი, მანამდე მათთვის მიუწვდომელი კავალრები მალე საჯაროდ ჩაჰკოცნეს. ხოლო ელას მიერ დღეს საღამოს „გოროდოკში“ — ბათუმის გარეუბანში გაცნობილი და ქალაქში საგასტროლოდ გამოყვანილი ლამაზი გოგონა ლუდა სტეპანოვა ეკალზე იჯდა. ელას და რიტას ვერ მოესწროთ ბათუმში ნაპოვნი ბარტყის გადაფრენა. ლუ-

დამ სულეიმანი იმთავითვე აითვალისწინა და ახლოსაც არ გაიკარა. მხარზე ხელის მოხვევისა და კოცნის უფლებას არ აძლევდა. იგი თავისი ცისფერი, ნაღვლიანი თვალებით რევას მიშტერებოდა, თითქოს ჰყვედრიდა, რად მომიყვანე ამ ბაღში და ამ უშნო, უხეში და უზრდელი კაცის გვერდით რად დამსვიო? სულეიმანი კი იმ ლამაზ და ტანად გოგონას, ლუდას არ ეშვებოდა, „ლუდოჩკას“ ეძახდა, ენას უჩლევდა, ისევ ხელის მოხვევას, კოცნას უპირებდა. ლუდა კი ისევ არ იკარებდა. ელა მივიდა, ყურში ჩასჩურჩულა თუ ვინ იყო მისი კავალერი და ჰკუთა დაარჩია: ნუ ურჩობ და ნუ იბუტებო. ელას სიტყვებმა გოგონა აღაშფოთა. იგი არცა სვამდა და არცა სკამდა. ბოლოს ადგა, სუფრას შემოუთარა და თავისი მფარველი რაინდის — რევასის გვერდით დაჯდა. სულეიმანმა იწყინა და შეუარაცხყოფა მიჰაყენა:

— შენ, ეი, რას ინაზები და კოტლიზობ! მე ვიცი, მამა აბრამის ბატკანი მყევხარ!

— წმინდანი არა ვარ, მაგრამ... — ამრეხით მიუგო ლუდამ. ელასა და რიტას ლუდას ამ სიტყვებზე თავშარი დაეცათ. ისინი ძლივს ეღირსნენ ამ, მათი აზრით, დიდი რანგის პირებთან დაახლოებას და ახლა ეს ცხვირმოუხოციელი გოგო თავისი ქალწულობის დაცვიითა და პრანჭვარეხით მდიდარ კლიენტებთან აწყობილ საქმეს უფუშავდა, კახებზე გაბრაზებული ძუ ვეფხვის თვალები შეანათეს ლუდას, თითქო გაგლეჯას უპირებენო.

— თუ არავისთან არ წოლილხარ და წმინდანი ბრძანდები, რად მობრძანდი უცნობი კაცის წინადადებით მოქეიფე მამაკაცებთან და თუ მობრძანდი, ახლა უტოდველი ანგელოზივით რაღას ინაზები?! არ იცოდი, მაგ ჰაბუკმა ჩემთვის რომ მოგიყვანა?! — არც ლუდა, არც რევახი არ დაინდო სულეიმანმა.

რევახი უეცრად აენთო. სულეიმანს ისეთი სიტყვა აკადრა, რომ ყველანი გაოცდნენ:

— დამშვიდდით, ბატონო სულეიმან! რას ერჩით ამ გოგონას, ასე რამ ლანძღავთ და ათრევეთ? ჩვენ ამ სუფრასთანაწორუფლებიანი წევრები ვართ და ქალებმა, ვინცა სურთ, ის აირჩიონ. ამ გოგონამ ჩემთან ჯდომა ისურვა. მერმე რა? რისთვის ბრაზობთ და იგინებით? არ იფიქროთ, თქვენი მონა და მსახურავიყო! თქვენი მონა და მსახურა შინ მოიკითხეთ.

კოტე შეძრწუნდა და ძმას ჩემად უთხრა:

— დამშვიდდი, ბიჭო! აპატიე, ინსტიტუტის დირექტორია.

დირექტორი კი ბრაზისაგან გაფითრდა, სუნთქვა შეეკრა, მკერდი გაიღელა. მაგიდაზე მუშტები შემოსდო, დაებჯინა და კოტეს გაძძახა:

— თქვენ ძამიას გრძელი ენა ჰქონია!

— თქვენ კი, მოკლე ჰკუთა, — მიუგო რევახმა. — რა ჩერჩეტი ვიყავი, თქვენ რომ ეს ქალები მოგიყვანეთ! არ იფიქროთ, თქვენისთანა კაცუნას წინაშე მაქანკლობა ვიკისრო. მე ჩემი ხოში გავისწორე. მორჩა და გათავდა!

— ეინ გავალებდათ მერმე ამ ქალების — „ლამაზმანების“ მოყვანას? ეს თქვენ თავად იკისრეთ! თქვენი ლამაზმანებო ბათუმის ორკაპიკიანი კახებში არიან!

— რა პატარა და ყბედი კაცი ყოფილხართ, — ზიზლით შეხედა რევახმა და ქალების გასაგონად რუსულად მიძახლა: — თქვენ გგონიათ თანამდებობითა და ფულით არა მართო ქალის ხორცს, არამედ მის სულსაც, საერთოდ ყოველი ადამიანის სინდისსა და ნამუსსაც კი იყიდით?! არა. ეს ასე როდისა აბა შეხედეთ ამ გოგონას კაეშნიან თვალებს, რომლის სახით მისი მწუხარე და შეძრწუნებული სული იხედება...

ეს ბიჭი მგონი ურევსო, გაიფიქრა თამადამ, ტექნიკუმის დირექტორმა ნიკო გიორგაძემ, რომელმაც აგერ უკვე ათო წელი იქნებოდა, რაც კოტეს ადგილი დაიჭირა. სულეიმანის მოადგილემ შალვა ქავთარაძემ რევახს მიმართა:

— პოეტები და მწერლები მართლაც



ფანტაზიორები, ქარაოცები, ახირებულნი ადამიანები ხართ.

— დონ კიხოტები, — გაუსწორა სულეიმანმა.

— თქვენ კი, დონ კიხოტის მიერ დანიშნული გუბერნატორი სანჩო პანჩო, — შენიშნა რევაზმა.

— ყოველ შემთხვევაში თქვენი დანიშნული არა ვარ.

— მე მაგ ადგილზე არც დავნიშნავდით. ეგ შეცდომა იქნებოდა. არ იფიქროთ, მაგ ადგილზე დიდხანს იზოგინოთ.

სულეიმანის — მრევლი აღშფოთდა, მხოლოდ მოხუცი არკადი ზერმანი იჯდა ჩუმად, თავის ცისფერ თვალებს აცუცებდა, ეშმაკურად იღიმებოდა და ფიქრობდა: რაინდების ორდენი ერთი ციდა გოგოს გამო დაიშალა.

ლულამ რევაზს მკლავში წაავლო ხელი, ბაღში გაიყვანა, ხის ჩრდილში შეაჩერა: „ყოჩაღ, როგორც მწერალს შემაფერის, ისე მოიქეციო“, — უთხრა, ფეხის წვერებზე შედგა, მოეხვია და აკოცა. სანამ რევაზი გონს მოვიდოდა, ქალმა ხელი ჩასკიდა და მაგიდისაკენ წაიყვანა.

მოქეიფენი გაბრაზებულ სულეიმან შანიძეს ამშვიდებდნენ, მის წინაშე მლიქვნელობდნენ, ქლესაობდნენ, აქებდნენ და ადიდებდნენ, ხოლო რეზოს არანორმალურ და ქარაოც ადამიანად აცხადებდნენ.

რევაზი და ლულა ისევ სუფრას მიუსხდნენ. შანიძის წინაშე მოქეიფეთა მლიქვნელობა უმაღლეს შეწყდა. რევაზს ერიდებოდნენ. შანიძე ახლა აღარ ცხარობდა, მშვიდად იჯდა, შავ თვალებს აბრიალებდა და რევაზს, ისე ვით გიყს, აბდალს და ტაკიმასხარას, დამცინავი ღიმილით მიშტერებოდა.

სულეიმან შანიძე, შალვა ქავთარაძე, კოტე გარსევანიძე და არკადი ზერმანი ეტლში ჩასხდნენ და ბათუმისაკენ გასწიეს. მათ ნიკო გიორგაძე, ელა და რიტა მეორე ეტლით მიჰყვნენ. რევაზმა და ლულამ კი დიდხანს უცადეს ცარიელ ეტლს და ბათუმში დაგვიანებით ჩავიდნენ.

რევაზი კოტეს ბინის მახლობლიდან ჩამოვიდა. საფასური მეეტლეს ორმაგად გადაუხადა, რათა ლულა შინ მიეყვანა. ლულა მაშინვე ეტლიდან ჩამოფრინდა და წყენით უთხრა:

— როგორ, შინ მისტუმრებთ?!

— რა ექნა! დღეს დილით ჩამოვედი. დაღლილი ვარ, უნდა გამოვიძინო.

— ნუ მიმატოვებთ, ჩემთან წამოდი, ხელს არ შეგიშლით. დაგაწვენთ, ხის შტოს მოგტენ, სასთუმალთან დაგიჯდებით და ბუხსა და კოლოს არ გაგაყარებთ.

— ძმას შეეშინდება. ალბათ არ სძინავს, მელოდება!

— რად უნდა შეწუხდეს, ბავშვი ხომ არა ხართ?!

— ახლა ვერ წამოვალ, დრო დავნიშნოთ, ხვალ აი ამ ბაღში შეგხვდეთ ერთმანეთს.

— ბაღის ხსენებისას ლულამ მეეტლე გაისტუმრა. რევაზს ხელმკლავი გაუქვითა, მიეწება და ბაღისაკენ წაიყვანა.

რევაზი შეჩერდა და უთხრა:

— ბაღში ღამით შესვლა აკრძალულია: ორთავეს დაგვაპატიმრებენ. — რევაზმა მეეტლეს გასძახა, მაგრამ ვერ გაავგონა.

ნაშუალამევი იყო. რევაზი და ლულა ცარიელ ქუჩაში მიიბიჯებდნენ. რევაზმა ჰკითხა:

— სად ცხოვრობ?!

— გოროდოკში, — მიუგო ლულამ.

დიდხანს იარეს. ბოლოს „გოროდოკს“ — ბათუმის გარეუბანს მიაღწენენ. აქ კირით შეთითხინილ თეთრ ქონხახებში მუშები, ხელოსნები, მეზღვაურები და მეთევზეები ცხოვრობდნენ. ზოგ ქონხახიდან მთვრალთა სიმღერა, გარმონი და ყვიჩინა მოისმოდა. რევაზმა და ლულამ მიღრეცილ-მოღრეცილი, ვიწრო ქუჩები გაიარეს და ერთ პატარა ქონხს მიაღწენენ. ლულამ ხელის ჩანთა გახსნა, გასაღები ამოიღო, კარები გააღო და რევაზი შინ მიიპატიჟა.

— რა დროს სტუმრობაა, — ცივი

და აბუაშვილს მოსკოვთან დაკავშირება და მის მიერ დასმული საკითხის მოგვარებას შეჰპირდა.

„ჩეკის“ უფროსის კაბინეტში წვერულვაშმომოვებელი, ჰალარა, გამხდარი კაცი შემოიყვანეს. მას ნაცრისფერი კოსტუმი ეცვა, პიჯაკის საყულო აფწია. იგი დახვრეტის მოლოდინში, შეშინებული, ზეზეულად გათავებული კაცის თვალეობით იხედებოდა. აბუაშვილმა ზიზღით შეხედა და მაშინვე მიახალა:

— შენ მონარქისტი, კონტრარევოლუციონერი ხარ და დახვრეტა გეკუთვნის...

პატიმარი ცარიელი ტომარით ჩაიკეცა სკამზე და თავი ჩაჰკიდა.

— ჩემი ხელით დაგხვრეტავდი კიდეც. — განაგრძო აბუაშვილმა, — მაგრამ ახლა გადავწყვიტეთ საზღვარზე მივიყვანოთ და შენს დასავლეთურ ბატონებთან პანლურის ცემით გავისტუმროთ, რომ შენი და შენისთანების მყარალი სული არ სწამლავდეს საბჭოთა ქვეყნის წმინდა ჰაერს.

მიხაკისფერ ფრენჩში გამოწყობილი, მაღალი, ქერა კაცის, „ჩეკის“ უფროსისათვის გაუგებარი იყო ლულაძისადმი აბუაშვილის გამოსარჩლება, მაგრამ მისი ბოლო სიტყვის მოსმენისას მან თავისი ნაღვლიანი, წყლისფერი თვალები შეანათა ჩოხიან, განრისხებულ ჩია კაცს და უნებლიედ გაღიმა. მერმე პატიმარს ჩაცმა და მოშზადება უბრძანა, მაგრამ მოშვებული ტომარით სკამზე დაგდებული პატიმარი ადგილიდან არ იძროდა, თითქო დამბლა დაეკაო. იგი უახრო თვალებით ერთ წერტილს დაშტერებოდა. ღია ხახიდან ნერწყვი თავისთავად სდიოდა. ეტყობოდა, ტვინის ცენტრი მოშლოდა, დახვრეტის შიშის გამო მთლად წამხდარიყო. აბუაშვილს მოეჩვენა, თითქო პატიმარი ზეზეულად ჰყარდა.

— ფუი, — გააფურთხა აბუაშვილმა და თითები ცხვირის ნესტოებზე მიიჭირა.

1919 წელს, რუსეთში სამოქალაქო ომის მძვინვარების ეამს, რევოლუციონერებმა ოც ქართველ სტუდენტთან ერთად კიევიდან საქართველოში გამოსწვია. ხარკოვში ამ ჯგუფს ათი ქართველი სტუდენტი შეუერთდა. სტუდენტებმა საბარგო ვაგონებიან მატარებლით კიევიდან თბილისამდე ორი კვირა იმჯზაერეს და დიდი გაჭირვებაც გამოიარეს.

რკინიგზის სადგურ ტიხორეცკაიაში წითელი არმიის რომელიღაც ნაწილის ჯარისკაცებმა მატარებელი გააჩერეს და გაჩხრიკეს. ოთხი ქართველი სტუდენტი, რომლებსაც სამხრეებიანი სტუდენტური ქურთუკი ეცვათ და ზედ ორთავიანი არწივით ამოტვიფრული, ოქროსფერი ღილეში ეყვრათ, მონარქისტებად სცნეს და დააპატიმრეს. სტუდენტებს ამხანაგები გამოესარჩლენენ.

— რას ერჩით მათ? — ჰკითხა რევოლუციონერებს.

— ისინი მონარქისტები არიან, — აღშფოთებით მიუგო ერთმა ჯარისკაცმა.

— მონარქისტობა შებლზე ზომ არ აწერიათ? — ჰკითხა სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილმა მეოთხე კურსის სტუდენტმა დათა ნანობაშვილმა ჯარისკაცს.

— შებლზე კი არა, ღილეზე აწერიათ, — მოუჭრა ჯარისკაცმა.

— მეც სტუდენტი ვარ, მოდი და დამაპატიმრეთ, — მიუგო დათამ.

— ვინა ხარ? — ჰკითხა დაგლეჯილ მანარაში გახვეულმა, ქერაულვაშიანმა, გამხდარმა გლეხმა და თოკგამომბმული შაშხანა მხარზე გადაიკიდა.

— სტუდენტი. — მიუგო დათამ.

— ეგა რომელ გუბერნიიდანა?

— გუბერნიიდან კი არა, უმიდლეს სასწავლებელიდან, უნივერსიტეტიდან. უნივერსიტეტში მოსწავლეს სტუდენტო ეწოდება, — აუხსნა დათამ გლეხს, რომელმაც არ იცოდა, თუ ვინ იყო „სტუდენტი“, მაგრამ გლეხმა ძალიან კარგად იცოდა ერთი რამ: საბჭოთა მთავ-

რობამ მიწა რომ მიანიჭა და იგი ახლა მას ბატონს აღარ დაუბრუნებდა. მეორე ჯარისკაცი ვაბრაზდა, დათას შეუტია:

— იმათ ძველი სამხრეებიანი ქურთუკი აცვიათ, დიღებზე ორთავიანი არწივი ახატიათ, ორთავიანი არწივი და მეფის გვირგვინი კი მონარქიული რუსეთის ღებია. უკვე ორი წელი ვავიდა, რაც ოქტომბრის რევოლუცია მოხდა, თუ ეს ვაებატონები მონარქისტები არ არიან, რად არ გადაადგენს ამდენნანს ის ქურთუკები! — იგი პირველ ჯარისკაცებზე უფრო განათლებული აღმოჩნდა.

— ვერ მოვასწარიტ ტანისამოსის გამოცვლა. — მიუგეს შიშისაგან გაფითრებულმა პატიმრებმა, — სხვა ტანისამოსი არა გვქონდა. სამშობლოში რომ ჩავალთ, გადავაგდებთ.

— მთელმა ქვეყანამ იცის, რომ სტუდენტები მონარქიულ წესწყობილებას ებრძოდნენ და ახლაც მას ებრძვიან სტუდენტები მუდამ რევოლუციის მხარეზე იდგნენ და ახლაც მის მხარეზე დგანან, — უთხრა ჯარისკაცებს დათა ნანობაშვილმა.

ერთმა ჯარისკაცმა ჯიბის დანა ამოიღო და დაატომრებულ სტუდენტს ოქროს დიღები შეაჭრა. ჯარისკაცებმა პატიმრებს ალყა შემოარტყეს, ბაქანიდან ხელის კვრით გარევეს და ლიანდაგს იქით, მინდორში დასახგრეტად წაიყვანეს. სტუდენტები გამოუდგნენ და არ დაანებეს. შეიქნა მიწვე-მოწვევა...

აი სწორედ ამ დროს სადგურზე გავეშინიანი მატარებელი შემოგრიალდა, ვაგონის სარკმლიდან ბუბრის ქუდიანი, შეეწვერულვაშებიანი, ლამაზი ქაბუკის თავი გამოჩნდა. იმ ქაბუკმა ბაქანზე ჯარისკაცებსა და სტუდენტებს შორის შეხლა-შემოხლა რომ დაინახა, ვაგონიდან ჩამოვიდა, იგი მაღალი და მეტად ლამაზი ქაბუკი იყო, ტყავის შავ ქურთუკსა და შარვალში გამოწყობილი. წელზე ხის ბუდეში ჩადებული მაუზერი ეკიდა. ჯარისკაცებსა და სტუდენტებს

შორის ატეხილი დავა, შეხლა-შემოხლა შეწყდა. რევან გარსევანიძემ ჩაუშინიანი მატარებლიდან ჩამოსული ქაბუკი მაშინვე იცნო და გაშტერდა. იგი თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილი მოწაფე შალვა კოლუაშვილი იყო. ისინი თბილისში მეგობრობდნენ ერთმანეთს, კოლუაშვილმა რევან გარსევანიძე გადაკიცხა და ჰკითხა:

— რა ხდება აქ?

— ქართველი სტუდენტები კივიდიან და ხარკოვიდან საქართველოში მივემგზავრებით. ჯარისკაცებმა მონარქისტებზე მოგვნათლეს, მატარებელი დააკავეს და ოთხი ამხანაგი, ავერ დასახვრეტად მიჰყავთ — მიუგო რევანმა.

კოლუაშვილი ჯარისკაცების უფროსს მიუბრუნდა და უბრძანა:

— აქ მომგვარეთ ის პატიმრები!

როდესაც პატიმრები სადგურზე მიიყვანეს, კოლუაშვილმა თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილი მოწაფე ვია ვოგატიშვილი იცნო, ხელი ჩამოართვა გადაკიცხა, გაუღიმა და მერმე ჯარისკაცებს უთხრა:

— არა ამხანაგებო, ესენი მონარქისტები არ არიან.

— თუ მონარქისტები არ არიან, ორთავიანი არწივით შემკულ ოქროს დიღებს რად ატარებენ? — ჰკითხა ერთმა ჯარისკაცმა კოლუაშვილს. კოლუაშვილმა ქუდი მოჰხადა, ქოჩორზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

— აი შენ მეფის ოფიცრის უეპოლეთო ქურთუკი გაცვია, კოკარდიანი ქუდი გბურავს, მაგრამ განა მონარქისტი ხარ?

ჯარისკაცები უმაღვე მხიარულ გუნებაზე დადგნენ და გადაიხარხარეს. კოლუაშვილმა განავრძო:

— ეხ, თქვენ ქულის კოლოფებო, მტერი და მოყვარე ერთმანეთისაგან ვერ გაგიჩვენიათ! არა, ამხანაგებო, ესენი სტუდენტები არიან, ესენი რევოლუციას უშერენ მხარს. მე ვიცნობ მათ. — ესა თქვა და სადგურის უღროსს მიუბრუნდა და უბრძანა: — გავეშინიანი მატარებლის ვასვლის მერმე

ეს სამეზავრო მატარებელიც გაუშვი! ასე გადაარჩინა ტიხორეცკაიაში კოლუაშვილმა დახერტას კიევიდან და ხარკოვიდან მომავალი ქართველი სტუდენტების ერთი ჯგუფი.

რუსეთის ჯარში პირველი მსოფლიო ომის დროს ნამსახურა ოფიცერი შალვა კოლუაშვილი ოქტომბრის რევოლუციის მერმე წითელ არმიასი შესულიყო. მას თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში თავი უსახელებია და მალე დივიზიის კომანდობაც მიეღო. შალვა კოლუაშვილი რუსეთში კომაროვის გვარით მოქმედებდა. კომაროვი ახლა დივიზიის შტაბის ოფიცრებთან ერთად ჩრდილო-კავკასიის კონტრრევოლუციური ჯარების წინააღმდეგ მოქმედი წითელი არმიის დასახმარებლად მიემგზავრებოდა. ამრიგად კიევიდან მომავალი სამეზავრო მატარებელი ბრძოლის უბანში აღმოჩნდა.

მეზავრებმა დიდი გაჭირვება, შიმშილი, შიში და ხიფათი გაიარეს, მაგრამ შალვა კოლუაშვილის — კომაროვის წყალობით სამშობლოში ცოცხალი ჩავიდნენ.

3

საქართველოში ჩამოსვლისთანავე რევანში მედიცინას თავი მიანება და, რადგან მწერლობით გატაცებული ქაბუჯი იყო, თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი აირჩია, რომელიც 1924 წელს წარმატებით დაამთავრა. ერთ-ორ წელს იგი შრომის სკოლაში მასწავლებლობდა, მერმე კი სამხედრო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის ლექტორად მიიწვიეს, მაგრამ სამხედრო სკოლაში რევანში მართო ლექტორის მოვალეობას როდი ასრულებდა, სად არ ნახავდით მას?! ლექციებზე, სკოლის ბიბლიოთეკაში, კლინიკაში კლუბში, თეატრსა და სპორტდარბაზში... ყველგან.

ერთხელ სამხედრო სკოლის თეატრში, რომელიც ყოფილი სასულიერო სემინარიის ეკლესიაში მოეწყობა,

რევანში საარტილერიო განყოფილებას კურსანტის შაქრო პაპუაშვილი მიერ მიაკოვსკის ცნობილი ლექსის „მარცხენა მარშის“ კითხვას დაესწრო. შაქრო პაპუაშვილს ლომის ბუბუნის მსგავსი ხმა ჰქონდა; მაგრამ მისი დეკლამაცია, ექსტ-მიმიკა და მიზანსცენები რევანს არ მოეწონა. სცენაზე ავიდა და პაპუაშვილს ასწავლა, თუ როგორ უნდა წაეკითხა „მარცხენა მარში“. მესამე დღეს კონცერტის მოსასმენად თეატრში შეკრებილ კურსანტებს, მეთაურებსა და ლექტორებსაც ძალიან მოეწონათ პაპუაშვილი, განსაკუთრებით კი სამხედრო სკოლის უფროსს — ფანატკოსსა და ნერვიულ კაცს. იგი აღტაცებაში მოიყვანა პაპუაშვილის მიერ წაკითხულმა სტრიქონმა, რომლის დროს დეკლამატორმა, თითქო წელზე დაკიდებული ბუდიდან მაუზერი ამოიღო და უხილავ მტრებს დაემუქა: „Тише ораторы! Ваше слово, товарищ маузер!“ („ჩუმად ორატორებო! სიტყვა თქვენ გეკუთვინთ, ამხანაგო მაუზერო!). სკოლის უფროსმა რევანს გარსეგანიძე მოიხმო, მადლობა გამოუცხადა და უთხრა:

— რა კარგად მოგიმზადებიათ პაპუაშვილი, ვერც კი ვიციანი: ვიღაც ცნობილი მსახიობი მეგონა. ვერ წარმომედგინა, ჩვენი როყო და რეგენი პაპუაშვილი მიაკოვსკის იმ ცნობილ ლექსს ასე ჩინებულად თუ წაკითხავდა! რა წამალი შეუშხაპუნეთ ისეთი, რამაც ყველაზე უწიგნური ჩვენი კურსანტი ჰეშმარიტ მსახიობად აქცია! — გაკვირვებას გამოსთქვამდა სკოლის უფროსი.

— „ჰეშმარიტი მსახიობისა“ რა მოვახსენოთ, მაგრამ პაპუაშვილს მსახიობისათვის საჭირო მონაცემები გააჩნია: ხმა აღნავობა, სახის ნიღაბი... — მიუგო რევანში: სკოლის უფროსი გაცემული მიშტერებოდა მას. ბოლოს თავისი გაოცება ვერ დამალა და ჰკითხა:

მამა კი „მეფე-დედოფალთან“ მივიდა, ქუდი მოიხადა, გაიჭიმა და დალოცა. ღვინოში დანამული გრძელი ქაღარა უღვაშები ნიჩბისოდენა ხელისგულით გაისუფთავა, რევას და ლუდას ხელი მოავლო, კისერი მოუგრინა და ჩაპკოცა. მერმე ეგ მალალი, გამხდარი მოხუცო ჯამბაზივით დაიგრია, დაიმაწკა, ქუჩისაკენ ხელი გაიშვირა და „მეფე-დედოფალს“ ბედნიერება უსურვა:

— ვარდ-ყვავილებით ყოფილიყოს მოფენილი თქვენი ცხოვრების საველი გზა! ვაშა!

მეზღვაურებმა ხელები ასწიეს და, ამათაც „მამას“ მიბადვით, „ვაშა“ დასძახეს. მეგარმონემ მარში დაუკრა და რევასმა და ლუდამ მწკრივში ჩამდგარ, აღტაცებულ მეზღვაურთა შორის გაიარეს. „მზეთუნახავი დედოფალი, ხობობი, კაკაბია, მეფე კი შეეარდენი, არწივია“; — იძახდნენ ქართველი, რუსი, ბერძენი და სომეხი მეზღვაურები.

ასე დასწერეს ჯვარი „გოროდოკში“ მეზღვაურებმა მათთვის უცნობ ქაბუქსა და გოგონას.

ამ დროს აჭარის მწვეანე მთებიდან მზემ თავი ამოპყო, ზღვა, ქალაქი და „მეფე-დედოფალი“ გააშუქა.

ეს იმტლებითი, საარაკო ქორწილი და ხეიმი ყველაზე უფრო ტკბილად მოსაგონარი იყო მერმე ლუდასა და რევასის მთელს ცხოვრებაში.

თეთრ საქორწილო კაბაში გამოწყობილი, თმაში ლურჯი ბაფთით მავალი, ცისფერთვალემა ქალიშვილი ახლა ბედნიერი იყო და იგი მართლაც არყის ტყიდან გამოსულ მზეთუნახავ პატარძალსა ჰგავდა.

* * *

რევანი და ლუდა სანაპირო ბაღში შევიდნენ, ჯერ კიდევ უკაცრიელი ხეივანი გაიარეს და ზღვისპირას, კოტეს სახლის მახლობლად, პალმის ქვეშ, გრძელ სკამზე დასხდნენ. ზღვა ამ დღით მშვიდი, ლურჯი იყო და ოდნავ ტორტმანებდა. ზღვიდან აღრიანი დილის ნიავი ჰქროდა და ოზონით სავსე 2. „მნათობი“, № 10.

ჰაერს მოდენდა. რევას ძილი მოეტიდა. ლუდას უთხრა:

— ძმა ნაქიეთარია, გვეანგაიღუფებეს მანამდე მოდი, აი ამ გრძელ სკამებზე დავწვეთ და ჩვენც დავიძინოთ. ლუდა დასთანხმდა.

უსახლკაროდ დარჩენილი „მეფე-დედოფალი“ გრძელ სკამზე მიწვნენ და მალე ჩაეძინათ კიდევ. აი ასეთ ყოფაში უნდა ენახა სულეიმან შანიძეს რევანი და ლუდა, რომ ღიმილით ერთხელ კიდევ ეწოდებინა რევასისათვის „აბდოლი“ და ეთქვა: დონ კიხოტს და მის დულცინეას ბათუმის ბაღში სძინავთო.

გულხელდაკრეფილ რევასს მზე მისდგომოდა. ცოტა ხნის მერმე შეიშმუშნა და ცალი ხელი მიწაზე დაუვარდა. მოეჩვენა, თითქო ხელისგულზე აბუნარი მწერები უღიტინებენ, არ ეშვებიან და ძილს უფრთხობენ. რევასმა ცალი თვალი ოდნავ გაახილა და მის წინ მდგარი, მზეზე გატრუსული; შავი, ბრიალათვალეზიანი ახალგაზრდა ბოშა ქალი დაინახა. გაოცდა. ბოშა ქალმა გაუცინა და თეთრი კბილების რკალი გამოაჩინა.

— რა გაციენებს, ჩემო ზემფირა? თავე გამანებე, ხელისგულზე ნუ მიღიტინებ, მეძინება, — უთხრა ნახევრადთვალდახუჭულმა რევასმა. ბოშა ქალი კი არ ეშვებოდა:

— მარჩიელი, მარჩიელი, სულ მართალი უთხარი.

მარჩიელი რევასის თანხმობას როდი დაელოდა: ქაბუქის ხელი შეიპყრო, თითები გადაუწია, ხელისგულზე გაწოლილ ხაზებს დააცქერდა და დაიწყა:

— შენი ქალი შავეთშია, გული მკვდარია... შენი დედა ავად არის, დიდი დარდი გაქვს, — ამ სიტყვების გაგონებისას რევანი სკამზე დაჯდა. იგი მზეზე გატრუსულ, ეშხიან, ახალგაზრდა ბოშა ქალს განცვიფრებით და მოკრძალებით მიამტერდა. ბოშა ქალსაც ეს უნდოდა: ეშმაკურად გაიღიმა და ბედის მხილველმა კაფანდარამ წინასწარმეტყველება განაგრძო. ამ დროს ლუდაც მოვიდა, რევასის გვერდით დაჯდა და ისიც მისი ხელისგულის ხაზებს დააცქერდა. ბედის

მაცნე კი ისევ გაზვიარებულ გაკვეთილსავე წინასწარმეტყველებდა:

— შენი შორი გზა გამოდის, ბედი არ არის. რუსეთში სიზმარი ნახე: გულში დანა დაგასო. ისევ აქ მოხვალ. შენთან ქალი მოდის, ცოლი არ არის. ფული ბევრი მოდის. შენი სახელი იქნება... და ასე, რევანსისათვის ბევრი გასაგები და გაუგებარი რამ ჩააბუღებულა მკითხვემა გაზვიარებული ჩიქორთულით. მაგრამ მისი სიტყვები: „შენი ქალი შავთხედა. გული მკვდარია. შენი ღედა ავად არის, დიდი დარდი გაქვს“, — კეუში დაუჯდა რევანსს და მკითხავს ბევრი ფული მისცა. მკითხავს მისი თანხლები ბოშა ქალები მისცივიდნენ, თანხა შეამოწმეს, რევანსს გაოცებით შემოჰხედეს და მერმე, მხიარულ გუნებაზე დამდგარი, თავშეკავებული სიცილით, კრანასავით წვრილი წელის მიმოტანითა და ტანის რხევით ყველანი ბალის ხეივანს გაჰყვინენ, რევანსსაებრ არიფი და მიაშიტი კლიენტი რომ ხელთ გვდოთ.

4

რევანსი მის ბინას უკანა კარიდან მიადგა და გაუბედავად დარქვა. შიგნიდან ჯაჭვზე ჩარაზული კარი ოდნავ გაიღო, ღრეშოში კოტეს შემოთეხული სახე და თვალები გამოჩნდა. კოტემ რევანსი იცნო, კარი გაუღო, არ მიესალმა, უმაღვე შებრუნდა და ზურგი შეაქცია. ქათათა თეთრ პიჯიშოში გამოწყობილი, მარჯვენა მხრისაკენ თავწახრილი, ტანმორჩილი კაცი კაბინეტისაკენ ნელი ნაბიჯით გაეშურა. რევანსმა თვალებზე და მარჯვენისაკენ თავწახრილ სიარულზე შეატყო კოტეს, გუშინდელი საქციელის გამო გასაკიცხავი სიტყვა რომ გამზადებული ჰქონდა. ძმები კაბინეტში შევიდნენ და საწერ მაგიდას პირისპირ მიუსხდნენ.

— რას ერჩოდი სულეიმან შანიძეს, გუშინ რომ ლაფი გადაასხი და ათრიე? — დაიწყო კოტემ უმცროსი ძმის გაკიცხვა. — სულეიმანი ვიგინდარა ნუ გგონია! იგი ინსტიტუტის დირექტორია,

მთავრობასთან დაახლოებული, კომისრის ძმა და მისი ტოლა კაცი, მას შეუძლია შენს გამო ჩემზე უფროსად წავიდა, სამსახურიდან მომხსნას და ბათუმიდან გამაძევოს. შენ, ჩემო ძმაო, მწერალი ხარ, თავი ქულში გაქვს და ფეხებზე გკიდია ყველაფერი, სამსახურიცა და ფოსტის ფულები. ჩემთვის კი ბათუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის მიტოვება და სიკვდილი ორივე ერთია.

— დარდი ნუ გაქვს. ხელსაც ვერ გახლებს, — დაამშვიდა რევანსმა მორიდებული, უკან დახევას ჩვეული, ფაფუკი და მშიშარა, უხერხემლო ინტელიგენტი ძმა, — სულეიმანი რევენიცა და არა გაუგება რა განათლებისა და კულტურისა.

— ეგ რა ჩემი საქმეა! ამას ჩვენ არ გვეკითხებიან, — იყვარა კოტემ.

— დაიცა, ნუ ცხარობ, მომისმინე, — უთხრა რევანსმა და განუმარტა, თუ რისთვის ვერ მოხსნიდა მას სულეიმანის ძმა. — სულეიმანის ძმას შალვა ქავთარაძითა და შენით უღვას სული. თქვენა ხართ განათლებისა და კულტურის დარგში მისი კონსულტანტები. უთქვენოდ ის ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს. ეს მთავარად იცის და ამიტომ გებლაუქებათ. ჩემს მიერ ნასროლ ლაფსა და ფურთხს კი იგი ადვილად ჩამოირეცხავს. შენ კაბინეტის კაცი, მიაშიტი ინტელიგენტი ხარ და წარმოდგენაც არა გაქვს სულეიმანი და მისი მსგავსნი რანი არიან! მათი ჭურის ხალხმა ძალა თუ ხელთ იგდო, გაგთლავს, ტყავს გაგაძრობს, ხოლო თუ სჭირდები, ან კიდე უკეთესი — უფროსად, ან კიდე დიდი თანამდებობის მქონე პირის მახლობელ კაცად გცნო, ფეხქვეშ გაგეგება, დატყება, საქონლის ფუნას კაქკაქვიით აკენკავს, ფრთებს კობტად მალდა აიშვერს — არ დამესვაროსო, სხვებს კი შეახარებებს: იფ-იფ, რა კარგიაო!

რევანსის პასუხი პროფესორის ზურაბისა და დივიზიის უფროსის გრიგოლის ძმას კოტეს კეუში დაუჯდა, დამშვიდდა, თუმცა „უხერხემლო ინტელიგენტი“, ავლბარული კილო — „ფუნას კაქკაქვიით აკენკავს“ და „იფ-იფ“ არ მოე-

წონა, მაგრამ საყვედური არ უთქვამს, სულეიმანს თავი გაანება და ახლა ლუდაზე ჰკითხა:

— სად იყავი გუშინ? სად წაიყვანე ის გოგო?

— შინ მივაცილე, — მიუგო რევაზმა.

— ერიდე ქუჩის გოგოებს, თორემ დაგლუპავენ, — გააფრთხილა კოტემ.

— ლუდა ქუჩის გოგო არ გახლავს. იგი ჯერ კიდევ ქალწულია, უმანკო. რად უნდა აფურიო ცხოვრების გზა-კვალი! — დაიწყო რევაზმა, მაგრამ ლუდას ქება ძმამ არ აცალა:

— შენ ნამდვილად შეშშლილი და გამაგიჟებელი ელას და რიტას მეგობარი ვანა უმანკო იქნება?

— საქმე ის არის, რომ ლუდა გუშინწინ ჩამოვიდა კრასნოდარიდან თავის ნათესაებთან, რიტასთან, ბათუმში და მან ჯერ მისი გახრწნა ვერ მოასწრო, — მიუგო რევაზმა.

— მწერლები და პოეტები მართლაც უცნაური, მეოცნებე და ფანტაზიორო ხალხი ხართ.

— კიდევ კარგი, სულეიმანისა და მისი მეგობრების მსგავსად, „დონ კიხოტი“ არა თქვი! მაგრამ გახსოვდეს: ქითილშობილი, ქარაოცი რაინდი დონ კიხოტი მირჩვენია ყველაფერში შეეჭვებულ, ურწმუნო ჰამლეტს.

— დაიცა, — შეაჩერა კოტემ. დია სარკმელთან მიიჭრა. მან მაღალკილიანი და ფერადჭუბიანი ოფოფივით ბაღში მოსვინნე, ლამაზი, ტანკენარი გოგო დაინახა და მისმა მშვენიერებამ თვალი მოსჭრა. მერმე ერთბაშად შემობრუნდა. თვალში ეშმაკუნები აუთამაშდნენ, უცნაურად გაიცინა, ხელები გაშალა, ოდნავ შეხტა კიდევ, თითქო ცეცვის ამირებსო, მაგრამ მალე დაეცხრა, თავი დაიჭირა, ჩაფიქრდა და რევაზს უთხრა:

— რად მომაყენე ამ დილით კარზე ის გოგო! მეზობლები დაინახავენ და, ვინ იცის, რას იტყვიან! უხერხულია.

— მომისმინე და მაშინ გაიგებ, თუ უხერხულია, — მიუგო რევაზმა და ყველაფერი უამბო: ლუდას წარსული, ბა-

თუმი, გოროდოკი, მეზღვეურები, უნებლიე, იძულებითი ქორწილი.

— გულში ხომ არ ჩაგივარდა რაღაც ის გოგო? — ჰკითხა კოტემ და მერმე ნახევრად ოხუნჯობით დასძინა: — შენი ახირებული ხასიათი ვიცი და მეშინია, ცოლად არ შეირთო!

— მარინეს მერმე აბა მაგას როგორ მეუბნები? მარინეს მერმე მე ქალს აღარ შევიერთავ, ეგ არის ჩემი უბედურება, — მიუგო რევაზმა, კოტე გაოცდა:

— რაო? რა უბედურება!

— ვიცი, მერმისში სადარდებლად დამრჩება, ის გოგო ცოლად რომ არ შევირთე, — ჩუმად მიუგო რევაზმა, თითქო თავისთავს ესაუბრებო.

— მითხარი, შენ ნორმალური კაცი ხარ, თუ მართლა შეშლილი? — ისევ გაოცებით ჰკითხა კოტემ.

— საქმეც ის არის, — მშვიდად მიუგო რევაზმა, — რომ მას, რაც შენ უცნაურ, არანორმალურ მოვლენად გეჩვენება, მე ნორმალური ადამიანის ღირსებად ვთვლი. რაც შეეხება ლუდას, მარინეს მერმე მასეთი უმანკო გოგო მე არ შემეხვედრია.

— რაღა-თქმა უნდა, თქვენისთანა გენიოსი მწერლებისა და პოეტების ფიქრსა და გრძნობას ჩვენისთანა პროვინციელები და ფილისტერები ვერ გაიგებენ, — დასცინა უმცროს ძმას კოტემ.

— დაცინვას კაცი არ მოუკლავს! ამას თავი დაეანებოთ, — მიუგო რევაზმა და შეევედრა: — მიშველე, კოტე! სადმე მომაწყობინე ის სათნო გოგო, ცოდვად დაილუპება ერთი ლამაზი, უმანკო და მჩქეფარე არსება.

— აბა სად უნდა მოვაწყობინო ოთხი კლასის განათლების მქონე გოგო, რომ არ ვიცი, — ჩაფიქრდა კოტე.

— ის ამჟამად არავითარ სამუშაოს არ ითაკილებს, ოღონდაც რიტასა და ელას ხელში არ ჩავარდეს და ალალი პურიკამოს. არკადი ზერმანს, ან რომელიმე შენს მეგობარს სთხოვე, — აცივდებოდა რევაზი.

— დაიცა, — ისე შესძახა კოტემ, თითქო თავში ბედნიერი აზრი დაგებადათ:

— ნიკო გიორგაძის მოადგილესთან, გიზო გრიგოლისთან მივიყვანით. მისი მეუღლე ქეთო ტირის, მოსამსახურე ქალი ვერსად ვერ ვიშოვევო.

რევაზს გაეხარდა, ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე გიზო გრიგოლია და მისი მეუღლე — მასწავლებელი ქეთო წესიერი და ღვთისნიერი ადამიანები იყვნენ. მათი ორი გოგო უკვე სკოლაში დაიარებოდა.

გრიგოლიებს ძალიან მოეწონათ ლუდა, ხოლო ნავარცხნზე საეკლუტოდ გაკეთებული დიდი, ლურჯი ბაფთა ქეთოს არ მოეწონა და მალე მოახსნევინა კიდევ. ქეთო კარგი ოჯახის შვილი, ზნეობით სავსე ქალი იყო. მან სამზარეულოსთან პატარა ოთახი მიუჩინა ლუდას და რევაზს უთხრა:

— ბაზარში მე თავად დავიარები, სადილსაც მე ვაკეთებ და რა ისეთი დიდი ჭაფა უნდა დაადგეს ამ გოგოს ჩვენს ოჯახში! პირობას გაძღვეთ, თუ ერთგულებას გამოიჩენს, არ იტუღლუტებს და ცუდ გზას არ დაადგება, ჩვენ მას ვუპატრონებთ, მუშადაკში შევიყვანთ, მეორე ცვლაში ივლის.

ლუდამ თავისი ბარგი — ერთი ჩემოდანი და ფუთა მამინვე გრიგოლიების შინაზე გადაიტანა. იგი კმაყოფილი იყო თავისი მასპინძლებითა და ბედით.

* * *

კოტე და რევაზი ისევ კაბინეტში ისხდნენ და საუბრობდნენ. კოტემ ძმას უთხრა:

— ჯერ ვერ მოვასწარი შენთვის მეთქვა, რომ მე და არკადი ზერმანი ხვალ ისლამოს ლენინგრადს მივემგზავრებით. ბიოლოგთა ყრილობაზე, თანაც ერთი თვის შემოქმედებითი მივლინება ავადღეთ, ლენინგრადსა და მოსკოვს დავათვალიერებთ.

— დედა ერთი თვით როგორ უნდა დატოვო? — მოულოდნელად ჰკითხა რევაზმა, კოტე დაიბნა. ინტიმარგატეხილმა წითელი ხისაგან გაკეთებული საწერი მაგიდიდან ქაღალდის საჭრელი მბილოს ძვლის სახაზავი აიღო, ხელში

ტრიალი დაუწყო და ცოტა ხნის მერე რევაზს მიუგო:

— მე ბევრი ვიფიქრე რუსეთში გამაგზავრებაზე. უბედური დედაჩვენი, ექიმების თქმით, სამ-ოთხ თვეს მაინც იცოცხლებს. მომვლენები ამჟამად არ აქლია. ერთ თვეში კი მეც ჩამოვალ და მივხედავ, — კოტემ თავი ასწია, ძმას შეხედა და თითქო თავს იმართლებსო, ისე დასძინა: — რაც შეეხება მივლინებას, ის მე არ გამომიგონებია, რუსეთიდან მივიღე მოწვევა ბიოლოგთა ყრილობაზე დასასწრებლად.

— ყრილობა ერთ თვეს ზომ არ გასტანს? — ისევ მოუტიდებლად და მოულოდნელად ჰკითხა რევაზმა.

— ყრილობა ერთ თვეს, რა თქმა უნდა, არ გასტანს, — მიუგო ნირწამხდარმა კოტემ, — მაგრამ ვიფიქრე, ყრილობის შემდეგ რუსეთში საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში ბიოლოგიის სწავლების დაყენების საქმეს, სახელმძღვანელოებს, ლაბორატორიებს, კაბინეტებს, ზოოტექნიკუმის და ინსტიტუტის სასწავლო-საცდელ მეურნეობას, ლენინგრადისა და მოსკოვის ბოტანიკურ და ზოოლოგიურ ბაღებს, მუზეუმებს გავეცნობი-მეთქი. ჩვენ ბათუმის ჰაობში ვართ ჩაფლული და, ალბათ, ვერც კი ვგრძნობთ, როგორ ჩამოვრჩით მსოფლიო მეცნიერების თანამედროვე განვითარებას. — კოტე ადგა და კაბინეტში სიარული დაიწყო. მერმე ღია სარკმელთან გაჩერდა და ბაღში აღმართულ კვიპაროსებს გაჰხედა, რომელთაც ზღვიდან მონაბერი ქარი აწვავლებდა. „რა უბედურებაა, დედის ავადმყოფობის გამო საქართველოდან ფეხი რომ ვერ უნდა მოვიცვალოო“, — მწარედ ფიქრობდა კოტე. რევაზს შეეცოდა: „ალბათ დედის ავადმყოფობა სტანჯავსო“, — ივარაუდა მან და უთხრა:

— არ ვიცი, კოტე, როგორც სჯობდეს, ისე მოიქეც. მე ვფიქრობ, ერთი თვით რუსეთში რომ წახვიდე, არაფერი დაშავდება.

კოტეს გულზე მოეშვა, თითქო მოსამართლემ სასჯელი მოხსნაო. კარგუნე-

ბაზე დადგა, სარკმელს მოშორდა, რე-
ვაზს გაუღიმა, თაფლისფერი, ლამაზი
თვალეები შეანათა და შესთავაზა:

— მოდი, შენც ჩვენთან წამოდი! ლე-
ნინგრადასა და მოსკოვში ერთი თვე
ცხოვრება შენთვის, როგორც მწერლი-
სათვის, მეტად სასარგებლო იქნება. რუ-
სეთში შენ 1919 წლიდან აღარ ყოფილ-
ხარ. არ გაინტერესებს ახალი რუსეთის
ნახვა?

— ეგ ჩემი ოცნებაა! — წამოიძახა რე-
ვაზმა. — სულ სხვაგვარი წარმოდგენა
ებადება ადამიანს იმ ქვეყანაზე, რომ-
ელსაც საკუთარი თვალით ნახავს, რა
თქმა უნდა, მე განათლებულ, კულტუ-
რულ ადამიანს ვგულისხმობ და არა
თავკარიანს, რომელსაც უცხო ქვეყნე-
ბის ქენებით შემოვლა სჩვევია. რაც შე-
ეხება თქვენთან ერთად რუსეთში ჩემს
წამოსვლას, ეს მართლაც მაცდუნებე-
ლია... მაგრამ მე მაინც ვერ წამოვალ.

— რატომ? — ჰკითხა კოტემ.

— ჯამაგირის ნახევარი დედას დაფუ-
ტოვე, ნახევარი კი შარელის ჯიბიდან
ჯიბგირმა ამომაცალა და ახლა ხელმოკ-
ლედ ვარ, — მიუგო რევაზმა.

— ფული მე მაქვს. საქმე ის არის,
რომ საერთაშორისო ვაგონის ბილეთები
მე და არკადიმ უკვე შევიძინეთ. არ
ვიცი, ვიშოვით თუ არა შენთვის ბი-
ლეთს საერთაშორისო ვაგონში?... დი-
იცა, ჩემს მდივანს დაფურეკავ, — აფუს-
ფუსდა კოტე.

— მო, მაგრამ ამ საზაფხულო ხალა-
თისა და შარელის ამბარა რუსეთში ერ-
თი თვით როგორ წამოვიდვი? — ჰკითხა
რევაზმა.

— მოსკოვის მატარებელი თბილისში
ერთ საათს ჩერდება. ნუთუ ერთ საათში
შინ მისვლას და ჩემოდნის წამოღებას
ვერ მოასწრებ?

— ნამდვილად იცი, მატარებელი თბი-
ლისში ერთ საათს რომ ჩერდება?

— ნამდვილად.

— ერთ საათში სადგურზე ჩემი ერთი
ჩემოდნის კი არა, ზურაბის ბინის მთე-
ლი ავეჯის მოტანას მოვასწრებ.

— ჰოდა, აგაშენა ღმერთმა!

კოტემ ტელეფონით მდივანს რეკინგ-
ზის სადგურზე საერთაშორისო ვაგონის
მესამე ბილეთის შეძენა დაავალა.

ძმები დამშვიდნენ და კარგ გუნება-
ზე დადგნენ. კოტე წითელ ხისაგან სა-
განგებოდ გაკეთებულ ერთერთ კარდა-
სთან გაჩერდა. შიგ მნახველისათვის ოქ-
როსვარაყიანი ყუთი მისკენ ჩალაგებუ-
ლი წიგნების დათვალიერება დაიწყო.
ერთი წიგნი აირჩია, რევაზს უჩვენა და
ნეტარებაში მყოფი კაცივით უთხრა:

— აი, დიმიტრი უტკევიჩის წიგნი,
რომელიც მე და შენ ვთარგმნეთ... უტ-
კევიჩი, უტკევიჩი, მართლაც კეშმარიტი
მეცნიერია! ამას წინათ მისგანაც მივი-
ლე ბარათი: მოსკოვში მემატიყება.

კაბინეტის კედლების გასწვრივ ჩა-
რახმული ძვირფასი კარადები მდიდრუ-
ლად გამოცემული წიგნებით იყო გაქუ-
დილი. წიგნები ბიოლოგიის სხვადასხვა
დარგის მიხედვით დაელაგებინა კოტეს.
რევაზი არა მარტო მწერლობით, არა-
მედ ბიოლოგიითაც გატაცებული ქაბუ-
კი იყო და ძმის მიერ დიდი სიყვარულით
შეძენილ უცხოურ და ცნობილ რუს მე-
ცნიერთა წიგნებს ხშირად ეტანებოდა.
ამიტომ დაეხმარა კოტეს დიმიტრი უტ-
კევიჩის წიგნის თარგმანში. თუმცა,
ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვა-
წის — ქუთაისის ქართული გიმნაზიის
ყოფილი პედაგოგის ელიზბარ გარსევა-
ნიძის შვილმა თვითონვე ნარნარი ქარ-
თული იცოდა. კოტემ მაგიდის უჯრიდან
საქალაქდღეში ჩალაგებული ხელნაწერე-
ბი — ზოოლოგიისა და ბოტანიკის და-
სურათებული თავისი ქართული სახელ-
მძღვანელოები უჩვენა და უთხრა:

— ამრიგად, ჩვენ არა მარტო ვკეი-
ფობთ და დროს ვატარებთ შენს მიერ
ათვალისწინებულ სულემან შანიძესა.
და მის შეგობრებთან ერთად ბათუმში,
არამედ ვმუშაობთ, ღამეებს ვასწორებთ
და ჩვენი ხალხისათვის სასარგებლო სა-
ქმესაც ვაკეთებთ. დიან, — დასძინა კო-
ტემ და მის სახეს საქმიანი კაცის იერო
მოეფინა. მერმე ძმას შეეხვეწა:

— ვიცი, დრო არა გაქვს, რეზო, მაგრამ ამ ჩემს სახელმძღვანელოებს, ენის მხრივ, უნდა გადახედო, ერთი შენებურად გააშალაშინო და გარანდო. რუსული გიმნაზიისა და უნივერსიტეტის დამთავრების, რუსეთში დიდხანს ცხოვრების გამო ქართული შიგდაშიგ მღალატობს. თუმცა, შენც ხომ რუსულ გიმნაზიასა და რუსულ უნივერსიტეტში სწავლობდი, მაგრამ მერმე ქართულ უნივერსიტეტს მიაშურე და ისეთ გამოჩენილ მეცნიერებს უსმენდი, როგორც ქართველი ხალხის სულიერი მამა ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე არიან. ამიტომ ქართული ჩემზე უკეთ იცი. ასეც უნდა იყოს: მწერალი ვალდებულია მშობლიური ენა ზედმიწევნით იცოდეს, იგი ვალდებულია თავისი ხალხის ცოცხალი ენის სტიქიონში იყოს შესული და შიგ თავს ისე ვალაღად გრძნობდეს, როგორც თევზი ზღვაში.

— ეს ჰეშმარიტებაა, მაგრამ სად ნახავ ახლა ასეთებს! რუსთაველი, საბა, მაჩაბელი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა აღარ იბადებიან. მე ძალიან მენანება, მედიცინის ფაკულტეტი ფილოლოგიურზე რომ ვავცვალე და მწერლობა დავიწყე. მეშინია, ამოდ არ დავშვრე, — მოულოდნელად უთხრა რევაზმა.

— სადარდებელი არა გჭირს რა, — შენიშნა კოტემ. — შენ ჩინებულ მწერალს გეძიებან.

— ახლა ჩვენში ვისღა არ ეძიებან ჩინებულ მწერალს! მრუდსა და მართალს ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევ. ხშირად განსაკუთრებული რაიმე მოსაზრებით უმეცარსა და უნიკო მწერალს ადიდებენ, ჰეშმარიტი ტალანტის მქონე, განათლებულ მწერალს კი ამცირებენ, პრესაში გამოქვეყნებულ მწერალთა სიის ბოლოშიც კი არ მოიხსენებენ, დუმბილის ვერაგულ პოლიტიკას მიმართავენ. ან კიდევ უარესი ვიგინდარები ათრევენ. ჩვენთვის ასეთი პოლიტიკა ნაცნობია. საქმე იქამდე მივიდა, რომ უმეცრები სასკოლო ქრესტომათიებშიც კი აღმოჩნდნენ. უძალო ქვეყანაში კატებს აყენებენ! —

რევაზი ჩაფიქრდა და მერმე ძმას აღსარება გაანდო:

მეცნიერული

— როდესაც კიევის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ამავე დროს ფილოლოგიის დარგში ისეთ ცნობილ პროფესორებს, მეცნიერებს ვუსმენდი, როგორც დაშკევიჩი, გილიაროვი, პერეტცი, დე-ლა-პარტი, ჩელპანოვი და სხვები იყვნენ. მაშინ წავიკითხე ფსიქოლოგის ჩელპანოვის წიგნი: „ტვინი და სული“. თუმცა დღეს, — შენიშნა რევაზმა, — რაციონალიზმისა, ზუსტ მეცნიერებათა უდიდეს მიღწევების ხანაში ჩელპანოვი და მრავალი სხვა მეცნიერიც უკვე მოძველდა.

— უნივერსალური კაცი ყოფილხარ, — ნახევრად დაცინვით შეაპარა კოტემ, — მედიცინა, ფილოლოგია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, მწერლობა... მე კი მარტო ბიოლოგიით ვკმაყოფილდები...

— განა ბიოლოგია მრავალ დარგს არ შეიცავს? — ჰკითხა რევაზმა.

— მართალია, მაგრამ შენ მწერალი ხარ და ამიტომ მეცნიერების მრავალ დარგს უნდა იცნობდე, — მიუგო კოტემ და უთხრა: — შენ ზურაბის კვალს გაპყლობხარ. ის მეცნიერები, რომლებიც შენ ჩამოთვალე, ზურაბის საყვარელი პროფესორები იყვნენ. ზურაბმა ფილოლოგიური ფაკულტეტი რუსული სიტყვიერების განხრით დაამთავრა და პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო. მისი სადიპლომო შრომა ისეთი ღირსშესანიშნავი აღმოჩნდა, რომ აკადემიკოსმა დაშკევიჩმა ზურაბი, მეცნიერული ხარისხის მოსაპოვებლად თავის კათედრასთან დატოვა. მაგრამ ზურაბს არ დასცალდა. მამის გარდაცვალების მერმე ჩვენი მრავალწევროვანი ოჯახი უსახსროდ და უმეთაუროდ დარჩა. უდროოდ გარდაცვლილი სტუდენტი სერგო და მეხუთე კლასის მოწაფე მიტო, თამარი, მაიკო, სასიქადულო ჩვენი ძმა გრიგოლ და შენ მაშინ, ზოგი მოწაფეები, ზოგი კი პატარები იყავით და ზრუნვასა და გზაზე დაყენებას საჭიროებდით. მრავალი ჰირისა და ვარამის მომსწრე, დაქვრივებული, უბედური ჩვენი დედა კი

მაშინ მატერიალურ სიციწროვეს განიცდიდა. იგი ყველაფერს ვერ გასწვდებოდა, ამიტომ ზურაბსა და მე უნდა გვეზრუნა თქვენზე. ზურაბი ასეც მოიქცა. საქართველოში ჩამოვიდა და პედაგოგობა დაიწყო.

5

დედის ხსენებაზე რევაზმა უმაღლეს მოიწყინა. მაგიდაზე იდაყვით დაყრდნობილ ხელისგულს შუბლით დაებჯინა, თვალი დახუჭა და სიბნელეში ისევ ბალზამირებული გვამის მაგვარი დედის სახე დაინახა. ეს სახე გზადაგზა თვალთაგან არ შორდებოდა, მის ფსიქიკაზე მოქმედებდა და სულს უშფოთებდა. ბოლოს თავი ასწია, ძმას ნაღვლიანი თვალები შეანათა და დაიწყო:

— დედის საშინელმა სენმა, დედის გარდუვალი გარდაცვალების მოლოდინმა ერთთავად ამოფორიაქა, ბუდიდან ამომავლო. ბათუმიდან ბახტაძის ბაღში ქალების ჩამოყვანა, სულიეიმანის გაკენწევა, ლუდა, მებღვაურები, ფიქტიური ქორწილი, ყოველივე ეს ჩემი სულიერი აფორიაქების ბრალია და შენ არ უნდა გამკიცხო. სამარის პირას მისული დედის ბედმა ადამიანის გაჩენისა და მისი ცხოვრების გამო ისევ ტრაგიკულად ჩამაფიქრა... — უთხრა რეზომ და, პირველად თავის სიცოცხლეში, უფროს ძმას თავისი სულიერი ცხოვრების ისტორია უამბო, აღსარება გაანდო:

— სიკვდილის საშინელება და მის გამო შეძრწუნება პირველად 1915 წელს, მოწაფეობის დროს განვიცადე, — დაიწყო რევაზმა. — აგვისტოს ბოლოს, არდადეგების მერმე კორომეთიდან თბილისში ვბრუნდებოდი. მატარებელი ქართლის ველზე მიჰქროდა. საშინლად ცხელოდა. ვაგონში ადგილს ვერ ვპოულობდი... მატარებელი ძეგვის სადგურზე გაჩერდა და სარკმლიდან ბაქანს რომ ვაჯხედე, უმაღლეს თავზარი დამეცა. ვაგონების სახურავებზე მჯდარი ძეგვის რკინიგზის ხიდის ძელებით დახოცილი, ჯარში ახლად გაწვეული, ბრგე და ეშხი-

ანი, ქალამნიანი ქართლელი გლეხი ბიჭები ბაქანზე გვერდიგვერდ დაესვენებოდათ. ვაგონიდან ჩავედი და იქ დახოცილ ბიჭებს დავეხდე. ბალზამირებულ გვამისმაგვარ ცხედრებს შეშუპებულ სახეზე, ცხვირის ნესტოებზე, ზაგვებსა და ნახვერად ღიად დარჩენილ თვალების გუგებზე მწერები დაჰხვეოდნენ. გულდათუთქულმა სოფელმა დედაკაცებმა იფნებდა და ვერხვებს შტოები შეატყეს, მწერები გარეკეს და მერმე ის შტოები ბიჭების გვამებს დააყარეს, კაცის თვალს რომ არ დაენახა და ცოდვა-მადლის განკითხვის მნახველს გული მათებრ არ დამდღვროდა. მაგრამ მე დავინახე სამშობლოწართმეული ის ქართლელი საწყალი გლეხის შვილები, მეფის რუსეთის ყოფილი იმპერიის დასაცავად მეფის ჯარში გარეკილი, ახალბედა, ბრგე, ტაბაკვერა, ეშხიანი ქართლელი ბიჭების გვამები და ისინი თვალთაგან აღარ მშორდებოდნენ და მათ უაზრო სიკვდილს ველარ ვურიგდებოდი. აქედან დაიწყო ჩემი სულიერი დრამა. მერმე იმაზე უფრო უარესი რამ ვნახე და განვიცადე — ომი, საყვარელი, ღვიძლი ადამიანებისა და მეგობრების დაღუპვა, მიჯნურობის გაცუდება და ახლა დედის კიბო... ბევრი ჭირი და ვარამი გამოვიარე, მან გამომაწართო და ქვეყანა სულ სხვა თვალით დამანახა, დამანახა და შემზარა. თანაც ანტიკური მითის ის ადგილი გამაზურებინა, სადაც ტყის ღმერთი სილენი მეფე მიდასს უქანასკნელ სიბრძნეს უცხადებს:

ვინაც ისურვებს წუთისოფელი
სალი, ფხზელი თვლით იხილოს,
სჯობდა სრულიად არ შობილიყო!
ან მოჰყვარაყო შობისთანავე!

დიდხანს ვიყავი ამ უღმობელი სიბრძნის გამო სასომიხილი. ვაზაფხულზე, როცა ბუნება იღვიძებდა, დედამიწა ღამაზად იკაზმებოდა, შემოდგომაზე კი დოვლათითა და ჭირახტულით გვიმასპინძლებოდა, იმ მშვენიერების დაკარგვისა მეშინოდა, ცხოვრებას ჩემთვის აზრი ეკარგებოდა და სინამდვილისგან ვითი-

შეზღო. მაშინ ნებაწართმეული ჭაბუკი, ნორენაში გადასულივით, მთელი დღე უმოძრაოდ ვიწეკი და სიკვდილის შიში მაწვალებდა. დაჭრილ გულს ვერ ამრთელებდა ქართული სიტყვის ჯადოქარის — რუსთაველის დანაბარები, რომელსაც, გაჭირვების ეამს, ყველა ქართველი მიმართავს:

არას ვარგებს სიმძიმით, უხარგებლო
ცრემლთა დენა,
არ ვარდავა გარდუვალი მომავალი
საქმე ზენა.
წესი არის მამაცისა მოჭირვება,
ჭიბთა თმენა,
არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა
გარდაღენა.

ვიცოდი, სიკვდილი რომ გარდუვალი იყო, სიკვდილის შიშის დაძლევა კი — მამაცობა, გმირობა, მაგრამ რა ფასი აქვს ამას ეამთა მსვლელობის და მარადისობის წინაშე, თუ კი საბოლოოდ სიკვდილი, არარაობა და სამარადისო მივიწყება ძალაში რჩება? შევბადებოდა მაშინ ეს კითხვა.

— სიკვდილი გარდუვალია, მაგრამ რაც შეიძლება გვიან უნდა ეწვიოს იგი ადამიანს, — შენიშნა კოტემ და რევაზი მიხვდა, მის მიერ დასმულ ძირეულ კითხვას მმა რომ გაუბოძდა: — საჭიროა ადამიანის ჯანსაღობაზე და მისი სიცოცხლის გახანგრძლივებაზე ვიზრუნოთ. საჭიროა ადამიანი ასე წლის მერმე ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალოს ისე, ვით ბებერი მუხა ტყეში. მაშინ მას დაუძლეურებულსა და გონებადაშრეტილს სიკვდილის საშინელებებს შეგრძნებისა და შეცნობის უნარი აღარ ექნება.

— რისთვის არის ყოველივე ეს საჭირო, — ჰკითხა რევაზმა, — თუკი სიკვდილი გარდუვალია და სიკვდილის მერმე ყველაფერი ქრება და ეამთამსვლელობის განმავლობაში მივიწყებას მიეცემა? გახსოვს, რას ამბობს ლ. ტოლსტოი თავის „აღსარებაში“: «На что мне жизнь, коли есть смерть?» («რად მინდა სიცოცხლე, თუ სიკვდილი არსებობს?»).

— სიკვდილის მერმე ადამიანი, ისე როგორც ყოველი არსი, ვინაშე ჰქვია არამედ ფორმის იცვლის, — შენიშნა კოტემ.

— ამის ცოდნა ადამიანის სულს განა სიმშვიდეს მინიჭებს? — ჰკითხა რევაზმა. კოტემ დასმულ საკითხზე პირდაპირი პასუხის გაცემას ისევ გვერდი აუქცია:

— ბუნებაში კანონზომიერება სუფევს. მას უთუოდ რაღაც ძალა განაგებს, ხოლო მის მთრალურ მხარეზე, მიზანშეწონილებაზე ვერაფერს მოგახსენებ. ვიმეორებ, არსებობს რაღაც უმაღლესი ძალა.

— ღმერთი? — ჰკითხა რევაზმა.

— ღმერთი, დემიურგი, ლოგოსი, აბსოლუტური იდეა, აბსოლუტური სული, რაც ვინდა ის შეარქვი, — მიუგო კოტემ და ახლა ძმას თავის მხრივ ჰკითხა: მაშ, რა ძალამ შექმნა სამყარო, პლანეტები, ზეცოური მექანიკა, ეს დედამიწა? რამ გააჩინა დედამიწაზე სიცოცხლე, მცენარე, ცხოველი, ადამიანი? რა ძალა აძლევს ვარდსა და ყვავილს მშვენიერ ფერსა და სურნელებას? რა ძალაა ისეთი, რომლის წყალობით მცენარე, ცხოველი, ადამიანი თავის მშობლებს, წინაპრებს ემსგავსება და მათ თვისებებს იმეორებს?

— მიკვირს ბუნებისმეტყველი, ყოველივე ამას მე რომ მეკითხები? — გაოცება გამოთქვა რევაზმა, — რაც შენ ჩამოთვალე, მას ხომ ასტრონომია, ზოოლოგია იკვლევს! ახალი უჯრედის გაჩენას, როგორც შენ ჩემზე უკეთ მოგვხსენება, მის ზრდასა და განვითარებას მუტაციისა და გენეტიკის კანონები ირკვევენ და გვიხსნიან!

— უფრო მეტიც, — მიეშველა კოტემ, — მეცნიერთა ჩარევით, შესაძლებელია მცენარის, ცხოველისა და ადამიანის სახის შეცვლაც კი.

— დაე, ეს ასე იყოს, — დაეთანხმა რევაზი, — მაგრამ მე არა ბიოლოგიური, არამედ ფსიქოლოგიური პრობლემა, ადამიანის სულიერი ცხოვრება, სიკვდილის შიშის დაძლევა, ადამიანის არსე-

ბობის გამართლება მინტერესებდა იმ-
ჟამად. ღმერთი, შენი დებიურგი. აბსო-
ლუტური სული, ბუნება ინდიფერენტუ-
ლია — გულგრილია ადამიანის გონების,
გრძნობის, მისი ნიჭისა, აზრისა და საქ-
მის, ადამიანის თავისებური სმენისა და
ხედვის, სულიერი ცხოვრებისა და მისი
მიზნების მიმართ. და კიდევ: ინდივიდის
თავისებური სულიერი ცხოვრება სხვა-
ში იმ სახით არ მეორდება, როგორც
კერძოთ გონებისაგან დაცლილი, გა-
ცხრილული მცენარის, ცხოველის სამყა-
როში. ღმერთისა და აბსოლუტური სუ-
ლისათვის, ისე როგორც ადამიანის სიხ-
რულისა და ტანჯვის მიმართ გულგრი-
ლი ბუნებისათვის, ადამიანი და მატლი
ორნივე ერთია.

— ზოგი თავის შვილებში, შვილიშვი-
ლებში ხედავს თავის უკვდავებას, ბიო-
ლოგიურ უკვდავებას, რაც ჩემთვის გა-
მორიცხებულია, ზოგი კი საზოგადოების,
კაცობრიობის წინაშე სამსახურში, —
მიუგო კოტემ.

— ბიოლოგიური უკვდავების ძიება
მეცნიერ კაცს ვერ დაეკამყოფილებს,
ბუნება მცენარეში, ცხოველში, ადამი-
ანში მხოლოდ წინაპრის ბიოლოგიურ
სახეს და არა ინდივიდის თავისებურ
სულიერ თვისებას, ცხოვრებას, მის
„მეს“ იმეორებს, — მიუგო რევზამა. —
კიდევ რომ შესძლოს მისი განმეორება,
მერმე რა ბედენაა! — უფრო შორს წა-
ვიდა რევზაი. — საუკუნეთა მანძილზე
იშვიათი, ბრძენი და გმირი ადამიანი, მი-
სი სიბრძნე, აზრი და საქმეც სიკვდილსა
და დავიწყებას მიეცემა. მაშ რა აზრი
აქვს ინდივიდის შემთხვევით სიცოცხ-
ლეს, თუნდაც ყველა ბრძენსა და ყველა
ხელოვანზე მაღლა იდგეს იგი? აი ასეთი
კითხვები მტანჯავდნენ ქაბუკს და ჩემს
თავს ვეკითხებოდი: ბუნებაში ჰარმონია
თუ ქაოსი სუფევს?

— შენ, ჩემო ძმაო, ძალიან შორს შე-
გიტოპავს. მაგ კითხვებზე პასუხის გა-
ცემა მე უკვე აღარ შემიძლია, — შენიშ-
ნა კოტემ. მძიმედ წამოდგა სკამზე და
კაბინეტში სეირნობა დაიწყო იმ იმე-
დით, რომ იქნებ რეზომ თავისი აღსარე-

ბა დაამთავროსო, მაგრამ რევზაი არ
ცხრებოდა:

— აი, როგორ უპასუხებს იმ კითხვას
დიდებული რუსი მგოსანი პუშკინი:

ვგ შემთხვევითი ამაო ნიჭი,
მე ვგ სიცოცხლე რისთვის მარვენეს?
ან საიდუმლო ბედის წყალობით
რად ვანუშხადეს ავი სასყელი?
არაბობის ბნელ წიაღიდან
ვინ გამოიხსმო მზაკერულის ხელით,
ენება, წყურვილით აღმივსო სული
და აღმიშვოთა ჰვეა-გონება?
გაქრა მიზანი: გული დამზარალა.
უქმად შეთენილა გონება თანაც
და მწველ ნაღველით მზარავს ცხოვრებას
ერთფეროვანი ჩქამი, ხმაური.¹)

— რა დიდებული ლექსია, — დაიძაბა
კოტემ. მას, სამწუხაროდ, ლექსის გარე-
გნული მხარე, ფორმა უფრო მოსწონ-
და, ვიდრე მისი შინაარსი. იგი ქვეტექს-
ტში მოცემული აზრის გამოცნობის გა-
მო მაინცდამაინც თავს არ იტებდა. მაგ-
რამ ცხოვრების სიტკბოების მოყვარუ-
ლი კაცი პუშკინის იმ პესიმისტურმა
ლექსმა ახლა შესზარა და რევზას უთხ-
რა: — პუშკინის იმ ლექსში მოცემული
განწყობილების მიხედვით ადამიანმა
ტანჯვით სავსე, უმიზნო და ერთფერო-
ვანი ამ ცხოვრებას რომ თავი დააღწიოს,
შუბლში ტყვია უნდა იყრას, რამდენად
მართებულია რუსთაველის დევიზი:
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდი-
ლი სახელოვანი!“ ეს არის ადამიანის
ცხოვრების აზრი და მისი უკვდავება.

— ჰო, მაგრამ, — მიუგო რევზამა. —
საუკუნეთა მანძილზე, როგორც უკვე
გითხარი, სახელოვანი ადამიანი, გმირსა
და ბრძენსაც სიკვდილი, ხრწნა და და-
ვიწყება მოეღის. ამ დაუსრულებელ
დროსა და სიერცეში ათასი და მილიონი
წელიც მხოლოდ წამია წამწამისა მსწრო-
ბელი. მილიონი წლების მანძილზე და-
საშვებია, გეოლოგიური და კოსმოსურა
ცვლილებების წყალობით, თვით ეს ჩვე-
ნი პლანეტა გაცივდეს, ან დაიწვას, გაქ-
რეს და მაშინ, არამცთუ უბრალო ადამი-

¹ А. С. Пушкин: «Дар напрасный...»

ანის, არამედ გენიოსების ხსენებაც კი წაიშალოს. მაშ რა აზრი აქვს ადამიანის ცხოვრებას? რამ უნდა იხსნას იგი სიკვდილის, არარაობის წინაშე შიშისაგან?! ასეთი კითხვები არ მასვენებდა ყრობისა და სიკბუჯის ეამს. და მეც ბიბლიას, რელიგიის მქადაგებელთ და ყველა დროის ბრძენთა ნააზრევს მივმართე. მათ მოძღვრებაში, საუბედუროდ დაუჭერებელი ზღაპრები, პესიმისტური პანგები ისმოდა, გონების ჭკერტითი მეცნიერების წარმომადგენელი — ფიზიკის, მათემატიკისა და ბიოლოგიურ მეცნიერებათა დარგში მომუშავენი კი ბუნების მოკვლენების მეცნიერულ ახსნა-განმარტებას, ცდისა და დაკვირვების ნიადაგზე მოპოვებულ ფორმულებს იძლეოდნენ, მაგრამ ადამიანის ცხოვრების აზრისა, ადამიანის სიცოცხლის, მისი ცხოვრების გამართლებისა, ადამიანის სიკვდილისა და მის მიერ სიკვდილის შიშის დაძლევის თაობაზე საიმედოს არაფერს ამბობდნენ. ზოლო ამ პრობლემის გარშემო ხელოვანთა აღსარება, მათი შეხედულება და მოსაზრება, მართლაც უსუსურებას წარმოადგენდა. განსაკუთრებით არ მომწონდა უდიდესი რუსი მწერლის — ლევ ტოლსტოის ქრისტიანულ-ფილოსოფიური, ეთიკური ძიებანი. ამ სფეროში გენიოსი რუსი მხატვარი ცოდნისაგან გაცხრილული გონების, ძველი ადათების მიმდევრის, ღმერთის მორწმუნე, მისი მონა, სიკვდილსა და ბოროტებას შერიგებული გლეხის პლატონ კარატაევის „ფილოსოფიის“ ნიადაგზე დგას. ევ ფილოსოფია კი ჩემთვის მიუღებელი იყო. ესევე მიუღებელი დარჩა ბუნებასთან, მიწასთან დაბრუნებაზე ეან-ჟაკ-რუსოს ქადაგებანი, დოსტოევსკისა და სხვათა ძიებანი ღმერთის, სიყვარულისა, სილამაზისა და სიკეთის სფეროში. არ მომწონდა ჯვარცმული ღმერთის წინაშე მუხლმოყრითა, ღმერთის მონამორჩილთა, ბედის წინაშე ფარ-ხმალდაყრილთა მოძღვრება. მით უფრო საოცარია, რომ „მსოფლიო კაემნის“ მომღერლების — ბაირონის, პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიით

გატაცებული ქაბუჯი მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას, ადამიანის ცხოვრებისა დანაშნულებას, აზრსა და რაობას სხვაზე უკეთ და მართებულად განმარტავდა და უპასუხებდა. „მერაში“ ქაბუჯი მგოსნის გონებამ მზეებზე გაანათა. ბარათაშვილმა მოწინავე კაცობრიობის ადებტად საკუთარი თავი — მებრძოლი ადამიანი გამოიყვანა, ხოლო მერანი ადამიანის მისწრაფებისა და აღმაფრენის, მთელი კაცობრიობის წინმსვლელობისა და პროგრესის სიმბოლოდ აქცია. ბარათაშვილმა იცის, რომ იმ წინმსვლელობისა და აღმაფრენისას ადამიანს ძნელზე ძნელია გზა აქვს გასავლელი, მას შავი ბედი — ყორანი, გარდუვალი სიკვდილი ასდევნებია და იგი საზარელ მომავალს უქადის:

შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მღვლთა შორის ტრალის მინდვრის.
და ჭარბშალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით მიწას მომყარის.

მაგრამ შეუღარებელი ექსპრესიითა და დინამიკით, მსოფლიო სევდით და მუხტულ შედეგს მგოსანი ასე ამთავრებს:

ეულად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულისკვეთება
და გზა უვალი, შენგან თვალის,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება!
და ჩემს შემდგომად მომქმსა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
შავი ბედის წინ გამოუტროლდეს!

ამ ლექსმა მზეებზე გამინათა ჯერ კიდევ ქაბუჯ კაცს ყოველივე.

— ღმერთმა აცხონოს ბარათაშვილას სული: სწორ გზაზე გაუყვანიხარ და გადაურჩენიხარ, — შესძახა კოტემ. — იცოდე, ამ წუთისოფლად არსებობს ისეთი „წყველი საკითხები“, რომელთა გადასაწყვეტად კაცი ამაოდ დაიწყებდა, სტუდენტი ივანე კარამაზოვის მსგავსად, ტყინის ჭყუტას.

— ჰო, — განაგრძო როლში შესულმა რეჟისორმა, — ახლა უკვე ნათლად დაეინახე ჩემთვის გეზის მომცემი შუქურა და

მეც ჩემი ცხოვრება, ისე როგორც მეზღვაურმა აბობოქრებულ ზღვაში შეცურებული გემი, იმ შექურისაკენ წავმართე. ცხოვრება ჩემთვის გარკვეული მიზნითა და შინაარსით აღივსო. დავრწმუნდი, რომ სიკვდილის წინაშე შიში, უსასოება და თვითმკვლელობაზე ფიქრი ადამიანის სისუსტის, ლაჩრობის მარჯვენებელია, ხოლო სიკვდილის შიშის დაძლევა, კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლა — ჭეშმარიტი მამაცობა.

— ყოველ ცოცხალ არსებაში, მით უმეტეს ადამიანში, სიცოცხლის ინსტინქტია დანერგული და იგი ყველა სხვა ინსტინქტზე უფრო ძლევრიანია, — შენიშნა კოტემ.

— ჩემი გულის სიღრმეშიც სიცოცხლის წყურვილი ღმრთობდა, — დაუდასტურა რევაზმა. — მეც ადამიანის გამო ფიქრი არ მასვენებდა. ის ფიქრი წინათ წარსულის მოგონებით იკვებებოდა. მისი წყალობით ჩემი კაცობის ფესვებს ვაგნებდი, რათა წარსულს მომავალი გაეშუქებინა. ილუზიის ტყვეობაში მყოფი, მიაშიტი, ცხოვრებიდან გარიყული, მარტოსულოვით გულჩათხრობილი, სასომიხილი და თვითმკვლელობამდე მიხსული, მეოცნებე ჭაბუკი, მარტოობის კუბოში ისე, ვით ლოკოკინა თავის „ნიუტონში“, კი არ შეეცურდი და დავიძალე, არამედ დღის სინათლეზე გამოვედი და პირადი ცხოვრება, ფიქრი და საქმე ჩემი ხალხის ცხოვრებას შევეთანხმე. რა ნაყოფი გამოიღო ამ შეთანხმებამ დღემდე, ან რა ნაყოფს გამოიღებს იგი მომავალში, ამაზე სხვები იტყვიან, — დაასრულა თავისი საკმაოდ გრძელი აღსარება რევაზმა და დასძინა: — მაგრამ ჩემს მიერ გამომუშავებული მსოფლმხედველობა, მრწამსი და გეზი დედის ავადმყოფობამ და სიკვდილზე ფიქრმა შემირყია და მეშინია, ისევ სასოწარკვეთილებისა და უიმედობის ტყვე არ ვაგხდე.

• • •

კოტე ახლა მაგიდასთან წელმოწყვეტილი იჯდა და შუა ოთახში მდგარ ძმას

შესცქეროდა. რევაზის აღსარება მისთვის მთელი აღმოჩენა იყო. ამ აღსარებაში გაშლილი რევაზის მოსაზრებანი, „ფილოსოფია“ არ იყო მისთვის ახალი, მაგრამ იგი იმრიგად არ იცნობდა უმცროს ძმას, ზურაბი და კოტე უნივერსიტეტში რომ ჩარიცხეს და რუსეთს გაემგზავრენ, რევაზი მაშინ ბალდი იყო. უნივერსიტეტის დამთავრების მერმე კოტე ჭუთასის გიმნაზიაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მერმე ბათუმის გიმნაზიაში გადაიყვანეს, რევაზი კი, როგორც ვიცით, თბილისში, ზურაბთან ცხოვრობდა და სწავლობდა. იქ მიიღო სიმწიფის მოწმობა და ისიც კი ვის უნივერსიტეტში გაემგზავრა. 1919 წელს რევაზი ისევ თბილისში ჩამოვიდა. აქ დაამთავრა უნივერსიტეტი და პედაგოგობა და მწერლობაც აქ დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში კოტე იშვიათად შეხვედრია რევაზს, თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ იმ გარემოებას, რომ რევაზი არადადეგებისას ხანდახან ბათუმში ჩადიოდა. ასეთი გულახდილი და სერიოზული საუბარი კოტესთან რევაზს მანამდე არა ჰქონია. კოტეს უხაროდა, მისი უმცროსი ძმა განათლებული და ნიჭიერი ჭაბუკი რომ აღმოჩნდა.

— მსიამოვნებს, შენ რომ ბევრი გიფიქრია, ბევრი გიკითხავს და წაკითხული არა უკუღმართად, არამედ წაღმართად გაგივია, რაც ჩვენში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. — მერმე ჩემი ხმით დაამატა, თითქო თავის თავს საყვედურს ეუბნებოდა: — ყოველთვის მშურდა და ახლაც მშურს, როდესაც ვინმეს საკუთარი მსოფლმხედველობა და მრწამსი გააჩნია. გაუფრთხილდი მას. დედის ავადმყოფობაზე, სიკვდილზე და ადამიანის ცხოვრების ამოებზე ფიქრის გამო შენს მიერ აგებული ის შენობა არ დაგენგრეს, თორემ ისევ იმედგაცრუებული და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული დარჩები... სიკვდილს არაფერი არ ეშველება! მომეწონა შენი ანალიტიკური და განზოგადების უნარის მქონე გონება.

კოტე მართალს ამბობდა. კოტეს თვა-

ლსაჩინო ცოდნა ჰქონდა, მაგრამ მისი ნაკლი ის იყო, რომ მას ფაქტების დამახსოვრებისა და მათი გამოშუქების უნარი უფრო შესწევდა, ვიდრე განზოგადებისა. ამავე დროს, ღირსებაც გააჩნდა: იგი გრძნობდა თავის ნაკლს და არა ჰგავდა ზოგ ჩვენს მეცნიერს და მკვლევარს, რომელიც საეჭვო ფაქტების და არგუმენტების ნიადაგზე საკმაო საფუძველს მოკლებულ, მცდარ დასკვნას აკეთებს.

კოტეს არც გარკვეული ფილოსოფიური და არც პოლიტიკური თვალსაზრისი და შრწამსი გააჩნდა. მისი საგანი ზოოლოგია იყო. ამ დარგში ციდან ვარსკვლავებს არა სწყვეტდა, თავისი საკუთარი აღმოჩენები არ გააჩნდა, მაგრამ სხვის აღმოჩენებს კი იცნობდა და ამ მხრივ ჩვენს ნინამდვილის ფონზე მიანიც თვალსაჩინო ძალას წარმოადგენდა. ძვირფას პეიამოში გამოწყობილი, მდიდრულად მორთულ კაბინეტში მჯდარი კოტე ახლა ტიპურ ბურჟუას ჰგავდა. მას უშფოთველი, მშვიდი, ან, როგორც თავად იტყოდა: „სიამტკბილობით“ სავსე ცხოვრება უყვარდა. იგი კლასთა ბრძოლის წინააღმდეგი, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის, უსისხლო რეფორმების მომხრე კაცი იყო. კლასთა ბრძოლისა და სიმოქალაქო ომის ეშინოდა. არც ვაგებოდა რა ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობისა და ახალი ტიპის — სოციალისტური ტიპის რესპუბლიკის რაობისა. ამიტომ, როდესაც რევოლუცია თავისი პოლიტიკური შრწამსი გაუმქლავნა, იგი გაოცდა. რევაზი ეუბნებოდა:

— თუ ჩვენ საქართველოს და მისი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის ვზრუნავთ, საბჭოთა ქვეყნის დროშის ქვეშ უნდა დავდგეთ და ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი ხელიდან არ გავუშვათ. ევროპა დღეს ჩვენ ვერ გვიშველის. იგი იშლება და თვითონვე მოათხოვს შევლას. მაგრამ იქ დიდებული, როგორც იტყოდა ხოლმე დოსტოევსკი, ჩვენთვის ძვირფასი საფლავებია, რომე-

ლთაც პატივი უნდა ვცეთ და შევინახოთ.

— ოქტომბრის რევოლუცია და რუსეთში სოციალიზმის აშენება თითქმის შეუძლებელი საქმეა. რა გამოვა ჩამორჩენილ, აგრარულ, გლეხურ რუსეთში ამ ექსპერიმენტიდან? — გაიმეორა კოტემ რუსეთში სოციალისტური რევოლუციის მოწინააღმდეგეთა მორალური ფრაზა.

— იმ ექსპერიმენტის შედეგად მეფის რუსეთის ყოფილ იმპერიაში მობინადრე ყველა მშრომელმა და დაჩაგრულმა ერმა თავისუფლება მოიპოვა და ლედიმიწის ერთ მეექვსეზე ერთი იდეით გამსჭვალული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო შექმნა.

— ერთ მეოთხედზე ზომ ევროპელები, აზიელები და აფრიკელები ცხოვრობენ? გააკვებიან ისინი რუსეთის სოციალიზმის გზას? — ჰკითხა კოტემ.

— დღეს თუ არა, ხვალ გააკვებიან. სხვა გზა არა აქვთ. ევროპის მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები მსოფლიო პეგემონიის, იმპერიის შექმნის წყურვილის გამო ისე, როგორც ოდესღაც რომი, სისხლისგან იცლებიან, — მიუვო რევოლუცია და განუშარტა: — მილიტარისტული გერმანია დაემხო, დიდი ბრიტანეთის დიდ იმპერიას ახალშენები — ინდოეთი, ეკვიპტე და სხვა ქვეყნები ჩამოშორდნენ და იგი ჩვენ თვალწინ იშლება. ბრიტანეთის იმპერიალიზმის მდაღადებლის — კიპლინგის სიტყვებზე დაწერილი პიში ჰაერში დაეკიდა. ამერიკისა და ინგლისის იმპერიალიზმს მომავალი არა აქვს, რადგან კაპიტალიზმი ეამგადასულა საზოგადოებრივი ფორმაცია და მის ადგილს სოციალისტური, პროგრესული საზოგადოება იკავებს. ამ პროცესს ვერავითარი ძალა ველარ შეაჩერებს. რა თქმა უნდა, თუ მას ჩვენ თავად არ დავამახინჩებთ და ლენინის მოძღვრებას განუხრელად გავყვებით.

— სულეიმანის მსგავსი ადამიანები დაამყარებენ სოციალიზმს? — ჰკითხა კოტემ, როცა ყველა შეეპყება და არგუმენტი ამოსწურა.

— სულიმანები ერთეულები არიან. ისინი გამოწვევის შეადგენენ და მათ ადგილს სულ მალე ღირსეული, შეგნებული ადამიანები დაიკავებენ, — მიუგო რევანმა.

• • •

აი სწორედ ამ დროს შემოჰყო ღია სარკმელში ვეება გოგრისოდენა, მელოტი თავი ჩასუქებულმა, ფერმკრთალმა კაცმა, კოტეს შეგობარმა და კარის მეზობელმა, ტექნიკუმის დირექტორმა ნიკო გიორგაძემ და დიძახა:

— სალამომ მოატანა! რას ჩაკეტილხაროთ ოთახში, სადილზე არა ფიქრობთ? რევანის სულიერი მარტვილობის, მისი სულიერი კატაკლიზმებისა და კათარზისის მოსმენით არაჭათგამოცლილი და პოლიტიკური ხასიათის კამათივ გაოგნებული კოტე ისე შეეგება ნიკოს, როგორც საბატიმროში გამომწყვდეული ცოცხალმკვდარი პატიმარი მისი გათავისუფლების მაცნესა და მახარობელს. კოტე გამოცოცხლდა, წამოიჭრა და ნიკოს დიმილით მიუგო:

— ეხლავე ჩავიკვამ, რესტორანში წავიდეთ!

— რისი რესტორანი! — შეაჩერა ნი-

კომ აფორიაქებული კოტე, — თინამ გამოგზავნა, კოტე და რევანი სადილად დამიპატიეო. თინამ ნავსადგურში ამ დილით ახლად დაჭერილი კეფალი იყიდა მენავეებისაგან. ნაწილი მოხარში, ნაწილი კი შეწვა და ბაჟაში ჩააწყო.

— კეფალი, კეფალი დიდებული თევზია, ზღვის კალმახია, — აღტაცებით შესძახა გემრიელი კერძების მოყვარულმა, მეუღლის მიერ განებივრებულმა, მსუნაგმა კოტემ და პატარა მსუქანი ბაგე ვარდისფერი ენით გაილოკა. რევანის ტრაგიკული აღსარების მოსმენითა და პოლიტიკური დავით გამოწვეულმა დეპრესიამ, დაღლილობამ უმალვე გაუარა და იგი ახლა მარტლაც ბედნიერი იყო. მას, ტვინის ქყლეტა, დიდი შრომა და ჯაჟა არ უყვარდა, თავი წუთისოფლის სტუმრად მიაჩნდა, წუთისოფლისაგან კი ყველა სიტყბოების წაღება სურდა, ქეიფი, სმა-ჭამა დიდად შესარგი, ღვინო და ქალები იტაცებდნენ, რასაც ტანმორჩილი, კონტად ჩაცმის მოყვარული, თეთრი ფერხორცის მქონე, ომლამაზი კაცის კმაყოფილებით საგსე სახე, მოლიმარი, თაფლისფერი თვალები და პატარა ღიბიკ ადანტურებდნენ.

ზურაბ კახიანიძე

ქოსმონავტიკა

ქოსმოსის ზღუდეს
მეტათეზით გადააბიჯეს,
სუნთქვით აავსეს ცა საიარაკო...
რაც უფრო მეტი იქნებოდა,
მით უფრო ბიჭობს
ბევრი ექნებოდათ სალაპარაკო.

შათაც აფიჭრებთ
საქმეები ყოველდღიური;
სტუმარ-მოყვარე,
ქონა-არ ქონა
ღრმა სიყვარულით

იგონებენ ხშირად იურის,
და მიიწვევენ ცაში საქროლად.

დრო მოვა, —
ისე შორს გაჰკრავენ
ფრთებით კამარას,
გაიჭრებიან
ისე დიდხანს ცაში ირაოდ —
მოინატრებენ:
ბლუზის ამარა
ნეტავ
მიწაზე
გვასეირნაო.

• • •

თვალები მისთვის მომცა გამჩენმა,
რომ შენ გიმზირო;
ენა ამიდგა, — რომ შენი ეშხის
დავდგე ჭადაგად.
სმენა მიბოძა-შენს მაჯისცემას
დავაყურადო.
გული ჩამიდგა, —
რომ შენ მიყვარდე.

თვალს თუ დამთხრიან —
შენ ვერ წაგშლიან
ბნელშიც ხილულო.
ენას თუ შანთით ამომართმევენ —
შუნჯასაც გამოიგებ;

სმენას ჩაკლავენ? —
შენს მაჯისცემას
მინც მოვისმენ..
მაგრამ თუ გული ამომაცალეს,
მაშინ მიშველე.

შენს თბილ მიწაში, როგორც აკვანში
ისე გამხვიე,
ტანს არტახები მუხის ფესვების
გადამიჭირე...
გამძარცვე ტანი მიწიერ ცოდვით
დამიძიმებული.
წარიღე სული შენი ტრფობით
ამჩატებული.

გაგებაოს მესამე ყივილი



გამოგვადვიძებს გამთენიისას
 ომახიანი შეძახილი ფხიზელ მამლების,
 მონაცრისფერო ზეცა იისფრად
 და საოცნებოდ აფერმკრთალდება.

ციური ცრემლი
 ბალახებს ფრთხილად
 გადაფრქვევა მბრწყინავ ლაღებად
 და მოცახცახე მთრთოლვარე დილა
 ოცნებასავით
 თვალ და ხელშუა გაგველაღება.

როცა მამლები
 შეპყივლებენ ზეცას მესამედ
 და დაეფრქვევა დედაშიწის ზეცის არილი—
 ფხიზლად იყავით, თქვენი კუნესაშე,
 დილა სარკმელთან ჩამოივლის ლამაზ
 ქალოვით.



პოლიკარე კაპაბაძე

მეფე ლეიპტრა მეორე

მოქმედაბა მეორე

(სურათი პირველი)

სასახლის წინა პირი კიბეებით, რამდენიმე მხრიდან ადგება გზა. სცენაზეა შდაბიოთა ქვე-
ფი, მათ შორის გლახა და ხელოსანი.

- გლახა — სასახლის კარი დახშულია
- ხელოსანი — ჩანს, დედოფალი
მაგრად იცავს ყურს უჩისაგან.
- გლახა — თათრის ქალიც კი
მეტ სათნოებას გვიმელავენება.
(სასახლის კარ-ფანჯრები გაიღება)
- ხმა — მადლი განგებას!
(გამოდის დედოფალი ნათელა ფარეშებით)
- ხმები — ო, გახარება, ძლიერება საქართველოს კარს!
- ნათელა — ვრო, ვით მესმის, ბოლოს მწამებთ მედიდურობას,
მე კი სულ თქვენი თანაგრძნობით დაგვქექ ტახტზე, — სჩანს,
ნამდვილ მოღვაწეს ბრბო ვერ არჩევს პირმოთნე მტრისაგან,
- ხელოსანი — ღმერთმა გარგუნა დღეს სიკეთე, გამარჯვებული
მტერზე, — ტოლი შინ დაგიბრუნდა.
- გლახა — მერე, რა მტერზე!
მეზიან ღრუბლად დედამიწას დატრიალებდა,
მთელ საუკუნეს არ აღირსა გამოდარება.
- ხელოსანი — მისი მოსპობი
გვინდა ვიხილოთ.
- ნათელა — იგი სახით არ გამოცვლილა.
- ხმა ბრბოდან — ვერ ვცნობდით ბრმები, ახლა საქმით თვალი აგვიხენა.
- ნათელა — როს რუსუდანი მივათხოვეთ ბუგას, დიდ ნოინს,
მაშინ მარტო მე მიწოდებდით ასულის წარმწყმედს
აწ კი, როს იქცა ხელსაყრელად გვე კავშირი,
ჩემი ბურჭიდან მე ეკალს მგვრით, ვარდს მეფეს აძლევთ,



ხელოსანი — ჩვენთვის ერთი ხართ და ვერა გყოფთ მეფე-დედოფალს.
ხოლო გვიხარის მტრის დამხობა, ვისი უედგომაც
გაიძულებდათ ჩვენს დაჩაგვრას.

ნათელა — ერს გადაეცით,
ის, ვინც მონობით წახდა, მისი აღდგენა ისევ
თავისუფლების დაბრუნებით არ შეიძლება.

ხელოსანი — დიად, მონობა ყოველ კეთრზე უკურნელია.

გლეხი — ამ ცოდვას ჩვენში ებრძვის მეფე და ეკლესია.

ნათელა — ზემდგომთა ნებით ყოველ ცოდვას იქმენ მდაბალნი.
ბრძევინი ბატონნი მწარედ გრძნობენ ხორცზე მათ კბილებს,
ვინც აღადგინეს მონობიდან. ამით გასწავლით,
რომ ღმერთს უგნურად გამცემი ძულს, — წყალობს ზომიერს.

ხმები — შენგან გამოგვაჭებს, რომ მტარვალი თუმცა დაამხეთ,
მისი სიავე გულში შეგრჩათ.

ნათელა — მე გაგაფრთხილეთ,
ნუ ელით სწრაფად ჩვენს მიწაზე გაჩნდეს ედემი
და თხა და მგელი ერთად ძოვდეს.
(ნათელა აპირებს წასვლას)

ხმები — ჩვენ გვინდა მეფე!

ნათელა — მე გაგიმეღაფნეთ ჩემი ღვაწლი მტრის დათრგუნვაში,
და ზედაც ორი დედოფალი, მრავალცოლობით
ქრისტიან ტახტის შემბლალეელი, გადავაშენე.

ფარეში — თქვენ თუ კეთილი სულები ხართ ეს მოუწონეთ.

ნათელა — აწ დამლოცეთ, რომ დამიფაროს ღმერთმა საყდარზე
ახალ მაცდურის მოვლენისგან.

ხელოსანი — ერი ჭრელია, დედოფალო, ვით შენ გვიბრძანე,
ყველას არ არგებს თანასწორად ეს გამარჯვება!

გლეხი — ერთხმად სუყველას მოსაწონი დრო არ დადგება,
მაინც გვსურს მეფეს მოულოცოთ.

ხმა — ჩვენი თვალები
თვითონ გარბიან მის საძებრად.

ნათელა — ნუ-თუ არ გაძლებთ
ამჯერად ჩემი მისალმება.
(უსიამოვნო ჩერნულია)

გლეხი — ღონის მატებით დედოფალი ხომ არ მკაცრდება.

ხელოსანი — გვიკვირს მაღალო, მეფის ხილვას რისთვის გვიძვირებ!

ნათელა — ჩემთანაც არ ბრძანდება თვალგასაძლომად
და გამოველ მის წასაყვანად.
(შემოდინან ღმთის გლახები, მათ შორის მაქსიმე ლუკა და მარადა)

ლუკა — არეულ ეამში რას არ ნახაე!

ხელოსანი — თქვენ რა იხილეთ?

მაქსიმე — ქალაქში დაძრწის ორი ზანგი, მოკაზმულები
აფრიკის მხეცთა ჭრელ ქურქებით. ჩანს, დაეძებენ.
დაკარგულ პატრონს, და მგლებივით სუნავენ გზებს და
ახალ საფლაგებს.
(ნათელა დააყურებს)

ლუკა — ერთი სიტყვაც ვერ შევასმინეთ.



- ფარეში — გესმის, შეუფა!
ნათელა — ვატყობ, ვისიც არიან ზანგნი და რას ეძებენ. აჰა, ბედათ მოვკარი ყური (შემოდის ვეაგრი)
- ნათელა — შენ შეფეს ახლდი, სად ბრძანდება?
მომსხლტა თვალიდან, ეცნობა მიწის ძვრით ნანგრევებს.
- ნათელა — შეფემ შენ რისთვის გიხმო, ჯამბაკეს გვერდით რაზე გესაუბრება?
გამიზიარა დღეს ეს ზრანვა, რომ დასჭირდება დიდ ბრძოლებისთვის ჯარის შეყრა.
- ხელოსანი — ეს, ვეაგრი, შენ რად არ გამოგაქვს ქვეყნის ყურში?
ნათელა — თქვენს ყურს მე ვუფლობ.
- ხელოსანი — ერი სიმართლეს ყურით ეძებს.
გლეხი — დიად, სიმართლეს:
ნათელა — ენაა ვუმოკლებთ ჩვენ სიბრძნესაც და სირვევენესაც. (შემოდის ნათელას ფარეში)
- ფარეში — ვარდის სადარო დედოფალო, ის ტურფა ვაეი, სამარის პირად ცოცხლად რომ ცნო დოსტაქარმა და შეფის ბრძანებით გაიტანეს სავრდომთა სახლში მოსულიერდა, გონს მოვიდა და გამომრთელდა.
- ნათელა — ვინ არის?
ფარეში — ვეჭვობ...
ნათელა — ვინახულებ!
ფარეში — რა კეთილი ხარ! (ნათელა აქარდება)
- ნათელა — გამომყვით, ტურფა შრომნებო, დედოფლის ჩრდილნო!
(ყველა მიდის. შემოდის კათალიკოსი აბრაამი, სახლთუხუცესი ფილოპე, სარდალი ერმანოს და ელიზენდა ორი მცველი ზანგით)
- ელიზენდა — რად მაკვირდებით?
ფილიპე — მადლი გვიპყრობს.
ელიზენდა — მცველებმა მპოვეს ბნელ საკანში და სინათლესე ამომიყვანეს... მაგრამ დამეზე ბნელია დღე, როცა ქვეყნიდან ღმერთი გვიქრება.
- აბრაამი — ვატყობ ძლიერ შიშს შეუპყრისხარ.
ერმანოს — არ გავგონდება მღვდელთმთავარი?
ელიზენდა — ძლივს, შევიცანი.
ერმანოს — მე მახსოვს, მიწის ძვრით დანგრეული ტაძრის დრტვინვაში ბავშვის ცხედარი როს ასწიეს, აგმოცხდა ზარი.
- აბრაამი — ტანჯულად ჩანხარ,
ელიზენდა — განმეძარცვა, მამე ყოველი.
ერმანოს — ადამიანი ჰგავს მცენარეს — ბევრჯერ ყვავილობს, თუმცა ყოველი ყვავილი კაცს უჭკნება, მაგრამ მარადის ახალს მოელის და იმედით ხარობს.
ერმანოს — გოდებ და ფარავ ვინაობას.



ელიზენდა — წყლულით ვერა მცნობთ?

ერმანოს — შავი ღვევები მცველად გახლავს, უფლის წული ხარ, მაგრამ რომელის?

ელიზენდა — აბულეთის დიდი უფლის ძის ანდუყაფარის.

აბრაამ — ვინ?!

ფილიპე — ელიზენდა!

ერმანოს — ო!

ელიზენდა — რად აღფეთქდით, — ასე მხურვალედ ათაბაგის გზა რომ გვეკლიათ ჩვენს აღმოფხვრას არ დააცლიდით.

ფილიპე — გვიან შევიტყუთ.

ელიზენდა — ის თავს დაგვესხა აფთრად, თქვენ კი განზე იდქით.

ფილიპე — ასეთ ჯოჯოხეთს სადუნისგან არ მოველოდით. პირიქით, შენს ხელს მოითხოვდა უფროს ვაჟისთვის.

აბრაამ — ეს გავიგეთ და შედრკენ მღვდელნი, რადგან ერმა შენ ბავშვობიდანვე გიცნო ღვთისგან შთაგონებულად, იმ დღით, რაც მეფემ შენი რჩევით გაგზავნა გუნდი მოსაპოვებლად წმინდა ძელის, ჩვენ გვჯეროდა, რომ ციურ უფლის რძლად იზრდებოდი.

ფილიპე — ახლა ხმას ყრიან, რომ სანადიროდ თქვენს მიჯნაშივე მოღწეულ სადუნს და ხუტლუს, შენი მიჯნურობით ტყე-ველად გაჭრილს, ანდუყაფარი დაეცა და თავი დაიცვეს.

ელიზენდა — ვერაგს ენა აქვს ნამდვილ ზრახვის დასაფარავად, თქვენ თუ სადუნი გინდათ იცნოთ — შენეთ მის საქმეს, რარიგ მზაკვრულად შეგვისია თავის ძე ხუტლუ-ჯერ ჩვენს საზღვართან ნადირობა გამართეს, მამა ლიქნით სუფრაზე მიიტყუეს. ანდუყაფარმა ცნო მუხთლობა და წამობრძანდა შინისკენ ჩქარა, მაგრამ აღმოჩნდა მოწამლული მუხანათთაგან და განუტევა სული სახლად მოსვლისთანავე. მუორე დღეს კი ოდეს ყველა ნათესავები ძაძით მოსილნი თავს იყრიდნენ ზარით, გოდებით მიცვალებულის პატრონისა დასატირებლად. მოვიდა ხუტლუ თანაგრძნობის წუწუნით, ლაშქრით და, რა გაიგო, რომ მის ცრემლის სიყალბე ვცანით, სცადა, როგორმე მოვეტაცნე, მაგრამ კეთილნი გადაეღობენ და გამიშვლდა სრულ ბოროტებად, გასწყვიტა ჩემი მტკიცე მცველნი, ცეცხლში გახვია ციხე-დარბაზი, და მახვილი ავ ცოფს დაუთმო... მე კი ბედისა დახმარებით, ცოდვის დუღილში ჩავეიდე ხელი ჩემს ერთად-ერთ ძმასა კახაბერს, მისთვის დათქმული საგვარეო ხმალი ავიღე, — ის ჩვენს პაპისთვის წმინდა თამარს ებოძებია — და მოსილია გამარჯვების შარავანდდით. გარდა იმ ხმლის და ძვირ სამოსის არა ვეძიე.



და გამოვქანდი კრიახებით, ტყით, ჯაგანარებით, რომელთა შორის ლაპლაპებდნენ მდეკართ თვალვებო
გამიწყდა გზაში მცველნი, სხვები დამიუძღურდნენ
ბოლოს, არ შემერჩა არცინ, გარდა ამ ორი ზანგის.
ო, ესენი აქ, ქვებივით რომ გაშეშებულან
მთელ გზაში ბრძოდნენ უკრობ ცეცხლად აღზევებულნი.
მე შაშინ იმ გზას ვგრძნობდი, როგორც ჯოჯოხეთზე ხიდს
და ბოლოს, როცა შემთხვევით, თუ ბედისა ბრუნვით,
ახლო სერიდან დავინახეთ ეს არეები
ქალაქის კედლებს მივესალმეთ, ვით დედის კალთას
და ძალმიხდილნი გამოვცოცხლდით.

- ა ბ რ ა ა მ — ნურას მიაწერ
ბედს, ცხოვრებას ღვთის ნება მართავს.
- ვ ლ ი ზ ე ნ დ ა — მაშ, რად ინება
კეთილმა ღმერთმა მიენიჭა ბოროტ კაცისთვის
ნაწილი თავის ზებუნებისა — გონება, და მით
ეს ხრწნილი ჭია, დატვირთული შეუფერებელ
მადლით, აღევსო სატანჯველით აუტანელით.
- ა ბ რ ა ა მ — ყოველ ტანჯვისთვის გვიზღავს ზეცა ჩვენი სიმატლით.
- ვ ლ ი ზ ე ნ დ ა — ბოლოს გავიგე აქ ესეც, რომ ჩემი ბიძანი,
იმავ სადუნის წაგონებით ყაენს მოუკლავს
და არ დაგვრჩა ძე შურისმგები.
- ე რ მ ა ნ ო ს — არ დასძინეს, რომ
ის ყაენ ჰამად, შეთანხმებით ჩვენი მეფესთან,
ბუგამ მოჰკლა და არღუნ დასვა!
- ვ ლ ი ზ ე ნ დ ა — ესეც გავიგე,
რომ მურტალ ბუგას, ურჯულოს ქაჯს, ნაკურთხმა მეფემ
პირშით ასული მიათხოვა, ამით შეძრულმა
ჩემ პატარა ძმით ტაძარს შეველ, მე თუმცა მეფე
ბავშვობის აქეთ არ მინახავს, მაინც ჩემ ტანის
ზრდასთან, მისდამი იზრდებოდა თაყვანისცემა
და ღმერთს მსურვალედ შევევედრე განბანოს სულით.
ამავე გზებით ვლოცულობდი ერთადერთ ძმისთვის,
ო, რა იმედებს მგერიდა იგი, რარიგ მიყვარდა.
ასეთი ყრმისთვის ლოცვით ვგრძნობდი თავს ცაში, როცა
ტაძრის კედლები დაინგრა და ავარდა მტვერი,
მე ძმას დავხედე, მის მკვდარ ტურზე დადუმიდა ლოცვა
და გახსნილ კედლებს იქეთ ლურჯ ცას შევხედე, ვით სრულ
სიცარიელეს უიმედოთ.
- (შემოდის ჯამბაკე)
- ა ბ რ ა ა მ — გახსოვდეს, ვისაც მჭვერი ენა აქვს, ღვთის აღთქმა მუდამ
ეპყრას დარაჯად, რადგან პირში უზის მაცდური.
- ჯ ა მ ბ ა კ ე — ო, ამ სიბრძნისთვის ვაჭებ ნეტარს, ვისაც ჭკუა აქვს
პირში ლაგამი ამოიდოს.
- ე რ მ ა ნ ო ს — ხუმარები ხომ
ვერ იტანთ ლაგამს,



- ჯამბაკე — ამიტომ სხვებს ვამხიარულებთ და თვითონ ცრემლით ვიგულებით.
- ფილიპე — მეტისმეტს ბედავთ.
- აბრაამ — დიდათ მაშფოთებს, რაც გავიფე.
- ელიზენდა — რა ღონეს იხმარ?
- აბრაამ — ძლიერთა შუღლი ვნება სამეფოს.
- ჯამბაკე — სუსტს შთანთქავს მიძღვარი.
- ერმანოს — ჯამბაკ, შენ ისეც დამწვარ გულზე მდულარეს ასხამ, ეს აბულეთის ასულია.
- ჯამბაკე — ოჰ, ელიზენდა!
- ელიზენდა — ერთ დროს ჩვენს კარზე შენც გვაქებდი.
- ჯამბაკე — ახლაც ტურფა ხარ, მაგრამ დღე მანგი მწუხარებით დაღამებულხარ, არ მეგონა თუ სამოთხესაც აქვს დღე და ღამე.
- აბრაამ — გწამდეს, გავციცხავ სადუნს, ხოლო თუ მეფეს შეხვდე, თაყვანი ეც და მხურვალედაც რომ მოგესალმოს, ვით ბავშვობას, ცით შთაგონებულს, აწ გაზრდილს ტურფად, წესით დადებულ ზღუდეს მასთან მიახლოვებით, ნუ გადალახავ, ნურას ეტყვი გონების წამრთმევს, უცბად ასაგზნებს, იყავ მტრედი...
- ელიზენდა — მე ვარ მორჩილი ჩემი წმინდანთა მოწოდებით — შური ვიძიო მტრებზე, ცეცხლოვან სუნთქვით ვსდიო ჯოჯობეთამდე, აბრაამ — თვინიერებას არ იკარებ.
- ელიზენდა — მე ვეძებ ციერს, შენ კი მიწიერ უფალთანაც მიზღუდავ ჩივილს.
- ჯამბაკე — მღვდელ-მთავარი ცას მიუგზავნე, ხოლო მიწიერ მეფესთან ახლა მე მიედივარ და მოვახსენებ რაც საჭიროა.
(ჯამბაკე მიდის)
- ერმანოს — გამობრძანდა მეფე, ხმა ისმის.
- ფილიპე — ჩვენ ვვახლებით.
- აბრაამ — გადაეცით ჩემგან კურთხევა; მე მრევლს მიეხედავ. ასულო, შენ გწყალობდეს ღმერთი, (ყველა მიდის. ჩიება ელიზენდა)
- ელიზენდა — უფალო, მე შენ გგრძნობდი ახლო ყოველივეზე, დღეს კი მგონიხარ დრო და სივრცის უკუნეთს იქით ამ ქვეყანაზე მოვლენილი უსამართლობით. ღვთის მგმობელებმა ჯოჯობეთი მარგეს შენს მოსავს, ამით ამხადე მაღლი და აწ ვით ცუდ ჭურჭლიდან გადმოიღვრება ჩემგან მხოლოდ უსუსურება, — თავდასახსნელად შევლას შევთხოვ მიწიერ მეფეს და ჩემი ბაგე ვერ გამოთქვამს აწ ზეცის ნებას... აწ ჩემი ყელი ვერ გამოსცემს შენს ქუხილს, ღმერთო, მეფის საციცხად იმ ცოდვისთვის, ვეშაპს რომ მისცა, სამოთხის თვალი. მე ვმძვინვარებ საკუთარ ღვიძლთა მკვლელების მიმართ ანთებული შურისძიებით.

ერთ დროს ანგელოზ-შთამაგონებლად ცნობილი ბავშვი დღეს დემეტრეს წინ დაეხრები ნაცარ-დაყრილი, ერთ-ერთი რათა შავ ბედით გათული ღრმად შემობრალს. მოდით, კეთილნი ეგვიპტელნი და გამომკაზმეთ სასოწარკვეთილ გოდებისგან სახე ნატყებად, დაწვებ დაწვებად ცრემლებისგან...

(გაიხსის საყვირების ხმა და ცხენების ფლოქვების თქარნი. შემოდინ ღვთის გლაბები, მათ შორის მაქსიმე, ლუკა, უკან იხედებიან).

ხმები

— რა ხმაურია!

წაიღეს ყური!

ლუკა

— სადუნი და ძე მისი ხუტლუ სპით შემობრძანდნენ, ბრბოს მოზეიმეს გზა მოუჭრეს და შორს გაჰფანტეს.

მაქსიმე

— ჰოი, ჩემ თვალს თუ დაუჭერებთ, ხუტლუ წინ მოდის.

ელიზენდა

— მშიერ მეგლივით მეძებს, სანამ მპოვებს, შემვივრდეთ.

მაქსიმე

— ტურას არა აქვს უდაბნოში იმდენი ხვრელი, რამდენიც აქ ჩვენ.

ხმები

— ჰო, ვუშველოთ! წავიდეთ ჩქარა!

(ყველა უცბად მიდის. შემოდის დაფეთებული ჯამბაყე. გაეშლება).

ჯამბაყე

— ვერ გავეჩქარი, ისარივით დამასო თვალი!

(შემოდის ნელა ხუტლუ)

ჯამბაყე

— დიდება ხუტლუს, ჩვენი იმედს.

ხუტლუ

— ტკბილი ენა გაქვს და ჭურღულად კი გაგვეპარე.

ჯამბაყე

— სხვა სიკეთე არ გახსოვთ ჩემგან?

ხუტლუ

— მანჭიობა შენ სიკეთე გგონია!

ჯამბაყე

— ეჰ, რაც ჩვენ ხუმარებს ხალხი გაგვიცინებია, მის ნახევარი რომ აგვეტირებინა, მეფეებზე წინ ვიქნებოდით!

ხუტლუ

— ბრიყვობით გვაცივებდი.

ჯამბაყე

— შენს სიბრძნესთან, ბატონო ხუტლუ, თვითონ ვმშაკე ბრიყვია.

ხუტლუ

— არც ეს თავხედობა მიკვირს.

ჯამბაყე

— ბოლოს, სადუნს გულის ტკივილი ისე ტანჯავდა, რომ არც მე ვუხალისებოდი და არც სანადირო ძაღლები... თორემ რა გულით დაგტოვებდით.

ხუტლუ

— მაშ, თუ ჩვენი შორიდება შეგრჩა რასაც ყურს მოკრავ მეფის დარბაზში, ყველაფერი გამაგებინე.

ჯამბაყე

— მაპატიე, ეს მძიმე საქმეა, დამღლის.

ხუტლუ

— ეგებ, მხრებზე თავის ტარებაც გემძიმება.

ჯამბაყე

— შენ დიდთა ნადირთა მონადირე ხარ, მე კი მცირე ვარ?

ხუტლუ

— ბოლოს, საკმაოდ გაიზარდე ჩემს თვალში.

ჯამბაყე

— შენ უფრო საშიში მისთვის ხარ, ვისაც სიამეს ჰპირდები.

ხუტლუ

— მამა მობრძანდება.

ჯამბაყე

— ჯოჯოხეთურ გუნებაზეა. მე მშვიდობას გთხოვ.

(ჯამბაყე მიდის, შემოდის სადუნი და ლეონი — ბერმონაზონი)

სადუნი

— დიდი ხანია, ჩემო ძენო, სენს გიმალავდით, მაგრამ აწ თვითონ ჭირმა თავი აღარ დამალა და ჩემზე თავის აჩრდილადა გადამაქცია...

მე, ვინც მთელ ქვეყნის მპურობელ ყავნს ნაძღვეს უდებდი, მის ასი ათას მუომარში ეპოვა გმირი



ჩემთან შემზღველი, ვისაც ვერვინ მებადლებოდა, ვინც ბრძოლის ველზე გარეშემო მტრებისგან ვიყავ მიუვალი და უვნებელი, როგორც უხორცო, მე, ვისაც ყველა მომარნი უკვდავს მქაზდნენ, დღეს მევლინება სიკვდილი თვით ჩემივ ხორციდან... ასე ყოფილა... კაცი ებრძვის მუდამ გარემოს, მაგრამ ყველაზე საშინელი მტერი შიგნით ყავს... სხეულში უზის კაცს სიკვდილი, სულში კი ცოდვა დაუძღვევლი.

ხ უ ტ ლ უ

— არ გფერობს ვე ნაღველი, მამავ, შენ ბედმა ერთხელ ქვეყანაზე გამოგარჩია დაგადგმევინა ბევრჯერ მტერთა სისხლის გუბენი და არ გაგწირავს დღეს, როდესაც მტრად მოგიბრუნდნენ შენი ამაგით გაზრდილნი და გამძლავრებულნი, შენს თავს უფალი არ წაგვართმევს ამ განსაცდელში, არ ჩაგვყრის ღმერთი მეფის ბოროტ მონათა ხელში და ამ ქვეყნიდან არ გაგატანს ჯავრს ამოუყრელს.

ღ ე ო ნ ი

— ღმერთმა გაშოროს შენ სიკვდილი მშობელი, რადგან ჯერ ამ ქვეყნიურ სიბილწისგან არ განწმენდილხარ, შენ კაცთა სისხლით განდიდდი და ახლა სიკვდილის ლანდის წინაშეც მგდიდურობ გარდახდილ ცოდვით... და თითქო ნატრობ უკვდავებას კაცთ შესამუსრად. ავი საქმენი ვერ გააძღებს, ვინც ბოროტებას აპყვება, იგი მხეცურ ღრენით დაფავს სიცოცხლეს. მე ვთრთი შენს ასეთ სიბრმავეზე, მშობელი, მაგრამ ისე მხურვალედ მიფარხარ და გენუკვარები, რომ მთელი ჩემი სულიერი აღტყინებითა შენთვის ვლოცულობ ღვთის წინაშე, შენს სახელს ჩემი ცრემლებით ვდუღრავ, რომ გავბანო მე შენი სული ჩემი უადრეს სიყვარულით უფლის წინაშე. ხოლო გთხოვ ასე ნაადრევად ნუ შეგაშფოთებს შიში. იცოცხლებ განგებისგან რაც გიწერია, ჩვენ კი შენს შემდეგ თუ დაგვრჩება კიდევ დღეები — მოვალენი ვართ უბიწობით და სათნოებით დრო გაგატაროთ, უშიშარი ვიყოთ სიშარტლით და ღმერთს ვაფეროთ შენი სული.

ს ა დ უ ნ ი

— ამ ქვეყანაზე თქვენა რჩებით ჩემს აჩრდილებად... ხუტლუ, შენ თუმცა მამაცობით არ მგვეხარ, მაგრამ ორზომ გამოგყვა ჩემი გესლი და ცბიერება, ამისთვის ზოგჯერ ვიმედობდი, რომ ჩემს სახელს და ფუძეს მზაკვრობით დაიცავდი, თუ ძალით ვერა, შენ კი საესებით მძაგდი, ლეონ, ვით უმწუთ და მითაც მტანჯავდი, რომ ჩამარხულ ჩემს სინდისს ჰგავდი. ო, თქვენ ნამსხვრეენი ხართ ცოდვისგან დამხობილ გმირის და თითქო იყოფთ ამა ქვეყნად ნაწილებს ჩემსას. ერთი იმკვიდრებთ ჩემს სიავეს, მეორე — კეთილს, მაგრამ გმირული მამაცობა ჩემთანვე ჰქრება...

დღემდე ვფიქრობდი, თითქო სიბრძნეს ბრძოლაში ვიძინებ, მხოლოდ მამაცი მეომარი იცნობს ცხოვრებას, დღეს კი როცა წინ აღმემართა ზღუდედ სიკვდილი და, უნებურად, თვალი უკან მომაქცევინა სულ სხვანაირად მეჩვენება გზა გამოვლილი, რაც მიტაცებდა წინ, დღეს არ ღირს უკან მოხედვად, შემოპყრო სევდამ და ფიქრები შემომეჯარა...

ეკ, ეს სიმრავლევ ფიქრთა მოწმობს დაცემას ჩემსას. აწ შენ ხუტლუ, მე ბიწით შენით უფრო მაშფოთებ, ხოლო ლეონი სულის ცისკრად მესასობა... მაგრამ მშობლურად მაინც მეწვეს გული და მიხდა, რომ შენ მიწიერ ჩემი ფუძის იმედად იქცე, ვით ლეონი ჩანს ცის წინაშე ჩემს გამართლებად. ოდესმე, თქვენზე ღრმად ვზრუნავდი მე დემეტრესთვის, სათუთად ვზრდიდი, ვიდაგოდი მისთვის და მასაც ეუყვარდი, თქვენ კი სულით, გულით, მემორებოდით, მაგრამ დღეს მასთან თქვენს ჭიდილში თქვენსკენ ვიხრები, რადგან მშობელი აღსასრულის პირად მისული უფრო მწვავედ გრძნობს თავის სისხლ-ხორცს.

ხუტლუ — ყოველი შენი ნაღვლიანი სიტყვა გულსა გავწავს, თუმცა დრტივნაშიც შენს გმირობას არ დალატობ და გვაიმედებ, რომ დაგვიფარავ სასტიკ მტერისგან, თუნდაც ის იყოს მძლავრი მეფე.

სადუნი — ლეონ, ვით ვიცი შენ მამა ბასილს ათონიდან გამოყოლიხარ მეფის ცოდვათა სამხილებლად.

ლეონი — ჩვენი თვალები ყოველ სიკეთეს იქ ხედავენ, მაგრამ ყური კი საქართველოდან მოსულ ამბით არ გეასვენებდა.

სადუნი — ამით ვხედავ, შენც ზოგი ღონე მოგეპოვება მეფის მძლავრობის შესაზღუდად.

ლეონი — ჩემს ღონეს ვეღარ გამოიყენებს ანგარება. მე ვერ დავთრგუნავ ცოდვას ერთისას, მეორესთან მის გასაზრდელად.

სადუნი — თუ თქვენ პატივის დასაცავად სუსტნი ხართ, ბენო, ჩემს შემდეგ კპოვეთ ეამი დასაქვეითებულად.

ხუტლუ — ძალა კიდევ რომ დაგელიოს, ბატონო მამა, მე სიყვარული და პატივი მომგვრის ძალ-ღონეს ურყვევლ სვეტად ამოგიდგე.
(ჰოისმის ხმაურობა)

ხმა — მეფე დიმიტრი და ნეტარი კათალიკოსი გამორჩნდნენ.

ხუტლუ — ვფიქრობ, შეგვხვდებიან,

სადუნი — მამ, ლეონ, შვილო, ეგების ახლა ჩვენი გვარის ბედი გადაწყდეს, ასეთ საქმეში შენ ხარ მხოლოდ ხელის შემშლელი.

ლეონ — მგონი მიშორებ.



- სადუნი — არ მჭირდება სინდისის ქენჯნით.
(ლეონი მიღის)
(მემოდიან მეფე დემეტრე, კათალიკოსი, სარდალი ერმანოსსა და დემეტრე-სადუნი ზულზე ემთხვევა კათალიკოსს, ესალმება მეფეს)
- დემეტრე — სალამი სადუნ, სიყვარულით ჩვენთ აღმზრდელთ!
- სადუნი — ვიყოთ მეუფე, გულახდილი, გატყდი, რომ არ ხარ მთლად მადლიერი.
- დემეტრე — მსურს აღერსით შეგბოჭო, ოდეს ხელი გაქვს შეტად აშვებული ჩემს წინააღმდეგ.
- სადუნი — ძლიერ გაფრთხობენ ავენები?
- დემეტრე — შენთვის ვფრთხი, მე კი ვამი დამიცავს შიშველს ყოველ ჯავშნიანისგან.
- სადუნი — მაშ გწამს, რომ ბედი რეკავს მხოლოდ შენს სამრეკლოდან,
- დემეტრე — მე მცირე ძალით შევიპყარი დიდი ყაენი, მსოფლიოს შემძვრელ ტახტზე დაუსკი კაცი უნადო, აღვაფრთოვანე ცის კიდემდე მეფე მთავარნი თავისუფლების იმედით და შინ მოვიქეც სპით. ასე იწყება ავი ვამის განსათავებლად ჭეშმარიტების მაძიებელ საუკუნეთა გამოსვლა ციდან და მე მომთხოვს არა დატკობას, არამედ მძიმე ვალის მოხდას.
- სადუნი — შენი კეთილი სიტყვა მახარებს, მაგრამ მიკვირს ასეთი გმირი სულით და ზორციით თავის აღმზრდელს რარეგ იმეტებ.
- აბრაამ — მეფე, მჯერა, დღეს ხმალზე შეტად გამოგადგება საიკეთე, — ყველას დააფრქვიე, ვით შუქი მზემან.
- ფილიპე — ნეტარი გვიმხელს ზოგად, ციურ ჭეშმარიტებას, ერმანოს, შენ თქვი სინამდვილე.
- დემეტრე — დიად, — გეჭირდება.
- ერმანოს — ოდეს გავიგეთ მეფის კეთილად სამშობლოში შემობრუნება, სადუნის სახლმა გაამრავლა თავის ცოდვები, მამამ და ძემან შექმნეს თავის ერთგული ხროვა. დღეს აქ ჭალაქში დაიკავეს მარჯვე კუთხენი, მაგრამ მე დროზე ჩემი ჯარი გარშემოფარტყი სადუნის ხროვას და ხელში მყავს აწ ვით ტყვეები.
- ხუტლუ ერმანოს — არ მჯერა! როდის!
- სადუნი — მეტ თავხედობას ჭურიც ავხადე.
- სადუნი — აი, სადუნის ლომგულობა სად იწურება!
(სადუნი ესერის ერმანოსს ჭურს, მაგრამ ხუტლუ მოახერხებს ზელის შეშლას და ერმანოსს აცდება იარაღი).
- სადუნი — შეილიც მღალატობს!.. მარტო დაერჩი საშინელ ღმერთთან.
- ხუტლუ — მოიგებს მხოლოდ მოთმინება, კეთილო მამავ!
- აბრაამი — ნუ გაამწვაებთ დიდებულნო, საშიშარ წყლულებს.
- დემეტრე — ძალა მჭირდება, მე არ მსურს შინ შუღლი ავაგზნო.
- ხუტლუ — ჩემო მშობელო, დაჯგომოთ ძველი არ-კეთილი გუა,



- დღეს ერმანოსმა აქ შეგვწვლუდა სამართლიანად.
 დემეტრე — შენ გულწრფელი ხარ?
- ხუტლუ — რომ არ ვიყო, არც შემიძლია.
- დემეტრე — რას ითხოვ გულისთ.
 ხუტლუ — დაივიწყე, რაც ჩავიდინე .
- დემეტრე — მემკვიდრეობით შენს კუთვნილსა მთავარსარდლობას
 ისევ გიტოვებ, ხოლო ულუსს გაემგზავრები
 და ჩემს მთავარ ჯარს, მდგარს თათრებში ბუკას დამხმარეთ,
 თავს ჩაუდგები.
- ხუტლუ — შეგებით ვიღებ ესდენ წყალობას.
 დემეტრე — აწ კიდევ, მთავარ საქმეს განდობთ, ბოლოს არ მხედება
 ლინგადაღმეული მუფე დავით ხოლო გაუბაშს
 მჭიდრო კავშირი მას სადუნთან, ძველ მომდურავთან.
- სადუნი — უფროს მოხუცთან დავმეგობრდი.
 დემეტრე — სადუნ, მე მინდა
 რადაც გიღირდეს, ამ სამ დღეში მომიპატიე
 დავით, უფროს ძით, — მიჯნაზე დგას, მხარს დაგიმშვენებს
 კათალიკოსი აბრაამი, ახლავ გაგვეებათ
 ძვირფას ბადრაგით ერმანოსი.
- ხუტლუ — შეც ვეახლები.
 დემეტრე — შენ იჩქარე დიდი ულუსში.
 მოაწყობ ჩვენი ჯარის აღლუმს. ახლო ზღვართან.
- ხუტლუ — მაშაგ, მივდივარ. დაამთავრე მეფესთან დღენი,
 როგორც დაიწყე.
- სადუნი — მესმის, შეილო, შენი ქართული.
 (ხუტლუ მიდის)
- დემეტრე — მტერმორეული სამშობლოში ხშირად ვეძებდი.
 კაჟის გულებით დარჩენილებს და ხელს ვუწყობდი,
 რომ ძველი ერის სახის ნაშთი არ გამქრალიყო.
 დღეს ერი აღდგა თავისუფლად, მაგრამ ჩონჩხია...
 და ეს ჩონჩხი ძველ გმირთა სახეთ უნდა შეივსოს.
 ამისთვის გემართებს აღვადგინოთ სამშობლო იმ ძველ
 ნამდვილ ღირსების ნატამალზე, რაც ავი ჟამის
 ქროლაში ერმა ღვთის შეწვევით გადააჩინა.
- ერმანოს — დედოფალი!
 (შემოდის ნათელა)
- ნათელა — ძლივს გიხილე გულთა მნათობო.
 დემეტრე — დიდი ქებაა.
 ნათელა — სხვებს უნათებ, მე კი ბრმად გიცდი...
 მაინც სანამდე გვალოდინებ.
- დემეტრე — აქედან მივალ
 წმიდა ტაძარში, იქ ვილოცავ სამ დღე და დამეს.
- ნათელა — მე ვერ წამოვალ.
 დემეტრე — მართო ვარჩევ.
 ნათელა — ცუდი ნიშნებით
 შერყეულ ქალაქს ვერ დაგტოვებ.
- დემეტრე — მამ კეთილებო,



სანამ ლოცვით და ერთგულთ ფიცით გულს მოვიჯვრებ
 თქვენ შეასრულებთ დაპირებას და, როს გამოვალ
 ტაძრიდან აქვე დამახვედრებთ სასურველ სტუმრებს.
 მამავ, დამლოცე ტაძრის კართან.

- ურმანოს — მე ბადრავს მოერთავ.
- (ერთ მხარეს ერმანოსი მიდის, მეორე მხარეს კათალიკოსი და დემეტრე)
- ნათელა — სადუნ, შენ ის ხარ, ვისი ჩრდილიც ჯობს ყოველ ხორცსხმულს,
 მირჩიე, რარიც დავამყარო მეფესთან სიტკობო,
 როს ვხედავ იგი შეეჩვია მრავალცოლობას
 და ტახტს არა სცნობს ერთ დედოფლით.
- სადუნი — სჯა მოაზრძანა?
- ნათელა — ჯერ არა, გარნა ნიშნებია გულის გამშობი, —
 მყავს მასთან ჩვილი ძე, — არც ამჩნევს. დამტუქსა, თითქო
 მწადს ის მემკვიდრედ შევაჩეო უფროს ძის ნაცვლად.
 არ სურს უფლება ერზე ჩემთან გაიზიაროს.
 ის სამ დედოფალს ვუყვარდით და ყველას გვიმუხთლა.
 მაგრამ მე ბექას შვილი თავს ვერ გაეაქვლეინებ, —
 ჩემ მშობლის ხელი ტახის კარით ძვეს არზრუმამდე,
 ბექას მოყმეა ტრაპიზონის ბერძენთ სამეფო,
 მეფე აბხაზთა დავით, მისი მოთაყვანეა,
 ხოლო შენ, სადუნ, აღმოსავლეთს ღომად ქებულო,
 აწ უსამართლოდ დასჯილო, მაგ ღომის ტორს, ნაღრძობს
 მეფისგან, თითონ დედოფალი გამოგიმრთელებ,
 და იმ ბუმბულში რასაც ჩვენთვის ამზადებს მეფე,
 თვითონ ჩაწეება.
- სადუნი — სჩანს ღრმად გტანჯავს, როცა საქაროდ
 გამიღე გული.
- ნათელა — ვიცი, შენც რა ბედში ჩაგაგდო.
- სადუნი — მეტს წინ გვიშინადებს.
- ნათელა — მაშ, გამოდის, რომ ავებედობა
 მოყვება მეფის გამარჯვებას.
- სადუნი — მე კი იმზომად
 უწყალო მტერი აღმიდგინა ამ გამარჯვებამ
 შორიდან მართავს მეფეს ჩემი ამოსაძირკვად.
 დღეს ის ქალაქში გაჩნდა და მის შეყრას მეფესთან
 მოველი ჩემზე მეხის ტუხად.
- ნათელა — ათაბაგ, შენგან
 გულის კანკალი გადამედო.
- სადუნი — მე ვგრძნობ ტაძარში
 ესაუბრება მეფე იმ ავ ასულის აჩრდილს.
- ნათელა — მე თითონაც ვცნობ, ვინმეს ეძებს მეფე ქალაქში!
- სადუნი — ასულს სატანა უკვალავს გზას.
- ნათელა — ჩვენც ნურას ვსოგავთ.
- სადუნი — სიკვდილში ძნელად გაებმება.
- ნათელა — ტკბილი აღურსით
 დავუყრით საკენკს, მის საყვარულს.
- სადუნი — ასეთ საქმეში

მუდამ წამია გადამწყვეტი და, რომ არ მოეცდეთ,
 დღეს გზიდან ჩემებს დავაკისრებ დაგიკავშირდენ.
 (შემოღიან სხვადასხვა მხრიდან კათალიკოსი, ერმანოსი რაზმით და დე-
 დოფლის ფარეშები)

კათალიკოსი — მეფე დაელოცე და შებრძანდა ტაძარში გრძელ ხნით.
 ერმანოს — მის გამოსვლამდე მოგბრუნდებით მაღალ სტუმრებით.
 ნათელა — არც ჩვენ ვიძინებთ.

ფარდა

მოკვიდვა ბერად

(სურათი მეორე)

რამდენიმე ქუჩის გზაჯვარედინი. სახლების აივნები შორთულია საზეიმო
 დროებით და ნოტივით. ქუჩის ნაპირებზე კრული ბრბოა. მოზეიმენი ყვეილებს
 და რტოებს აფენენ გზაზე. გამოღის ნანგრევის ხერელიდან ელიზენდა ძაბით მო-
 სილი. შორით მოისმის მეფის მისალმება.

შემოღიან ღვთის გლახები, მათ შორის მარადა, მაქსიმე, ლუკა.

ხმა — მობრძანდება, ერს ესალმება, ბავშვებს პირდება
 კეთილ ცხოვრებას მომავალში.

გლახა — კადნიერობს, ვინც
 ხატავს მომავალს ღვთის მაგიერ?!..

(ელიზენდა გამოღის შუა გზაზე მწუხარ სახით. მას გამოყვებიან მათხოვრები—ქალი და კაცი)

1 მოზეიმე — ჰეი, ასულო, დაღვრებით ხარ!

ელიზენდა — თქვენ რა გახარებთ.

1 მოზეიმე — მთელ ქალაქს მეფის შესაყრელად ვამშვენებთ.

კაცი მათხოვარი — ამ გამწვანებით მას უფარავთ ჩვენი სიშიშველს.

ქალი მათხოვარი — საკრავიც ისმის, — ჩვენი დრტვივის გასაყრებლად.

ელიზენდა — თქვენ ამბობთ, თითქო ამით მეფეს თვალ-ყურს უხვევენ!

მათხოვარი — სწორედ!

ელიზენდა — არ მჯერა. ის ყველაფერს მიხვდება.

მაქსიმე — დიად!

სიმართლეს ცხადში რომ მოუჭრა გზა, სიზმრად მოვა
 თავის მძებნელთან.

(შემოღის სახლთუხუცესი ფილიპე და ეპისკოპოსი ტფილელი)

ტფილელი — დიდ აღმაფრენით ეგებებით, კეთილნო, მეფეს.
 მართებულცი არს. ის სამ დღე და ღამეს ტაძარში
 ერისგან მტკიცე ფიცს იღებდა, ღმერთს გავედრებდათ..

ფილიპე — ამ დროს დედოფლის ნაშუითი სპა თურგნიდა ქალაქს.

თბილელი — ამა ამბებით გაწყენილმა მეფემ თავის ერს
 მოთხოვა ფრფენით იზეიმონ აწ თათრებისგან
 თავისუფლების მოპოვება სამარადისოდ
 მისი გმირობის შემწეებით.

(შემოღის შიკრიკი მშვიდობის რტოთი)

ხმა — კეთილი ცნობა მოაქვს შიკრიკს.

ფილიპე — საიდან?

ხმა — ლიხით!

შიკრიკი — აბხაზთა მეფე მობრძანდება. ხვალ მოაღწევენ.



- თბილელი — მადლი განგებას. გაგამხნევოთ ამით მეუფე.
(თბილელი და ფილიპე შიდიანი)
- კაცი მათხოვ. — მეფე ამჟამად გაჭირვებულთ არ თანაურძნობს.
მაქსიმე — გამოაცხადა, რომ მთელ განძით ლაშქარს ამზადებს.
- ელიზენდა — თუმცა თვითონ ვარ სიმძიმელში, თქვენც თანაგივრძნობთ.
მარადა — ო, ძლივს შეგიცან! (მიღის ახლო) ელიზენდა, გლოვის ძაძაში!
- ელიზენდა — ვინ ხარ, ვგრძნობ გული გეწეის ჩემზე.
მარადა — ზეცის ნაწილთ,
ძაძით, გლახაკათ მეფეს წინ ნუ გადაუდგები,
გადაგთელავენ ბალახივით.
- ელიზენდა — მგლოვიარე ვარ,
ჩემს ბედში ტურფად ვერ წარუდგები.
მარადა — მეფეს სჭირდება
ერი საომრად აგზნებული და ზეიმებით
სურს გაამხნევოს, ნაცარ დაყრილს შტრად შევიცნობენ.
- ელიზენდა — გამეციცხავიც ვარ.
მარადა — ო, რარიგად!
ელიზენდა — ნუთუ იმ მეფეს,
თავის ასული ვინც მიჰყიდა ჯოჯოხეთის გველს,
გლოვით არ შეეხვდეთ...
- მარადა — ის ასული ჯერ ცოცხალია.
ელიზენდა — ცოცხალ ლემს მკვდარზე გრძელ ხანს ეტირით,
მარადა — ამ ზეიმის ეამს ცოდვებისთვის ნუ შეაჩვენებ,
ასე გირჩევ ღრმა მეგობრობით.
- ელიზენდა — მეგობრობით დღეს
მხოლოდ მუხთალი ინიღბება, თუმც მე კი ვიყავ
ალმზრდელ-მეგობრით ბედნიერი.
მარადა — მისი სახელი?
ელიზენდა — გაგიხსელ მისთვის, რომ ის შენებრ ღვთის გლახად შედგა
და, გთხოვ, ამ დიდსა სიმძიმელში მომაძებნინო,
ვით უდაბნოში წმინდა წყარო.
- მარადა — მაინც სახელი?
ელიზენდა — მარადად ხმობდენ, დღეს ვინ იცის!
მარადა — მარადა — მე ვარ.
და, თუმცა მყისვე გიცან, გარნა გაკვირდებოდი.
ელიზენდა — არა... არა გაქვს შენ მისი ხმა, არც ტანის რხევა...
მარადა — წაიღო მან, ვინც ცაში მარგებს.
ელიზენდა — მე ცის მადლს ვჭვრეტდი,
მაგრამ მიწიერ ცხოვრებისთვის ვიყავ უგნური
და მარადა, ვით ბავშვს, მშველოდა.
- მარადა — მე ვიყავ იგი,
სახე ვერ მოწმობს... მაგრამ შემარჩა მე ცალი თვალი.
(მარადა აფართოებს თავის პირბადის ჭრილს და აჩვენებს თვალს).
- ელიზენდა — პატარა ცაა, გაზაფხულით, ეს ტურფა თვალი,
ჩვენი ნამდვილი სიყვარული აქ შენახულა!
ვინედები შიგ და ვპოულობ ჩემი ადრინდელ
აზრებს, ვით მკვდრეთით აღმდგარ სულებს წვრილ ციაგებად



- და ნაპერწკლებად მკვდრებს შენს სამოთხე თვალში,
რა მაღალ სულად გაზრდილხარ აქ, მარადა, მხოლოდ
ცალ თვალთ მიმხელ.
- მარადა — იმ ნაპერწკლებში
თუ მოკარ თვალი ამნაირ სხივს, რომელიც ესავს
ჩვენი დედოფლად შენ დაბრძანდე და შებილწისგან
სამეფო საყრდრის სისპეტაკე მედგრად დაიცვა.
(უცბათ მოისმის მზიარული ალტაცება. შემოდის მცველი)
- მცველი — წესრიგი იყოს!
(მოისმის ვედრების ხმა და დატუქსება)
მათხოვრობის ჭამი არ არის!
- ხმა — დატუქსეთ!..
- მათხოვარი — რისთვის?
- ხმა — თუ არ ითხოვთ, წუწუნებთ მაინც!
- მათხოვარი — გლახის სიმღერაც წუწუნია, სხვა ხმა არა გვაქვს.
- ელიზენდა — აჰა, გამოჩნდა ჭრელი ბრბო, რა ალტყინება!
ვარდებს უფენენ, და გადმოდის მეფე მერნიდან...
და კვლავ შეაბტა განცოფებულ ვეფხს მოსათურგნად.
- მათხოვარი — ლატაკთ მოყვარეთ ახლა არ ჩანს.
- ხმა — დაბალი ვერი
გაინაპირეს და შეზღუდეს ჯავშნიანებმა.
- ელიზენდა — მართლაც, მარადა, გამთელავეენ ნაცარში გართხულს.
- მარადა — მცველნი სადა გყავს!
- ელიზენდა — აქვეა (ეძახის) ო, ადამის შეილნო!
დედისეული კაბა, — ჩქარა!.. და... კრეტსაბმელიც.
თავის ნაჩუქარ განძით მიცნობს!
(შემოდის ღეთის გლახები და ორი ზანგი, რომელთაც მოაქვთ სამოსი,
კოლოფი და მოწიწებით გადასცემენ ელიზენდას. ზანგები მიდიან. ელი-
ზენდა იკაზმება მარადას დახმარებით. ახლოდგება მეფის ამაღლის ხმები)
- მარადა — ვირქაროთ!
- ელიზენდა — მეონი მოვათავე. საღებავი მძაგს.
- მარადა — მთვარეს ცაში სვლა შეენის შიშველ, მოწმენდილ სახით.
- ელიზენდა — მოვერთე მისი ყურადღების მოსაპოვებლად
გულს რარიგ მწვავს, რომ ის არ ნაღვლობს ღეთის რისხვის
ნიშნებს.
თავის მოკვლას კი არ მანებებს ღმერთი და რჯული.
- მარადა — პოი, რა ენით დაგარიგო!
- ელიზენდა — მეგობარი ხარ,
მეგრამ დეღვაში საჭეს მართვას ანდობენ მხოლოდ
ცოდნას და არა მეგობრობას... აქ ჩაერევა
ჩემი მფარველი ანგელოზი, ცა, დედამიწა.
ყველა თავისას მოთხოვს ჩემს სულს, გულს, ენას, სახეს...
- მარადა — არ გარგებს მეფის კიცხვა, გამართებს ტბილ სიტყვით
ტყვენა...
(მისალმების ხმები. შემოდის მეფე მხლებლებით. მათ შორის თბილელი,
ჯაშაყე და ევგარი)
- დემეტრე — კეთილებია ამ ქუჩაზეც!



- ელიზენდა — (წინ წაიწიეს) დიდო ბატონო!
- დემეტრე — (მხლებლებს) უთხარით ასულს გვერდზე დადგეს — **სიმრავლე**
გვახსლავს.
- ელიზენდა — (მწარედ) გემორჩილები. (ნელა იხვეს უკან)
- დემეტრე — ეს ვინ არის?
- ჯამბაკე — საქართველოზე
ზოგჯერ ცა სკდება და ვარდება დაბლა ციერი.
- დემეტრე — უთხარით იხვე შენგებობს.
- ჯამბაკე — გესმის, ასულო!
(ელიზენდა შეჩერდება, თავს დახრის, სხვათა კანზე გადაგებთან)
- დემეტრე — ნაცნობია ეს სამოსელი და სამკაულიც.
- ელიზენდა — მისთვის მოვისხი.
- დემეტრე — მაგონდება, რომ კრეტსაბმელი
ასეთი თვლებით ეგვიპტიდან ჩამოვიტანე
და პატარა არსს გაგუგზავნე, უფლისგან რჩეულს.
- ელიზენდა — მახსოვს, მე ვიყავ ის პატარა.
- დემეტრე — (მხლებლებს) აქ შევისვენებ.
- ხმა — გადაეღობოს ჯარი ერს, ბრბოს.
- დემეტრე — ვერ შეგიცნობდი
- ელიზენდა — ვგებ დრო-ჟამში დამიფიწყეთ.
- დემეტრე — არა, ნიადაგ
თვალწინ რომ მიდგა ის სახე და დღეს ასე უცბათ
წარმომიდგე, მით დავიბენი. ის იყო ბავშვი...
მესმოდა თბილისს მხოლოდ შაშინ მობრძანდებოდ
რომ შენი რჩევით გაგზავნილი მოღვაწეთა გუნდი
დაბრუნდებოდა წმიდა ძელით...
- ელიზენდა — დღეს სამწუხაროდ, ბედმა მიმტყუნა.
- დემეტრე — სამაგიეროდ ვიხილეთ სხვა საკვირველები.
- ელიზენდა — რომელი, მეფე!
- დემეტრე — იმ პატარას რარივ შემატა
ასეთი ტანი ბრმა ბუნებამ, რარიგად შეძლო
იმ რჩეულ სულის შესაფერად ზრდა სისხლ-ხორცისა.
- ელიზენდა — მე სულ უმწეო ასული ვარ.
- დემეტრე — ვიცი ყოველი
და თანაგრძნობით დაგხვდი, თუმცა ეჭვის წლის გასწვრივ
ერთხელაც ვერა გპოვე სახლში — ბედის მუხთლობით.
- ელიზენდა — გაგვახსენებდა ჩვენ შეხვედრა იმ წმინდა საქმის
შემდეგ ჩადენილ შენს ცოდვებს და შეგვაშფოთებდა
მისთვის ვერ დაგხვდი, ბედს ნუ ვრჩი.
(შემოდის დედოფალი ნათელა ფარეშებით)
- ნათელა — მთელი სასახლე გნატრობს, მეფე, და ვხედავ ასულს
გაურკვია ვრი. თუმცა პირველად ვხედავ, —
ვცან ვინც არის და... შენთან ერთად მეც თანავუგრძნობ.
- დემეტრე — საკვირველია, — აქ მხედები იმ საქმეთა შემდეგ,
რაც ჩემს ლოცვის ჟამს ჩაიდინე!
- ნათელა — რა ბრალს მიყენებ?
- დემეტრე — ათარეშებდი ბეჭას რაზმებს, ხმას ყრიდი თითქო

- ცოცხალი ტაძრით ვერ გამოვალ. ურს პირდებოდი, რომ ჩვილ ძეს მეფედ აკურთხებ და შენს თავს მზრუნველად...
- ნათელა — ასეთ ჭორს ყურში ნუ შეუშვებს დინჯი შეუფხვნილი...
- დემეტრე — ო, გაგვა ცხვირის გაფითრებამ! გარნა არ ვღელავ, დიახ, ასულო, განვაგრძოთ, — ჩანს მიკიციინებდი ტანტის შებილწვას და არ შემხვდი?
- ნათელა — ის წარსულს გაპყვა.
- დემეტრე — ასულო, შენგან ვისმენ არა მარტო ბაგით თქმულს ღალატით, სახით, ტანით, მთელი სიცოცხლით, შენი დანახვით ღვთაების წიგნს თითქო ვკითხულობ.
- (შემოდიან ტფილელი, ფილიპე, ვეპარი)
- ნათელა — მეც მომწონს და ღვთის რძალ-მონაზვნად შევაკვეცინოთ.
- დემეტრე — ეგებ სჯობს მოკლა, — ღმერთთან უფრო მალე მიადწვეს.
- ნათელა — მოწყალე ბედით, რა წავიდნენ სხვა დედოფალნი, ვით ქრისტიანი აწ ვერ მომგვრი ზიარ დედოფალს...
- დემეტრე — თუმცა ღიქნიდი ოლთაჯს მეტად ყანის შიშით, დღეს რა დავამხე, სათათრეთი, ბექას ასულო, ძალა-უფლების ფესვს იმაგრებ ჩემ მოსათხრელად. რათა მთელ ერზე შენი მამა გააბატონო. მაგრამ ცბიერის ნაქსოვს არღვევს აწ ანგელოზი.
- ნათელა — რა ღირსებით რთავ ელიზენდას?
- დემეტრე — ბრმას ვერ ვაცნობებ ცისარტყელას ფერს.
- ნათელა — მეც შენებრ მომწონს. სულით, გულით...
- ელიზენდა — მეფე დემეტრე!
- თუმცა მადიდებ, შენს გამგონეს გული მეღევა. მე გავექვც მტერს ერთად-ერთ ძმით და, რადგან ცისკენ კიბე არ არის, შენ მოგმართე ამოწყვეტილმა. და ძლივს ამ ქალაქს მოვადწიე, აქ კი ქვეყნის ხმამ შენ გაგამელაენა ესდენ ცოდვა-დანაშაულში, რომ ძმით, ჩემ პაპის აშენებულ ტაძარში შეველ. იქ ცრემლით ებანდი კეთროვან სულს და იმ ლოცვაში დაიქცა უცბად ტაძარი და ძმა დამეღუპა... შემდეგ გეძებდი მტერზე შურის საძიებლად, მაგრამ მაცნობეს, რომ დაყრუვდი უმწეოთათვის და შევიმოსე უკანასკნელ შეძენილ განძით, გლოვის უწყსოთ დარღვევისთვის კიცხვა მერგება, შენ კი ალგზნებით გუნდრუკს მიკმევ.
- ნათელა — ავი სიტყვაა.
- დემეტრე — მართალი გულის ნაჟურია.
- ელიზენდა — შენ გული შეგრაჩა?
- დემეტრე — რა აზრით მკითხავ?
- ელიზენდა — როს პირველად გიხილე, მეფე, გვაგდა ასული ვქესიოდ წლის, სამეფოს თვალი, დღეს კი გავიგე, ის გიძღვნია გველემშაპისთვის, — და უმანკოსთვის გულზე ჯვარი აგიგლეჯია, რათა ურჯუემა სჯიჯნოს და წრთენას ჯოჯობეთისთვის.



- ნუთუ კაცური წმინდა გრძნობა აღმოგფხვრია და
წრფელ გულის ნაცვლად დაგრჩენია მხოლოდ სიტყვები.
- დემეტრე — ისეთ ჭირში ხარ ჩემსას ვერ ცნობ.
ნათელა — (ტფილელს) გვიხსენ, მამაო!
ვევარი რად სდუმს?
- ევაგრი — თქვენს ბჭობაში გჭვი ავიღე,
ვაგი, ვინც სიკვდილს გადაურჩა ეგების ძმია
ამ ასულის.
- ნათელა — მეც ვფიქრობ, ევაგრ.
დემეტრე — ფიცხლავ მოგვევარე.
(ევაგრი მიდის)
- ტფილელი — მე გთხოვ, ასულო, ნუ აყვები ნაღველს, დამწვიდდი.
ელიზენდა — თუ ყურს დაუგდებთ ვრი ამბობს, რომ მთელ ქალაქის
კედლებში ისმის წივილი და გაბმული ძრწოლა.
- დემეტრე — რისგან, მიწის ძვრით?
ელიზენდა — ამბობენ, რომ ვაჟს ცამეტის წლის
ასულის გმინვას.
- დემეტრე — გაგება გსურთ — ვკითხოთ ღვთის გლახებს.
მათ თვალ-ყურს ვერა დაემალვის.
- ნათელა — არ გეკადრება
ღვთის გლახაკები დაიმოწმო.
- დემეტრე — გესმით გლახაკო!
ღვთის გლახაკა — ჩვენ ცალი ყურით მეტი გვესმის ბრბოს ათას ყურზე.
დემეტრე — მე ანგარებით გავატანე თათარს ასული.
აუხსენით, რა ცეცხლზე ვბრუნავ!
- მარადა — ჩვენ მას ღრმად ვგლოვობთ.
იაკობი — დღე და ღამ ვგოდებ უბედურზე.
მაქსიმე — პირდაპირ რომ ვთქვათ,
მეფე მალალო, ელიზენდა მთლად მართალია.
- ნათელა — რარიგ თავხედობთ, გლახებო, კაცთ ჩამონათალნო.
მაქსიმე — შენით იზრდება სამეფოში, ბექას ასულო,
დიდი ცოდვები!
- გლახაკთა ხმები — მეტს ამზადებ!
აცდუნე მეფე!
- დემეტრე — მე ვსასობ, რომ რუსუდანი მოაქცევს ბუგას.
ელიზენდა — ამაოდ ზრახავ.
დემეტრე — აწ, ადვილად გიტყდება გული,
წინათ კი, ბავუვი, ციურ ცეცხლით სულს გვინათებდი.
- ელიზენდა — მეფე, მას აქეთ, რაც ტაძარში ძმა დამედუბა,
თვალთ ამეხილა და ნათლად ვცნობ, რაზომცა სული
მალალოა, მეტს წვალობს ქვეყნად, არც ზეცა შველის.
- დემეტრე — დღეს მოხველ, მაგრამ ისე მძიმედ დაჭრილი, ზეცით
შთაგონებული აზრი გექცა მიწიერ ბოდვად,
და მსურს გიბოვო ჩემ მკურნალ ბავშვს — მალამო, მაგრამ...
შენი ჭრილობა ზეცაშია.
- ნათელა — აჰა, მე ვხედავ
მცირე ყრმა მოყავთ, რომელიც ჩვენ მკედარი გვევონა.



- შენ საეჭვოდ სცან და დოსტაქარს გადაეც, მეფვე,
მან მოაბრუნა, აგერ მოყავთ.
- დემეტრე — რად შეფორხილდა?
(მეფე მიღის ბავშვისკენ. ელოზენდა გამეშვებულა)
- ნათელა — ო, ზედავ, მეფემ თავის ხელით წამოაყენა.
(შემოდის ევაგრი)
- ევაგრი — მეფემ მაშინვე ინახულა ტაძრის ნანგრევში მოყოლილი მსხვერპლნი,
არავის მოაკლო ყურადღება.
- ელიზენდა — ტაძრის ნანგრევიდან გაიტანეს მკვდარი ჩემი პატარა ძმა!
1 ღვთის გლახა — ჩვენ ვილოცებთ მისთვის, შე საცოდავო.
- ელიზენდა — ვინ ილოცებს ჩემებრ მსურვალედ!
2 გლახა — ჩვენი ლოცვა სჭრის.
- ელიზენდა — გამეცალეთ, ვინ უწყის, სად დამარხეს, მე გადავთხრი
საფლავებს!
- ევაგრი — ერთი მათგანი მკვდარი არ ყოფილა, მოხლოდ გული წასვლია...
დოსტაქრები ერთ ადგილს უთითებენ, — იქ რაღაც
მოხვედრია და დაბრუნებულაო.
- ელიზენდა — რომელი ბავშვი მობრუნდა?
ევაგრი — აი, მოჰყავთ.
- ელიზენდა — სად?
ევაგრი — მეფესა ჰყავს მკერდზე არქმული.
- ელიზენდა — კახაბერის სამოსელია!
(შემოყავს მეფეს მკერდზე არქმული კახაბერი. შემოდის ერმანოს)
- დემეტრე — ზედავ შენ დას, ეამბორე. (ჩამოსხამს ვაჟს მკერდიდან)
- ელიზენდა — არ ღირს-ვარ, მეფვე!
- დემეტრე — მე ვნახე ყველა მიწისძვრისგან დაშავებულნი,
მადლს მიცხადებდენ, დიდ ფასს დებდენ ჩემს თანაგრძნობას,
მე კი ნამდვილად ვერ ვშველოდი უბედურებს და
მეფობას ჩემსას თვითონ ვგრძნობდი ფუყე დიდებად,
თუმცა საცდელის არ დაკლებამ ზოგი კეთილი
ნაყოფიც მოგვცა.
- ელიზენდა — ახლა ვხედავ, რომ ყველაფერზე
დიდი განძია სულგრძელობა.
- დემეტრე — შენს მწარე ბედში,
ელიზენდ, განძად სულგრძელობის აღიარება
კეთილად გამხელს, — მახსოვს წმინდა გქონდა ღიმილი,
ცრემლით წმინდა გაქვს.
- ელიზენდა — გულს მიმიძიებს უღირსი ქება...
დემეტრე — ქების მოსმენა უმძიმს მხოლოდ ქების ღირსს.
ელიზენდა — არა...
ჩემს ნამდვილ სახეს ვუკვერ სიმწრით.
- ევაგრი — ოჰ, როგორ არა,
ქებას უღირსნი ეძიებენ.
- კახაბერი — ელიზენდ, იცი?
აქ ჭრილობა მაქვს შეხვეული.
- ელიზენდა — გტკივა?
კახაბერი — სულ არა.



- ელიზენდა — კახაბერ, ძვირად დაგაფასე და ახლა ვხედავ...
 მე და შენ იცი, რა ვართ, ორი პატარა მტვერი...
 ჩვენ ერთმანეთის სიყვარულით ქვეყანა ვიწროთ...
 შემოვისტკეთ და გარეთ დაგვრჩა ქვეშარიტება...
 ეწვალობთ ნაჭუჭში, მე მრცხვენია უსუსურობის.
- დემეტრე — ძვე, მე მიაბეხე პაპის ხმალი რა მოწინააღმდეგე
 წამოვიღიათ.
- კახაბერი — დიას, ვჩქარობ წამოვიზარდო,
 მის ღირსი გავხდე.
- დემეტრე — ჩანს, გაზრდას მისთვის ნატრობ, რომ იმ რვალით შენს
 მტერზე შური იძიო.
- კახაბერი — ის მხოლოდ შენ გეშასხურება.
- დემეტრე — შენს გაზრდას მე თუ ვერ მოვესწარ?
- კახაბერი — წმინდა თამარის
 მემკვიდრე შვილად, საქართველოს სიწმინდე რჩება.
- დემეტრე — შენ რა იმედით იკადები.
- კახაბერი — მე მაქვს სიმართლის.
 იმედი, მეფე,
- დემეტრე — შენ იცი, რა არის სიმართლე?
- კახაბერი — რაც საფლავიდან მკვდრებს აღადგენს.
- დემეტრე — შენ, ყრმაო, უნდა.
 გაიზარდო. ზოგ წუთს ქვეყანა მოგვეჩვენება
 არარაობად, მაგრამ ოდეს ნიშანს მადლისას
 მოზარდში გპოვებთ, გეწამს რომ არის ღმერთი და კაციც!
- ელიზენდა — წელან ღვთის გლახებს, ვაშფოთებდი გმინვით, ისინი
 ცნობენ დიდათ ღმერთს ქვეყანას და თავს მის ნაწილად
 მე კი ახლა ვგრძნობ, როცა ბედმა გამათამაშა.
 რა უბადრუკი იქნებოდა ღვთის ქმნილება, რომ
 სამყაროს ღვრძი იყოს მხოლოდ ჩემი ცხოვრება...
 და მაინც გთხოვთ, ვით ცოდვილისთვის, — ილოცეთ ჩემთვის.
- გლახები — შენებრ ნატვრა ვის ახდენია.
- ელიზენდა — იშვიათს, გარნა.
 ბედნიერება სულმოკლეა, მოშიშარია,
 ის არის მეტის-მეტად თავის მოსიყვარულე;
 ალბათ, მე მისთვის გთხოვთ თავხედათ, რომ ტანჯულებმაც
 ჩემთვის ილოცოთ... და რით გიზღათ?
- გლახა — კეთილი საქმით.
- ელიზენდა — თუ საქმით, თქვენთვის მოწყალეობას ვიღებ, გლახებო, —
 ქვებით მოჭედოლ სამკაულებს და ბეჭდებს ვიძრობ,
 ყელით აღმასებს ვიხსნი, თმიდან ლალ-იაგუნდებს, —
 გიბნევთ, აკრიფეთ, გაიყავით... მე არ მჭირდება,
 რადგან მიწიურ მთელ სიციცხლეს ძმის აღზრდას ვწირავ.
 მართ ღვთის ჯურის პოვნის ჟამს გეტყუმროთ.
- ხპასპეტი — საით მიილტვი?
- ელიზენდა — მთიელ ძიძასთან.
- დემეტრე — ვით გაგიშვებ ძირ-ბუდე მოთხრის:
- ელიზენდა — თუ აქვს ღვთით ჩემ ძმას ჩასახული არწივის ძალი.



წამოეზრდება ჩემი ზრუნვით საკადრი ფრთები
და თავის ჯამიც დაუდგება.

დეკლარაცია —

სიანს არ გწამს აქ ხსნა.
მართლაც, აქამდე ნებას ჩემსას მტრები ბოჭვადებ,
რადგან სიკეთის აღივებას ძალა სჭირდება.
ბოროტება კი კაცთა შორის თავისით იყრის.
მაგრამ დღეს ძალმიძს მტრებს მოვეითხო.

მლიჩენდა —

არა ერთს ვუფრთხი.
მაშინებს არა ავადმყოფი, არამედ სენი.
ზნეობის მღრღნელი ტირი მთელ ერს ემუქრება დღეს.
ვესავე, ოდესმე, იმ ქვაბიდან ხიდი გავაბა
შემავრთები სადმე კეთილ დარჩენილებთან,
რათა დიდი ღვთის დახმარებით ერთად გავქედოთ
ჭური, რადგან ზორც დაწყულულებულს მალამო კურნავს,
ხელს კი მახვილი.

დეკლარაცია —

რა მადლი გმოსავს, რომ მთის ქვაბში კაეად მიდიხარ.
ჩანს, აბულეთმა მძლავრ ფუტეზე აიგო სახლი,
ასე რჩებათ ძველ სამეფოთაც წმიდათა-წმიდა...
მხოლოდ თათართა სახელმწიფო ინგრევა ისე,
რომ მის ნანგრევზე სათნოება მუხლს არ მოიყრის.
ზღუდეთ დამქცევენი, კაცის თაუთა ყორებს აგებდენ,
თვით ურწმუნონი, აქარწყლებდენ სხვის სიწმინდეებს,
სიბრძნეს ესხმოდენ ვერაგობით, გულს შიშით ხრწნიდენ.
არ შემოიქმედნი, სხვის ქმნილებას ხმარობდენ ჭურად...
მაგრამ კეთილმა ძლია ბოროტ ბნელეთის ურდოს.
განხეთქა იგი ჩანერწყვილმა უზომო ცოდვამ,
იწყოს სიკვდილით გაზმორება.

მლიჩენდა —

გასაწმენდია,
ვით ვთქვი, ჩვენში მტრის ნაკვალევი.
რა საშიშია

კუდი გველისა, როცა თავი მოკვეთილია.
(შემოდინ ღვთის გლახები. მათ შორის მარადა)

1 გლახა —

ო, გაგახაროს ღმერთმა, უხეად დაგვასაჩუქრე
თუმცა ამისთვის ბოროტებმა გვეცემეს, გვაგინეს!

2 გლახა —

რაც შენ გვიბოძე, ნახევარი განძი წაგვართვეს,

მარადა —

სულ მოუყვით!

3 გლახა —

დედოფალმა ქუხილით ბრძანა,
თითქო ამ უხვი გაჩუქებით აბულეთელმა
სპეტაკნი მიგვეცა ცდუნებასა შემოეწურელს.

მარადა —

სრული სიმართლე მოახსენეთ, ნუ დაუფარავთ.

1 გლახა —

ვევლგან ისმის, რომ დედოფალი ძირს უთხროს მეფეს.

2 გლახები —

ჩვენ გვეჯერა, ღვთისგან ეს დედოფლად მოვლენილია.

მარადა —

მრწამს, სამეფოში ჩამოიტან შენ ზეცის ნაწილს.

დეკლარაცია —

თქვენ აქ ამისგან რაც მიიღეთ, მე მეტი მარგეთ,
მით, რომ სიკეთით აგზნებული სული მანახეთ,
გადარეული მადლით, როგორც სამოთხის წყარო.



- გლახები — შენს მტრებს დაფწყველით, ჩვენო კაცად ნაწილო მეფევე.
(შემოდის კარისკაცი)
- სპასპეტი — ეს რა ხმაურობაა!
- კარისკაცი — მიწისძვრით დაზარალებულნი თავს იყრიან, დრტვინავენ.
მათ ვერ აკაგებენ, მეფესთან შეყრას მოითხოვენ.
- დემეტრე — გადაეცით, წყალობა მომაქვს.
(კარისკაცი მიდის)
- დემეტრე — შენ, ელიზენდა, სპასალარი გაგიძღვება და
შენი ამალით დიდ დარბაზში წაბრძანდი. მე იქ
სამართალს სწორს და შეუპოვარს გაგმართავ მტრებზე.
- ელიზენდა — გემორჩილები, თუმცა მიმიძის.
- დემეტრე — ქვაბში გახიზვნის
უამი არ არის.
- ელიზენდა — მეფევე, კვალად, კვალად დავფიქრდეთ.
(ელიზენდა, კახაბერი და მონები აპირებენ წასვლას)
- დემეტრე — (სპასპეტს) მტრებისგან მცველად დაუნიშნე
სანდო დარაჯნი.
(ცველა მიდის)

ფარდა

გაბრძელობა იმდობა

მეხიერ ჩაჩუა

თ ე თ რ ი ზ ა ძ რ ე ბ ი

თეთრი სანათლით მეცხება სული,
პირველი თოვლის სურნელით ვთვრები.
შგონია, ჩემი დიდი ხნის სურვილს
ამ დილას უნდა შეესხას ფრთები.
ნამძინარევი გული აბზევდა
და საალერსოდ ქვეყანას იწვევს.
რა სითეთრება,
რა სინაზება,
რა ქარმონია ცისა და მიწის.
რა დიდებულად გაშალა ფრთები
ამ დილამ, როგორც თეთრმა თოლიამ.
რა კარგები ხართ, მამულის მთებო,
უთქვენოდ ჩემს გულს არ უთრთოლია.
რას ჩურჩულებენ ახლა ნაძვები,
რას მევედრებით, თეთრო თელეზო?
ამ დილას უფრო მეტვირფასებით,
მეზობლებო და მოკეთებო.
მინდა ვარდივით,

მინდა მარწყვივით
თქვენს სახეებზე ვკრიფო ღიმილი
და სიყვარულმა გადამივიწყოს
ყველა წყენა და გულისტკივილი
მზეთ მაღალო,
ცაო ნათელო.
თითქოს პირველად გხედავთ ამ დილას...
უაზუვოდ და უსაქართველოდ
რა გამაცინებს, რა ამატირებს!
თეთრი სანათლით მეცხება სული,
პირველი თოვლის სურნელით ვთვრები.
გადაწყდა,
ჩემი დიდი ხნის სურვილს,
კარგო, შენ უნდა შეასხა ფრთები.
შენ უნდა იყო მზისკენ დაძრული
ჩემი ლამაზი ფიქრების მეგვლე...
დგანან ქედები — თეთრი ტაძრები
და სამშვიდობო ზარები რეკენ.

მოვდივარ... შუა ჩემი მეგზური...

დიდხანს ვიდექი სიჩუმის ჩრდილში
და ამ სიყვარულს შეილივით ვზრდიდი.
ბოლოს გავტებე კრძალვა და მიში
და, ჰა, ხმამალლა მოგამხი გზიდან;

მოვდივარ, მიცან შენი ურთგული,
შენი გუმანი და მიწის მუშა.
ძარღვებში მიდულს შენი ენგური,
შენი შავი ზღვა ხმაურობს გულში.

შენი ვარ, შენთვის ვიწვი და ვეძებ...
და მინდა მკვადარსაც შენ მიპატრონო.

შენ ერთს გაქვს ყველა უფლება ჩემზე,
ჩემო ყველაზე დიდო ბატონო!

მოვდივარ... შუა ჩემი მეგზური,
ცა დროშასავით ხელში მიჭირავს.
შენთვის სიცილი,
შენთვის წუხილი —
ჩემი ყველაზე დიდი ნიჭია.

გაუხედნავი ჭიხვინებს ცხენი,
მე უნდა გაეხდე მისი მხედარი.
დამკარ ბეჭებზე ვგ ცხელი ხელი
და შენს გემოზე გამახედვინე.

ტყვეთა ტყვე

რომანი

თავი მესამე

კნობს ჰამპელი ძალღივით ერთგული იმითომ კი არ იყო, რომ ლუკმა პური და ჭიქა წყალი სანატრელი გახდომოდა. იბრძოდა, სისხლს ღვრიდა, მაგრამ მისთვის სულერთი იყო მსოფლიოში ვინ იბატონებდა. ღმერთს ეს ორი ღღის წუთისოფელი მიუცია, რაღაც „აზრებით“ რატომ უნდა შეიწუხო თავი. ზოგჯერ თითქოს მასაც უჩნდება აზრი, მაგრამ კნობსი მას ბოლომდე არ მიყვება, გაეკიდები და დღეს რომ ერთი მოგაფიქრდება, ხვალ მეორე მოგეპრიანება, მერე მესამე და ბოლოს ისიც მოგინდება, რომ შენი ფასი კაცი ქვეყანაზე არ იყოს. თქვენ იყავით, ბატონო — ამბობდა თავისთვის ჰამპელი და აკეთებდა იმას, რასაც ეტყოდნენ. ვისთვისაც გინდოდა დაგერქმია უფროსი და მისი ერთგული იქნებოდა. ამდენი ერთგულებისათვის უბრალო კაპრალიზაც არ აღირსეს. ოთხჯერა დაკრილი. ბარძაყში, მთელი სირბილე გამოგლიჯა ნაღმმა როსტოვის მისადგომებთან. ფეხებზე თითებიც აკლდა. გერმანიაში სულს არავინ შეარჩენდა ომში წასვლაზე რომ უარი ეთქვა, თუ არა იქ არ ერჩია? აიკვიატებენ რაღაცას და მერე მთელი ცხოვრება უნდა გადააყოლონ. მერე იმ „აზრს“ სახელს გამოუფიქრებენ და აკ-

ლავენ და აკლავენ თავს. კარგი, ვინც მოიგონა პასუხიც აგოს, მაგრამ შე მაძაღლო, შენ ვერ დაეტყვი შენთვის ვითომ მამულები გექნებათ, მეფესავით იცხოვრებთო, ეს კი, მაგრამ თუ ისიც დაგატოვებინეს, რაც გაბაღია! კაპრალიზმა რომ არ მისცეს, ერთხანს გუნებაში ბრაზობდა, მერე ესეც დაივიწყა. ბოლოს ისიც იფიქრა, რაკი არ მომცეს, ალბათ ასე იყო საჭიროო. უფროსი იმითომ, რომ მეტი იცის. მეტი კი არა, ყველაფერი მან იცის და სულერთი არაა, უბრალო ჯარისკაცად იცხოვრებ, კაპრალად თუ ბურგომისტრად? თუ დაილუპე მითუმეტეს.

მას აქამდე ერთი რამ სწამდა, ერთგული ვიქნები და ამით თავს გადავირჩინო.

მაგრამ ჰამპელს მინც გაუჩნდა „აზრი“: მას აწუხებდა წყურვილი, წყურვილი და შიშშილი. კნობსი თუ ემსახურებოდა ვიღაცის აზრს და სურვილს, სჯეროდა, რომ აკმევედნენ, ჩააცმევედნენ და ჭერს მისცემდნენ.

ახლა აგერ-ობერლეიტენანტი ვაბერილი გდია გამოქვაბულის წინ და ჰაერს წამლავს. უნტეროფიცერი საღლაც ბილიკზე ჩაკლეს. ჰანსს ისედაც არ ცხელოდა კნობსისათვის და ახლა მით უმეტეს.

სამი ღღის მწყურვალ ჰამპელს „აზრი“ გაუჩნდა კვინიხთან ჩაყვებულ თავში და ახლა არ იცოდა პასუხი ვისთვის

მოეცოდა, თუ არა მოითხოვდა, კეთილი ენება და თუ აღტყვევებული ქვეყანა არა, წყალი მაინც მიეცა.

— კნოპს!

ჰამპელმა მალა იხედა. თავზე ყბა ყბაში გაცმული და თვალბში სისხლმოწოლილი პაუღუ ადგა.

— რა იყო? — კნოპსმა მზერა მოარიდა აესტრეილს.

— წადი და ჰკითხე „უფროსს“ რა ოხრად უნდა, ტყვეები რომ უყრია ამ ჭურღმულში.

— მე რა ვიცი!

— რომ არ იცი, წადი და ჰკითხე!

— შენ ჰკითხე!

— წადი-მეთქი! — პაუღუმ ფეხი წაჰკრა და კუდუსუნთან მტკივნეულად მოარტყა ჩეჭმის წვერი.

ჰამპელი წამოხტა და ხელი აეტომატს წამოავლო, მაგრამ ადგილიდან ვერ აიღო. სნაიპერ იოჰანს ეღო ზედ ხელი. შეატყო ველარ წაართმევდა და პაუღუს წინ გაეჭიმა. თვალბში რომ შეხედა, შეეშინდა, ხელის აღმართვა ვერ გაბედა და იყვირა, რომ ჰანსს გაეგონა.

— მე მყავს თუ?

— შე ჩერჩეტო, ვისაც ჰყავს, იმასთან წაეთრიე და უთხარი!

კარლი პირდაპირ მოდავეებს შუა ამოძვრა და პაუღუ ზურგს უკან დატოვა.

— დაეგდე მანდი! — პირში ჩასძახა ჰამპელს.

ბრეზენტმა გაიშრიალა და შემოსულის ამღვრეულმა თვალბმა მიახედა პაუღუ.

კაბრალი რაღაცის თქმას აპირებდა, როცა წამოვიდა, მაგრამ ახლა მიხვდა, მის გამოჩენას სიტყვა ვერაფერს მიუმატებდა. პირიქით, პაუღუსაც აყვირებდა, როცა ითქმება, ყველაფერი ითქმება, სათქმელი და საყვირალი კი ბევრი იყო.

დანიელი წამოადგა, შტუტესთან კოქლობით მივიდა და მუდარით თქვა:

— ჰანს, ღმერთმა დაგვიფაროს, ჰანს...

— მე რა შუაში ვარ? — ეკითხა კნოპსმა შემკრთალი ხმით.

ყველამ იცოდა, რომ ისიც უდახეშაულო იყო, მაგრამ მის მხარეზე მაინც აღარავინ იდგა და ახლა, როცა გაუპირდათ, მაინც მას მიადგნენ მის მაგივრად, ვისი ერთგულიც კნოპსი იყო.

ჰანსი გატრიალდა, მიძიმედ დაჰკრა ფეხი ტინის იატაკს და გავიდა.

— კარლ, მე რა შუაში ვარ?

— დაეგდე-მეთქი! — კარლმა მკერდით უბიძგა.

ჰამპელმა უკან დაიხია, ჩანთას წამოედო, შებოროძიდა, კედელს მიწვდა ხელით და კარლს თავი დაუქნია: კარგი, შენ დაგიჭერებო.

— კარლ, მე ხომ ვიჭექი! — ჩაიყვცა და ჩაილაპარაკა.

— მოდა, ახლაც დაჭექი.

დანიელი პაუღუს მიუბრუნდა. ორივე ხელი მარჯვენა მაჯაში მოკვიდა და თავისკენ წაიყვანა. სიღრმეში რომ შევიდა, მოიხარა და დამშვიდება დაუწყო.

— მოთმინება იქონიე, პაუღუ, მოთმინება, ღმერთი მოწყალეა!

— ღმერთი... — ხელი წაართვა და თავისი ადგილი მოძებნა აესტრეილმა.

— იმ უბედურმა რა დაგიშვა, — დაადევნა დანიელმა.

— ჩემთან რა უნდა... — იმ წამსვე წამოისროლა კნოპსმა.

— „რა შუაშია“, — „რა დააშვა“, ყოველ ძაღლსა და მამაძაღლს ლოკავს და ახლა რა, უწყლოდ ენა გაუშრა.

— მე ჯარისკაცი ვარ! — იმართლა თავი ჰამპელმა.

— კნოპს, გააჩუმე ეგ გამხმარი ენა! — არ აცალა კარლმა. — აქ ყველა ჯარისკაცია, — და რადგან იცოდა, პაუღუს მეტი ემხრობოდა, დაასრულა: — შენ კი მონა ხარ!

— მე მონა არა ვარ, კარლ, მე...

— რა შენი!

— მე... თქვენ... რომელმაც გაბედეთ ურჩობა...

— გააჩუმეთ ეგ მამაოხერი... — ამოიღრიალა პაუღუმ.

— თვითონ ვერ უთხრა... ვერ შეგბედა და ჩემთან რა ხელი აქვს. რად უნდა ტყვეები რომ უყრიაო... — ხმას ისევ აუწია კნოპსმა, რათა შტუტეს კარგად გაეგონა. — რა ვიცი მე რად უნდა, წადი, ჰკითხე და გეტყვის!

— ქალები გვინდა, პაულუ, ქალები, ღმერთმანი გვინდა! — ისევ მოზრუნდა დანიელი, — ქალები რომ არ გვეყავდეს, დაგვწყვეტენ... მართო ერთმა ღმერთმა იცის, რომ არ გვეყავდეს...

— დაგწყვიტონ, დასაწყვეტი ვართ და დაგწყვიტონ!...

— შენ შვილი არა გყავს, პაულუ!

— შვილი კი არა, მეც არ გავეჩენილიყავი...

— ღმერთმა ინება და გაჩნდი.

— ღმერთს მეტი არაფერი ჰქონდა საქმე!

— ეგ ღმერთს არ ზოგავს და მე დამინდობს? — აწუწუნდა ისევ კნოპსი.

— დაამთავრეთ, თქვენი ღელაც და მამაც... — შეივინა იოჰანსმა, ფეხი ჰკრა კნოპსის ავტომატს და გადაბრუნდა. — ასე ვიქნიათ, ერთმანეთი დაგიწყვეტიათ.

ვალტერს ნახევრად დამტუტულ ზურგჩანთაზე ეწყო ერთმანეთში შეცმული ხელები და ზედ ოლიმპიური სიმშვიდით ედო ნიკაპი. ერთხელაც არ აუღია თავი, ისე დაიწყო და დამთავრდა აყალ-მაყალი.

ჰანსმა იცოდა, ეს იყო გაჭირვება, რომელიც თუ დამნაშავე ვერ იპოვა, მერე მართალს დაატყდება თავზე. კნოპსი უფრო არ უყვარდათ, ვინემ სხვა, და სადაც უფრო სუსტი იყო რგოლი, ჯაპვიც იქ გაწყდა. ობერლეიტენანტს რომ აქამდე მოეღწია, კნოპსი პაულუს მხარეზე იქნებოდა. ობერლეიტენანტმა და უნტეროფიცერმა გაასწრეს და ახლა ჰამპელი ისრისებოდა. დაგროვდა ამდენი ტკივილი, წყურვილი და სიკვდილი, ნამდვილ დამნაშავეზე კი აქედან ხელი არ მიუწვდებოდა. კნოპსი არ იყო შუაში, მაგრამ ახლოს იყო. ეს ისეთი ბოლბა არაა, რომელსაც გულში გინებთ მოიხებ. იგი სისხლის ფასადაა

ნატკენი და სისხლით გაბანა მოაჩვენეს. ამდენი ხანია შხამად გრუოდებდა და უკვე აინთო. ახლა ჰანსს კდ არ ჩაუქმვრია, თავის ხელეუბრი მიაყარა და დაფარა, იგი კვლავ ბოლავს, მაგრამ დიდი ხანი არ გამოივლის, რომ ისევ იჩენს თავს, ისევ კნოპსში, ისევ ჰანსში, ან კარლში... მიზეზი არაა საქმის, მიზეზი ის არის, რომ აივსო ფილა, გადადინდა და ვისაც თავზე დაექვევა, სულ ერთია. გატენილია ნაღმი და ვინც წამოედება, აფეთქდება.

ქალები...

იცის პაულუმ, აქამდე თუ უდგათ გაძალღებული სული, ქალებითაა. ისიც იცის, ობერლეიტენანტს უნდოდა ტყვეები მიეცათ და გზა მოეთხოვა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. მტერი ტყვეებსაც დაიბრუნებს და გამოქვაბულსაც. იცის ეს პაულუმ, მაგრამ ფილა სავსეა და იღვრება.

შტუტემ გადაწყვიტა, თუ ამ ქვაბულს მოადგებოდნენ, ხელი არ შეეშალა, რადგან ქალებს მაინც ვერ გაიმეტებდნენ, ისე როგორც სიცოცხლეს ვერ შეეღოოდნენ და წინააღმდეგობის გაწევა თვითონ კაპრალისათვის იქნებოდა სახიფათო. შეიძლება მასზე ეძიათ შური და მერე დაფიქრებულიყვნენ, იქნებოდა თუ არა ეს შურისძიება სამართლიანი.

მომთინების ძაფი თვით კაპრალსაც რა ხანია გაუწყდა და ეს უბედური ტყვეები რამდენს ითმენდნენ. უფრო კი პატარა გოგო აოცებდა, მუშტივით შეკრული რომ იჯდა.

— ფროილანინ!...

— გავიგონე, რაც მოხდა! — თქვა ქალმა.

— მერე და რას ფიქრობთ?

— რა უნდა ვიფიქროთ. ჩვენს ბედს ხომ თქვენ განაგებთ.

— მაგრამ ჩვენ ახლა ერთნაირად გეტყვია...

— ჩვენ ახლა ერთნაირად გვწყურია, თორემ ტკივილით ერთნაირად არ გეტყვია.

— როგორც გინდათ, მაგრამ წყურ-

ვილი და შიმშილი ყველა ადამიანი-სათვის ერთნაირია.

— ეს მართალია, მაგრამ ჩვენ ჩვენი ნებით არ ჩავვიგდია თავი ამ ჯოჯოხეთში. თქვენ ჩაყარეთ ამ ჯურღმულებში თქვენი თავიც და ჩვენც, მაგრამ წყალი ყველას გვინდა. ყველაზე მეტად ამ ბიჭს, რომ ორი სიკვდილით არ მოკვდეს.

— წყურვილი არც თქვენ დაგინდობთ.

— ვიცი, მაგრამ რა ვქნა, მე ჩემი სისუსტეც მეყოფა. ალბათ დავაშავე, რომ მოვითხოვე წყალი და არ ჩანს. რა ვქნა, თქვენ გაამტყუნებთ, რომ არ მოგვეცენ?

შტუტემ არაფერი თქვა.

— მე გერმანელებისათვის მოვითხოვე წყალი, — განაგრძო ტყვემ, — რომ მომპოვებინდეს, ძალა მოიკრიბოს და კარგად დაუმიზნოს თოფი იმას, ვინც წყალი მიაწოდა, არ ვიცი, იქნებ ეს დალატს უღრიდა.

ჩანს ამ ქალთან სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდა.

გარეთ შვებ სხივები აკრიფდა, მხოლოდ მწვერვალებს შერჩათ ბრაზივით სიწითლე...

სალამოვდებოდა.

თავი მეთხუთხეტი

მალე თავზე წამოხურული კლდის ზემოდან მოისმა:

— თავი!

— თა-ჯი-ჯი-იი! — აიტაცეს ქვაბულებმა. ამ ხმამ სად და როგორც მიუსწრო, ყველა ისე დარჩა გახევებული.

— იძახიან, — თვალუბი გაახილა დაპკრილმა და ქუთუთოების დაუხამხამებლად პერს მიაჩერდა.

ახლა ყველამ იცოდა, თავი ვის ერქვა. მაგრამ ეს უბრალოდ სახელი კი არ იყო, ამ ოთხ ბგერაში იყო რაღაცის იმედიც და საბოლოოდ წყურვილით მოშთობაც. ეს ოთხი ბგერა იყო შუამავალი სიცოცხლისა და სიკვდილის შუა.

ყველა სმენად იქცა, რომ გაეგონათ, როგორ ადგებოდა პატარა ვოკოტ და გავიდოდა მოედანზე. ვოკოტო, რომელსაც ახლა ქალმერთის ძალა ჰქონდა.

თავი გვირაბიდან გარეთ გამოვიდა. როცა დააპირა დაეყვირა, პაერი ვერ ჩაისუნთქა. მოედანზე დაყრილ მიცვალებულთა სიმყრალემ ერთხანს ხმა არ ამოაღებინა.

— აუ! — გაეპასუხა ბოლოს.

— აუუ! — ჩამოსძახეს მაღლიდან.

— აუუუ! — აბუბუნდნენ ხეები.

— აუუუ! — თითქოს არაჩვეულებრივად დიდხანს გუგუნებდნენ მთები და იმეორებდნენ — აუუუუ!

მტერი და მოყვარე ერთნაირად უსმენდა მწვერვლების გამოძახილს, თითქოს და ეს ხმა კაცს კი არა, ღმერთსაც უნდა გაეგონათ და ჩურჩულით არ ითქმებოდა. ამ ამბავთან ადამიანი უღონო იყო, უილაჯო. თვით ამ მიწას, კლდეს და წყალს უნდა ეთხოვა ცისთვის ნებართვა. ღმერთი უნდა ყოფილიყო დიდი, მართო სამართლიანი კი არა, ან უსამართლო, არა იმდენად დიდი, რომ უნდა აეწია იმათი ცოდვაც და მაღლიც ისე, რომ სასწორზე არ დაედო.

ზევიდან ისევ მოისმა:

— თავი, უთხარით, აიღონ წყალი.

თავიმ კარგად გაიგონა, მაგრამ ყურებს არ დაუჭერა.

— რას ამბობ, თუთარ?

— ერთი გერმანელი ჩაუშვან წყაროზე!

— როგორ?

— როგორ და ორი ქვაბუნა ჩაიტანოს. ერთი თქვენთვის, ხომ გესმის, ჩავიდეს, ჩვენ არ ვესვრით.

ახლა ვახო ჩაერია:

— თქვენ არ მიუტანოთ მაგ წყეულებს წყალი!

— არ მოკლავთ?

თუთარმა ტუჩებზე ორივე ხელი მიიღო:

— ჩვენ ვუშვებთ, რაღას მოკლავთ, გუცას უთხარი, თავი!

— ვეტყვი!

— ვინც წყაროზე ჩავა, იარაღი არ წაიღოს, გეყურება?

— მესმის.

— თავდაღუნული იაროს, მარტო წინ იხელოს ფეხებთან, ხომ გესმის?

— მესმის, თუთარ!

— თავი რომ ასწიოს, იმწამსვე გავაცივებ! — არ მოუთმინა გულმა ვახოს.

— ვეტყვი.

— ამის მერე უჩვენოდ არ გაბედონ სროლა.

— ვეტყვი.

— მაგ ოხრის შვილები რამდენი არიან — ისევ ვახოს ხმა იყო.

— შვიდი-რვა.

— რატომ შვიდი-რვა?

— ერთი დაჭრილია.

— გადარჩება?

— რა ვიცი... არა!

როცა თავი ქვაბულში შებრუნდა, დაჭრილის მზერა შეეგება და ისეთი შიშინანი ძრწოლით მიაცილა გოგონა გუცამდე, თითქოს შემოსულს თავზე წყლით გალიცლიცებული გომი ჰქონოდა დადგმული. გოგონა რომ რაიმეს წამოდებოდა და წაბორძიკებულნიყო დაჭრილი ალბათ მაშინვე სულს გახურებდა.

როცა გუცამ გერმანელისაკენ მიიხედა, დაჭრილმა ქუთუთოები დახუჭა. მეორე გვირგვინის ყურგაწეულ ბრეზენტრიდან თორმეტი მწყურვალე თვალი იმზირებოდა.

— ვინმე თქვენთაგანი წავა და ამოიტანს ორ ქვაბუნა წყალს.

ჰამბელს შუბლზე ცივმა ოფლმა გამოეონა, გაიმართა და მალა თავი მიართყა, მაგრამ არ ტყენია. ახლა აღარც წყუროდა კნობსს, აღარც სხვას, გარდა დაჭრილისა, ყველას გაუნეღდა წყურვილი.

— არ გესვრიან — თქვა ქალმა.

— აჰ?

გუცა ვერ მიხვდა ვინ თქვა ეს ერთი „აჰ“, ალბათ ყველამ.

— არ გესვრიან! — გაიმეორა მან.

— ჩვენ თქვენ ვერ გავათავისუფლებთ! — მტკიცედ თქვა კაპრალმა.

— ვიცი.

— ეს იმათ უნდა იცოდნენ.

— იციან.

— თქვენ ეს არ ვითქვამთ?

— არა.

— უთხარით.

— ისინი ამ პირობას არ თხოულობენ.

— მაშინ რას თხოულობენ ჩვენგან?

— უიარაღოდ წასვლას და თავაუღებლად, მალა აუხედავად სიარულს.

— რომ არ დაინახო საიდან წამოვი სიკვდილი — დაიხლიჩინა პაულუმ, ზიზლით შეხედა ტყვეს და მიიმალა.

მტუტე გაჩუმდა. წამოდგა, კედელს ბეჭით მიეყრდნო, ჩაფიქრდა, ახლა ბაუშინამა ამოიღო ენა:

— არ გესვრიან, ჰანს, ჰე ვიცი: ფრილიან, უთხარი, რომ არ გვესვრიან.

— ავი ვუთხარი.

— კიდევ უთხარით დაიფიცეთ, ფრილიან, დედა დაიფიცეთ.

— კლაუს, მე მჯერა, — თქვა კაპრალმა. წელზე ჰამარი მოიჭირა, მთავარ გვირგვინს გასასვლელად მოემზადა.

— ჩქარა, ჰანს!

— მივდივარ, კლაუს!

— ჰანს, შენ სად მიდიხარ!

— უნდა მოვილაპარაკოთ.

— მოილაპარაკეთ, მაგრამ შენ არა...

— კლაუს, შენ ხომ გჯერა, რომ არ მესვრიან?

— კი, ჰანს...

— ჰოდა, სულ ერთია ვინც წავა...

— ჰო, სულ ერთია, მაგრამ სხვა ვინმე, შენ ჩემი ხათრი თუ გაქვს, ნუ წახვალ...

— ნუ გეშინია, არაფერს დამიშავებენ.

— ვიცი, ჰანს, ვიცი, ასეთ ღროს მეც არ ვესროდი.

— ჰოდა...

— მაგრამ, ჰანს, უნებურად რომ ზევით აიხედო, ან ფეხი რომ დაეცდეს და გულალმა დაეცე!

შტუტე ბიკს დააჩერდა. მერე როცა ასწია ფეხის ქუსლი ნაბიჯის გადასადგმულად, ბაუშანმა ისევ შეაჩერა.

— ჰანს, შენ ობერლეიტენანტი არა ხარ, ვიცი ვერავის დაავალებ, მაგრამ კენჭი მაინც უყარეთ, შენ რომ არ შეგხედეს წასვლა შე ვილოცებ.

— კენჭს ვუყრით! — თქვა კაპრალმა და გადახტა, რომ გვირაბებს შორის მანძილი ისე გადაერბინა, როგორც ამას საერთოდ აკეთებდნენ.

— თაში მახათი

— არა, არ გესერიანს! — ამბობდა კნოპსი, — რაკი თვითონ თქვეს, ჩვენ ძალა ხომ არ დაგვიტანებია. — ამით თავის თავს ამედებდა. ეგონა შტუტე მაინცდამაინც ხელს მას დაადებდა.

— შენ არ ესროდი? — თქვა იოჰანმა და ჭუტა, მუხუდოს კაკლებით წვრილი და ნემსივით გამჭოლი თვალებით ახედა მალლა ჰამპელს.

— მე... მე... ჩემთან რა გინდათ, მე ხომ არ მითქვამს, როგორ მოვიქცეოდი. თუ მეტყოდნენ ვესროდი, თუ არაღი არა.

— იოჰან, ისინი სხვა ხალხია, — იმედინად თქვა ვალტერმა, ყველა მიხვდა, რომ მან თავისი სურვილი გაამხილა ხმამაღლა.

— მაინც რანაირი? — დაგუდული ხმით წამოიძახა პაულუმ.

— რანაირი და სხვანაირი. — კნოპსს უნდოდა ახლა პაულუს შერიგებოდა, ყველაფერი ეპატიებინა, ბოდიშიც თვითონ მოეხადა, ოღონდ ახლა, ასე ხელადებით, არ გაეშვათ წყლის ამოსატანად.

— უნდა დაიფიცონ, ფიცი უნდა მოგვეცეს! — თქვა კუთხეში მიყუყულმა დანიელმა.

— რომელ ხატზე გირჩევნია, დანიელ! — ამოიბრჩინა კარლმა, — თუ გინდათ ჩადით, თუ არა, არავინ გეხვეწებათ.

— არ გვეხვეწება — გაიმეორა, დანიელმა.

— ვინ შეგეხვეწება!

— აქ ღმერთი არ სწამთ, დანიელ!

— ვიცი.

— და ენდობი?

— ძნელი სანდოა კაცი, რომელსაც ღმერთი არ სწამს, — ბრუნეტის ყური გადაიწია და ქვაბულში კაპრალი აღიშარბა.

ყველამ ნაუცბათევად მოქებნა თავისი ადგილი და მიწვა, თითქოს თუ ფეხზე დამდგარი დარჩებოდა, კაპრალი ეტყოდა, რას დაყუდებულხარ, წადი და წყალი მოიტანეო.

ხმის ვალებსაც კი ეშინოდათ, რომ შტუტეს არ ეთქვა: — ენა გაგმრება ამდენი ტარტარით, ადგი, წყალი მოიტანე და დანარჩენი მერე თქვიო.

ჰანსმა გამოკვებული მოათვალღერა და ვისაც თვალი დაადგა, წელში ისე გაიზნიქა თითქოს წელკავმა გაუარაო.

დანიელმა დაუკენესავად ვერ გაუძლო ამ სიმძიმეს და აღმოხდა:

— ღმერთო!

— კენჭი უნდა ვყაროთ! — თქვა კაპრალმა.

— აჰ!

— რაო?!

— რა თქვა?!

— ყურები დამებუგა!

— აჰ?!

გაიგონეს, რომ კენჭის ყრაზე ითქვა, მაგრამ ვერ გაიგეს შტუტეც იყრიდა კენჭს თუ არა.

ჰანსს რომ არ ეყარა კენჭი, აიძულებდნენ, მაგრამ კაპრალს შეეძლო რომელიმე ამოერჩია. მანამდე არავინ არ იქნებოდა მომხრე, ვინმე ასე ხელადებით გაეგზავნა, მაგრამ თუ დასახელებდა, მერე ყველა დანარჩენი კაპრალს მიემხრობოდა და ამ მხარდაჭერით ხიფათს თავიდან გადაიძვრუნდნენ.

შტუტეც თუ იყრიდა კენჭს, მათი რიცხვი ერთი კაცით იზრდებოდა და

მოსალოდნელი უბედურება მცირდებოდა.

- კენჭს ვიყრიით!
- ვიყრიით!
- ვიყრიით!
- კენჭს ვიყრიით!
- ყველა ვიყრიით!

ჰანსმა თავისკენ წაიღო ხელი და თვალი რომ გააყოლეს, გადაიფიქრა. კეთა მოიფხანა, მის ქულს ეჭვები რწყობლებივით დაესია.

- დანიელ!
- დანიელი წამოიწია.
- იჯექი, შენი ქუდი მომეცი!
- დანიელმა ქუდი მოიშვლია.
- ა, ჰერა!

კაპრალმა ახლა ისევ გადაიფიქრა.

— შენ გეჭიროს.

დანიელმა ხიდის ყურის მათხოვარ-ვით გაიშვირა ხელი. რა ექნა არ იცოდა.

- მერე, ჰერ?
- შვიდ, ერთნაირი ზომის ქალაღზე დააწერე... არა, ერთზე დააწერე... შენვე დააწერე!

— ღმერთო ჩემო, „წავიდეს“!

- არა, არა.
- აბა?
- როგორ?
- კენჭი არ ვყაროთ?!

შტუტე დუმდა. დახვეულ ქალაღზე დაწერილი შეიძლება ხელით ეგრძნო ვინმეს და არ ამოედო.

- ყველაზე დააწერ!
- ყველაზე „წავიდეს“?
- ექვსზე „არ წავიდეს“... ერთზე...
- უბის ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია და მიაწოდა.

დანიელმა პილოტურა მუხლზე დაიდო, ქალაღი შუაზე გაეცა. განაკეციში სალოკი თითის და ცერის მაგარე, უვითელი ფრჩხილები მოუხერხებლად გააყოლა, მერე ფურცელს ენის წვერი გაუსვა. დაავიწყდა, რომ წყურვილით ნერწყვი გამშრალი ჰქონდა. ხელახლა გააყოლა ფრჩხილები, გულსყურით გადასწია და გახია.

ყველამ დაინახა, რომ ორივე ნახე-

ვარი ერთი ზომისა იყო, არც შეტარც ნაკლები. მერე ერთმანეთს დაადრისვე გაეცა, 'ფრჩხილებით გატეხა და ნახევები რვა ცალი გახდა.

- ერთი გადაავდე, დანიელ!
- ჰო, ერთს გადაავადებ, ერთი რად გვინდა. კლაუსის...
- ჰო, გადაავდე, გადაავდე...

გადაავდო, მაგრამ მისსავე ჩანთაზე დავარდა, მერე იქიდანაც ყველას დასახავად მოიშორა.

- ახლა დააწერე!
- დავაწერ, დავაწერ! — წამოიჩოქა, ჯიბეები მოიქექა, წვერწაჭურხული ქიმიური ფანქარი ამოიღო, ჩაჯდა ისევ და პირში იტაკა, მშრალად გამოიღო უკანვე გაჭირვებით. ხელის კანკალით გამოიყვანა პირველი ასო, მერე მეორე, ყველაზე მეტად მშვიდზე ნახევზე გაუჭიკრა. უფრო მოკლე სიტყვა დაწერა და უფრო მეტ ხანს მოუნდა.

- ახლა დაახვიე, დანიელ!
- ასე უნდა გქნა.
- ჩაყარე ქულში!
- ქულში უნდა ჩაგყარო.
- ფრთხილად, რომ არ დაიშალოს, აურიე.

— რომ არ დაიშალოს, ისე ავურევე.

— ქუდი დახურულად გეჭიროს და ჰკითხე პირველად ვის უნდა ამოიღოს. დანიელმა ქუდის პირი ხელში მაგრად მოჭმუქნა.

- ვის გინდათ?
- არავის ზმა არ ამოუღია.
- კაპრალი, სანამ თვითონ ამოიღებდა, დანიელს მიუბრუნდა:
- შენ თვითონ ზომ არა?

— არა, რომელიც დამრჩება, მადლობელი ვარ ღმერთის.

- მაშინ მე მომეცი!

ჰანსმა ხელი ჩაჰყო ისე, რომ ქუდი-სათვის არ შეუხებდავს, ეს ყველამ დაინახა და როცა თვითი, წვერილად დახვეული ქალაღის ნაგლეჯი დაიჭირა, დანარჩენებს კინაღამ თვალები გადმოუცვივდათ.

შტუტემ ფურცელი მუკაში დაიჭირა.

— ყველამ ამოიღოს და მერე გავხსნათ.

დანიელმა ისევ ჩამოატარა. ყველას გრჩია, ბოლოს რომ დარჩებოდნენ, ის ყოფილიყო მისი. იქნებ ბედი სწყალობდა და ვაითუ ბედის ფათურში, სადაც ვერ ხედავდა რას იღებდა, ასე ბრმად მაინც და მაინც იმ უბედურებას გადაპყროდა.

მეორე ვალტერმა ამოიღო, მერე პულუმ, მერე ყველამ...

დანიელმა რომელიც დარჩა ის დაიჭირა და ქუდი ისევ თავზე ჩამოიკოსა, არ გაუსწორებია, როგორც მოხვდა, ისე დაიდო.

ახლა ყველას ეჭირა ხელში „იქნებ სიკვდილი“.

კაპრალმა გახსნა და არაფერი არ თქვა. იცოდა, შურითა და ზიზღით შეხედავდა ყველა, რომ ეთქვა, წასვლა არ მერგო.

დანიელმა პირველი გადაიწერა და ხელის კანკალით დაუწყო გაშლა დახვეულ ქალაღს.

— უფალო, გადაერჩი...

პანსის გარდა ყველამ იქით მიაპყრო მზერა, მაგრამ მალე ჭარისკაცები ვალტერისაკენ მიტრიალდნენ. მას ხელიდან გაუვარდა ქალაღის ნაგლეჯი და სახეზე მოყვითალო-მომწვანო ფერმა გადაუარა.

თავი მეთხუთსედი

ვალტერი, ბრუნენტს რომ მიადგა, განტრდა. ის გადაჩვეული იყო მოედანზე თავისუფლად გასვლას. უკან არ მოუხედავს. გრძნობდა, ხუთი წყვილი თვალი როგორ უცქერდა და უკან დასახევი არ ჰქონდა. მოედანზე უიარალოდ, ასე ცარიელი ქვაბუნების ამბრა გასვლა ნამეტანი ვაუჭირდა.

გამოქვაბული რომ დატოვა იგრძნო, გული შეუჩერდა. წამოსვლამდე თითქოს დაიჯერა, რომ არ მოკლავდნენ, მაგრამ ვიღაცას არ ჯეროდა, ფეხებს უბორკავდა და უკან უპირებდა

მიბრუნებას, გვირაბი კი ავსებული იყო მისი წინ წასვლის სურვილით და ვალტერს იქ ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ რჩებოდა.

— არ მესერიან, არ მესერიან, არ მესერიან! — ზედიზედ ჩასძახა შეკუმშულ გულს და დასკენილი ძარღვები დაეხსნა, სისხლმა ტვინში აასხა...

მომცრო გამოქვაბულიდან პანსმა გამოიხედა. გარედან არ ჩანდა. თუ არა, წყალზე მიმავალმა იცოდა, შიგნიდან ქალებიც გაფაციკვებით აღევნებდნენ თვალყურს. თამამად უნდოდა წასულიყო, მაგრამ როცა დახოცილებს გვერდი აუარა, შუა მოედანზე გასასვლელად ფეხები არ დაემორჩილა. თავზე გადმოხურულ კლდის მუცელს შეფარა თავი. შეეძლო გამართულს გაველო ისე, რომ არაფერს გამოღებოდა, მაინც მოიხარა, თვითონ არ აპირებდა, მაგრამ ვიღაცა მოიხარა მასში და ვალტერიც წელში მოღუნა. ბილიკის დასაწყისამდე შეეძლო ასე მოთარებულს ევლო, მაგრამ მერე ხომ საშკარაოზე დარჩებოდა, სანამ საშუალება იყო, მანამდე მაინც უნდოდა ისე ევლო, მტრის თვალს არ დაენახა. არა, მას არც უნდოდა. იცოდა ეს უაზრობა იყო, მაგრამ წინ მაინც კლდეს აკრული მიიწედა და გაახსენდა: როცა გაიწევეს და სადგურზე საოცრად მოუსვენარი და ცქრიალა ალმა აცილებდა, როცა წასვლის ზარი დაჰკრეს და ვალტერი ვაგონისაკენ გაემართა, კიბესთან მოიხედა. მოიხედა და რა დაინახა — ალმა თვალმიუწევლად გარბოდა უკან. ხალხს ეფარებოდა და გარბოდა. მერე სადგურის კედელს გაჰყვა. წელშიაღ მოიხარა და შენობის კუთხეში გაჰქრა. უკვე ვეღარ ხედავდა ვალტერი, მაგრამ როცა შენობას გასცდა, მერეც მოზრილი გარბოდა... რაღაცას ემალებოდა მაშინ ალმა, ვალტერის თვალებს, განშორების ტკივილს თუ უფრო უარესს... ამის თაობაზე მერეც არაფერი მოიწერა.

ჭარისკაცი მოედნის თავში რომ მივიდა, უნდოდა ახლა მაინც გამართუ-

ლიყო და ისე გადაედგა ნაბიჯი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გასწორდა, თითქოს ასე წელში მოკაკეული დაბადებულიყო. როგორც იქნა ბილიჯზე ფეხი ჩადგა და ხედავს, თვალნათლივ ხედავს, კლდე წამოვიდა მისკენ, შუბლზე მოასკდა და ხევეები და მთები ახმაურდნენ. მერე ბილიჯი და ბილიჯის ქვევით შვეული ტინის მოწითალო. რუხი კედელი წამოიშრათა და აღმაეყუდა, მოეჩვენა, მაგრამ ეჭო რომ მიწყდა, ცარიელი ქვაბუნები ახრიგინდნენ. ახრიგინდნენ და ქვევით კი არ წაივინდნენ, პირიქით, აღმა წაპყვენენ კლდეს რახუნ-რახუნით, ტრიალით და ხტუნვა-ხტუნვით.

რა სასწაული ქვეყანაა! ზევით სად მიგორავენ ეს ცარიელი ქვაბუნები? თუ ხელიდან გაუვარდა, რატომ ქვევით არ ჩამოცვივდნენ? ვალტერს არ ეჩვენება. ესმის, კარგად ესმის, რომ მალა, თავს ზემოთ ხმაურობენ. ჰო, ერთი რაღაცას გამოედო, გაჩერდა, მეორე ისევ მიხრიგინებს, გადაბრუნდა, ისევ იცვალა გვერდი, დაეცა და ისიც მიჩუმდა.

წყალი?

ქვევით რომ ჩაყრილიყვენენ, ჩავიდოდა და...

ამდენი მწყურვალი რომ ელოდებოდა, რაღა. ჰქნას, რაღაით ამოიტანოს..

თოფი რომ გავარდა, ვალტერი კლდეს შუბლით მიასკდა და თავდაღმა გადაეშვა. დაგორებული ქვაბუნების რიხინილა ისმოდა, როცა შტუტემ ავტომატის სასხლეტს ხელი დააჭირა, მთელი ჯერი გაუშვა ჰაერში და იყვირა, რომ ქალების კივილი დაეფარა.

— ფეხი არავინ გამოდგას გამოქვაბულიდან თუ არა, დაეცხრილავ!

ბრეზენტის მიღმა ხმა არავის გაუღია, მაგრამ ეს ღუმილი ყველაფერზე ნაკლებ შურისმაძიებელი არ იყო.

— ჰანს! — აკენესდა მომაკვდავი კლაუსი. — ჰანს! — მაგრამ მისი თავი ვიღას ჰქონდა. კაპრალს სისხლის

ფასად რომ დაჯდომოდა, ტყვეები უნდა დაეცვა მშვიერი, მწყურვალი და გაბოროტებული გერმანელებისაგან, მაშინ თან, ვისაც დალატით და ცბიერებით მოუკლეს მეგობარი. დაღუპულში ახლა ყველა თავის თავს დაინახავს, ხომ შეიძლებოდა მას რგებოდა წასვლა და ასე მუხანათურად გაეგმირათ წყლით მოტყუებული მწყურვალი. ისინი შურს იძიებდნენ ქალებზე ამ ვერაგობისათვის.

ბრეზენტის გარეთ არავინ გამოსულა, მაგრამ კაპრალი ხედავდა, როგორ გასახეთქად იბერებოდა გვირაბი და ისევ დაიქუხა:

— თავი არავინ გამოჰყოთ, თუ არა არავის დაეზოგავ, არც შენ, დანიელ!.. ისევ გაისროლა ჰაერში, ნათქვამისათვის რომ მეტი დამაჭერებლობა მიეცა.

ყველა, ყველა და დანიელი ხელს არ აღმართავდა ტყვეების დასაქლეტად, მაგრამ ამით ყველა გააფრთხილა. ახლა ჰანსზეც გაჩნდებოდა ეჭვი, რომ მან გაჰყიდა თავისიანები, მაგრამ ეს უფრო გვიან მოაგონდება, როცა ქალებს მოაშთობენ თუ განწირულები გადაარჩინა, ექვს დაიჭერებენ, მერე ამ გამოქვაბულებს შორის ჩამოვარდება მტრობა და კაპრალს აღარ დაინდობენ, როგორც იმას, ვინც ვალტერს ახლა ტყვია ჰქრა.

დაიჭერებენ, რომ შტუტე მოღალატეა. მაგრამ ეს ერთმანეთს თუ არ უთხრეს, ერთს ეგონება, რომ მეორე ჯერ ამას არ მიმხედარა, რომ უთხრას, ლაპარაკის თავი უნდა ჰქონდეს. უნდა მოიფიქროს, ფიქრისათვის შედარებით დამშვიდება დასჭირდება. თუ მოითათბირეს, კაპრალს მერე ტყვეით გაუმართავენ საუბარს, მაგრამ ამასობაში გონება იძალებს და ასე ხელალებით არ აიღებენ იარაღს.

ჰანსს გაახსენდა, რომ რაღაც დრო უნდა დაეთქვა და როცა ეცოლინებოდათ, რომ აქამდე უნდა შეეკავებინათ თავი, რისხვას უფრო იოლად მოერეოდნენ.

— ეს ზევიდან არ უსვრიათ! — იყვირა ისევ კაპრალმა — მომეციტ დრო გავიგო რა მოხდა!

ომერლეიტენანტი სწორედ იქიდან დასჭრეს, საიდანაც ახლა ვალტერი განგმირეს, მაგრამ შტუტემ მაინც დრო მოითხოვა რამე უნდა ეთქვა, რომ მათ ამ ნათქვამზე ეფიქრათ და არა ჩახმახზე თითის გამოკვრაზე. თუ იქიდან შეესიტყვებოდნენ, მით უკეთესი, მაგრამ არავის პასუხი არ მიუცია. ეს უარესი იყო.

— მე არსად მივდივარ, ვერც ტყვეები გავგეჟყევა. მოიცადეთ, თუ არა, ბრეზენტიც რომ შეირხეს, მთელ ჯერს მივუშვებ!... მერე უკან გასძახა, ისე, რომ თავი არ მიუბრუნებია.

— გამოდით და იკითხეთ, რა მოხდა!

პანსს სჯეროდა, რომ მოტყუებით მოკლეს ვალტერი, მაგრამ აეჭვებდა იმათი ცბიერება კი არა, ვინც ესროლა, თვითონ ქალიშვილი. მას უთუოდ ეგონა, რომ არ მოკლავდნენ. არ უნდა ნდობოდა. ქალმა აბა რა იცის ომის. ახლანდელი ომი წიგნებში ჩაწერილი ომი არაა. ახლა იბრძვიან უღმერთოდ, უსინდისოდ, მძას აკვლევინებენ მძას და მამას შვილს. თვით ეშმაკმაც არ იცის ვინ ვის სად მოახელებს და რით აწობდის სულს.

დამფრთხალი, აკანკალებული თავი გამოვიდა და ბრეზენტისაქენ გააბარა შეშინებული მზერა.

შტუტემ იცოდა, რომ გოგონა მშობლიურ ენასავით გაიგებდა მის ნათქვამს, — წადი ნუ გეშინია!

თაჯი მოედანზე გავიდა და იკვილა: — აუუუ!

— ხმა არავინ გასცა.

წინ წაიწია, ზევით აიხედა. გუა და ვახო დაინახა და ისევ შეჰკვივლა.

— აუუუ!

— ჩვენ არ გვისვრია! — ჩამოსძახა გუამ.

— რატომ მოჰკალით!

— არა, თაჯი, ე, უპატრონო, არა! — ახლა ვახომ გაასავსავა ხელები.

— რატომ ჰქენით, რატომ?

— მაგენი დასაზოგავია?! მაგრამ ჩვენ არ გვისვრია!

— აბა ვინ ჰქნა, ვინ!

— რომ არ ვიცო რა ვითხრათ, — შუბლზე დაირტყა გაშლილი ხელის გული გუამ:

— არაფერი არ მესმის!

— თუთარი რა იქნა! — ახლა ეს შეიცხადა გოგონამ.

— წავიდა, იქ წავიდა, საიდანაც ისროლეს, გავიგებთ რა მოხდა. ჩვენ იქ არავინ დავგიტოვებია.

— ჩვენ რა გქნათ!..

ბიჭები მხრებში ჩაძვრნენ.

— ჩვენ არ გვისვრია, გოგო, რომ გეუბნებით არ გესმის! — ვახომ კლდეს მუშტები დაუშინა.

— უთხარი, რომ ყველაფერს გავიგებთ და ხელი არ გახლონ... თუ არა მაგათ მაინც არ უწერიათ სიცოცხლე, მაგათი რჯული გაწყდა!

— ვახო, რას ამბობ, ვინ დაგიჯერებს!

— უთხარი და თუ არ დაგიჯერებენ, ამას ხომ ხედავენ! — ხურჯანიდან ხელუყუმბარა ამოგლიჯა. — მიდი, მიდი, მაგრად უთხარი.

თაჯი უკან შემობრუნდა და გუცასთან მიიბრინა.

თავი მთხრობა

დაღამდა. ბრეზენტის ზევით დარჩენილ გასახედში, რომელშიც მარტო ცის ნაჭერი ჩანდა, ვარსკვლავები აკაფდა.

წყურვილს, შიშვილს, შიშსა და შურისძიებას სიბნელეც დაემატა და აღმინები მოადუნა, დააძაბუნა. თვალთ რომ ერთმანეთი ველარ დაინახეს, ამან ყვილა თავის თავთან დააბრუნა და საკუთარ მღვრიე სამყაროში დააწყებინა სიზმარეული ფათური.

მალე შავი ღრუბელი გაჩნდა და ის თრიოდ ვარსკვლავიც დაფარა, ბრეზენტის ზევით რომ ჩანდა. ყველაფერს

მძიმე წყევდიადი გადაეფარა. მხოლოდ სიბნელეს მიჩვეული თვალი თუ გააჩნედა დანიელის ჩანთის წინ ნაკლეჯ ქალაქს, მერვე ნაწილს იმ შვიდისას, ერთში რომ სიკვდილი ჩადეს.

დანიელმა თავისი ხელით გამოიყვანა „წავიდეს“, ეს კი თურმე უდრიდა „მოკვდეს“. ამ უბედურს მაინც არ უნდა რგებოდა ამის გაკეთება.

ყველაფერი ღვთით ხდება, მის განგებას ვინ წაუფა, მაგრამ დანიელის ხელით არ უნდა დაეწერა გამჩენს ეს სიკვდილის განაჩენი.

მორწმუნე გლეხს სისხლში გასერილივით აუქანკალდა მარჯვენა. ჰანსს, მართალია, უფალმა ჩააგონა და გასაყვირია რატომ ურჩია ჩემს ერთგულ მონას მიანდეთ. თვითონ ღმერთიც ხომ ხედავდა, დანიელმა ყველაფერი პატიოსნად გააკეთა და არ შეხვდა, თორემ ხომ არ დაუმახსოვრებია, რომელზე რა ეწერა. არ შეხვდა, არ ინება ზეციერმა დანიელის ოთხი ქალიშვილი დაეობლებინა. მაგრამ ამ ბედდამწვარმა თავისი აკანკალებული ხელით, ქიმიური, მოკლე ფანქრით, რომლითაც შვილებს წეროლებს სწერდა, დააწერა: „წავიდეს“.

ეს არ უნდა ესურვებინა მამაზეცოცრს.

აღბათ ისევე ცდის უფალი, დიდია მისი სახელი. მაგრამ რა დამართა, ანდა იმ დალოცვილმა არ იცის მისი გაჭედული ხატის ამბავი?!

გამოცდას აღამიანები უწყობენ ერთმანეთს, რადგან არ იციან სხვის გულში რა დევს. კაცი თვალთმაქცია და ჯიქერა. და თუ არ გაიგე, ვერ ენდობი, მაგრამ ის დალოცვილი ხომ ყოვლისმცოდნეა.

სამოთხეში თუ უნდა დანიელის წაყვანა და ამიტომაც ამდენი სატანჯველი რომ მოუვლინა გულთამხილავმა. დაილოცა მისი სახელი, რამდენს უნდა გაუძლოს უბედურმა. თუ ადგილი არა აქვს იმ სამოთხეში და მაინც და მაინც უნდა შეაცოდინოს?...

ღმერთი ხარ, შე დალოცვილო, თუ

მოინდომე, რას არ მოახერხებ! დღეს დააწერინე: „წავიდეს“, ხვალ შეგიძლია ისე აურიო ტვინი, თორემ ააღებინო და აგერა მის გვერდით რომ კაცი წევს, მოაკვლევინო. მერე რომ მოჰკითხო:

— კაცი ჰვალ, დანიელ?

— ვჰვალ! — თუ მოკლა აბა დაგიმალოს? შენს ყოვლისმხილველ თვალს რა დაემალება! და მიიღე მოწყალეობა. აკმარე ამდენი გამოცდა და სამოთხეში მიგყავს თუ ჯოჯოხეთში, გადაუწყვიტე!

შენ იცი, დანიელს იობის მოთმინება აქვს, ჯვარცმულის ერთგულება, იცი, შე დალოცვილო, იცი და...

დანიელმა ტუჩებზე შიირტყა მუქად შეკრული ხელი, თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ თავისთვის, მისი სურვილის წინააღმდეგ, ფიქრი მაინც დაასრულა: „ნამეტანი გიყვარს კაცის გაწვალება!“

აბა რა იყო მაინც და მაინც რომ დააწერინე: წავიდეს და მოკვდეს!

შე დალოცვილო, ამხელა ქვეყანა გაგიჩინია, რაც გინდა, ერთს გაიფიქრებ და შესრულდება, თუ ვალტერის სიცოცხლე არ გინდოდა, ჯერ ერთი, სასიკვდილოს რას ემართლებოდი, მაგრამ ამ თუ ასეთი იყო შენი სურვილი, მოგეკლა, დანიელს არც სხვაზე მოუწერია ხელი, მაგრამ რამდენი მოკალი?

აურევ ვინმეს ჰკუთას, აატეხინებომა, მიუსევე აღამიანებს ერთმანეთზე საუღელტაღ და მერე გაჰყვირი: „არა კაც ჰკლაო“. ეს საცოდავი გლეხი რა კაცის მკვლელიცაა, თავად არ იცი? იყო თავისთვის, იჩიჩქნებოდა მიწას, მისი გაქვალტყავებული ცხოვრება მიჰქონდა. ტყუილს ვერ იტყვი, ღმერთი ხარ და მართალი თუ გინდა ესაა. ვერ დაატეე მისთვის მის უბადრუქ ქოხში, მის გაჭირვებულ ცოლ-შვილთან?

ასეთი ბედი ჰქონია?

მერე და ვინ დაწერა დანიელის ბედი!

შენ არ დაგიწერია?

აბა ვინ განაგებს აღამიანების ილ-ბალს?

ანგელოზები?..

იპისთანა ანგელოზებს მიანდე შენი გაჩენილი კაციშვილი, რომ აქ გამოგზავნა დაეწერათ?

მერე რომ მოგიტანეს, ხომ წაიკითხე!

წაიკითხე. მერე? შენ თუ...

დანიელმა პირჯვარი გადაიწერა, აღბათ სატანა თუ შემოძვრა გვირაბშიო და მიიხედ-მოიხედა, თითქოს შეიძლეოდა დაენახა.

— მაცდური შემომჩინდა, დამიფარე უფალო!

ახლა მორწმუნე გლეხი თვითონ არ ფიქრობდა, ვიღაც სხვა ჩასძახოდა:

„რომ წაიკითხა თუ კაი კაცი იყო, ვერ ვადახხია თავზე ბეჭედი რომ დაუსვა? ასე შენც დაგაწერია „წავიდესო“, არ შეეძლო არ ეჭნა? დაგაწერია, რომ მერე ბეწვის ხიდი გაგიდევს საიქიოს და გითხრას: თუ წაწყმენდილი არა ხარ, გაივლიო. არ იცის რაცა ხარ? იცის, მაგრამ უნდა რომ გაგიწყდეს და ჩავარდეს. რად უნდა ცოდვა-მადლს რომ წონის, დასლიდარია თუ ღმერთი უნდა გაიგოს, ცოდვა მეტი ჩავიდენია თუ მადლი. ვითომ არ იცოდეს, აბა რისი ღმერთია, თუ არ იცის! გამოიგონა ბეწვის ხიდები, სასწორები და განკითხვები! გამოიგონა... ერთობა რაღა!...“

დანიელს სწამდა, რომ სატანამ დაიპყრო მისი სული და უნდოდა დაეყვირა: განვედი ჩემგან! მაგრამ მიხვდა, რომ მასში ავი სული მაშინ ჩასახლდა, როცა „ის“ დაწერა.

„ჯოჯობეთი რომ მოავგონა, აბა მითხარი რა მოსაგონებელია ჯოჯობეთი! შენ რომ კაცი ხარ, არც ღმერთი ხარ და არც ანგელოზი, შენ არ მოიგონებ ამისთანა უსაშველოს. ჯერ ცოდვას ჩავადენინებს, მერე ჩავაგადებს კუპრით სავსე ქვაბში და უნთებს ცეცხლს. დედიშენის შვილი ხარ და ამოჰყავი თავი იხარშები და იხარშები! მდღულარე

წყალში რომ მოეხარშე არ გეყოფოდა? არა, მაინც და მაინც კუპრში... — ვიქმნი ეშმაკებსაცანს! იქვე დანიელმა.

მერე ხელები გულთან მიიტანა. პირი აღმოსავლეთისაკენ ჰქნა:

— შენ ხარ უფალი ღმერთი ჩემი და არა იყვენ ჩემდა ღმერთი უცხონი შენსა გარეშე. მომაგე კურთხევა უფალო შენითა, — მადლითა და კაცთმოყვარეობითა, ყოვლადვე, აწ და მარადის. უკუნითი უკუნისამდე.

ხელები დაუშვა, მიიხედ-მოიხედა, ისევ შეუტია სატანას უფრო გამხნეებულმა.

— განვედ მაცდურო!... — უნდოდა მიეფურთხებინა, მაგრამ რაკი ხახა ამოშრალი ჰქონდა, დაიბნა, გაშეშდა, ნერწყვი გაუშრო უფალმა, რომ ეშმაკი არ შეაჩვენოს და არ მოიგერიოს?!...

გათავდა. თავს ველარ დაიცავს. მის სულს კუდიანები დაეპატრონენ და ახლა გააქანებენ. ა, აგერ, იგი ხედავს მაცდურს, მის ჩანთაზე ზის, იქვე მეორე... —

კულები აიპრიხეს, ბანჯგელიან ხელებს პარჰყავენ, საშინლად მანჭავენ სახეს და პაჭუა ცხვირით ყნოსავენ დანიელს ღვთის სუნი ხომ არ უღიოსო. ყნოსავენ და ახლოს მიდიან. იღლებში უძვრებიან, პირში დახვეულ ქაღალდებს უდებენ. ამ მიღივით დახვეულ ქაღალდში უქმინდურები მყარლ ჰერს უბერავენ.

— განვედ!... იღრიალა დანიელმა.

კვირილზე ახმაურდნენ ეშმაკები, წამოიშალნენ, გაიხარდნენ, ამაღლდნენ ჰერამდე და უყვირიან:

- რა მოხდა!
- რა ამბავია!
- კიდევ რა დაგემართა!
- განვედი ჩემგან, ბოროტო სულო!
- ჩვენ ვართ, შე უბედურო, ჩვენ ვართ!

იცის ვინცა ხართ, იცის. დანიელ ღვთის კაცია, ეშმაკებს არ დანებდება, ავ სულს სულს არ ჩააბარებს. იცის და

ამიტომაც, რომ იგერიებს ხელებით, ფეხებით... ნუ ჰკიდებთ ხელს!

— შორს მაცდურია!...

— ვის უბრძვის, ეს შეადლიანი!

— დანიელ!

— გადაიღობა საწყალი!

— გონს მოდი, არ გესმის!

— შორს! — ყვირის დანიელი —

შორს, ვიჭმნი ეშმაკისაგან, განვედ!...

თავი მერვე

გუცას აღარაფერი უნდა გაკვირვებოდა ამდენი ბედუჯულმართობის შემდეგ, მაგრამ ამ ორბირობამ უკანასკნელად კიდევ მოუშხამა სიცოცხლე, რად ათქმევინეს: ჩაუშვით წყალზეო ან მერე, რატომ მოჰკლეს გერმანელი. ან ეს ჰანსი ტყვეებისათვის თავს საფრთხეში რატომ იგდებს.

არის სასწაულები, რასაც ვერ ახსნი. აქამდე გუცასთვის ნათელი იყო, რომ ტყვეები გერმანელებს ჰირდებოდათ მძევლებად, რომ თავი გადაერჩინათ. ახლა იციან, რომ წყალი არ მისცეს, ამით სიცოცხლე წაართვეს. ტყვეები მათთვის სიკვდილზე მისატყუარი გამოდგა და რაც აღრე მოიცილებდნენ—მოცილებდნენ ცრუ იმედს, ზურგში ტყვიის დარტყმას.

შტუტე თავისი განიერი და ძლიერი ბეჭებით ღვას შემოსასვლელში და ცოცხალი თავით არ თმობს მტრებს, თანაც იცის, ამას არაფერ შეარჩენს, წუთი-წუთზე შეიძლება გამოუცვივდნენ და მის ნათელ თვალებში საშუალოდ დააღამონ.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სწამდათ, რომ ამ კაცს ქალისადმი არ ჰქონდა რაიმე „სხვა“ განზრახვა. გუცა ახლა იხსენებდა ყველაფერს: სიტყვას, საქმეს და ეს უსაშველოდ დამძიმებული გული ტკიოდა, რომ აღრე ვერ გაუგო ამ ადამიანს, მტერი იყო და არ ენდო. ამას ალბათ ისიც აპატიებს.

ქალიშვილის მხარზე მიყრდნობილი

თავის თვალები მოუშორებლად შესცქეროდნენ შემოსასვლელში ჩამდგარ გერმანელს და მთის გამოუცვლელ და უბირ გოგონასაც გაოცებისაგან ხმა ვერ ამოვლო.

ახლა მტერი მეორე გამოქვაბულში იყო. ჰანსი მოლაღატე კი არა, მან იცის, ტყვეები უდანაშაულოა და მათ მხარეზეა. ახლა იგი მტერს კი არ იცავს თავისიანებისაგან, არა, თავის თავს იცავს. რაც მას მიიჩნია სწორედ იმას იცავს — კლაუსს, გუცას და თავის...

— ჰანს, — ამოიგმინა მიღებული ხმით დაქრილმა.

— რა უკვდავი სული ჩაებერა ამ შევლიანს — გაიფიქრა ქალმა.

შტუტეს თითქოს არც გაეგოს მისა ხმა.

— ჰანს, მოგვატყუეს?

ბიჭი გულგატეხილი იყო, ეს დაჩქარებდა მის სიკვდილს, სიკვდილს იმედგაცრუებული ადამიანისას.

— ფროილიან...

— გუცამ რომ ვერ უპასუხა, თავიმ ხელი შეახო მის ბეჭს, შენ გეძახისო.

— თქვენ ნუ გეშინიათ... თქვა მომაკვდავმა თანაგრძნობით.

— არა, არ შეშინია, — უთხრა ქალმა. მართლაც აღარ ეშინოდა, მისთვის ყველაფერმა დაკარგა ფასი.

— ფროილიან... თქვენ ხომ ჩემთვის მოითხოვეთ წყალი.

ქალს არ უნდოდა მისთვის დაებრალებინა, მომხდარი და მოსალოდნელი უბედუროება და უარის თქმა დააპირა, მაგრამ ბიჭს სჯეროდა, რომ მასზე იზრუნა მარტო ჰანსმა კი არა, გუცამ და თავიშეცავდა, ადამიანებმა, რომლებიც მის გვერდით იყვნენ სიკვდილის წინ. მას კაცისადმი რწმენა მიიწვეოდა უნდა დარჩენოდა, თუ სულს უნდა გაჰყროდა.

— მოთხარი, ფროილიან, თქვენ ხომ ჩემთვის მოითხოვეთ წყალი!

— კი.

— ჰანს, მე ვიცოდი, რომ ჩემთვის მოითხოვა.

— ამ გოგონამაც...

— ვიცი, მაგრამ რომ არ ესროლათ, კარგი იყო...

— იმათ არ უსვრიათ, — გაუბედვად ჩაილაპარაკა ქალმა, რაკი ეს მასაც არ სჯეროდა.

— მართალია, სხვა ვიღაცამ მოჰკლა ვალტერი.

— ჩვენს ბიჭებს არ უსვრიათ, — იჩურჩიულა თავი.

— ემაგ გოგონაც ხომ ამას ამბობს?

— ერთხანს იყუნა, ძალა მოიკრიბა და თითქოს თავის მართლებას ეცადაო:

— მაშინ ძალიან მწყუროდა, შენც იმიტომ გიკბინე, ჰანს...

— გაჩუმდი, კლაუს — შტუტემ უკან მოიხედა.

— ახლა ისე არ მწყურია. ახლა უფრო მიჭირს, მაგრამ არ მწყურია, შენ ხომ გჯერა, ჰანს, რომ ამათ ჩემთვის მოითხოვეს წყალი?

— მჯერა.

— დაჯექი, ღამეა, აღარავინ არ გამოვა. თუ გამოვა, ქალებთან რა ხელი აქვთ, ყველაფერი ჩემი ბრალია.

— მათ ეს არ იცინა.

— მოვლენ და მე ვეტყვი. აგერ, ჩემთან ახლოს დაჯექი!

შტუტეს მუხლები აუკანკალდა, უხმაუროდ გადმოღვა ნაბიჯი და ჩაიკეცა. სიჩუმე ჩამოვარდა. ბაუმანს სუნთქვა ამაღამ ყველაზე მეტად უჭირდა.

— იქნებ დაგეძინოს.

— ეფიქრობ, ჰანს.

— ჭრილობას გადავიხევე.

— არა, არ მინდა, ნატყვიარი კი აღ არ მაწუხებს, ჰაერი არ მყოფნის. ამ მთებში ჰაერი თხელია, ჰანს.

— აქ ძალიან მაღალია.

— თქვენც გიჭირთ სუნთქვა?

— კი.

— თქვენ იმიტომ გიჭირთ, ობერლეიტენანტი და აღფრედი...

— გაჩუმდი, კლაუს.

— მე რომ მოვეცდები, როგორმე ჰქვეით ვადამისროლეთ.

— გაჩუმდი! — იყვირა შტუტემ.

— კარგი, არ ვიტყვი... სხვას ვიტყვი, აი, შენ რომ ზიხარ... არა, ცოტა

უფრო ახლოს, დედაჩემი ღამით წყალს დამიდგამდა გამჟვირვალე გრაფინით!

— კლაუს!

— ჰანს, რატომ გამახსენდა იცი? ისე კი არ მწყურია, მაგრამ დედაჩემზე მეცინება.

— გეცინება?!

— ჰო, რატომ იცი? ფართოყელიან გრაფინს მიდგამდა, ცივი წყლით პირამდე სავსეს, უჭიქოდ.

— აბა, როგორ უნდა დაგელია!

— ჭიქით იქნებ არ გეყოსო და მერე ვაგესებას და წვალებას ბარემ მოიდგამ პირზე და რამდენიც გინდა დალევე.

ხომ საოცარი ქალი ყოფილა დედაჩემი, ჰანს?

— კი.

— მე ღამე წყლის სმა ვიცოდი და იმაზე გამახსენდა.

— მეტს ნულარ ილაპარაკებ.

— წყალზე არ ვილაპარაკებ.

— ჰო.

— მე, ფანჯარასთან ვწვები, დედაჩემი... ჩვენ ერთი ოთახი გვეჭირა ამ გვირაბზე ცოტათი მოზრდილი.

— მერე ფანჯარასთან რომ წვებოდი...

— საწოლი ახლოს იყო კედელთან და ღამე, როცა გაავდარდებოდა, მინებზე აწვიმდა, ჩარჩოებს წყალი მოყვებოდა. დედაჩემი ტილოს აფარებდა რაფაზე: რომ სისველე შეეწოვა და საწოლზე არ გადმოსულიყო. თუ თავსხმა იქნებოდა, დილით ტილო გასაწური იყო.

— თუ არ გაჩუმდები, მე ავღვები და წყალზე ჩავალ.

— არა, ჰანს, წყალზე არ ვლაპარაკობ, მე ისე ვთქვი, აი, როგორ ვცხოვრობდით მე და დედაჩემი, რაზე მოვეყვი იცი?...

— იქნება დაიძინოთ, — თქვა ქალმა

— რომ არ მეძინება!

— დაიძინეთ, — ხვეწნით გაიმეორა გუცამ, — ხვალ დილით მე ამოგიტან წყალს...

— თქვენ არ გესვრიან...

ისევ მყუდროება გამეფდა და ის იყო დანიელის ყვირილი გაისმა:

— განვედ ჩემგან!

კაპრალი ფეხზე წამოხტა, იარაღი ქოიძარჯვა.

თავი მეცხრე

ბასყა ამ ბილიკებზე ათიოდჯერ მანც რომ ყოფილიყო გავლილი უფსკრულში ჩაიჩხებოდა და თუთარი ამ გზას ვერ დაასრულებდა. აღმართს დაღმართი ცვლიდა, დაღმართს ისევ აღმართი და მისახვევ-მოსახვევი, ბოლოს, როცა ეშველა და გერმანელების გახრწნილ გვამებს ნახტომით გადაეველო შავი ცხენი, წყაროსაგენ მიმავალი ბილიკის მოსახვევამდე მივიდა, სულიერი არავინ ჩანდა.

თუთარმა იცოდა, ზევიდან ისროლა იმ ცოდვადიდებულმა აბიმ. აბიმ, აბა იქ სხვა ვინ შეიძლებოდა ამოსულიყო. მის თვალებს ვერ დაემალა სოფელში ჩასული ვახო, მერე გუაცხომ გაქრა, არც ის იქნებოდა მისთვის საიდუმლო, მაგრამ რაკი ბიჭებმა დახაფრულ ხალხს არაფერი გაუმხილეს — არც მან ვასცა, მაგრამ კვალს კი გამოჰყვა. მისი ნამალავად მოინდომა თავის გამოსხნაში მონაწილეობა მიეღო. მოაღწია აქამდეც, როცა ბიჭები ქვაბულების თავზე გადაბარგდნენ, თვითონ აქ ჩასაფრდა. თუ მტერი როგორმე თავს დააღწევდა და წამოვიდოდა — მისი თოფის ტყვია მოუღებდა ბოლოს. დაღუბულ პარაშუტისტს იარაღი და ტყვია-წამალი აართვა. იყურყუტა, იყურყუტა, და დღეს ხედავს, გერმანელი გამოვიდა სამალავიდან, გამოჰყვა მოედანს და ბილიკზე აპირებს ჩამოსვლას. იცის, რომ ზევიდან გადმოხურული კლდის მუცელი უშლის ბიჭებს მტერი დაინახონ. არ ჰგონია, თუ მოედანს გამოცდება: ხედავს, რომ სანიშნედ კარგად ჩანს. ნამდვილად გერმანელი ჯარისკაცია. მას ჰგონია, გვირა-

ბიდან ვინც გამოვა, თუ ქალა არაა, უნდა ესროლოს.

იღებს თოფს, უმიზნებს წამოხტა, რომ ერთი სროლით გადააგდო.

გადააგდო და არ იცის, რომ ვსი გამოხსნაც უნდოდა, იმასაც მოარტყა. ყოველთვის მტერს ხომ არ ხედება თუნდაც კარგად დამიზნებული ტყვია.

მერე ისიც დაინახა, მისმა „ვეუკობაში“ როგორ გააქცია თუთარი მალა. მიხვდა, რომ რაღაც კარგად არ გამოვიდა, თუ ქალების კივილი ვერ გაიგონა, ავტომატს ხმას გაიგონებდა და დაიბნა.

დაღუბა, ყველაფერი დაღუბა. უღმერთოდ ამოაწყვეტია მტერს მწყურვალი ტყვეები. ახლა თუთარის ხელიდან სხვა ვინმე კი არა, აბი ნანსყანი მოსაკლავია.

თუთარი ცხენიდან ჩამოხტა, ავტომატი მხარიღლოვ გადაიკიდა, მალა შეუყვია. იცის, იქ აღარ იქნება ნანსყანი, მაგრამ მაინც თავისი თვლით უნდა ნახოს.

რალა თქმა უნდა, იქ არავინ დახვედრია.

გული ყელში ჰქონდა მობჯენილი და ტირილით იხრჩობოდა, როცა ჩამოსვლის წინ გამოქვაბულისაკენ გაიხედა. ახლა იქ არც დაია და არც სტუმარი ცოცხალი აღარ გეულებოდა.

ქვევით გაწილებული და გულგახეთქილი დაეშვა. თვალთავან წამოსული ცხელი ცრემლი უშლიდა გზა გაერჩია. ბასყა ფრუტუნით შეხვდა ბილიკზე ჩასულს. კისერზე მოეხვია უენო პირუტყვს და თავის უმწეობაზე შესჩივლა.

— ბაბუასთან ჩავიდეთ და ყველაფერი ვუთხრათო, — ეხვეწებოდა ცხენს.

— შენ ხომ იცი, ნანსყანმა დაგვლუპა თუ არა, ქალებს გამოვიხსნიდით...

დაღამებულში ამხედრდა და სანამ ბილიკის გასაყართან მივიდოდა, სოფელში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ გადასახვევთან მიხვდა, რომ ეს შეუძლებელია, იგი ასე პირშავად ქორა მა-

ხვშთან და ქვეყანასთან ვერ გამოჩნდებოდა.

თავი მათი

— თქვენ ამ ბილიკზე წყალს ვერ ამოიტანთ! — თქვა გერმანელმა, როცა ინათა და ქალი ასადგომად წამოიწია.

ბაუშანმა გათენებისას გონება დაკარგა და ახლა შტუტეს ნათქვამი აღარ ესმოდა.

ნაბიდან — რომ გამოძვრა, მიხვდა. მართალი უთხრეს, სხვის დაუნძარებლად იგი აქ პარველ დღესაც ვერ ამოვიდა. ახლა მით უმეტეს ვერ ჩააღწევდა. წამოდგა თუ არა, თავებრუ დაეხვია და დაბარბაცდა.

— მომეცით ქურჭლები! — მაინც ნამაძლია თქვა მან.

— სისულელეა, გადაიჩეხებით.

— მომეცით — უფრო აუწია ხმას, რომ მეორე გვირაბშიაც გაეგონათ.

ქალი გააბრაზა მისმა უმწეობამ და ამ კაცის „ზრუნვამ“.

ამ დილით თუ წყალს არ გააჩენდნენ, გერაფერი იხსნიდათ, დაჭრილი კი სულს განუტევებდა. მას დახეტიალი თუთარი ტუჩები გაულურჯდა. დიდ გამოქვაბულში აკანკალებული ხელის თითები თოფის სასხლეტს ეძებდნენ. ტყვე წყაროს გზას ადგა იცოდნენ, და რომ დამქდარიყო, ჩახმახები აიშლებოდნენ.

გუცამ მხარზე გადახვია ხელი გვერდში ამომდგარ გოგონას.

— წამოდი ჩემთან!

თავი დაფრთხა, უკან დაიწია: მე ამით წყალს ვერ მივუტანო.

— ისედაც ღონე გამოცლილია, ამას გარდა ორივეს ვერ გაგიშვებთ.

— მაშინ დარჩი, — მიუბრუნდა ისევ გოგონას. დარწმუნებული იყო თუ ძალა შესწევს, მაინც წამყვებო, მაგრამ თავი მაშინვე ჩაიკეცა და ნაბაღზე კი არ დაჯდა, საცოდავად მოიკუნტა.

გუცა კედელს გამოჰყვა. იცოდა, პანსი თვალს არ ამორებდა და ისე უნ-

და ევლო, არ დაბარბაცებულყო, მაგრამ მუხლის სახსრები ვაღატრილივით ჰქონდა, არაფრით არ ემორჩილებოდა.

გარეთ რძისფერი დილა თენდებოდა. აღმოსავლეთით სისხლისფერი ერია ამ სითეთრეს. მიცვალებულებს რომ გვერდი აუქცია, ისევ კედელკედელ წავიდა. დამის სიცივეს შეეჩერებინა ხრწნა და ისე მყარად აღარ იყო პაერი. წინ რომ წაიწია, პანსის თვალს მიეფარა. ზევით უნდოდა აეხედა, რომ ბიჭები დაენახა და კლდეს რომ მოსცილდა, როგორც კი თავი აიღო, ერთი კვირის მშვიერს და ოთხი დღის მწყურვალს უძინარ თვალეზზე ბინდი წაეფარა და ხელიდან გაგდებული ჩეარჩვით დაეარდა.

კაპარალმა გაიგონა, რომ ქალი დაეცა, მაგრამ არ აჩქარებულა. წამოდგა, იარაღი მოიცილა, ქამარი გაისწორა. ვალტერს რომ ვუშინ ქვაბუნები დაუცივედა, ქვევით ეყარა. შტუტე უნდა წასულიყო და მოეტანა წყალი. სხვანაირად ვერ დამატკიცებდა, რომ მოღალატე არაა და ტყვეებს ამიტომ უფრთხილდებოდა... ხომ თავისი თვალით დაინახეს ყველაფერი. ეს მათ აღრეც იცოდნენ, რომ ამ ბილიკზე წყლით სავსე ქურჭლებით ვერ ამოვიდოდა ეს ქალიშვილი, მაგრამ ახლა უნდოდათ წყალი და ვისაც წყაროზე წასვლისათვის ტყვია არ ელოდა, გზის გაუვალობას, ან ტყვიის უძღურებას ვერ გაიგებდნენ. დაიღუპებოდა და არც ამისათვის გაიცხებდნენ შუბლს.

კაპარალი ახლა კენკს აღარ ჰყრის, არც ბრეზენტის მხარეზე გაიხედავს. მოედანზე დაეარდნილ ქალსაც ისე ჩაუვლის, ყურადღებას არ მიაქცევს და ჩაუყვება გზას.

ესერიან?

სხვა საშველი მაინც არაა. არ წავა, — თავისიანები არ დაინდობენ. ამდენხანს სიბნელემ შეაჩერათ. გათენდება თუ არა, პასუხს მოთხოვენ, ახლა მტრის მეტი იმედი აქვს.

— ჰანს! დაეწია განწირული კლაუსის ბოდვა, არ შეჩერებულა.

გუცამ თავი აიღო ჭარბსკაცის გავლისას, მაგრამ წამოდგომას არ ცდილა.

შტუტე ბილიკის დასაწყისის მიუახლოვდა და იგრძნო, რომ ზევიდან დაინახეს. თავი და მხრები ისე აეწევა, თითქოს ელექტრონის ძლიერი, ცხელი სინათლე დაანთეს. ფრთხილად ჩაადგა ფეხი, წინ იხედებოდა და ეშინოდა არც დაენახა ზევიდან ნასროლი ტყვია, რომელიც მის თავში ან მკერდში გაივლიდა და ქვის ბილიკზე დაეცემოდა.

იქამდე, საიდანაც ვალტერი გადავარდა, ორი ნაბიჯი კიდევ იყო და მანამდე იქნებ არ მოეკლათ...

ერთი...—

მეორე...

ოი, აქ დაარტყეს ტყვია. ჰანსს არ გადაუხედია და არ დაუნახავს მკვდარი სად ეგდო.

იქნებ ესროლეს და შტუტეს ხმა არ გაუგონია, ანდა ტყვიამ უკვე გაუარა და აწი გაიგონებს ან იგრძნობს. არაფერი არ ისმის. მაგრამ მუხლმა რატომ უსუსტა, ვითომ წყურვილის და შიშშილის ბრალია?

ერთი ნაბიჯით გადაცდა ჰანსი იმ ადგილს, საიდანაც ვალტერი გადაეშვა...

იქნებ მაშინ მაგათ მართლა არ უსვრიათ?...—

გერმანელი ბეწვის ხილზე მიდიოდა და შუა გზაზეც არ იყო, რომ ქვაბუნა დაინახა. რომ მიუახლოვდებოდა, უნდა აელო, მაგრამ... მტერი კარგად ისვრის და იქნებ თამაში მოუნდაო, — გაიფიქრა. — ასაღებად რომ წაიხრება. ვითუ ისე ესროლოს, რომ ჰანსში გავლილმა ტყვიამ ჭურჭელიც გახვრიტოს. იქნებ მას დამიზნებული აქვს და უცდის როდის ჩადგება კაპრალი ქვაბუნასა და თოფს შორის.

ხელის გასაწვდენზე რომ მიუახლოვდა, გვერდზე გადადგა. ჭურჭელი ზევიდან დასანახავად დატოვა, მარცხენა მკლავი გადასწია და აიღო. გასწორდა ისევ და არ გაუგონია თოფის ხმა, არც ტყვია დაეცემა ბილიკს.

კვლავ ჩაუყვავა ციკაბოს. მეორე ქვაბუნა ახლო-მახლო არ ჩანდა. შორს გადახედვა არ უცდია. იგი დაეკვირვებოდა და დაინებოდა იხედებოდა წინ და ფიქრობდა: თუ ფეხი არ დამიცდა, ან არ წავეფორხილე, გაუკვირდებოდა, რომ კარგად დავდივარ და წყაროს ზავსიან შევაკებაზე ჩასვლას მაკლიან. იქამდე კი შორსაა და მანამდე სიცოცხლეს სიცოცხლეს ნიშნავს.

უფრო ქვევით, მოსახვევამდე, ტინის ეიწრო გზა ჩარეცხილი იყო და ჰანსს ხელი კლდისათვის უნდა მიეშველებინა, „მაგრამ რომ მოვეჭიდო შეიძლება მომკლანო: თუ კლდეებზე სიარული არ შეგვიძლო აქ რა მოგარბენინებდაო“. ხელი რომ არ მიეშველებია, ფეხი დაუცდებოდა და მაინც ესროდნენ. ისე უნდა ევლო, რაკი პირველ გამოჩენაზე დაინდეს, ახლა „მიზეზი“ არ უნდა მიეცა.

ჰანსმა იანგარიშა, იქ რომ მივიდოდა, როგორმე ვადამხტარიყო, მაგრამ ისე მოზომილად, როცა ცალ ფეხზე ლადგებოდა, წონასწორობა დაეცვა. იქ მეორე ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ იყო.

გადახტა. რაღაცამ გაიხმაურა და გაეშეშდა.

მოჰკლეს?...—

არა, ქვაბუნის ყურში გაყრილი ტარი გაჩხაკუნდა.

როცა შემოუხვია და ჩაუყვავა, დარწმუნდა: ამდენ ხანს იმიტომ არ მესროლეს, მათგან ზურგით რომ ვიყავი, ახლა კი სახეში დამიმიზნებენო...

იგი მაინც მიდის ბილიკზე, სადაც აღამიანები ფორთხვით და მკლავის კიდევებით აღი-ჩამოდიან, მაგრამ მას უნდა ევლო ისე, რომ ფეხი არ დასცდნოდა და არც არაფერს მოჰკიდებოდა, არც უნდა შეჩერებულყო...

გზა წინდაწინ უნდა დაეზვერა ისე, რომ ყოველი ფეხის დადგმა ზუსტად და შეუცდომლად გამოეანგარიშებინა.

ბილიკმა მარჯვნივ რომ ჩაუხვია, ამოისუნთქა. უკან მოეჭედა მტერი და არ მესვრიანო — დაიჯერა. ასეთ ბილიკებ-

ზე და მთებში გაზრდილი ხალხი ზურ-
გით დარტყმას არ იკადრებს...

ვალტერს რომ ესროლეს!...

ეს მათ არ უქნიათ!

ხომ თქვეს, ჩვენ არ მოგვიკლავსო.
ერთომ რატომ იუარებდნენ? ერთი შენ
მოუხადე ბოდიში და მეორე ის მოგიხ-
დის...

ბილიკი ვათავდა, პირდაპირ წყარო-
საკენ გზას ვერ გააგრძელებდა, თო-
რემ კარგი იყო, უკან მობრუნებამდე
სულ ზურგით იქნებოდა მტრისკენ.

უკან მობრუნდებოდა კი?...

გვერდზე უნდა გადაეხვია და კლდის
ძირში მეორე ქვაბუნა ეპოვნა.

იმ ქვაბუნასთან ახლოს დასახიჩრე-
ბული ვალტერი ეგდო.

„როცა მოარტყეს ორივე ჭურჭელი
ხელში ეჭირა...“

მიცვალბულს რომ გაუვლიდა, ეს-
როდნენ. ისე გამოიანგარიშებდნენ, რომ
ზედ მკვდარზე დაეხედიყო. ცოცხ-
ლები ხომ ერთად გვებრძოდით, კეთი-
ლი ინებეთ და ახლაც ერთად იყავითო.

თუ პირდაპირ წავიდოდა, დაღუპულ-
თან ახლოს უნდა გაეგლო. ვერ ვაბე-
და, გზა გაიპრუდა, მაგრამ აშკარად შე-
სამჩნევი არ იქნესო და იმდენზე ჩაუ-
არა, რომ წაქცეულიყო თავს მაინც მი-
უწვდენდა.

გაუსწორდა...

ცოცხალია?

მეორე ქვაბუნას მარცხნივ დაუდგა
და მარჯვენა ხელით დაწვდა, აიღო და
წყაროსაკენ უცებ შებრუნდა.

არა და წყალიც აღარაა შორს.

ამჯერად გადარჩა?

ახლა წყარომდე აღარ მოკლავენ,
იქნებ ჭურჭლების ავსებაც აცალონ!
დალეით არ დალევს ჰანსი. იქ ახლა
სმა რომ დაიწყოს, უეჭველად ესვრი-
ან!

თუ აცალეს, აავსებს და უკან გამოს-
წევს. ძალიან არ გააღიცილიცებს რომ
გზაში არ გადაეღვაროს... რაც ერთი
ამოსმით მოჰყვება ხელში, ამოიღებს
და გაბრუნდება...

ანკარა, ჩუხჩუხა წყალი ამოდის ავ-

ერ და მიდის, მიედინება უქმად, უსარ-
გებლოდ...

ერქონული
ბიზნისი

თავი მეთერთმეტი

წყალმა სასიცოცხლო იმედის ნაბერ-
წყალი დააბრუნა გამოქვაბულში, მაგ-
რამ აუტანელი შეიქნა გაბრწყინილი მი-
ცვალბულების სიახლოვე, ცხელი მზე
რომ მოედანს დაადგა, მწვერვლებში
ქარი თითქმის სულ უბერავს, მაგრამ
ახლა ყოველი მხრიდან სიმყარე მო-
დიოდა და მალა წამოსკებული ბი-
ჭები ქვევით ცხვირზე ხელმოჭირებულ-
ები რიგ-რიგობით იცქირებოდნენ.

— ფიჭვიც არ შეიძლება, მკვდარი
მიწას უნდა დაუბრუნდეს... — თქვა
სულშეგუბებულმა გუამ.

თუთარმა წამოსიებული ქუთუთოე-
ბი მაგრად დახუჭა, თითქოს ეს სიმყრა-
ლე თვალებს უწვავსო.

— ახლა მაგიც ჩვენ ვიდარლოთ? —
წამოიძახა ვახომ. შეშინდა, ესენი რომ
ასე ლაპარაკს დაიწყებენ, მტრებს რა-
იმე შეღავათს მისცემნო.

— შენ გაჩუმდი, რომ გეუბნებიან!
— არ აცალა თუთარმა — შენ რა გეს-
მის!

— რა არ მესმის, მაგათი მკვდრები
ვიტორით? ცოცხლები იყვენ, არ და-
გვაყენეს, დაწყდნენ და კიდევ უარე-
სი...

— გაჩუმდი.

— არ გაჩუმდები, თქვენ მიეცით
წყალი და ახლა მკვდრებს ასაფლა-
ვებთ?

— მკვდარი მიწისაა.

— გუა, ნუ ამბობ, თუ არა მაგიც ახ-
ლავე ატირდება. მე თოფს წამართმევს
და...

— შენ ვინ გკითხავს, ენა რომ დაი-
გრძელე... — თუთარმა ბიძაშვილისა-
კენ გადაიანაცვლა.

— რაც გინდათ, ის ჰქენით, — უკან
დაიხია ვახომ, ავღგები და სახლში წა-
ვალ... თქვენ კი მოიპარეთ სოფელში
პური და აქამეთ, წყალი... ბაბუაჩე-

მივით გაგებრდებით წვერი და ისინი მაინც იქ იქნებიან ფეხმორთხმული.

ვახომ ბიჭები შუადღემდე ძლივს შეაჩერა. ნაშუადღევს მიცვალებულუბის დამარხვის ნება მაინც მისცეს.

დახოცილები ღორლიან, უფსკრულისაყენ დაქანებულ, ხაესიან მინდორში, წყაროსთან ახლოს დამარხეს ერთ მოზრდილა ორმოში და მტერმაც და მოყვარემაც ამოისუნთქა, მაგრამ მტრობა მტრობად დარჩა.

კაპრალმა დაიჭერა, რომ ვილაც სხვამ მოკლა ვალტერი. თვითონ ხომ ნებადაურთველად, წინდაწინ შეუთანხმებლად ჩავიდა და არ უსვრიათ.

შტუტეს მტრებზე გული მოუბრუნდა, მაგრამ უბედურება იყო, რომ მეორე გვირაბში სჯეროდათ: კაპრალს წყალი მისცეს იმისათვის, რომ თავისიანები გაჰყიდა, რადგან დაღუპვა გარდუვალი იყო და აჰყვა ცდუნებას. ისინი დარწმუნებული არიან: ჰანსმა ვალტერის გარდა კიდევ ოცდახუთი ლიტრი სისხლი მისცა იმ ორ ქვაბუნა წყალში, ისიც არცერთი პირამდე სავსე არ იყო, ახლა მათ ყველა ჭურის მტერზე მეტად სძულდათ თავისივე ძმა. ვინ უნდა დაარწმუნოს, რომ ნებადაურთველად ჩავიდა?

დიდ გამოქვაბულში ისე ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, შტუტეს არ უნდა გეგონა. იგი ხედავდა, რომ ბრეზენტის ყურში თავგამოყოფილი თოფის ლულა ახლა ერთნაირად ცივად უყურებდა ბილიკის ამოსასვლელსაც და მეზობელ გვირაბსაც. ის იარაღი ახლა არც იმას დაინდობდა, ვინც ლეიტენანტსა და ვალტერს ესროლა და არც კაპრალს.

წყურვილი არ მოუკლავთ, მხოლოდ ამომავალი სული ჩაიბრუნეს და ხვალ ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა, მაგრამ აწი ჰანსი იქამდე არ მიიყვანს საქმეს. კლასი ხვალამდე ველარ გაატანს. ამის დასაფლავების ნებასაც ითხოვს, მერე უმთვარო ღამეებიც დაიწყება და გაავდრება და ქარიშხალსაც არ დაუცდის.

ქალებს ხელ-ფეხს. შეუკრავს, პირს ბამბით ამოუტენის, რომ არ გასცენ, თავისიანებს ჩაუძლევა და წავაქონენ.

თუ გააღწია, მათთან ერთად გააღწევს, თუ არა და მათთან ერთად დაიღუპება. არც მაშინ დაიჭერებენ?...

კაპრალს ეს ღიღიანია უღევს გუნებაში, მაგრამ არაფერს ამბობს, ადრე აქ ობერლეიტენანტი იყო, მერე ბაუშანი დაიჭრა. სანამ საცოდავს კიდევ უდგას უღმერთოდ განაწამები სული, ვერ მიატოვებს. ბიჭს, გარდა სიცოცხლისა აქვს ადამიანის რწმენა. ასე განუკითხავად რომ დაავდონ, ის უფრო ადრე მოკვდება, ვინემ მისი გული ძვერას შეწყვეტდეს. მისთვის კი ერთი სიკვდილიც ბევრია.

შტუტეს რომ ვალტერი არ გაუყოფია, ამის დამტკიცება კიდევ შეიძლება. მარტოხელა კლაუსს სიცოცხლევ გაუჭირდებოდა და სიკვდილი, მით უმეტეს, ძალიან შეაშინებს.

ეს ამ ქალიშვილმაც კი გაუგო უბედურს. ის ახლოს იყო მათთან და გაუგო. როგორც კი წყალი გაჩნდა, თავისი ხელით დააღვეინა. მას იგი სძულს, ბოლოს და ბოლოს, ხომ ამ ბიჭმა დაატყვევა ეს ქალი, მაგრამ ამისათვის მას ესროლეს და საცაა მოკვდება. ანგარიში გასწორებულია. დანარჩენი კი ყველაფერი ეკუთვნის, როგორც უპატრონო ბავშვს და უმწეო ადამიანს.

ცივმა ქარმა შემოუბერა და ქვაბულში წვიმის წვეთები შემოიტანა. გრძელი, მუქი წერტილები გაჩნდა ბრეზენტზე. მერე წერტილები ერთმანეთს გადაება და კიდევ უფრო დაგრძელდა. მწვერვალებში დაიგრუხუნა.

დაჭრილმა თვალები გაახილა.
— ისვრიან?
— ნუ გეშინია.
— მეშინია... — თქვა ბიჭმა და ჰანსს მიაშტერა.

„მან თავისი ნაწილი ტყვია გააცივა, მაგრამ ჩემზე წუხს...“ გაიფიქრა ჰანსმა. ბაუშანმა ტყვეების მხარეზე მიაბრუნა თავი.

„არც ესენი ემეტება სასიკვდილოდ

— ამოიკითხა შტუტემ ბიკის თვალბ-
ში — მას ახლა არავინ არ ემეტება...
იგი ყველაზე ახლოსა სიკვდილთან და
ყველაზე უკეთ იცის რაა იგი“.

— ჭეჭა-ჭეხილია, — უთხრა ქალი-
შვილმაც.

— ვიცი, — თქვა ბიკმა ღიმილით,
თითქოს ითაკილა, რატომ გგონია გრუ-
ხუნი სროლისაგან ვერ გავარჩიეო. —
ვიცი, — გაიმეორა და შუბლი შეიკ-
რა.

ჰანსს არ მოეწონა არც ეს ღიმილი,
არც თავმოყვარობა.

„სიკვდილის წინ მოიხედა და აღამი-
ანური უფლებები მოითხოვა“.

— ჰანს, ამ ბოლო დროს რამი შეწყ-
და, თუ მე არ მესმის სროლის ხმა,
ჩვენებმა უკან დაიხიეს?

— ალბათ.

— ჰანს, შენ გერმანიაში უნდა დაბ-
რუნდე!...

— ჰო, — ყრუდ დაეთანხმა, არ უთ-
ქვამს, შენც დაბრუნდებიო.

— ამას აღარ დაიჯერებდა და ისევ
გაიციინებდა: სულელი ხომ არ გგონი-
ვარო.

— ვიცი, რის თქმას აპირებ, — დაას-
წრო შტუტემ, სანამ რაიმეს იტყოდა.

— არ იცი, მე იმის თქმა მინდოდა,
რომ შენ უკან უნდა დაბრუნდე...

— დაბრუნდები.

კლაუსს ისევ გაეღიმა.

— შენ არც ეს იცი, ჰანს.

„მოკვდება — გაიფიქრა შტუტემ,
— სალი აზროვნება დაუბრუნდა. ეს
ძალიან ცუდია, მოკვდება“.

— დაბრუნდები, თუ დაბრუნდი
მეთქი...

— უნდა ეცადო, ძალიან უნდა ეცა-
დო.

ჰანსს უნდოდა გაწყრომოდა: გაჩუმ-
დიო, მაგრამ ეს ბედღამწვარის უკა-
ნასკნელი სურვილი იყო და უნდა გაე-
ძლო.

— ვეცდები...

— შენთვის და ჩემთვის.

— კლაუს, ვეცდები... კარგი ახლა...

— არა, მომისმინე...

— კლაუს...

— ჰანს, მომისმინე, თორემ სულზე
გვიტეხ.

— ჰო, კარგი მერე...

— თმის დამთავრებამდე დედაჩემს
იმედი ექნება...

— იმედი სულ შეუძლია იქონიოს.

— არა, ჰანს, შენ დედაჩემს არ იც-
ნობ, რამე რომ დამთავრდება...

— ვნახავ დედაშენს...

— ნახე, ჰანს, და რა უთხარი იცი?
რომ ცოცხალი ვარ და მალე დაბ-
რუნდები... არა, არა, არ დაიჯერებს...
უთხარი, რომ დამპყრეს...

— ვიტყვი.

— დამპყრეს და საავადმყოფოში ვი-
წეკით გერმანიის რომელიმე ქალაქში.
რაც შეიძლება შორს იყოს დედაჩემი-
საგან.

— სულერთი არ არის?

— არა, ჰანს, რამდენი შორი იქნება
უკეთესია. გზაში მეტი დრო დაჭირდე-
ბა.

— რა საქმე ექნება იქ?

— ჰანს, როგორ ვერ მიხვდი. — მე იმ
ქალაქში მოგვედები და ჰოსპიტალის
სასაფლაოზე ვარ... შენ უნდა მიუთი-
თო ვინმე უპატრონოს საფლაოზე.

შტუტემ თავი შეაბრუნა.

— სულერთია ვინც იქნება. ის მინც
ჩემთვის იტირებს და ამას გარდა, არც
იმ მკვდარს აწყვენს. დედაჩემი კი ივ-
ლის სახლიდან. გზაში დრო დასჭირდე-
ბა. მერე... მერე წამოვა და ისევ წას-
ვლაზე იფიქრებს... მოემზადება.

— კლაუს, ყველაფერს გავაკეთებთ,
ოღონდ ნუ ილაპარაკებ...

— ზეტს არაფერს არ ვიტყვი-თქვა და
გაჩუმდა.

გუცას დაბა-ლუპით ჩამოსდიოდა
კრემლები, თავი გაფართოებული თვა-
ლებით შესცქეროდა მტერს და მოყ-
ვარეს.

— ფროილანს — გაიღიმა ისევ სუ-
ლთმობრძავემა, — მე იმიტომ კი არ მი-
თქვამს, თქვენ გეტირათ, მე ვიცი, დე-
დაჩემისათვის რა აჯობებს...

— არ გიკვირს, ჰანს? მე დედაჩემი

ვერ მტირის და მტირის ის ვინც უნდა იცინოდეს.

მტურეს აღარ გაჰკვირვებია. მიხვდა, რომ ამ უბედურმა უცებ გაიბრინა ცხოვრება და უკვე ყველაფერი იცოდა.

გუცამ სახეზე ხელები აიფარა.

— თქვენ მართლა ტირით? — გაუხარდა ბიჭს, — მე მამაკაცებს რომ გულის ტკივათ ვერ ეხებავ, ისინი ტკივილებს არ აჩენენ. დედაჩემი კი სიხარულზეც ტიროდა...

უცებ შუბლი შეიჭმუნა. ნაოქები გაუჩნდა. ახლა იგი ბავშვს აღარ ჰგავდა.

— წყალი...

ჰანსი მიტრიალდა.

— მოიცა, ჰანს, — უძლური ხელით შეაჩერა, — არ გეწყინოს...

მტურემ ვერ გაიგო.

— არ გეწყინოს... — გაიმეორა და დაიმორცხვა, ისევ მიაბიტ ყრმას დაემგვანა.

— რაც გინდა იყოს, თქვი!

— ფროილიანმა დამალევიანოს...

— კარგი, — თქვა ჰანსმა და ქალს მუდარით შეხედა.

— დავალევიანებ, — ქალი დაწოქილი წამოვიდა, ქვაბუნა აიღო და პირთან მიუტანა, მაგრამ დაჭრილს ძალა აღარ გააჩნდა და თავი ძირს დაუვარდებოდა, რომ გუცას არ დაესწრო და ზელი არ მიეშველებინა. ქვაბუნა რომ ტუჩებზე მიადგა, საბრალომ თვალებში შეხედა ქალიშვილს, წყალი არ მოუსვამს, უკანასკნელად გაიღიმა.

თავი მეთორმეტი

ორმა ჯარისკაცმა გამოასვენა მახარაში შეხვეული მიცვალებული და მოჰდინდნენ ქვევით ბაწრებით ჩაუშვეს. უშვებდნენ ისეთი დიდი სიფრთხილით, თითქოს ახალშობილი ჩაჰყავდათ და უშინაით, ქვაზე არ მოგვიხედდეს, არაფერი ვაწვთოთ. ჩაუშვეს და თვითონ

საბლიკით მოიარეს. მაღალი, აი ის, წყალი რომ ამოიტანა, ისე დაუდევრად მიაბიჯებდა, რამდენჯერ ზეწვამდე გადაჩნა, რომ არ გადაიჩეხა. მეორე, დაბალი, კუნძივით გერმანელი, თავჩაქინდრული, საცოდავად მოფორთხავდა და შევავებამდე კენესით და ოხვრით მიჰაღწია. მის ჩასვლამდე წინ წასულმზ ბავშვივით აიყვანა ხელში მიცვალებული და იქეთ წაიღო, სადაც წინა დღეს აღრე დახოცილები მიწას მიიბარეს. მიდიოდა და ქვალორდიან ფლატეს ისე აჩერდებოდა, თითქოს ამ მიცვალებულს უკეთესი საფლავი ეკუთვნოდა. ვინემ სხვას და აქ ამის დამარხვას არ აპირებდნო. ამასობაში მეორე — ბეჩავიც მოჩანჩაღდა და პირველს მუნდირის სახელოში დაქაჩა, რომ გონზე მოეყვანა. მკვდარი მოშორებით დაასვენეს, ადგილი შეაჩიჩეს და ორივემ დიდხანს თხარეს ორმო.

ბოლოს მაღალმა ისევ ბავშვივით აიყვანა ხელში მახარაში გახვეული, საფლავის პირზე ჩაიჩოქა, ისევ ნელ-ნელა დააწვინა ფსკერზე მიცვალებული, თავი გაუსწორა, რაღაც მოიძებნა, მკვდარს ქუდი არ ეხურა და ჩაღისფერი, მოკლე თმა უჩანდა საყელოაწვეულ მახარიდან. მესაფლავემ ხელი ჩაიქნია, თავიდან თავისი პილოტურა მოიგლიჯა და სახეზე დაახურა. მახარა, ყელთან შეუფუთნა, დაადგა თავზე გაოგნებული, კიდევ რაღაცის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ ვერ მოეფიქრებინა. დაბალი, ზევით რომ იდგა, დაღვრემილი და ყურებჩამოყრილი, ამისვლა გაახსენა.

ამოვიდა, მაგრამ იქვე ჩამოჯდა და ახლა იქიდან უყურა. ბეჩავმა მკვდარს პირჯვარი გადასწერა, მიწის მიყრა დააპირა.

ხელებში ეცა მაღალი, შეაჩერა, რაღაც მოისახრა, იქაურობას გაეცალა, მეორეც გაიყოლია და ჩამონაყარ ლორსა და ლოდებში ფართო ქვეები ამოარჩიეს და საფლავთან მოათრიეს. კიდევ გაბრუნდნენ და ისევ მოიტანეს. დაბალი, ხანშიშესული, რომ გაჩერ-

და: აწი ეყოფათ, ახალგაზრდამ არ და-
შალა, კლდის ძირამდე მივიდა და იმ-
ოდენა ლოდს დასწვდა, თუ ასწევდა
არავის ეგონა. ისიც საფლავთან დადო.
ჩახტა და მკედარს მორჩილა ქვები-
სულ ახლო ირგვლივ შემოუწყო. დემ-
და, ასწორებდა, ამატებდა, ადგილსა
და გვერდს უცვლიდა. მერე ბრტყელი
ლოდები ჩაათრია და ზევიდან გადააგ-
დო. ყველაზე მეტი განიერი თავზე და-
აფარა. წელსქვევით ორი, მოგრძო,
ვიწრობოლოებიანი თავშექცევით, და
გადაბმულებზე ნატყეხები დააწყო,

მიწა არ ჩაცვივდესო. ამოფორთხა და
გაშმაგებით, ჩქარ-ჩქარა, ხელით აყა-
რა და აყარა ერთმანეთში არეულ ქვა-
და მიწა. საფლავი რომ ამოავსეს, ისევ
ქვების ზიდვას შეუდგა და ახლა ზევი-
დან დააღაგა. თავთან მრგვალი, მაღა-
ლი ლოდი მიუფორა, ლოდს მიწა ამო-
უქექეს, ძირი დაუდგა, ფეხით შემო-
ტყენა და იქაურობას გაეცალა.

დაბალმა წასვლისას ისევ გადასწერა
პირჯვარი და ბილიკისაყენ მიმავალს
ლასლასით გამოუდგა.

ნაწილი მეოთხე

თავი პირველი

დიდ გამოქვაბულში იცოდნენ, რო-
გორ განიკადა შტუტემ ბაუმანის სიკვ-
დილი. აცრემლებული დანიელი ყვე-
ლაფერს მოჰყვა.

— ღმერთმა უშველოს, ღმერთმა...

არავინ არ უსმენდა უბირ, მიმდობ
გლუხს. ისინი ბევრი უბედურების მომ-
სწრენი იყვნენ და იცოდნენ, ასე
არ მისტირიან ომში ჯარისკაცის და-
ლუბვას. კაპრალს უნდა თავი მოაჩვენ-
ნოს, თითქოს ყოველი მათგანი ასე
უყვარს. ვითომდა ვალტერიც უყვარ-
და. ბეჩავი დანიელი წაიყვანა საფლა-
ვის გასაჭერლად, რაკი სხვას აგრერი-
ვად თვალს ვერ აუხვევდა.

არა, ამას დანიელიც აღარ დაიჭე-
რებს. ახლა ასე აღალმართლად რომ
პყვება ჰანსის წუხილზე!

— ღმერთს გეფიცებით, შეგეცოდე-
ბოდათ...

— კარგი, გეყოფა! — ამოიხლიჩინა
ბაულუმ.

— არ გააბა და გააბა! — კვერი და-
უკრა კნოპსმა — ვიცით, რაც ბრძან-
დება და ვინც ბრძანდება.

— შენც ენა გააჩუმე და შენც! —
არც ერთისთვის არ შეუხედავს კარლს.

— აქ ზალაპარაკო არაფერია.

— მე ისე ვთქვი...

— არაფრის თქმაც არ გინდა!

— გავჩუმდები, — ჩაიბურტყუნა ბე-
ჩავმა და უფრო ღრმად მიიყუთა ქვა-
ბულის კუთხეში. მიჩუმდა, მაგრამ და-
რწმუნებული იყო, თუ ჰანსს მართლა
ღმერთი გაუწერა და წყალში მტერს
ვალტერი მისცა, კლაუსი მაინც უყვარ-
და. კი, ნამდვილად უყვარდა... ჯან-
დაბას, აქ რას გაიგებ, ვინაა ერთგული
და ვინ მოღალატე. ის კი არა, ღმერთი
არის თუ...

„ღმერთო, როგორ არივდარიე ეს
ქვეყანა, თვითონ რომ ჩამოხვიდე,
მრუდს და მართალს ველარ გააჩვენ,
ღმერთმანი ველარაფერს გაიგებ“ — და
ჩამაძლა დაამთავრა:

— ჩვენ აქ რა ვქნათ, ჩვენ?...

— ჰანსი* გეტყვის! — გაეპასუხა
გულუგასიებული აესტრიელი.

— აჰ?

— ჰანსს ჰკითხე და გეტყვის!

— ჰანსს ახლა მავას ვერ ვკითხავ!

— გულუბრყვილოდ გაეპასუხა გლუხი.

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

კნოპსს სული აუწრიალდა: აქ ყვე-
ლა ჩემზე ჰკვიანია. ვინმემ იქნებ მარ-
თლა რაიმე გამოსავალი იცისო:

— რა იცის მერე ჰანსმა? — გაუბე-
დავად თქვა კედლისკენ პირშებრუ-
ნებულმა.

— იცის... შენ ნურაფრის იმედი გე-
ქნება და მაგ ბედშავმა რომ უთხრას,
რომ წერილშვილის პატრონია, იქნებ
შეიბრალოს.

— ჩემი კლარა...

— უთხარი, რომ შენი კლარა და კი-
დევე სხვებიც ცოდვია, თუ შენ ერთ
ყვლუბ წყალში გაგცვლიან.

— იცით, იქნებ ღმერთს ეცოდავით!..

— ნუ ელაპარაკებით ამ გამოჩერჩე-
ტებულს! — ისევ ამოიბრიხინა კარლ-
მა, — რაიმე ჭკვიანური თქვით.

— ჭკვიანური? — იცითხა ისევ ჰამ-
პელმა და ენას კბილი დააჭირა. მართ-
ლა ნამდვილი გამოსავალი რომ სცოდ-
ნოდათ, მას არავინ ეტყობა.

— მე რომ მკითხოთ... — ჩანთაზე
ჩამოჭდა და წვრილი თვალეები დაახამ-
ხამა იოჰანმა, — გონივრულს ვერა-
ვინ ვერ იტყვით. მაგალითად, ამ გვი-
რაბს ერთი კარი აქვს. აქვს მეტი კარი?

— არა აქვს, — სინანულით თქვა და-
ნიელმა, — სადა აქვს კარი?

— ჰო, კარი დავარქვით ამ შემოსას-
ვლელს. და ახლა ვინ ზის ამ კარში?...
ერთი ვიცით, რომ მტერია...

— მეორეც ვიცით. — არ აცალა პა-
ულუმ.

— შტუტე ჩვენთანია! — აცენესდა
გლეხი.

— ყველამ ვიცით ვინც არის.

— ეგ ვინ არ იცის, — დაეთანხმა ვი-
თომ კნოპსიკ.

— და რა უნდა ექნათ, ამას ვერავინ
იტყვის, მაგრამ მე ვეტყვით.

— მაინც რა, იოჰან?

— გეტყვით, რომ ჩვენ კიდევ გყავს
მტერი.

— კიდევ გყავს?! — დანიელმა ვე-
ლარ გაიგო ვინ უბედურება იყო ამდენ-
ნი მტერი.

— გეშია და გვწყურია. არის შიმში-
ლი და წყურვილი მტერი თუ არა?

— არის, თავი დაუქნია დანიელმა.

— ამ გვირაბს ერთი გასასვლელი
აქვს, ოთხი სიკვდილი სად მიდის?

— ღმერთო...

— არსად არ მიდის... — განაგრძო

იოჰანმა, — აქეთ მოდის, ამ ერთ შე-
მოსასვლელში, ჩვენ რა შეგვიძლია
— დაწეკი მანდი — შეუდრიანა
რლმა.

— არაფერი, არ შეგვიძლია, კარლ,
ვერავის ვხედავთ!

— ვხედავთ! — პატარა გვირაბისა-
კენ მოიბრუნა სახე ავსტრიელმა, —
კი ვხედავთ...

— რომ ვხედავთ, მერე რა? თოფს
ვერ ესვრი, ისე რამდენიც გინდა უ-
ურე, თუ დაუმიზნე, ესვრი და ერთს
მოაკლავ? უფრო მალე შემოვა სხვა
სიკვდილი, მე რომ მკითხოთ...

— აღარ გაათავებ? — აღრინდა ისევ
კარლო.

— ილაპარაკოს! — ახლიჩინდა ავს-
ტრიელი, — ვილაცამ ხომ უნდა ილაპა-
რაკოს.

— რალაცა უნდა ეთქვათ... — თავი
წამოჰყო კნოპსმა.

— გაჩუმდი! — ისევ არ აცალა კა-
რლმა და მერე ავსტრიელს მიუბრუნ-
და, — ამდენი რომ ილაპარაკა რა თქვა?

— მეტი რა უნდა ეთქვა!

— მერე ეს გვიშველის?

— არ გვიშველის, მაგრამ საწამდე
ვიყოთ ასე?

— ღმერთო, სადა ხარ, შე დალოც-
ვილო, — ჩაიბუტუნა დანიელმა, არა-
ვის ყურადღება არ მიუქცევია.

— შე მეტი არაფერი მითქვამს,
ტყვიას ვერ ესვრი, მაგრამ კიდევ არ-
ის... — კარლს გადახედა.

— თქვი! — ნება მისცა ავსტრიელ-
მა, — თქვი, თქვი, — კარლს მიუბრუნ-
და — აჩუმებ და შენ არაფერს ამბობ.

— დროა, ყველაფერს ბოლო მოე-
ლოს.

— როგორ?

კარლმა არ უპასუხა.

— თქვას იოჰანმა, რატომ არ უნდა
თქვას, — ისევ წამოისროლა კნოპსმა.
მისთვის აუტანელი იყო, როცა დაუს-
რულებლად დუმდნენ. მან ხომ არ იც-
ოდდა, თუ არ ლაპარაკობენ, რას ფიქ-
რობენ ადამიანები.

— ვნახოთ, რას იტყვი!

— რას და... მე იმას კი არ ვიტყვი...

— თუ რამე საშველი გავიჩინდება?

— გააწყვეტინა კარლმა.

— არა, ამას არა.

— მაღლობელი ვარ, მაშ სხვაზე რაზე უნდა ვიბაძოთ ახლა მე და შენ?

— რა და როცა ისერიან, ის უღმერთოები, სათითაოდ ისერიან. თოფი ხუთჯერ რომ გავარდეს, მე თვალები უნდა დაეხუტო და მოგვედე. ჩვენ სულ ხუთილა დავრჩით.

— შენ როგორ გირჩევენია, ჭრით დაგაყარონ?

— ეს კი არ მითქვამს...

— უთხარი კაპრალს და ის მოგიბერებს, თუ არა თვითონ დაგიმატებს ზურგიდან.

— გაიგონებს, ღმერთმანი, ყველაფერს გაიგონებს! — წამოიჩოქა დაბნეულმა გლეხმა.

— გაიგონოს! — იყვირა ავსტრიელმა და ადგილიდან წამოიჭრა. — მან უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ადამიანები ვართ და ქებაუნა წყალში არ გავიყიდებით.

— ღმერთო, შენ უღმერთო ხარ! — ამოიგმინა დანიელმა და პაულუს ორივე ხელით მუხლზე მოეხვია, — პაულუ, მამაშვილობას, დაჩეკი, პაულუ... ჩემი უფროსი ქალიშვილი ბევრით არაა შენზე უმცროსი, დამიჯერე, იქნებ რაიმე საშველი გაჩნდეს...

— რა საშველი უნდა გაჩნდეს, — განაგრძო იოჰანმა, — თქვენ თვითონ თქვით, არის საშველი? არ არის. ტყვეებიც გყავს, საშველი მაინც არაა.

— ტყვეები ჩვენ თვითონ ვართ! — ამონათხია ბოლმა ავსტრიელმა — თითო ჭიქა წყლის ფასად, ბაზარზე ვასაყიდი ტყვეები!..

— პაულუ, მამაშენი ჩემი ხნისა იქნება, დამიჯერე!...

— ქალები ჰანსს ჰყავს!..

— ასეა, ასე გამოდის და მე რომ მკითხოთ... თქვენ გეკითხებით, რა მოგველის ჩვენ!

— სიკვდილი! — იყვირა ისევ პაულუმ.

— ტყვეები გვიშველის?... ქუტა თვალები მოავლო გამოქვაბულს სანაძერმა, — თუ გვიშველის, სადაა შერე?...

— კაპრალს უშველის!

— მაგრამ დანიელის ოთხ ქალიშვილს მამა სჭირდება და არა კაპრალი, — ხმა თვალებივით დაუწვრილდა იოჰანს.

— ჰანსს არ სჭირდება დანიელი! — დაასვენა კნობმა.

— როგორ არ სჭირდება! — არ დაეთანხმა ავსტრიელი, — სჭირდება, მაგრამ მისი შვილებისათვის კი არა, თავისთვის. — ჰამპელს მიუბრუნდა, — შენ სჭირდები, შე ჩერჩეტო!

— თავისი ტყავის გადასარჩენად, — ისევ მიხვდა კნობსი და კინლამ გაუკვირდა — თავისი ტყავის გადასარჩენად ეჭირდებით.

— მაგრამ ვის სჭირდება ჰანსის ტყავი! — იკითხა ვილადამ.

ყველამ თვალით იარალი მოძებნა, მაგრამ ხელი არავის უხლია, მათ წინ ქალი იდგა. ამას არ ელოდნენ და ხმა ჩაუწყდათ. ქალიშვილი კანკალებდა, მაგრამ მაინც წინ წამოიწია და ისევ იკითხა:

— მაგრამ ესეც თქვით, ვის უნდა ჰანსის ტყავი?

— ჰანსს... — ხმამალა თქვა პაულუმ და თოფს ხელი წამოავლო. ტყვემ უკან დაიხია, მაგრამ მალე მიხვდა, ავსტრიელს თუ მისი მოკვლა უნდოდა, იარაღი არ სჭირდებოდა. ახლა თოფის აღება უკან დახევას ნიშნავდა. ქალი თუ იქ თავის ადგილას იქნებოდა, შეიშლება აქედან ტყვია დაეშინათ, მაგრამ როცა ის აქ იყო? როცა თავისი ფეხით მოვიდა?...

— იქნებ შენ უარს ამბობ შენს ტყავზე? — იკითხა ქალმა: და შეჩერდა. მაგ თოფს რომ მიღერ, ჩემი სიკვდილი ხომ შენიცააო. — არ იცით, რომ ჩვენთვის თქვენიც და მისი ტყავიც მგლის ტყავია? აქ მე შტუტესთვის არ შემოვსულვარ, ის თქვენია და რაც გინდათ იმას უზამთ, მაგრამ მეშინია ცხელ გულზე მეც არ მიმაყოლოთ.

— ის შტუტე გადაგეფარება, ჩვენ შენი ქათობის საფერებლად აღარ გამოვდგებით.

— გადამეფარება იმიტომ, რომ თქვენზე ჰქვიანი და იცის, თუ ვინმე თქვენთაგანი ტყვიას ისერის, საკუთარ შუბლს ესერის.

— იქნებ შენც ჩვენზე ჰქვიანი ხარ!

— თავი წამოსწია კარლმა.

— არ ვიცო, მაგრამ ახლა რასაც ვამბობ, ამას ჰკუა კი არა, ვაჭირვება მალაპარაკებს, ვხედავ, რომ გატენილი თოფია ჩემსკენ მოშვებული.

— თქვი, რისთვის მოხვედი! — ღერილა პაულუმ.

— ხომ გითხარით, სიკვდილის მეშინია-მეთქი!

— მერე ასე ახლოს იმიტომ მოხვედი ჩემს თოფთან?

— ვიცო, თქვენ ვერ მესვრით, მაგრამ ბრმა ტყვიისა მეშინია.

— ვითომ სულერთი არ იყოს! — თავი გააქნია კნოპსმა.

— ვიცო ვერ გამოიტეხებ, — კნოპსისაკენ არც მიუხედავს ტყვეს. იგი იავე აესტრიელს ელაპარაკებოდა, — ეს თქვენც იცით.

— მერე ამის სათქმელად მოხვედი!

— აღრიალდა ახლა კარლიც.

— მოვედი, რომ ვაგაფრთხილოთ, ერთმანეთის ღრენაში მე არაფერი მომწიოთ, თქვენი სული ჩემს ზელშია, მომკლავთ მე და თქვენი ამბავიც გათავდება, აი, ამისთვის „ვეყვარვარ“ თქვენს კაპრალს და ვფიქრობ თქვენც... გასასვლელისაკენ გატრიალდა და ბრუნენტი გადასწია.

— თქვენი თოფების თქვენც უნდა გეშინოდეთ!...

იგი შეეცადა ზომიერი ნაბიჯით ვასულიყო გამოქვაბულიდან.

თავი მორკა

ვახოს მესუთე-მეექვსე გაკვეთილზე მერხზე ჯდომა ყოველთვის უჭირდა. საერთოდ, მას გაკვეთილი გრძელი ეჩვენებოდა. საზრიანი ბიჭი იყო, თუ უს-

მენდა, გაუგებარი არაფერი ჩიებოდა, მაგრამ მასწავლებლის დაბეჭდვით ახსნა და გამოკითხვა ყოველთვის ვაქიანურებული ეგონა და უნდოდა ბარემ ეთქვათ, რაც სათქმელი იყო და გაეშვათ. რაკი ეს ასე არ ხდებოდა, ხშირად წიგნებს წელში გაირტობდა და ერთი, ზოგჯერ ორი საათით ადრე, სკოლიდან გაილაღებოდა. წინდაწინ იცოდა, თუ დედამისი სკოლიდან დაბრუნებულ თაჯის არ დინახავდა, ბიჭს სახლში არ მიესვლებოდა. ბაბუას ყურამდე ეს ამბავი არ მიჰქონდათ, მაგრამ სამაგიეროდ დედა რაკი ნამუსს უნახავდა, თვითონ ერთიორად სჯიდა. ვახო საღამომდე მშობრ-მწყურვალ ხან პატარა მწყემს ბიჭებში თამაშობდა, ან შთიდან მთამდე ცხენებს დასდევდა, შეღამებისას ლაფაროში რომ აიტუხებოდა და, არც იქ ყოფნიდა მოთმინება, მანამდე გაეჭლო, სანამ შინაურები მილაგდებოდნენ და შინ მერე შემძვრალიყო. მას იმ სასჯელის მოლოდინისა უფრო ეშინოდა, ვინემ თვით სასჯელისა და გამწყრალ დედას ხელში თვითონ უფარდებოდა. ქალს გულს სტკენდა შეილის ასეთი მოუსახრებლობა ამ ცხელ გულზე მაინც მომერიდოსო, და შავ დღეს აყრიდა. ამიტომ შინაურებთან სულ უბრად, იყო. ეს აწუხებდა და მეორე დღეს სკოლაში ადრე გარბოდა, გაკვეთილებს იმეორებდა და სჯეროდა, რომ სწავლა საღამომდეც რომ გაგრძელებულიყო, მერხიდან ფეხს არ მოიცივლიდა, მაგრამ მეოთხე გაკვეთილი მაინც წელიწადის ტოლა გახდებოდა და ამ დაუსრულებელ ყურყუბს ისევ ცემა-ტყევა ერჩია.

მან იცოდა, მტრისთვის წყლის მიცემა ამ მოლოდინს ვაგარძელებდა და წამების დასასრული არ ექნებოდა. „გერმანელი წყალზე არ ვაუშვით თუ არა ვესვრიო“ იქადნიდა. თუთარმა ვაჟა მიიხზრო: „წყალი მწყურვალს როგორ დაეკავებაო“ და მაინც თავისი ჰქნეს. ვახოს არ უსვრია, მაგრამ აბი მანინც ჰკრა ტყვია და მართლა კინადამ დაახოცვინა მტერს ტყვეები.

ამის შემდეგ ვახო ბიჭებს შემოსწყობდა. იცოდა, თუთარი მასზე უშიშარი იყო და შურდა, მაგრამ მისთვის რომ ყური გეგლო, გერმანელები ახლა ყველა ცოცხალი იქნებოდათ. გუას შეეძლო სხვაზე მეტი მოეთმინა და ისეთი რამე არ ჩაედინა, რასაც მერე ინანებდა.

ვახოს სჯეროდა, დედამისი სხვაზე მეტს იღარდებდა, რაკი მისი „უქკუო შვილის“ ამბავი იცოდა და მშობლის სლერსს დანატრებულ „შტერ ბიქს“ გულო სხვაზე მეტად ტკიოდა. აელო თავი და შინ გაქცეულიყო, ბაბუას სხვა მის უკუღმართობას არ უმხელდნენ თუ არა, ამასაც ხომ ვერ დაუმაღავდნენ.

იმ დილით ვახო ციკაბოს რომ აუყვავა, გუამ მიამახა:

— ვახო, დაფიქრდი, აქ შენ მომიყვანე და ახლა მე მტოვებ და მიხვალ? თუთარმა ხელი ჩაიქნია.

— აცალე, სადაც უნდა, ჯანდაბას იქით წავიდეს! — იცოდა, დედამისთან შეეძლო ვახოს მისვლა, მაგრამ მისი სულწასულობა ჭორა მახეშთან ვერ მიიყვანდა და უკან თუ არ დაბრუნდებოდა, ვერც სოფელში გამოჩნდებოდა. ამასობაში კი ვინ იცის, იქნებ რაიმე საშველი გაჩენილიყო.

ვახო საღამოს დაბრუნდა. ბიჭებს გაემიჯნა, თოფი მოშორებით წაათრია, მერე მობრუნდა, ხურჯინის თვალიდან სიოშისებური ერთი ხელყუმბარა ამოიღო, ქამარში თავდაღმა ჩაირჭო და გუამ დაინახა, რომ ბიქს წელზე ბაწრები ჰქონდა დახვეული.

— ეს ბაწრები რაღად უნდა? ხომ იცი, ვახო...

— რას ვაიგებ სად უნდა — მისკენ არც მიიხვდა ჩასაფრებულმა თუთარმა — აცალე. — მას მერე, რაც ვახო წაეიდა, მაინც შიში ჰქონდა, ვინ იცის რა ჰქნას მართლა სოფელში არ გამოჩნდესო. თვითონაც მოთმინება დაკარგა და ახლა გუნებაში კიდევ უნდოდა ვახოს მაინც ჩაედინა რაღაც „სისულელე“.

საიდანაც აქამდე დარაჯობდნენ, ქვებულეებში გამომწყვდეულეებს ედგოვილი ყველაზე მოხერხებულო იყო, მაგრამ რაც ვახო იქაურობას გაცილდა, იქით დგომაც გაუძნელდებოდა. როცა ბიჭებმა დაინახეს გამიჯნულმა წელზე დახვეული თოკები მოიხსნა და კლდის შვერილს გამოსდო, დაიჭერეს; რომ ბიქს ხიფათი არ ელოდა. შეეძლო ამ თოკის ბოლოს გამოძმოდა, თუ ღამით უნაბლოდ სიცივეს გაუძლებდა, ხვრინეც კი ამოეშვა.

თუთარს სჯეროდა, როგორც კი სიცივე მოუქერდა და სიცივეც რომ არა, დაღამდებოდა თუ არა, მისი შიდაშვილი ცხვირ-პირში რომ ერტყმიათ მაინც ნაბდის ქვეშ შემოძვრებოდა, მაგრამ ხელყუმბარა კი აშინებდა, ამ დამთხვეულმა არ აიღოს და ქვევით არ ჩაუძახოსო. თოფი სვანისთვის არც ისე იყო უცხო და რაც ომი დაიწყო სკოლაში შაშხანა, ავტომატის ხელყუმბარების დაშლა-აწყობის მეთი რა ისწავლეს. ამას გარდა ახლა საიდუმლო არც ის იყო, რომ დიდ გამოქვამულში გერმანელები იყვნენ და ქალები აქეთ, მომცრო, ჰერდაბალ ჯურღმულში ჰყავდათ გამომწყვდეული.

თუთარი თავის ხელის თითებივით იცნობდა ბიდაშვილს, მაგრამ იმ დამით მისი ვარაუდი არ გამართლდა. ვახო რომ გაემიჯნათ, ყურადღება არ მიუქცევიათ, რომ თავისიანებზე გაბუტული ბიჭი სწორედ დიდ ქვაბულის თავზე დასახლდა და შეღამდა თუ არა წელიდან მოიხსნა კანაფის წვრილი, მაგრამ გამძლე თოკი, რაკი იმედი არ ჰქონდა, მის განზრახვას მოუწონებდნენ და ხელს მიაშველებდნენ, თოკი თოკს გადააბა და რაც იმ დაქანებას ქვევით უნდა ჩასულიყო, რაზედაც ასე თუ ისე დგომა შეეძლო, ბაწარი ყოველ ორ მტკაველში გამოსკენა, რომ ჩასვლისას ერთბაშად არ ჩაცურებულოყო და არც ამოყოლა გაქირვებოდა. ეს მოიხსნა და მიწვა, მიყურდა.

დაეხმმებულნი ბებერი მთვარე სანამ ამოაღწევდა ჯერ კიდევ ღრო იყო.

ერთი ჩაძინება წყალსაც ჩაეძინება და მით უმეტეს მშვიერ-მწყურვალე კაცი რამდენხანს გაუძლებს. არა და გერმანელები მიეჩვეოდნენ იმას რომ თავზე არავინ ესხმოდათ. თუ ბუნაგიდან არ გამოიხედავდნენ.

კლდე-ღრეში გაზრდილი ბიჭისთვის, უსაშველოდ ბნელი რამ არ ყოფილიყო, ბაწარზე ჩაყოლა და ამოყოლა თამაშს ემგვანებოდა.

როგორც მთას ჩვევია, ცა მალე აიჭრა და ცივი ქარი ასისინდა.

ვახო ეს აღარ აღარდებდა, მაგრამ შეეშინდა არ გაწვიმდეს, ბაწარი არ დამისველდესო და ბიჭების მხარეზე დაახერხა კლდის შევაკებას. ჩამი-ჩუმი აღარ ისმოდა. თუთარს ეძინა და თოფ-მომარკვებული გუაც უთუოდ თვლებდა.

ვახო მტერს ისე არ უფრთხოდა, როგორც თავისიანებს, არ გამიგონ და გაზრახვაზე ხელი არ ამაღებინონო. ისედაც ფსკერგავარდნილი ქალამნები გაიძრო, იქვე თოფთან დააწყო. ზედ რამდენი ღამის გაუხდელი, აქოთებულის წინდები მიიყარა, ქამარში გარკობილი ხელყუმბარა ამოიღო, კლდეზე ჩაყოლისას არ ამომივარდესო, უბეში ჩაიღო, ცივ ლითონს მუცელი რომ არ მიდებოდა, ხერხემლამდე აიტანა, თოქის თავი წელზე მაგრად მოიჭირა და ბაწარს ნასკევებში მოეჭოდა, ფეხები გაშალა, გადიფერდა. ტინზე აპირებდა ჩაყოლას, მაგრამ კედელი თითქმის შვეული იყო, მთელი სიმაღლე ხელებს აწევა. კლდეს ფეხები მოაცილა, ლაჯებში ჩაშვებული ბაწარი მოქებნა და ტერფსა და ტერფს შუა მოიჭცია. მიიწევა ქვევით ნასკვიდან ნასკვამდე და იცოდა, როგორც კი ფეხებთან კლდე გათავდებოდა და ქვევით შეუხვევდა, ბაწარს მკლავს მოხვევდა, ამოიღებდა უბიდან „ამ უპატრონო“, ცივ ბოძს, ორივე ხელით კაპსულზე ნემსს დასცემდა და ბრეხენტს ზევით, საიდანაც გერმანელები ცის ნაჭერს ზედავდნენ, ამ თუჯის კოლოფს ქვაბულის სიღრმეში შეაგდებდა. სანამ ყუმბარა აფეთქდა, მანათობა“ № 10.

დებოდა, თუ დანასკველ თოქს სწრაფად აუყვებოდა, თავის თოფთან სავაქალამნებთანაც კი აასწრებდა. არც აასწრებდა და ერთი კაცის სიმაღლეზე ზევით რომ აწეულიყო და მტერს მისი სამყოფელი ზუსტადაც რომ სცოდნოდა, მიზანში ამოსალებად ვერსაიდან ვერ მიუღდებოდა. გვირაბების ზემოთ რომ რაღაცამ გაიტაცუნა, გუამ მაშინვე ყურები ცქვიტა და ნაბაღში შემჭერალ თუთარს იდაყვი წაჰკრა, მაგრამ სანამ ახლად გაღვიძებული გონზე მოსვლას მოასწრებდა, კარგა ძლიერად იგრიილა. თუთარმა უწინ ცას ახედა. აქ ამხე უარესი მეზის ცემა იცოდა, მაგრამ ამჯერად გვრგვინვა ქვევიდან მოისმა.

თავი მისამო

შტურტესათვის მოულოდნელი არ იყო ეს ქუხილი. მას ახლა შინაც ჰყავდა მტერი და გარეთაც. ყოველ წუთს შეიძლება ან ერთს მოეკლა, ან მეორეს. ვისაც არ უნდა გაესროლა, მანსი განწირული იყო. მას ვერაფერი ვერ იხსნიდა, დღეს არვის დაუძახია ზევიდან ტყვეებისათვის. ეს დღემილი დიდხანს არ გაგრძელდებოდა. მტერმა ჯერ წყაროს იქით აღმართული კლდიდან მოკლა ობერლეიტენანტი, მერე მიხვდა, რომ გაუგეს, სადაც იყო ჩასაფრებული და სათოფეზე ვერავინ მოიხელა. იფიქრა, იფიქრა, მოუარა, ზევიდან დააჯდა თავზე გამოქვამულს და აღფრედ და კლაუსი გამოასალმა სიცოცხლეს. ახლა ისიც იცის, რომ ყარაული მოედანზე არ გამოდის. გვირაბში ტყვიის დაშენა საჭირო, მაგრამ ეს არც იქედან ხერხდება, საიდანაც მაქსი დაქრეს და არც ზევიდან. სანამდე შეეძლო ეცადა მტერს? წყალი რომ არ მოეცა, დაელოდებოდნენ სანამ შიმშილით და წყურვილით არ დაიხოცებოდნენ, წყალი მოგვცა, სხვა გზა არა ჰქონდა, ქალებს ვერ გაწირავდა; ახლა ისევ უნდა გასვას, გაჭამოს და ელოდოს?

სანამდე?..

ასეთ დროს გაქცევაზე უნდა იფიქრო, მაგრამ მოედანზე რომ გავიდეს თავისიანები მოკლავენ, როგორც მოლაღატეს. თუ სიკვდილი გარდუვალთა მოლაღატეს სიკვდილით რატომ უნდა მოკვდეს! დანიელმა რატომ უნდა მიაფურთხოს მის გვამს.

აფეთქების ხმამ და დიდი გამოქვაბულიდან გამოტყორცნილმა ტალღამ ბურთივით აისროლა კაპრალი. ეგონა ყუმბარის აფეთქებას სროლაც მოყვებოდა, გამოქვაბულის შესასვლელს გაეცალა. უნდოდა თვითონაც ცეცხლით ეპასუხა, მაგრამ თვალთ ვერავის ხედავდა. ასე ზერელედ რომ გაესროლა, თავს გასცემდა.

თოფი არ გაეარდნილა, მხოლოდ ქალების კივილი გაიგონა. მერე ესეც ჩაჩუმდა და მეორე გამოქვაბულიდან კენესა და გოდება მოისმა.

ყველაფერს სიბნელე ფარავდა. შტუტე იდგა და არ იცოდა, მოკლეს, დაჭრეს, თუ ისევ გადარჩა.

„შე მესროლეს და ტყვეებს მოარტყეს?.. იქნებ ტინზე ასხლეტილი ნამსხვრევები მოხვდათ?“ ამის ვაგება ახლა არავის შეეძლო. მტერი დიდ გვირაბს დაესხა თავს, მაგრამ ვიღაცა ჭერ კიდე ებრძოდა სიკვდილს.

მოედანზე არავინ იყო.

პატარა გამოქვაბულში ელდანაცემი გოგონას ჩურჩული ისმოდა. ჰანსი უკან შებრუნდა და თბილი სისხლის სუნი იგრძნო...

ტყვეები გაჩუმდნენ. არ იცოდნენ, ვინ შევიდა მათთან. ჰანსი ცოცხალი იყო და დაბრუნდა. პაულუ დაეძებდა მათ დასაფლავებლად თუ თავისიანებმა ამოწყვიტეს გერმანელები და გათავაისუფლდეს...

კაპრალი არ განბრუნულა, არც ხმა გაუწვია. მეორე გვირაბში თუ ვინმეს კიდევ სული ედგა, არ უნდა სცოდნოდა, რომ ჰანსი ცოცხალია.

დიდი გვირაბიდან დრო და დრო

ისევ მოისმოდა განწირული ყრუ გმიწვა.

ამ ამბობენი ლამის გათვნივნილი ხმის ველი არ დაადგებოდა.

განთიადისას თავისი სახელი გაიგონა მომაკვდავის კენესაში:

— ჰანსი!..

ეგონა მოეჩვენა. მისი სახელი იქ არ უნდა ესხენებინათ, ან ავად უნდა ესხენებინათ.

— აღარც შენა ხარ ცოცხალი, ჰანსი!..

— იეთხა ისევ იმ ხმამ თითქოს იმიერიდან და კაპრალი ვერ მიხვდა ვინ ეძახდა. ვის გაახსენდა სულის ამოსვლის წინ მოლაღატე.

გვირაბში ისევ ბნელოდა. გახევებულმა ჭარისკაცმა ორიოდ ნაბიჯი გადადგა გასასვლელისაკენ და მაშინვე გოგონას ჩურჩულიც მოესმა. უკან არ მოუხედავს, კედელს აეკრა და მოედანი მოათვალიერა. ვერავინ დაინახა.

მეზობელ გვირაბში ისევ ებრძოდა სიკვდილს განწირული.

ნაბიჯის გადადგმა მიინც ვერ გაბედა. თავისიანებიდან მის მტრ ფეხზე არავინ იდგა. შეშინებული ბავშვივით აკანკალდა, ხელი დაუშვა და ავტომატი კედელზე მიაცუდა, განიარაღებულმა მოედანზე გაიარა და ბრეზენტს მიადგა.

— მოდი, სულ ერთია ვინცა ხარ, მოდი!

შტუტეს დანიელი ეძახდა და უნდა მისულიყო, მაგრამ ვინ იყო იქ კიდევ ვინც არაფერს ამბობდა?

— მოდი, — ოხვრით გაიშეორა ბეჩაემა, — მოდი, მე შენთან საქმე მაქვს!

ჰანსმა დაფლეთილი ბრეზენტი გადასწია და მალლა აეცია, რომ გამოქვაბულში სინათლე შესულიყო.

არავის უსვრია. შემხუთველი სისხლის სუნი იდგა. თავი დაღუნა. და გამოქვაბულში შეიპარა. მარჯვნივ, კედელზე მიპყრობილ, ჩამჭდარ ჭარისკაცს შეასწრო თვალი და მიტრიალდა. უნდოდა ეყვირა, არ მესროლოო, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. იოჰანი მკვდარი

იყო. დანარჩენები იატაკზე ეყარნენ წითელ ტბორში.

— ცოცხალი აღარავინაა?

— არა, — უპასუხა გვირაბის სიღრმეში ჩამხობილმა.

— დანიელს...

— მკვდარი ვარ, ჰანს!

— რა დაგემართა, დაგჭრეს?

— მომკლეს...

— სადა ხარ დაჭრილი, დანიელ?

— ყველგან, მუცელში, ფეხში, ხელშიც...

შტუტემ ჩაიჩოქა. უბედური გლეხიც სისხლში ცურავდა.

— ჰანს!

ჰანსი დუმდა.

— ამოიღე ხმა.

— რა ვითხრა?

— მითხარი, რას მერჩოდის!

შტუტეს გული სულ გაუჩერდა, მაგრამ სულთმობრძავს მაინც მისწვდა და გადმოაბრუნა.

— დანიელ, რას ამბობ, დანიელ!

— მითხარი, ჰანს, რას მერჩოდის!

— დანიელ, შენც მაგას ამბობ, ღმერთი არ გწამს?

— არა! იუარა და წითლად შეღებილი თავი გადააქნია. — არ არის ღმერთი!

— დანიელ!...

— მიპასუხეთ, რა გინდოდათ ჩემგან, მითხარით, რას მერჩოდით!

— მე, დანიელ?...

— შენ... შენ... ჰო, შენ, აბა ვინ...

ჰანს არაფრის თქმა აღარ შეეძლო. ხმა ჩაუწყდა...

— მითხარით, მითხარით, რა გინდოდათ ჩემგან, რატომ მათრიეთ, და მაწამეთ, რატომ მაშიშვლებთ, მამწყურვალეთ, რატომ მესროლეთ და დამგლიჯეთ, ამოიღეთ ხმა!...

— მეეე?...

— შენ, შენ, ჰანს, რა პასუხს აძლევ ჩემს შვილებს!

— დანიელ, ღმერთს შეხედე!...

— სადაა ღმერთი! სადაა, რომ შეხედო! არაა ღმერთი, ჰანს. არაა და კაცი შენა ხარ, შენ გთხოვ პასუხს, მითხარი, რას მერჩოდის!

ჰანსს თავი ჩამოუვარდა. მიხვდა, რის პასუხს თხოვდა სიკვდილს და ალაღმართალი გლეხი. ამას გაგებდა ხომ თვითონაც უნდოდა, ისე, როგორც ირგვლივ, თავისივე სისხლში აცურებულ მიცვალებულებს.

ცივი ქვის კედლები და თავზე წამოხობილი, ბომბის ნამსხვრევებით დაფარული ტინის ჭერი სდუმდა.

თავი მორთვა

ტყვეებმა გაიგეს, რომ სულთმობრძავი დანიელის მეტი ცოცხალი არავინ იყო და თავისი სატყვივარი ატყვდათ. ამდენხანს ისინი დიდ გამოქვაბულში მყოფთ უმალავდნენ თავიანთ სიცოცხლეს რაკი სჯეროდათ, მშველელი რომ მოეხმოთ, ტყვიას მიიღებდნენ.

ახლა ჰანსს ესმოდა, როგორ ემუდარებოდა უმწეო გოგონა ქალიშვილს. გერმანელმა იცოდა, წუხელი თავისიანებმა ერთერთი მათგანიც დაჭრა. როცა თავის სასოწარკვეთილი ხმა გაისმა: — მიშველეთო, — მიხვდა, რომ გოგონა მშველელს თავისთვის არ ეძახდა.

დაჭრილმა უთუოდ გონება დაკარგა, ან სისხლიდან იცლებოდა და შეშინებულმა თავიმ მოუხმო აღამიანს. ერთადერთი ცოცხალი აღამიანი ქალების სიახლოვეს ჰანსი იყო.

გერმანელი ანგარიშმიუცემლად მიტრიალდა და უკან წამოვიდა. თავით წამოვლო აკცილ ბრეზენტს და ჩამოიშალა. დიდ ქვაბულში ისევ ჩამოხენლდა, მაგრამ დანიელს სიბნელე აღარ აწუხებდა.

— მიშველე! — შეაგება ჯურღმულის შემოსასვლელთან მომდგარს სასოწარკვეთილმა პატარა ტყვემ.

შტუტემ მოიხარა და ახლოს მივიდა. გოგონას კალთაში ედო ფერწასული, გონდაკარგული ქალიშვილის თავი და ორივე ხელს იწვდიდა.

გულწასულს ფეხები სისხლით ჰქონდა მოსერილი. მარცხენა მუხლს ზემოთ უნდა ჰქონოდა ნამსხვრევი მოხვედრილი.

ჰანსმა კუთხეში მიყრილ ქვაბუნებს შეხედა და თვითონაც ხელები უშწყოლ გამოაღა.

— არა! — იღრა თაჯიმ, წყლის ამოტანამდე იგი მარტო ვერ დარჩებოდა. გოგონა წამოიწია და ქალიშვილის თავი ნაბაღზე დაუშვა. მხრებზეამოყრილი, დაპატარავებული გერმანელი რაღაცაზე უაზროდ ყოყმანობდა.

მითხარი რა ექნა! — შესძახა გოგონამ.

შტუტე ჯერ დაქრილს დააჩერდა, მერე თაჯის და თავით ანიშნა: გადი, შენებს დაუძახეო.

— გუა! — იწივლა გოგონამ და გარეთ გავარდა. — გუაა!

— გუაააა! — აგუგუნდნენ ხევეები. აღმოსავლეთით ღრუბლებს ცეცხლი ეღებოდა.

— მიშველეთ, გუა, ჩქარა, ჩქარა! გამოქვამულში რომ დაბრუნდა, გუცას თეთრი ტუჩები უთრთოდა.

— ცოცხალია? — ჰკითხა იქვე ჩაცუცქულ ჰანსს.

ჰანსმა თავი დაუქნია.

— წყალი!

გრემანელი უკან დაიწია. გოგონამ შეაჩერა.

— მოიცა, გუა მოვიდეს, გუა ჩამოვიდეს და მერე...

ერთხანს უზარმაზარი სინუმი ჩამოვარდა.

— თაჯი! — მოისმა გარედან.

— ჩქარა, ბიჭებო, ჩქარა! — ამოისუნთქა დაზაფრულმა პატარამ და ისევ გარეთ გავარდა.

ზევიდან თოფით, კისერზე ზურჯინგადაკიდებული გუა ეშვებოდა.

— ცოცხლები ხართ? — იკითხა ზევიდან თუთარმა.

— ჩქარა, ჩქარა! — უბასუხეს ქვევიდან.

— მითხარით, რა გჭირთ! — შეეხვეწა ვახო.

— ენა გააჩუმე, თუ არა!.. — უყვირა თვალატირებულმა ბიძაშვილმა.

გუა მოედანზე ჩასრიალდა, თავი ვერ

შეიკავა და ჩაჯდა. მაშინვე წამოხტა, გაიქცა.

გამოქვამულში ბნელუდადა მესასვლელთან შეჩერდა.

— თაჯი!

— აგერ, გუა, აგერ ვართ!

ბიჭი წინ წამოიწია და გახევედა. მოეჩვენა, რომ იქ ვიღაცას გერმანული მუნდირი ეცვა. უკან უნდოდა გამობრუნებულყოფ, მაგრამ მუხლები აუკანკალდა.

— რას უცდი! — მოისმა შიგნიდან, მაგრამ გუა კაბრალს უყურებდა და ნაბიჯი ვერ გადაედგა.

მერე ვიღაცა ხელებში ეცა და ბაწარჩაბმულივით წაიყვანა. ბიჭი რაღაცას წამოედო, წაიფორხილა, მაგრამ გერმანელს რომ ჩაუარა, კისერი მოედრია.

— ეს ჰანსია! — ჩაილაპარაკა გოგონამ ისე, თითქოს „ეს ჰანსია“ გუას შორეული ნათესავი ან ძველი ნაცნობი მიინც ყოფილიყო.

უიარაღო ჯარისკაციც უძრავად იდგა და შემოსულს შეჰყურებდა.

— ვინაა?! —

— ჰანსია!

ბიჭს ვერ გაეგო, რატომ ეცვა ამ ჰანსს მტრის მუნდირი, თუ თაჯის ასე შეეძლო ეთქვა მისი სახელი.

გუამ დაქრილთან ჩაიჩოქა და მაინც უკან მიიხედა.

— რას უცდი, საღ იხედები!

ბიჭმა იჭაურობა ისევ მოათვალიერა. კედელზე აყუდებული ავტომატი დაინახა და გაშეშდა. გერმანელი შეიშხა და იქით წაიწია, საითაც ბიჭი იცქირებოდა. მტერმა იარაღს რომ ხელი წაავლო გუა მისკენ მიტრიალდა და კედლისაკენ გახიზნა. გერმანელი ქვაბულიდან გავიდა და ავტომატი ბარვიით წაათრია.

— რისი გეშინია! — გაუკვირდა თაჯის და კისერზე გადაკიდებული ზურჯინი ჩამოხსნა.

— წყალი რომ გვინდა? — თქვა სიკვდილმისჯილივით და ძლივს მოაგონდა, რომ წყალი არ ჰქონდათ.

— ჰო, მართლა, წყალი! — თქვა თავიმ და თვალთ ვიდაცას დაუწყო ძებნა.

შემოსასვლელს ხელცარიელი გერმანელი მოადგა.

— წყალი, ჰანს! — მიამბა გოგონამ. გუამ თვალებს არ დაუჭერა, გადამთიელი შემოვიდა, ჭურჭელი მოძებნა და გზას გაუღდა.

ბიჭი ახლა თავის მიმუხრდა. ვერ გავგო, ეს გოგონა გამოცვალებს, თუ ის მუნდირიანი არ იყო გერმანელი?..

შტუტე რომ გამოქვამულში დაბრუნდა, ამის შემდეგ ერთხანს ყველაფერი მიწყნარდა.

როდის-როდის მოისმა გუას ხმა. ვახო ფეხზე წამოვარდა, ბაწრის თავს ეცა და გუას მერე ჰკითხა.

— ავსწოთ?
— მოიცა! — შეაჩერა თუთარმა, მიეშველა, ორივე დაუბლაუჭა, ნელ-ნელა დაქიმეს თოკი და ბაწარზე დაკიდებული მალა აათრეეს.

— ჭრალობა საშიში არაა — ამოიტანა ამბავი გუამ.

— ცოცხლები არიან!

— ჩაიგდე ენა! — იღმუვლა თუთარმა.

— ცოცხალია და რა გატირებს, შესულელი!... — მაჯაზე იკბინა ვახომ, რომ კიდევ არაფერი ეთქვა.

გუა ამბის ამოსატანად ამოვიდა და მალე უკან უნდა დაბრუნებულიყო. ის კი არა და დამეც ქვევით უნდა გაეთია, თუ რაიმე შეეძლო, ორიოდ სამკურნალო ბალახის მცნობ, უძინარ, არაქათამოკლილ ბიჭს ცლა არ დაეკლო. გუას უკანასკნელი ჭონის ნაჭერი დაეტოვებინა თავისათვის. ახლა საჭირო იყო თუთარი ან ვახო კიდევ ჩაბარულიყვნენ სოფელში და იქნებ რალაცა კიდევ ეშონათ.

— რად უნდა ჩავიბაროთო! — გადაირია ვახო.

— ენა! — ჩაჩუმდა თუთარმა, მაგრამ მერე გუას მიუბრუნდა და თვითონაც ის თქვა, რაც მისმა სულწასულ-

მა ბიძაშვილმა. — რატომ უნდა ჩავიბაროთო?

— ყველანი წავიდეთ! აქ რას უღებხართ! — წამოხტა ვახო. — რა გინდათ ჩემგან... ტყუილია?!

— რას ამბობს! — შეიცხადა თუთარმა — იქ გერმანელი რომაა არ გახსოვთ? რამ გამოგატყინა?

— იყოს მერე!
გუასაც გაახსენდა, რომ იქ მარტო ქალები არ იყვნენ, მაგრამ თავის არ იყოს, ის ხომ „ჰანსია“ და მეტი არაფერი...

— მაშინ ნე ისევ ქვევით უნდა ჩავიდე!

— მეც მოვდივარ! — დაფაცურდა ვახო. სად მიდის? — ჰკითხა გუას გონდაფანტულმა თუთარმა.

გუამ მხრები აიჩეჩა, მაგრამ ვახოს გადაწყვეტილება არ გაკვირვებია, თითქოს ეს დაუფიქრებლად შეიძლება მომხდარიყო.

ვახოს ესლა აკლდა, გამოხოხდა, ეცა ჩაკიდებულ თოკს და სანამ ბიჭები აყვირებდას მოასწრებდნენ, ბაწარზე დაეშვა.

თავი მთავარი

დანიელი მზის ამოსვლას არ დასწრებია. წავიდა ისე, რომ უმოწყალოდ დაგლეჯილს პასუხი ვერაუან გასცა, ვერც ლმერთმა ვერც კაცმა. აქ არ მოასვენეს, საშველი არ მისცეს, სანამ სული არ ამოხადეს, ახლა მიდიოდა და ვისთან, არაეინ იცოდა, მორწმუნე გლეხს სააქაო და სიჭიო ერთად გამოეცალა ზეულიდან და სულიან ხორციანად დაიღუბა.

დანიელის სიკვდილის შემდეგ დიდ გამოქვამულში ყველანი ერთნაირნი იყვნენ და ყველას ერთი სათხოვარი ჰქონდა ჰანსთან — მიწა.

გუას ჩამოსვლის შემდეგ შტუტე საჭიროდ არ თვლიდა ნებათვა ეთხოვნა დახოცილების დასამარხავად. ისინი დიდი ზანია შეთანხმდნენ, რომ საფლავი ყველა მკვდარს ეკუთვნის, მომაკე-

დავს წყალი, მაგრამ გუცას ახლა მარტო წყალი ვერ უშველიდა. იგი აქედან უნდა წაეყვანათ და დღეს ხვალ ამას გააკეთებდნენ.

ვინც აქ, შტუტესთან ერთად მოვიდა, ყველამ დაასრულა საფიქრალი და სატკივარი. ჰანსი იმდენად უიღბლო გამოდგა, ვერც კლავსთან დამარხა თავისი უბედურება და დანიელსაც ალბათ ისე მიაყრიდა მიწას, თავსაცემი არ დაეღეოდა.

ქონის ნაჭრიდან, რომელიც ბიჭმა გოგონას დაუტოვა, გერმანელმაც მიიღო თავისი წილი. მან დღეს წყალიც დალია. ახლა ძალა უნდა მოეკრიბა, რომ ხუთი მიცვალებულისათვის სალამოს სამუდამო სამყოფელი მიეჩინა და თავის თავზე, თუ ფიქრი კიდევ შეეძლო მერე ეფიქრა.

დაჭრილს თავი გვერდზე ედო და გასასვლელისაკენ იცქირებოდა. მოედანზე მზის შუქი ჩანდა. გოგონაც გარეთ იხედებოდა. ტყვეები ისე დატანჯა ამ ჭურღმულში ყოფნამ, სინათლესა და მზეს მონატრებული თვალები გარეთ გაუჩრბოდათ.

ახლა დაჭრილის სატკივარი მარტო ჭრილობა არ იყო.

— ჰანს! — თქვა მან ბოლოს.

— გისმენთ, ფროილიან...

ქალიშვილმა თვალი ააყოლა გერმანელს და შეყოყმანდა.

შტუტე ვერ მიხვდა რა უშლიდა ქალიშვილს ეთქვა, რის თქმასაც აპირებდა.

— თქვით, ფროილიან!...

— რა გინდა, გუცა? — თვალებში ჩააშტერდა თავი.

დაჭრილმა თავი გაიჭნია: შენ ამას ვერ გაიგებ და მაკალეო.

— ფროილიანი — გაიმეორა ჰანსმა,

— რაკი გინდათ, თქვით.

ქალმა თვალებში შეხედა: აქ შენი გასაკეთებელი აღარაფერიაო და დაუინებით დააცქერდა გერმანელს.

გუცას მზერამ თავიც გააკვირვა და ისიც უხერხულად ატუზულ ჰანსს შე-

აჩერდა, თითქოს ამ კაცს პირველად ხედავდნენ.

იგი ახლა ისე მალაღმალაობდა თავიდან, „გაცნობისას“, ოდნავ უკან გადაზნექილიც მოეჩვენათ, ახლა პირიქით, წინწახრილი ჩანდა. თვალები ჩაცვენოდა და უპეებზე ჭკნობა შეპარვოდა:

— ქული მოიხადე, ჰანს!

შტუტე ვერც მიხვდა, რაში ჭირდებოდა ქალიშვილს მისი ქული, მოიძრო და მიიწოდა.

დაჭრილმა თავი გადააქნია.

ჰანსმა ხელი უკან წაიღო და ისევ უხერხულად დადგა.

— მეც ახლა შენს თავს ვერ ვუყუარებ.

— ვერა, ფროილიანი!

— ნურც დანიხავ, — ქალმა თვალი აარიდა.

— რა მჭირს, ფროილიანი?!

არ უპასუხა.

გერმანელს თმა ერთიანად ვასთეთრებოდა.

თავი მეცხვამ

წყაროს ქვევით მიმავალი ბილიკი ტინის კედელთან რომ მარჯვნივ უხვევს, სადაც წაბლისფერი ცხენი გადაჩეხა თუთარის ტყვიამ იქიდან პირდაპირ უფსკრულის გაღმა, უნაგირა მწვერვალის ქვევით, კლდის მორღვეულ უბეში ფეხზე თოფშეყენებული ბიჭი იჯდა. იგი უფსკრულის გაღმა იცქირებოდა და კარგად ხედავდა წყაროსპირა ლორღიან ხავსიან მინდორს. მალლა მიმავალ ციცაბო ბილიკს და გვირაბის წინა მოედნის ნახევარზე მეტს. გვირაბის თავზე ჩასაფრებული ბიჭების სამალავი არ ჩანდა, მაგრამ ზუსტად იცოდა მათი ადგილ-სამყოფელი.

მარტოხელა ბიჭი მოწყენილი და სევდიანი ჩანდა. ღამით, ბომბის აფეთქების ხმა რომ გაიგონა, მას აქეთ თვალი არ დაუხამხამებია. ინათა თუ არა, და გაიგონა ძახილი, დანიხა „ის“.

ვისთვისაც ამ კლდე-ღრეში ყურყუტებდა.

მერე მოედანზე ბაწრით დაეშვა გუა. ეს არ უნდა მომხდარიყო, თუ გამოქცეაბულში, ტყვეების გარდა, ცოცხალი იყო კიდევ ვინმე, მაგრამ მალე გამოჩნდა, ვინც არ უნდა გამოჩენილიყო. ბილიკზე ჩამოდიოდა გერმანელი. ეს გერმანელი ბევრჯერ დაუნახავს, მას შემდეგ, როცა მან გვირაბიდან გამოსული მტრის ჯარისკაცი მოჰკლა და კინაღამ გადაიბა მადლა ჩასაფრებული ბიჭები. ფეხად გაასწრო მაშინ თუთარს და ეს ახალი სამალავი მოძებნა. მას აქეთ ხედავს ამ გერმანელს, ხან წყალზე ჩამოდის, ხან საფლავებს თხრის და აქამდე ვერ გაიგო, მტერია თუ მოყვარე.

ჯარისკაცმა წყალი მადლა რომ აიტანა, ამის შემდეგ ერთხანს ყველაფერი მიწყნარდა. ბოლოს, გუა ზევით, ბიჭებთან დაბრუნდა და მალე მადლიდან თოკით ქვასავით დაეშვა ვახო.

ცოტა შეაგვიანდა და ბაწარს ჩამოჰყვა ისევ გუა, მერე ნაბადშეხვეული თოფები და ხურჩინი, თუ რაც გააჩნდა, ჩამოუშვეს და თოკით ჩამოვარდა. თუთარი ალბათ უკან გაბრუნდა იმ ზნით, საიდანაც გადმოვიდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, ბაწარი არ უნდა ჩამოეგდოთ. ქვევით ჩამოსულთანგან ერთი იქვე დარჩა და მეორე გვირაბში შეგზავნა. მალე ისიც თან შეჰყვა და მოედანზე ერთხანს მარტო შეხვეული ნაბადი ეგდო.

მზე შუბის ტარზე წამოვიდა და მწვერვალის უბეში ჩასაფრებული ბიჭის სამალავშიც შეიხედა. ბიჭს მაინც არ გახსნია წარბი. კაცმა არ იცოდა რა ხდებოდა, ყველაფერი ერთმანეთში ეროდა და ყველა ვარაუდი უტრუქდებოდა.

მზე საშუალოდ იყო, როცა გვირაბიდან გამოვიდნენ და ვილაც ნაბადში გახვეული გამოიყვანეს, მოედანზე დაუშვეს. ახლა ყველანი ერთად იყვნენ. ისინი ვინც ჩამოვიდნენ და ისინიც, ვინც აქამდე ქვევით იყო გამოწყვედილი.

ერთხანს ვერაინ ვერ მოისაზრა რა ექნათ, მერე ერთი ბიჭი ეცა ნაბადში შეხვეულს და ასწია, მეორეც მიეშველა, ბოლოს გოგონაც ჩაებლავა და მოედნის ბოლომდე, ბილიკის დასაწყისთან მიადწიეს. გაჩერდნენ, იმ ბილიკზე ასეთი ტვირთით ეს „ვაჟაკები“ ნურას უკაცრავად. ძირს დაუშვეს და ყურები ჩამოჰყარეს. ისევ არ იცოდნენ, რა გზას დადგომოდნენ.

კარგა ხნის შემდეგ ქვებულის წინ დაყუდებული მადალი გერმანელი მივიდა მათთან, დაიხარა და ნაბადში შეხვეული ასწია. მაშინვე სხვებიც მიეშველნენ, თავიმ ბაწარი მიაწოდა. მალე მხარზე მოიღო, ნაბადზე შემოატარა და ისევ ბეჭზე მოიხვია. მკერდზე მაგრად რომ მიიჯრა, ხელებიც მიაშველა და ქვევით წამოვიდა. წინ ერთი ბიჭი გაიძლოდა. დანაჩენები უკან მიჰყვნენ.

ბილიკი მარჯვნივ კლდეს მისდევდა და გულზე მიკრული ტვირთით პირდაპირ ვერ ივლიდა. ფრთხილად შემობრუნდა და გვერდულად დაიწყო სვლა. ყოველ ნაბიჯს წინდაწინ ზომავდა. სანამ არ დარწმუნდებოდა, ფეხის დასადგმელი ადგილი საინდო იყო, ადგილიდან არ იძროდა.

წინ მიმავალი ბიჭი ჩერდებოდა და ბილიკზე ჩამოვარდნილ ქვას ან ჩამონაშალ ღორღს ქვევით ჰყრიდა. მოსახვევამდე დაქანება იყო, სადაც ცარიელი ქვებულებითაც ჰქირდა ჩასვლა. მაგრამ თუ ასეთი სიფრთხილით ივლიდა, იქამდე მიაღწევდა. იქ კი სხვა ხერხისათვის უნდა მიემართა.

მწვერვალის უბეში ჩაყუებული ბიჭი თვალგამტერებული მიჩერებოდა ბილიკზე ჩამომავალთ. მოულოდნელად ცხენის ფეხის ხმა მოისმა ხვეიდან. მიჩუმდა. მალე ისევ განმეორდა.

გვირაბებიდან წამოსულნი მოსახვევამდე მოვიდნენ. გულზე ტვირთაკიდებული ჩაქდა, წინ წასულ ბიჭს ხელი გაუწვდინა და მჯდომელამ გადაინაცვლა ადგილი. მოსახვევთან ზურგიით აეკრა კედელს და ორივე ხელით აჰყვა,

გამართა, მობრუნდა და გზა ძვევ გვერდულად განაგრძო.

ცხენების ფეხის ხმა მოახლოვდა. მთების ეჭო ფლოქვების ხმებს ერთმანეთში ურევდა, ამრავლებდა და გუგუნი მოჰქონდა.

ბოლოს, სულ ახლოს მოისმა ნალევის ქახანი და ბილიკის მოსახვევში კუნაპეტივით შავი ცხენი შემოვარდა მხედრით. მერე მარქაფად ადევნებული ნისლა და ფიცხი ულაცია.

ქენებით მისდევდნენ ბილიკს. კლდეს შემოურბინეს და წყაროსთან ღორღიან მინდორზე გავიდნენ. საფლავებს გადაუარეს და წინ წასასვლელი რომ ვერ იპოვეს, ცხენები ადგილზე დატრიალდნენ და ჩამონაშალი ქვა-ღორღი დატორეს.

მხედარი ჩამოქვეითდა.

მალიდან კიდევ არ იყვნენ ჩამოსული. ბიჭმა ცხენები აღვირებით გადააბა და გაოცებით მიაშტერდა გულზე ტვირთაკიდებულ გერმანელს. ხედავდა და არ სჯეროდა. უცქეროდა და თვალი მატყუებდა, ეგონა.

როგორც კი ჩამოაღწიეს, გერმანელმა იქვე ჩაიჩოქა მიცვივდნენ და დაქრილი ძირს დააწვინეს. გუამ თავისი ნისლსფერი ცხენი მოიყვანა, მაგრამ დაქრილს ასე შეხვეულს ვერ აკიდებდნენ უნაგირზე. ცად ატყორცნილი მწვერვალების ძირში მიტმასნილ ბალძეზე ასეთი ტვირთით ცხენი ვერ გაივლიდა — გზის სიგანე არ ეყოფოდა.

პატრონმა ნისლამ მუხლზე შემოჰკრა და აღვირა ქვევით დასწია. პირუტყვმა ფლოქვებით ფეხქვეშ ღორღი გაწმინდა და ჩაიჩოქა.

დაქრილს ნაბადი შემოაცალეს და

ჩაჩოქილ ცხენზე გადაიყვანეს ისე მოახურეს შავი მოსასხამი და უნაგირზე დააკრეს.

ბიჭმა ნისლა ფრთხილად წამოაყენა და წინ გაუძღვა. შავ ცხენზე თავი აფრთხნდა, მაგრამ ძმამ სადავე არ დაანება. ფიცხ ულაცს ვახო მოევლო და ქუსლი ჰკრა, ყველას წინ გადაურბინა და წყაროსთან მიიჭრა.

ნელა, ორ-ორზე მიდიოდნენ პატრონებს ადევნებული ცხენები.

იმ ადგილზე, სადაც დაქრილი უნაგირზე შესვეს, ხმელი კუნძივით დარჩა ჩაჩოქილი გერმანელი.

წინ წასული ვახო შეჩერდა. უნდოდა ჩამორჩენილები გაეტარებინა და მერე შეჰყოლოდა ბილიკს, მაგრამ მათ მოახლოვებას მაინც ვერ დაუცადა, წელში მოიხარა და ულაცს სადავეები მიუწვა. ყველა თავჩაღუნული აედევნა. მიდიოდნენ ნელა, ძალიან დაღლილი, ქანც-გამოწყვეტილი კაცის ნაბიჯებით. უკან არავინ იცქირებოდა. ერთხელ ნაბად-მოხვეულმა ქალმა და გოგონამ მოიხედა, როცა მოსახვევთან მივიდნენ, მერე იმათაც თავი ჩაჰკიდეს.

ჩაჩოქილი გერმანელი დარჩა, ერთ ადგილზე მწვანე ზავსმოდებული ხმელი კუნძივით. არ შერხეულა, არც მაშინ, როცა მისკენ მოიხედეს და არც მერე როცა თვალის მიეფარნენ.

ერთხანს ცხენების ფლოქვების ხმა ისმოდა ყრუდ.

გერმანელი ისე უძრავად იყო, როგორც კლდეზე შერჩენილი ეული, ხმელი ხეები დგანან და დგანან. ირგვლივ შემოჯარული მთები კი სდუმდნენ და აღარაფერს ამბობდნენ.

ლიბილი და სრეელი

ზურციელას, უდღემამო ბიქს, უკვდება ბე-
ზია, ერთადერთი პატრონი და მფარველი. ილა-
რიონს თელს ამოფლებენ. სოფლის ზან ერთ,
ზან მეორე კუთხეში გაისმის ელდანაცემი შე-
კვლევა და ჭობებში დგება გლოვის ზარი, სო-
ფელი იმოსება ჭაბით, — მისი მკვიდრი ბიჭეა
ომში იღებებიან. ზელმოკლეობა და შიმშილი
დაძრწის ჭობიდან-ჭობში. ხატია უსინათლოა,
დათიკო — საშობლოს მოღალატე და კაცის
მკვლელი. დათიკოს ხელით იღებება ბეჯანი,
აბდალი, რომელიც სოფელს უყვარს. ბაბილოს
და კაცანოს ომში დაეკარგათ ტყუბი ვაგიშვი-
ლები.

თეიმურაზ ბარამიძე რვა წლის დარჩა უდღე-
მამოდ, ნათესავებისა და კეთილად აღმზანების
ანაბრად. აეტორი არ მოგეითხრობს თემურის
ბავშვობაზე, არ გვიხატავს ვარემოს, რომელ-
შიც იგი იზრდებოდა მშობლების მზრუნველ
ხელსა და აღერსს მოკლებული, მაგრამ მკით-
ხველისათვის ნათელია, თუ რა შიმში, გაუხარე-
ლი ბავშვობა ჰქონდა თემურის. ასევე, შიმში-
მისი კაბუტობისა და ახალგაზრდობის წლებიც.
თემურის ბედმა გაუღია: ვიდასაბუნებრივად
დაბრუნდა დედა. მაგრამ დედა-შვილის ერთად
ცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა, დედა ვარდაი-
ცვალა...

ასეთია ცხოვრება, იგი სადღესასწაულოდ
გამალაი სუფრა კი არ არის, რთულია, შიმშია,
ილსავება წინააღმდეგობებით, დიდი ძებრებითა
და ტყვილებით. სიხარულს მწუხარება ჰყავს
ნასაფრებელი, დღეს — ღამე, კეთილს — ბო-
როტი... აღამიანს უნდა ესმოდეს ეს და მზად
იყოს ამისათვის. აღამიანის ღირსებაა, ჭირს არ
დაეზავებინოს, მწიღებლობის ემს არ გატყდეს,
არ დაეცეს სულით, ყველა გარემოებაში შეი-

ნარტუნოს კეთილგონიერება, სიმხნევე და სუ-
ლიერი წონასწორობა, არ დაეკარგოს ცხოვრე-
ბის ინტერესი და ზალისი, მომავლის რწმენა
და ზეაინდელი დღის იმედი; იყოს კეთილი,
უყვარდეს, იღწვოდეს და იბრძოდეს. ცხოვრება
მიმზიდველია თავისი სიხარულით, თავისი ჭირ-
ვარამით, თავისი ყარკით და ცუდით. საბო-
ლოოდ იმარჯვებს სიკეთე, იმარჯვებს სინათლე.

მაგრამ აღამიანი მარტო ვერ გავა ცხოვრე-
ბის ფონს, მარტო ვერ გაუძლებს ცხოვრების
ორომტრიალს; ავბელობის დაძლევისათვის,
სიკეთის, სინათლის, დაღებობის გამარჯვებისა-
თვის ბრძოლაში აღამიანის მოკავშირეა აღამი-
ანი. აღამიანი აღამიანით არის აღამიანი, რაგინდ
მშიმეც არ უნდა იყოს მისი ხეღერი, განწირუ-
ლი არ არის, თუ მას მხარში უღვას აღამიანი,
აღამიანები. ილიკო და ილარიონი მხოლოდ მე-
ზობლები არადი არიან ოღლისი, ზურციელისი.
ოღლას ჭობი მათთვის. სიკეთისი ჭობია, ისე
შეადებენ ყარს და შეგულს, არც მოკავებებენ,
ისინი მხარში უღვანან ოღლას — მოხუც ქვრივ
ქალს, უმსუბუქებენ შიმში ცხოვრებას, ეხმარე-
ბიან ობოლი ბიქს ალზრდამი. ზურციელა მათ
თავის სისხლსორკად მიანიათ.

ილარიონი თბილისში ზალის ზურციელასთან,
როგორც ღვიძლ შეიღთან. ილიკოს შეიღიეთ-
ეოცნებება კვიამტი ზურციელა. ბაბილო უსას-
ყიდლოდ აწლევს სიმინდს სოსოიას. აღამიანების
კეთილმა გულმა, აღამიანურმა ზრუნვამ გამო-
სტავა სიკვილის რუსი ოფიცერი, რომელიც
მომავალევი იპოვნა ბეჯანამ ჩაიში. ან ვანა ასე-
ყად შიმში არ იქნებოდა უსინათლო ხატისა
ცხოვრება, მას მხარში სოსოია რომ არ უღვას?
სოსოიას თანავარძობა, სოსოიას მეგობრობა,
შუქს ღენს ხატისა არსებობას. ხატია ხედავს

ამ მეგობრობით გამთბარი გულით, გრწმობს და ხარობს. თვალთა უსინათლობას აიტან, როცა ცხოვრებას ვინათებს ადამიანური თანაგრძნობის, ადამიანური მეგობრობის შეჭვი.

თემურ ბარამიძეს ცხოვრებამ ბევრი სიმწარე აგება, იგი ტირის, ცრემლს ღვრის, ქვითინებს, გლოვობს თავის ბავშვობას, გამწარებულ სიკვამულეს, მაგრამ ეს ცრემლები არ არის ნიშანი სულიერი დაძაბუნებისა, სისუსტისა, უღონობისა; ეს გლოვა არ არის გლოვა ცხოვრებისა-დან დამარცხებულისა. კაცობა ის როდია, უბედურება არ ვანიცადო, — უბედურებას არ უნდა გაეთვლინო. ვიკვირს კიდევ: ამ უღელმთაშოდ, უპატრონოდ გაზრდილ ბიჭს საიდან აქვს ასეთი სულიერი სიმდიდრე და სიმხნევე, ზნეობრივი სისპეტაკე და მორალური სიწმინდე. აქ გვრბის ამბობს: „...კაცობა რომ რაიმე დავიკვირებოდა, მეშინოდა, შენი წაღებელი არ ყოფილიყო. ვაკვეთის რომ გააცდენდი მეშინოდა, სკოლაში აღარ დაბრუნდებოდა-მეთქი. თავი რომ ქურდობაზე დაიპირეს, მეშინოდა, შენც დაგვიკრდნენ მეგონა მასთან ერთად. თწუღვი რომ დავამთავრე, მეშინოდა, უმბელესში არ შემოგვა-მეთქი...“

მაგრამ თემურიმ გაიარა ბეწვის ხიდი, იგი არა ერთ კდუნებას გადაურჩა. მან გაუძლო უღელმთაშობას, ხელმოკლეობას, შიშს, შიმშილსა და სიცივეს, გაუძლო შშობლების დაპატარავების და ხალხის მტრებელ გამოცხადების დიდ სულიერ ტრავმებს და ცხოვრების მორევს არ ჩაძვია ნაპირზე გავიდა. საიდან აღმოაჩნდა თემურ ბარამიძეს ასეთი სულიერი ძალა, ზნეობრივი სისპეტაკე, დიდი გამძლეობა და ურთულეს პირობებშიც ყოწნასწორობის შენარჩუნების უნარი? ცხადია, ეს არ შეიძლება შეიფაროთ მხოლოდ მის ბუნებით თანდაყოლილ მხნე, ჯანსაღ და მზიარულ ხასიათს, მის კეთილ, მოსიყვარულე და მართალ გულს, მის შეუპოვრობას, სიმტკიცეს და მებრძოლურ შემატებას, როცა ეს საჭიროა. აქ მთავარი როლი შესატრია თეთი საზოგადოება, კეთილმა და მართალმა ხალხმა. ეს შედეგია იმ საზოგადოების კეთილნაყოფიერი გავლენისა, რომელშიც იგი იზრდებოდა.

ავტორის თვალთახედვით, ჯანსაღია, პროგრესული არა ის ცხოვრება, არა ის საზოგადოება, რომელსაც არა აქვს ჩრდილოვანი მხარეები, რომელიც არ ხასიათდება სიმწიფეებით (ასეთი ცხოვრება, ასეთი საზოგადოება არ არსებობს), არამედ ის, სადაც დადებითი ტენდენცია იმარჯვებს უარყოფითზე, კეთილი — ბოროტზე, სადაც არაა აბიზობებიც, არაან დათოკებებიც, მაგრამ საზოგადოების სხეული თავის მთლიანობაში ჯანსაღია, სადაც ადამიანი ადამიანის შემწეა, სადაც კაცი კაცით არის. ჯანსაღია არა ის ცხოვრება, სადაც არ არის ცრემლი, არ არის მწუხარება, არ არის სიკვდილი (ასეთი ცხოვრება

ბა არ არსებობს), არამედ, სადაც ცრემლს ენაცელება ღიმილი, მწუხარებას — სიხარული, ეიკვილის — სიცოცხლე... და აღფრთხილები, რომ იცინიან, რომ ქილიკობენ, რომ მზუნჯობენ, იმიტომ კი არა, რომ მათ მწუხარება არ იციან, იმიტომ კი არა, რომ მათ სადარდელი არა აქვთ, არამედ ამ ღიმილში, ამ ოხუნჯობაში გამოსტყვივის მათი სულის სიმხნევე, მათი დიდი ადამიანური ოპტიმიზმი.

მდიდარი შინაგანი სულიერი სამყარო, შინაგანი რწმენა, მონოლითური ხასიათი და ცხოვრების რეალისტური აღქმა — ეს საუკეთესო თვისებებია, რის შემეგობობითაც ნოდარ დუმბაძის გვირგვინ მყარად დგანან ცხოვრებას ნიადაგზე, ტირიში პანიკას არ ემდევინან, ცხოვრების ავებლობას მხნელ ზედებიან, იწრითობიან, ცხოვრების ბრძმელში ყალბობებიან, რომ უნარი ჰქონდეთ შეებრძოლონ ახალ სიმძლეებს, რომ იცხოვრონ, მათი ღიმილი მათი იუმორი ცხოვრებისადმი ზერულე დამოკიდებულებაზე, ხასიათის სიმსუბუქეზე კი არ მეტყველებს, არამედ ნაყოფი ცხოვრების ღრმა გაგებისა, მხნე, თავდაჭერებული ხასიათისა და კეთილი, მოსიღვიწველი დიდი გულითა. ღიმილი და სიკეთე ცხოვრებაში მათი მთავარი იარაღი.

მწერლის ღრმა რწმენით, ბოროტების და მარცხების ყველაზე მძლავრი საშუალებაა სიკეთე, სიძულვილის დათრგუნვისა — სიყვარული. ადამიანის ღირსება ის კი არ არის, ბოროტებას უპასუხოს ბოროტებით (ეს იოლა საქმეა), არამედ — სიკეთით. ბოროტებაზე ბოროტებითვე პასუხის გაკეთით, შენც ბოროტებას სჩადიარ, ბოროტმოქმედს უტოლდები. უფრო მწილი დათრგუნო შენ თავში პატარა, ქვედა გრძნობებზე, ამაღლდე ქვეშაირტ ადამიანობაშიც და ამ ადამიანობის ძალით დამარცხო ბოროტება.

თემური თავის სახლის შესასვლელში იპოვის მომავლედ აბიზოს, რომელსაც დიდი ბოროტება აქვს ჩადენილი მის მიმართ (აბიზოს დასშენით დააბატონირეს ეს ვადასახლზე თემურის შშობლები, აბიზომ დააჭერინა თავიერა). თემური ყელთამდეა სავსე აბიზოსადმი მტრობით. და აი დადგა ყერი ბოროტებაზე პასუხის გაკემისა, სამაგიეროს მიზლისა, საქმარისია თემური გვერდით აუაროს მომავლედ აბიზომ და იგი დაიღუბება. მაგრამ თემურის ეს არ შეუძლია. იგი ადამიანი და მას უფლება არა აქვს მომაკვდეთ, თუნდაც მათი მოსისხლე მტერი, უნუ-გეშო მდგომარეობაში მიატოვოს. თემური თავის ზურგით აიყვანს აბიზოს ბინაში, ღამეს ვაუთუეს, უპატრონებს და სიკვდილს ვადაარჩენს. მაგრამ ეს იოლი როდი იყო თემურისათვის, რამდენი რამ ვანიცადა იმ ღამეს, როგორ ებრძოლა თავის თავს!

ასე გამოწალდა გზა თემურიმ ქვეშაირტ ადამიანობისაკენ. დიდი სულიერი ძვრით, დიდ

ადამიანური ტყვილებით, მთელი შინაგანი ძალების დაძაბვით სძლია მან თავის თავს, სძლია შურისძიების ცდუნებას და თავისუფლად ამოისუნთქავ; იგი განათავისუფლდა მტრობის ბოროტი კლანჭებისაგან და შეედა იგრძნო, გაიზარდა, ამაღლდა, როგორც ადამიანი. „ტანში რაღაც საოცარ სისუსტეს ვგრძნობდი. რაღაც დიდი, მძიმე, ატრანალად მძიმე დატოვიე წუხელ აბიბოს ოთახში, თუ დამრჩა, იქნებ დაეკარგე კიდევაც და მის სანაცვლოდ რაღაც საოცრად სუფთამ, გამჭვირვალემ, მსუბუქმა და თბილმა ამივსო სხეული, ეს უჩვეულო რაღაც ახლა ბანგავით მათარბდა“.

რა იყო ის, რაღაც დიდი, ის ატრანალად მძიმე, თემურის აბიბოს ოთახში რომ დატოვა? ეს იყო შურისძიების გრძობა, ეს იყო ზოიზი, მტრობა. რა იყო ის, რაღაც საოცრად სუფთა, გამჭვირვალე, მსუბუქი და თბილი, თემურის სხეული რომ ავსო? ეს იყო პატივების, კეთილშეიარაღების, სიკეთის, ადამიანისადმი რწმენის კეთილშობილური და შალღი გრძობები. და თავის ამ სიკეთით თემურის დაამარცხა თუ არა აბიბო, დაამარცხა თუ არა ბოროტება?

მომავლადი აბიბო აღიარებს თემურის წინაშე დანაშაულს, ადამიანობის წინაშე ჩადენილ ბოროტებას — და თემურის პატივას სთხოვს, მის ხელეხს უყოცნას. არ დამტოვო, ბიჭო, მომკალი და ნუ დამტოვებო; მამატიე, ბიჭო, მამატიეო, და თუ პატივია არ შეგიძლია, მაშინ მომკალი, რატომ არ მკლავო, — ევედრება იგი თემურის, და ეს თვალთმაქცობა? სიკვდილის წინაშე შიშია? აბიბო გულწრფელად იხოვს პატივებს. მას ეხლა სიკვდილზე უფრო იმის ეშინია, რომ კაცობა შელანძღული, ნაშუქდაკარგული არ ჩავიდეს საფლავში. თემურის თავისი სიკეთით სიკოცხლე კი არ დაუბრუნა, — სიკოცხლეზე უფრო ძვირფასი — კაცობა, ადამიანობა დაუბრუნა.

„ — მე მკვლელი არა ვარ, ძია აბიბო! — აბიბო მიყურებდა თავისი გამჭვირვალე, ლურჯი თვალებით, რომლებშიც დღეს პირველად დაინახე რაღაც და ეს რაღაც ცრემლი იყო — აბიბო ტიროდა.“

სიკეთეს, კეთილშობილებას, ჰუმანიზმს რა საფუძველი გააჩნია? რწმენა ადამიანისადმი, რწმენა იმისა, რომ ადამიანი ბუნებით დანაშაულები არ არის, ბუნებით ბოროტი არ არის, და პოეზი დანაშაულს ჩადის, ბოროტებას ჩადის, ეს გარემოების ბრალია, თვით ადამიანების მხრივ უადამიანობის, გულციეობის და ადამიანის ბედისათვის თავშეუწუხებელი დამოკიდებულების შედეგია. ადამიანს ადამიანისადმი კეთილი გრძობა უნდა ჰქონდეს, ადამიანი ადამიანის მოკეთ, მეგობარი და მშველელი უნდა იყოს; ადამიანი სხვის სიკეთეს თავის სიკეთედ უნდა აფიქსებს, სხვის უბედურებას — თავის უბედურებად; ადამიანი ადამიანს ხელს უნდა უწვდის

დეს ლბინშიც და ჭირშიც, მაშინ ნიადაგი გამოეცლება დანაშაულს, გზა გაადარდებია ბოროტებას.

რატომ ჩაიდინა თავურამ დანაშაული? ხომ ბუნებით მართალი ბიჭი იყო, ბეითად სწავლობდა. რატომ ჩაეარდა იგი ცხოვრების წესპეში? იმტომ, რომ მის მიმართ გულციეობა აღმოჩნდნენ ადამიანები, მათ არ გამოაჩინეს საჭირო ყურადღება, გზაზე არ გადუფდნენ ბიჭს, რომელიც თავვე ეშვებოდა. თემურ ბარამიძეს კი სჭერა თავეარსი, სწამს მისი გულწრფელობისა. თემურის ეჭვი არ ეპარება, რომ თუ თავურის აპატიებენ, თუ მას მზარში ამოუდგებიან, სწორ გზაზე დაეყენებენ, ის არ შეარცხევს საზოგადოებას, ცხოვრებაში კაცურ-კაცობას გასწევს. ავი თემურის შესტლი უნივერსიტეტის რექტორიც დაერწმუნებინა ამაში და მისი დახმარებით, ბოლოსდაბოლოს, ამხანაგი იხსნა, ადამიანი ცხოვრების წესპე არ დაანება. თემურ ბარამიძეს, უნივერსიტეტის რექტორს ესმით ის, რაც უტოპია აბიბოსათვის, ესმით, თუ რა ძალა გააჩნია ადამიანისადმი ნდობას, ესმით სიკეთის ძალა, სჭერათ და სწამთ ადამიანისა.

მაგრამ ადამიანისადმი რწმენა ყოველთვის არ არის ადამიანისათვის ბრძოლის იარაღი. სიკეთის მახვილით ყოველთვის ვერ მოკვეთს ბოროტებას. არის შეცდომა, რომლის პატივია არ შეიძლება. არის დანაშაული, რომლის პატივია უფრო დიდი დანაშაულია. ასეთი დანაშაული მიუძღვის დათიკოს. მან მოქალაქეობრივ მოვალეობას შიფურთა, სამშობლოს უღალატა იგი ფრანტიდან გამოიქცა, დეზერტირი გახდა და კაცის მკვლელი შეიქნა.

იმი რომ არა, დათიკო, აღბათ არ აღმოჩნდებოდა საზოგადოების პირისპირ. ძნელ გარემოებაში უღალატა მას კაცობა. სიკვდილის შიშმა სძლია მოქალაქეობრივი მოვალეობის წინადა გრძობას. დათიკო იშმა გაუბედურა და ამიტომ ერთგვარ სიბრალულსაც კი იწვევს. მაგრამ მისი დანაშაული ძალან მძიმეა და პატივია შეუძლებელია. ავი სოფელში არც აპატიო იგი თავისივე ხელით იარაღყრილი, წყევლობი ვებული და თმა აბურძნული, ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილი და მკლავებჩამოყრილი დგას შუა წრემი ხალხის წინაშე და განანგებს ელის, ხალხის ხმას ელოდება. ხალხი დამეწყდა, ხალხი დღეს. დათიკოს მვედრებულ ცეკრას ხალხმა თვალი ააჩიდა. დათიკოს ხეწინა-მუღარას და მიჭირით, დამაპატიმრითო, — ხალხმა ყური არ ათხოვა. სოფელში ზურგი შეაქცია დათიკოს. ხალხმა მოლატე მოკვია; გააჭედა და ეს ბეურად უფრო დიდი სასჯელია, ვიდრე დაპატიმრება, ვიდრე სიკვდილი. სიკოცხლე სიკვდილზე საშიშრელია თუ კაცობა დაეკარგავს. საყენი სასჯელის მოხდა გიმსუბუქდება, როცა იგი, კაცობას დაიბრუნებ. კაცობა დაკარგულისათვის კი ღია ცის ქვეშაც სიბნელია.

როგორც ხედავთ, მწერლისათვის ყველაზე მთავარი, ყველაზე ძვირფასია აღმავლის მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი სახე. ამასთანავე, აღამიანურ მანერებათა, აღამიანურ სისტემათა წინააღმდეგ ბრძოლაში მისი აზრით, ერთადერთი ნამდვილი იარაღია მორალურ-ეთიკური, ზნეობრივი ზემოქმედების იარაღი. ვერავითარი სსეული ისე ვერ შეესაბამება აღმავლის სულს, როგორც მისი აღმავლობის, კაცური-კაცობის დანაშაულები, სინდისზე შედეგები. აღმავლისათვის თვით ტყვიანზე უფრო მწვევაია აღმავანური ღირსებების აყრა, მისთვის საზოგადოებრივი უნდობლობის გამოცხადება, აღმავანების მხრივ ზურგის შექცევა. თუ კაცმა კაცთა შორის ადგილი დაკარგა, ის ცოცხალიც შეგვარა. კაცმა ესეთი დანაშაული არ უნდა ჩადინოს, რომ კაცთა შორის აღარ ეტყობებოდეს. და კაცი აღმავანთა შორის ისევე აღმავანობით უნდა დაბრუნდეს, თუ ეს შესაძლებელია.

მაინც რატომ ეპატია დანაშაული აბიბოს და რატომ არ ეპატია დათიკოს? დათიკოს დანაშაული უფრო მძიმეა, მიუხედავად იმისა, რომ მიზეზი ამ დანაშაულისა ინსტიტუტურია — ეს არის შიში, შიში სიყვდილისა. აქ დათიკო ეუბნება მატრონას და ფედოსის, შეილება ომში რომ დაეღუპათ, ჰქვია რომ ჰქონოდათ, იქნებოდნენ ახლა ჩემსავითო, ცოცხლებო. სიცოცხლის გადარჩენის ინსტიტუტი დაბია ზელი დათიკოს, სძლია მასში კაცური კაცობა, ჩააქრო პატარა სულის, გულნამცევა პიროვნება აღმოჩნდა. თავის საქციელით იგი დაუპირისპირდა მთელ საზოგადოებას, საზოგადოების ინტერესების მოწინააღმდეგე პოზიციაზე აღმოჩნდა.

ამასთანავე, დათიკოს დანაშაული საზოგადოების წინაშე იმითაც არის მძიმე, რომ ეს დანაშაული არ ყოფილა გაპირობებელი თვით საზოგადოების წინაშე მომხდარი რაიმე ძვრებით, საზოგადოებრივი ცხოვრების შინაგანი მოკლებით, პირაქით: დათიკო მაშინ დაუპირისპირდა საზოგადოებრივ ინტერესებს, როცა მთელი საზოგადოება, ერთიანი და მთლიანი, ჩაება გარეშე ბოროტი ძალის — მომხედრო მტრის წინააღმდეგ სამკედრო-სასიციკლო ბრძოლაში; დათიკო მაშინ აღმოჩნდა მენამეციე, როცა პიროვნებაში ყველა მის ინტერესებზე მალა დება მოკლავლობრივი ინტერესები, როცა საჭირო ზღვრა საზოგადოებრივი ინტერესების სამსხვერპლოზე დასდო კველა პირადი ინტერესი, თვით სიცოცხლეც ე.

და რამდენად ვაუტონობიერებელიც არ უნდა იყოს მიზეზი, დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ პატარა შეუძლებელია. ხოლო აბიბოს დანაშაულისაყენ უბიძგა თვით საზოგადოების წიგნით მომხდარმა ძვრებმა, იმ ტრაგიკულმა მოვლენე-

ბმა, რასაც ადგილი ჰქონდა საზოგადოების ცხოვრებაში ოცდაათიანი წლებზე უფასურულს. ჩვენი ქვეყნისა და ზალხისეფუქსიქში მე წლებში ზოგი დანაშაულს ისე სჩადიდა, ვგანა სიყვითლ ვემსახურებო.

აბიბო, ცხადია, არ ეკუთვნის ასეთ აღმავანთა რიცხვს. იგი დადებითი იდეალისათვის ბრძოლაში მოტყუებული ტრაგიკული პიროვნება არ არის. აბიბო უსულგულო და წერილმანი აღმავანია, მაგრამ ასეა თუ ისე, მისი დანაშაულის ფესვები საზოგადოებრივი მოვლენების წიაღში მდებარეობენ, და ეს ვარემოება, მართალია, მას არ ამართლებს მორალურად და ზნეობრივად, მაგრამ ერთგვარად დანაშაულს მაინც უმსუბუქებს. იმ დროს, როცა, როგორც იტყვიან, დედა შეიღს არ იყვანდა ზელში, არავინ არ იყო დაზღვეული უნებური თუ ნებსითი დანაშაულისაგან აღმავანობის წინაშე, კაცური კაცობის წინაშე. ამას ვარდა, დათიკო განმორული, სალ-სალამათი კაცი დგას ხალხის წინაშე, თავის დანაშაულით და თავის თიხვერი მდგომარეობით იგი აქტიურ ძალას წარმოადგენს. აბიბო კი უთიკურად დაუძღვრებელი, სიყვდილის პირად მყოფი, საბოლოოდ დანაშაულებული აღმავანია და საზოგადოებისათვის რაიმე საშიშროებას აღარ წარმოადგენს.

აზრთა სხვადასხვაობა, რაც ჩვენი ლიტერატურულ კრიტიკაში გამოითქვა აბიბოს მიმართ ავტორის პოზიციის გამო, ჩვენი აზრით, იმის შედეგია, რომ ეს რთული სახე მხატვრულად სათანადოდ არ არის გახსნილი. აბიბოს დილოგი თემურისთან საჭლის კიბეზე და აბიბოს ბანის რანდენიმე შტრახით აღწერა, მიგვანიშნებს ამ სახე-ხასიათის ზუნებას, გვაგარანობინებს მხატვრულ ხასიათს, მაგრამ ფერმკრთალი საშუალებებით მის დასახასიათებლად, ესიცილოგიურად დრმა, მხატვრულად დამაჯერებელი პორტრეტის შესაქმნელად.

ნ. დუმბაძის შემოქმედებაში დრამატულის საფუძვლად წარმოადგენს ცხოვრებისეული, ყოფითი და სიციალურ-პოლიტიკური მოტივები. ცხოვრებაა ასეთი და არავის ბრალი არ არის, რომ ილიკო ცალთვალად და შემდეგ ილარიონიც ბრძვიდება ცალი თვალთ; რომ ბებია ოლა ეკდება, რომ აბთავახს დედა გარდაცვლილი ჰყავს და ა. შ. მაგრამ რომ არ ყოფილიყო იმი, სიყვითლ ძაბით არ შეიოსებოდა, დათიკო არ ვაუტელრდებოდა და კაცის მკვლელი არ შეიქნებოდა; ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში რომ არ ყოფილიყო 37-38 წლები, თემურის მომბლების ზედი ტრაგიკული არ იქნებოდა და თვით თემური არ იქნებოდა ობლობის სიდუხპირი და ა. შ.

ხოლო სასიცილოს უმეტესად სარჩლად უღევს სინამდვილის ოპტიმისტური აღქმა, ცხოვრებაში სიმხნევე და იმედლიანობა. რომანებში არის ვერაკობა, არის ავიდმოყოფობა და დასახი-

ჩრება, არის დაპატარავება, არის ომი, არის ფრონტზე დაღუპვა და არის ვარდაცვალება: ცხოვრების გზა ვარდაცვალებებით არ არის მოწყობილი. ადამიანები სწუხან, დარდობენ, გლოვობენ, საკუთარი მხრებით ეხილებიან ცხოვრების სირ-ვირში, მაგრამ სისოწარკვეთილებაში არ ვარდებიან, ფარხმალს არ ჰყრიან და იმედგადაწყვეტილის გოდებას არ ეძლევიან. მწუხარებასთან, დარდთან და ვარაშთან ბრძოლაში მათი ერთ-ერთი ბასრი იარაღია ლიმილი. ლიმილი უმძრუტებენ ისინი ერთმანეთს განსაცდელს და ლიმილს მოისალბებენებენ დაყოფილი გულის ვასაპოთელებლად; ლიმილით ებრძვიან ცრემლს.

ზურთველს ბეზიას აღსასრული მოვიდა, იგი კვდება და ილარიონი შეეცდება შობალოებული სივდილით დამაიმებელი ატმოსფერო ზემართობით გაანელოს. თლდა, შენ რა მოვლავს, ჩეენისთანას ათს კიდევ აქობებ და წინ წაიმძღვარებო, — სცადა ხეშრობა ილარიონმა. ილარიონა შევარდნაზე, მაგი ცრემლი მოიშორე და ისე ახეშმარეო, — ფთხრა ბეზიამ.

ილარიონს თვარი გაუფუჭდა და ამოუღეს. იგი სოფელში ცალთვალა დაბრუნდა. ილიკომ აცის ეს და „ციცინობას“ არ იშლის, ილარიონს ჩაუშლერ-ჩაუღლიდინებს: ჰყინტი ყველის ქამა მიუყარს, თვალის ჩააქუნებო... ამას რას ხედავს ჩემი თვალბიბო... მაგრამ ეს გულღვარობაღანი დაკინვა კი არ არის, ძვირფასი ადამიანის თაზე ჩამოწოლილ ღრუბლებთან ლიმილით შებრძოლებაა, მეგობრის დარდის გულითაღი თანაზიარობაა, გაქიწვებაში იმედინობა და მხარში ამოღვობაა. აი ილიკო ამბობს ყოდეც:

„ერთი სიყვდილი გვათავა, რომ გავიგე, — მაშინ მეორე თვალი დამეხებოდეს, თუ მართლს არ ვნოოდე. გვეუბრება შენ? მე და შენ რამ გავიგე, ბერეკაყო, შენი თვალის დაფსება ჩემი თვალის დაფსებაა...“ „რა მოხდა, ერთი თვალი შე გლახა, მაგი კი არა, ორივე თვალი რომ დაგვეფსოს, რა დაგვარგავს, ჩაკვიდებო ერთმანეთს ხელს და ვეღოთ ამ დღეებზე“.

მათალი კაცის გულიდან ამოღებული ეს სიტყვები გწამს. ამაში თვითონ ილარიონიც ღრმად არის დარწმუნებული, მის გულის სიღრმეში სურს, რომ ილიკოს დღიად დაამწუხრებს მეგობრის უბედურება. „რავა ფიქრობ შენ“, — ესაუბრება ილარიონი სოფელში წასვლის წინ კატა-სოფიოს, „— დამაინებლდება, თუ გაუხარდება, შენ რომ ცალთვალა ჩაუვლ. რაო, გაუხარდებაო? არ თქვა მაგი მეორეჯერ, არ იცნობ შენ ილიკოს, მაგი რავა ამოუშვი პირიდან, გაუხარდება ეი არა, ერთ სიყვდილს გაათავებს, რომ გავიგებს. არა? რავა არა, იმ ცარიელი თვალის მაგიერობას შე ვუწვედი მავას, ახლა ორივეს ცალი თვალი გვაქვია და ერთმანეთს გაუწევთ თვალის მაგიერობას. შე და

ილიკო რამ გავიგეო, ერთი ვართ ჩვენ და ერთი კაცს ორი თვალის მეტი რაღ უნდა? — ბუხარს უხხუდან და ტუბილად მუყაიდობენ ილიკო, ილარიონი, ბეზია თლდა და ხერიკელა. ომის მძიმე დღეებია და ომის შავი აზრდილი თლდას მწვილობიან ჰობნოც არღვევს სიტუბოს და მუედროებას, შიმიე ლოდად აწეება ადამიანების გულსა და გონებას.

„— დღეს ჩვენი ფოსტალიონი იყო ჩემთან, გერასიმეს ბიჭის დაღუპვის ცნობა მოიტანა, მე ვერ ვეტიყვი, შენ უთხაროო, მითხრა. — თქვა ილარიონმა.

— შეილო, შეილო, უბედური შენი დედა— შეიცხადა ბეზიამ და ლოყა ჩამოიხოყა.

— ქერაში დაღუპულა საცოდავი, — განაგრძო ილარიონმა. — ეს უყვი შემიუდე ცნობა შოდის სოფელში.

— მეგრ, უთხარა გერასიმეს? — ვითხე მე.

— შენ ხომ არ გავიდედი, ბიჭო, კაცი ყოველდღე ელაღება ბიჭის დაბრუნებას და ახლა რომ ეს ამბავი უთხრა, ხომ დაინგრა ოყახი — შემოშავია ილიკომ.

— დღეროო, შენ დანაგრევი პიტლერის ოყახი, მაგან არ გეხარა თვის ცოლ-შვილში, რასაც მე მაგას ვწყველი, როგორ უღვას სულა, — მოთქმით თქვა ბეზიამ.

— ამა რას აპირებთ?

— რას ვაპირებ? — შეთხა ილარიონმა და უბეზი ხელი ჩაიყო, მერე იქიდან დაბეჭდილი ქალადი ამოიღო, უყურა, უყურა და უცებ ბუხარში შეავდო. ალი ავირდა და ილარიონის სახე გაანათა, მის ლოყაზე ორი დიდი კერცხალი გვიდა“.

მაგრამ მწუხარება ხანგრძლივი არ შეიძლება იყოს. ცრემლი ლიმილით უნდა ამოშრეს. და ამისათვის მწერალი ყოველთვის ახერხებს საჭირო სიტუაციის შექმნას, რომელიც უადრესად ცხოვრებისეულია და მხატვრულად მართალია. ამ შემთხვევაშიც აეტორს შხადა აქვს მღვდომარეობის საჭირო და დამაყრებელი გაგრძელება.

„— ოლდა! — გაისმა უზოში, მერე ვილაყ აივანზე ამოვიდა, ოთოლე დაბეგრტყა და ოთახში ჩეენი სოფლის აგიტატორი გიორგი ეამაკიძე შემოვიდა.

— გამაჩრება თქვენი, მამაკიეთ ასე გვიან რომ მოვედი, მაგრამ გადაუდებელი საქმე მაქვს. — აგიტატორს გუემარქოს — თქვა ილიკომ და არაყო დაასხა.

— მოიწიე ბუხართან შეილო, — მიიპატრეა ბეზიამ.

— რას გვეტყვის ახალს აგიტატორი? როგორია საქმე ფრონტზე? — თქვა ილარიონმა.

— ფრონტზე არაუშავს, მოწინააღმდეგეც შეტევა შეჩერებულია, პიტლერის გეგმა ელვისებური ომის შესახებ დაინგრა!

— მაგი იანგრის ვაზეთში ეწერა, ახლა თებერვალა, შენ რამე ახალი გვითხარი.



— ახლა მე თქვენთან სერიოზული საქმე მაქვს და დამიდგეთ ყურა.

— დაიწყე, — უბრაო ილარიონმა. აგიტატორმა ჩახველა, ფეხზე ადგა და ისე დაიწყო, თითქოს ათასკაციან მიტინგზე გამოდიოდა.

— ამხანაგებო, სოციალისტური სამშობლო გასაჭირშია, ვერაფე მტერი თავისი სისხლიანი ხელებით ეპოტრება ჩვენს ქვეყანას, ჩვენი სახელოვანი წითელი არმია გამორღალ ეპრძვის ფაშისტურ ხროვას.

— რაჟა ვაზთივით ვეღაპარაკები, შე უბატრონო, თქვი რა ვინდა! — შეაწყვეტინა აგიტატორის მოთინებიდან გამოსულმა ილიკომ. აგიტატორი საბტად დაჩია.

და ღრუბელი გაფანტულია. ცრემლს ღიმილი ცვლის. უკვე შევხმა სუნთქავენ მოთხრობის გმირებმა და შეთხველიც.

ზოლო არა იშვიათად ხდება პირიქით; სამხიარულო, სასაცილო, საღაღობო სატირელოთ, სამუხბართი და ცრემლით იცვლება. როგორც უკვე ვთქვით, ბნელს ნათელი ენაცვლება, ნაოულს — ბნელი და პირუღუ. გაკეთილზე შედის სამხედრო საქმის ახალდანიშნული მასწავლებელი. მას სკოლაში, ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება არა აქვს, თავი უხერხულად და სასაცილოდაც კი უქიჩავს. ბავშვები გრძნობენ ამას და თავისუფლად იქცევიან, ენამახვლობენ. კლასში საოხუნყო განწყობილება სუფევს და იუმორისტული სურათი იქმნება. მასწავლებელი ხატის მიმართავს:

— დაქვე, გოგო, შენ და ნუ იყურები საღდად იქით, ავტრ მისყურ თვალგზში... ხატია დაქდა, ღოღონდ მოს ლამაზ, დიდრონ, ცისფერ თვალებს ღიმილი არ მოკვლობია... და ერთბაშად იმსხვრევა იუმორისტული სურათი, საოხუნყო განწყობილება იცვლება — ღრამატული, ღიმილი — ცრემლით.

„კლასში უხერხული სიჩუჟე ჩამოვარდა. მასწავლებელმა იგრძნო, რალაც უადგილო რომ თქვა, მაგრამ ვერ მიმხვდარაიყო, რაში იყო საქმე.

— რა მოხდა, ბავშვებო? — იკითხა გამზარული ხმით. ჩვენ ვდუმდით.

— მე ვერ ვხედავ, მასწავლებელი — თქვა ხატომა და წამოიღა.

— დამკინიოთ? — ჩაუწყდა ხმა მასწავლებელს.

— არა, მასწავლებლო, მართლა ვერ ვხედავ! — თქვა ისეე ხატომ და დაქდა. მასწავლებელი ადგა, ახლოს მივიდა ხატისთან, დიდხანს უყურა თვალგზში. ხატია დინჯად აფახულგებდა წაქაჩებს და იღიმიებოდა. მასწავლებელი ნელა წაივია უკან, ისეე მიუქდა მავიდან და გაჩუმდა, კლასში ბუზის ვაფრენას ვაიკონებდით.

— რა გქვია, ბიბიკო, შენ? — ჰკითხა უცებ მასწავლებელმა.

— ხატია! — თქვა ხატომ და ისეე ადგა.

— დაქვე, ბიბიკო, დაქვე! ხატია არ დაქდა.

— ვის დაყავზარ სკოლაში, ბიბი? — სოსოს, მასწავლებლო, ჩემშიაც შეშინოლა.

— მე განთავისუფლებ ჩემი გაცვეთილებიდან, ნულარ მოხვალ დღეიდან.

— მე მინდა დავჩრე და მოვიკმინოთ.

— დარჩი, ბიბიკო, — მასწავლებელი დადუმდა. მე ყულში რალაც მაწეგბოდა და ტირილი მინდოდა.

— დედა და მამა ზომ გვაეს, ხატია? — ჰკითხა დუმლის შემდეგ მასწავლებელმა.

— მამა მყავს.

— ვერაფერს ვერ ხედავ?

— ვერაფერს.

— სულ ვერაფერს, ბიბიკო?

— მზეს ვხედავ, მასწავლებლო. ექიმმა უთხრა მამას ბათუმში, თუ მზეს ხედავს, სინათლეს დავებრუნებოთ.

— კი დაგობრუნებს, ბიბიკო, კი. შეც დაგობრმავდი ხასანის ტბასთან. ვერაფერს ვერ ვხედავდი.

— მზეს ხედავდით, მასწავლებლო? — ჰკითხა ახლა ხატომ.

— მზეს ვხედავდი და დამიბრუნეს სინათლე...

— აბა, მეც ვხედავ მზეს.

მასწავლებელი ისეე დუმდა თვი ღელს არ აცილებდა ხატის დიდრონ, ცისფერ და გაღმიებულ ღამაზ თვალებს. მნელი, ძალიან მნელი დასაყრებელი იყო რომ ეს თვალეზი ვერ ხედავდნენ დღის სინათლეს, მისი კლასის ამხანაგებს და ამ პატარა, ღია და ტრამბაზ მასწავლებელს, რომელსაც ლოყებზე ორი დიდი კურცხა და ევიდა და არც მალავდა, რომ ტირილია.

სასაცილო სიტუაციები უმთავრესად ყოფითი ხასიათისაა და ლოკალურია. პერსონაჟები სოციალურად სასაცილონი კი არ არიან, არამედ სასაცილო, უფრო ზუსტად იუმორისტულ გარემოებაში იმყოფებიან. სინამდვილის იუმორისტული აღქმა იმდენად ორგანულია მათთვის, რომ ისინი სასაცილოს და საღაღობოს პოულობენ ყოველთვის და ყველაფერში. ილიკოს ღორმა სერაპიონამ გოჭები დაყარა. ილიკო დამუწხრებელია და ვიშეიმებს, მაგრამ ზუმრობას მაინც არ იშლის.

„მუზობლები მოგროვდნენ, ზოგი გოჭის მომავალი პატრონი, ზოგი უბრალოდ შეშინებელი, ზოგიც სვირის საყურებლად მოსული, ყველაზე გვიან ეზოში ილიკო ჩამოვიდა. კაცის ფერი აიარ ელო. ფეხს ძლივს იორეგდა. მივიდა სერაპიონასთან და დიდხანს, დიდხანს უყურა, მერე მოიხადა ქუდი, მიწაზე დაინარცხა და თქვა:

— შეეარცხეინე, ღმერთო, შენი სამართალი, რა ექნა, ახლა!

— რა მოხდა, შე კაცო, ზომ არ მომეცდარა,

მაგის ტემპერამენტი რომ ეციე, ერთ თვეში კიდევ დამატდება — თქვა ვილკამ. ხალხმა მოჩივებით გაიღიმა.

— ამ შევალეებს რა ვუყო? — თქვა ილიკომ და მხელმოკვეთილი დაეშვა მიწაზე.

— რა უნდა უყო, ზღწერაში ხომ გიწერია „შეძეს ჰამას რომ დეთხოვებთან, მერე უნდა მივიყო?“ აიღე და დაუბრუნე მის-მის პატრონს, ამი მაგენი რომ შეძეს ჰამან, ისე ჰამა შენმა მტერმა, — თქვა ილარიონმა. ყველას გაეცინა.

— მაკალეთ, ხალხო, ეალის გადახდა ახალ მოსავლამდე, ან სერაპიონს ახალ დამატებამდე. — შეივედრა ილიკო შევაროვლ მევალეებს.

— ვაჯალთ, ხალხო? — იკითხა ერთმა შევალემ.

— ნუ აცლი, თუ ბიჭი ხარ, მე შენ გეტყვი, დღესვე მოგაცნებლებს სიმინდს სახლში. — თქვა შეორემ. ისეთი სიცილი ატყდა, ილიკოსაც გაეღიმა.

— ილიკო ბრუციანო, ან მაგ ლორს გამოუცვალე სახელი, ან დაარწმუნე დაგაღვინებთ ორივეს! — მოეარდა აღუღებელი სერაპიონა სეფერთელაძე.

— რა გინდა, შე ღვთის პირიდან გადავარდნილი? შეუღრინა ილიკომ.

— რა მინდა? მთელ სოფელში ხმა ვაგარდა სერაპიონამ ვოკები დაყარაო და ზღვა ხალხია ჩემს სახლთან თავმოყრილი. ვაფრთხილებ, ილიკო, ან ლორს სახელი გამოუცვალა და თავს ნუ მჭირი, ან ვაგარდნილი ტყვია ვარ შენთვის! — ახლა მარტო ჩვენ კი არა, ილიკოც ხარხარებდა. ატანული სერაპიონა სეფერთელაძე კი ორ კაცს გაყავდა მამიკოს ეზოდან.

— ისე, თორმეტჯე ვოკი ნეზვია, თუ ხედავთ — თქვა ილიკომ და კეჭულია ცინცაძეს გადახედა.

— წამოდი, შვილო, ამას ცალი ფეხი სამარცში რომ ედგას, მაინც არ მოიშლის ზემორობას.

— თქვა კეჭულია ცინცაძემ და თავისი ერთობლი, ზოქოსავით შავი ვოვო წინ გაივლო.

ნ. დუმბაძის რომანების პერსონაჟები ხშირად თვითონვე ქმნიან იუმორისტულ სიტუაციებს. მათ კარგად ესმით, რომ საყუთარი ქცევა-მოქმედება, სიტყვა-პასუხი, მუსაფი ხშირად მხოლოდ ოხუნობაა, ლაზღანდარობაა, ქალიკი და თამაშია. კერძო ჩაყარდნილი ილიკო იხვეწება: — „ილარიონა შევარდნამე, ნუ გამოიყვან თემპარაზე და ნუ გამოაგრობებ, ისაც მყოფა, ამ დამბალ ქურში რომ ეხსრევი, გყოფა ახლა ზემორობა!“; „— დე-ბეში, ლექსი ხომ არ დაგიწერია, ბიჭო, კიდევ? — მელაზღანდარებოდა ილიკო!“; „— ილარიონა შევარდნამე, შენ თუ არ გვობდეს ეს ღორი, მაგის კეტი გამეტრანს მაშინ ამ ოჯახიდან — თქვა ილიკომ და ილარიონს ისე შეხედა, მივებდი, ჩხუბი დაიწყებოდა. ილარიონს თვლი ჩვეუა-

რი, რა დროს ახლა ასეთი გავფრთხილებდი ზემორობა იყო...“; „— ენებ ლიტერატურულზე შესულიყო, ლექსის წერა ეხერხებო და თქვა გატლეკილიც არის, მეტი რა უნდა! — დაეწყო ილიკომ ლაზღანდარობა...“; „შენს ნაყიდს ნავთს დაეღვე—ვაგეზუმრე დომენტის...“; „— სტყუი, შე ლაზღანდარავ! — კივის დეიდა მართა...“; „... ზემო ილიკო, მორჩა აწი შენი და ჩემი ციგნობა...“; „— აღარ მორჩებოთ ღრეჯას? — გაბრაზდა ცირა“. „... — ვაცი ახლა, აქ ხარ სიღდაკ მიყურებ და იცინი. რას იზამ, მაჯობე, შენ მეიგე თამაში“. (ხაზგასმა ყველგან ზვენია. გ. ე.).

ხშირად ღიმილის მომგვრელია, სახუმაროა ყოველი ფრწვა, ყოველი სიტყვა. „სალამოთი შე და ბებიას ილიკო ძღვენით მოგვადგა. თთახის კარი გაიღო და შიგ უხარმზარი წითელბილიოიანი, დეზებინი და ფოლაქის სიმსხო თვალბინი მამალი შემოავლო.“

— რა არის ავი, ილიკო?

— მაგას თუ მაგი აღარ ეტყობა, მამალი რომაა, ჩემო ოღლა, მაშინ რაღაია ჩემი სიცოცხლე.

— რა ჰირს მერე?

— რა უნდა ჰირდეს, ოღლას ვენაცვალე. ყველა ავადმყოფობა მოხდილი აქვს. კარგი მორჩებარია და კარგი მამალია, სხვა თუ ათქერ ყვის დღეში, ავი ოცქერ ყვის, ყვეა არ იცის, თორემ ძალია ნამდვილი; კაციშვილს არ ვაკვიკვანებს ეზოში, ზურაქვას მოვუყავნე საუტქრად.

— მაგი უნდოდა ახლა ჩემს დასუსტებულ ქმამებს? — შეიცხადა ბებია.

იუმორისტული ყოფითი სიტუაციები სახობრივ-სურათობრივია, დახატულია ფერწერული-სამსუყით, გრძნობით, შთავგონებით. ამიტომაც იუმორისტულ ყოფით ეპიზოდებს ნათლად აღიქვამ, ხედავ, ვანიციდ, ისინი დიდხანს გამახსოვრდება.

იუმორი მწერლისათვის ნიშნავს არა მხოლოდ ღიმილს, მიღს, მხნობას, საშეალებას დარღობა, ცრემლთან შესაქიდებლად, არა მხოლოდ ლაღობას, ზემორობა-ოხუნობას, ციგნობა-თამაშს, იუმორი არა იშვიათად იმოსება ირონიით, წარმოადგენს გაიციცბეს, უარყოფის, კრიტიკის იარაღს. ამასთანავე, ეს კრიტიკა, ეს უარყოფა უმეტესად ინფორმაციულია, ლოკალურია, გამოთქმულია არა სახეა სისტემით, არამედ უმოთავრება დიალოგებში და რეპლევიტით. ზურაქვას მიერ ავადმყოფობის გათამაშების ეპიზოდში სასაცილოა არა იმდენად ზურაქვლა, რამდენადაც ვჭიმი, მის მიმართ არის მიმართული ირონიის, დაციენის ისრები და ეს ირონია არ წარმოადგენს სიუჟეტური ქსოვილის აუცვლებელ ფერს; იგი იწყება და მოთვრდება ერთ პატარა ეპიზოდში, შემოხლდულელია ყოფითი სიტუაციის ვიწრო ჩარჩოებით.

მწერალს განუზრახავს წიგნბრძოლი ვაყრის გაუმართაობა. საწყობის გამგეს და ამისათვის სულ რამდენიმე სტრაიკონს ხარჯავს. — ძალით კი არა, ოქრო ხარ, ავერ, ეს სულძალიანი ამხელა მებრძოლია და მაინც ბებიათაისის სარჩენია, შენ კი შენით ირჩენ უცუე თავს! — უთხრა ილარიონმა მერაბას და კისერზე ხელი მოუტოტინა. — ოღონდ ჭერდობა არ ვარკა, პატრონისი შრომით ნაწილს ღებამაზე გემორიელი არაფერი არ არის, ხომ ხედავ, ჩვენი საწყობის გამგე, დათიკო, სასიკვდილოდა გადადებულა; სანამ შეეშლო, არ იქნა მისი მუცლის ამოყრება, ახლა წყალმანი გუნენდა და ავღია ლოგინში, ჩამოწერილი საგონელივით, გეყურებ! — პეტოხა ილარიონმა მერაბასა.

აგორის დასკინის სოფლის სკოლის რუსული ენის მასწავლებელს, რომელიც მოსწავლეს საოჯახო საქმეებს აკეთებინებს და როგორც პედაგოგი უფარგისაა იარნიის ნიაღვარი მოკლე დღილოვანი, სულ ოციოდე სტრაიკონში თავსდება. — ზრდასტეუბრე, ზაბლონ მასწავლებელი! — ვეტყობი მისელისთანავე.

— ზრდასტეუბრა, ჩტო მი სეგოდნია ბედემ დელატ? — მეთოხადა ზაბლონა მასწავლებელი.

— სეგოდნია, გუშინ რომ ყანა დამარჩა გასათონის, იმის დავამოარჩებ, პატომ კაროვა ნა საბალოხო, პატომ ნა წისქვილ პაიდუ და პატომ დრავას დავაბობ, ა პატომ უროკო.

— აბა, შენ იყო! — მებტოდა მასწავლებელი და იწყებოდა მეცადინეობა. ნაშუადღევს, საქმეს რომ მოვათავებდი, იწყებოდა დღის განმეოლობაში განგლოლი მასალის გამოკიხება.

- ვათობენ?
- კი, მასწავლებელი.
- სიმინდი ხომ არ დადერდა მეწისქვილემ?
- კი არა, ისე სულთად დაფქვა, ვაცრა არ უნდა.

- ძროხას წყალი დააღვიენ?
- წყალიც დააღვიენ და ბაღახიც დაეუყარე.
- შეშა?
- შეშა იმდენი დავაკე, ერთ კეირას გეყოფათ.

- მტო ტაკე ვრამატრკა?
- ვრამატრკა ვრჩესკოე სლოვო!
- ყოჩაღ, კარგი ბიჭი ხარ, გაიქეცი ახლა სახლში!

ბუბია ილიაკო და ილარიონი მსყელობენ, თუ რა პროცესია აბრჩიოს თავისთვის ზურიკომ, რომელ უმაღლეს სასწავლებელში და რომელ დაქუდობებზე გაავრძელას სწავლა, და ავტორი ერთბაშად პოფლობს მომენტს იარნიისათვის, კრიტიკისათვის და ეს კრიტიკა მხოლოდ რუბლივის ხასიათს ატარებს. — იურისტობა ვობდა! — თქვა ილიაკომ. — ხომ ხედავ ჩვენი მონაშართლე დასახლდა კაცი, ჩვენს სოფელში რომ ჩამოვიდა, ცალ-ცალი კალონი ეცეა, ახლა

ტყავის პალტოში და რუხინის ჩექმებით გამოქიმულია.

არაკეთილსინდისიერ გამცილებელს რამდენიმე სტრაიკონში აკრტიკებს. ავტორის

„გამცილებელმა ვერ ფარანა შეშოყო კუბეში, მერე ცხვირი და ბილეთების მოშხადება გვთხოვა. მერე თავის სულელურ ნათქვამზე სულელურად გაიციდა და ფულის მოშხადება დაგვაგალა.

ათასი მანეთი მოავროვა ჩვენს კუბეში გამცილებელმა, მათ შორის ჩემი ასი მანეთიც ვრია, ორ კაცს, რომლებსაც ბილეთი აღმოაჩინდათ, ირონიულად გადახედა. ფული თუ არ გქონდათ, რას მორბობდით, სახლში ეერ დაქეითო, და გაიდა“.

როგორც ვერწმუნდებით, ნ. დუშაძის მხატვრული აზროვნებისათვის არსებითად დამახასიათებელია სანამდელიის იუმორისტული იტქმა. იუმორი მწერლისათვის მთავარი იარაღია მხატვრული გამოსახვის საშუალებათა არსენალში. და მით უფრო, ნ. დუშაძეს მართებდა იუმორის დიდი საფრთხილით. დიდი ზომიერებით იყენებდეს, რასაც იგი, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ აღწევს; არა იშვითად იუმორი თვითიმიზნურია, იუმორი — იუმორისათვის, ხუმრობა — ხუმრობისათვის. ავილოდ უღინის მოპარვის ცდის ეპიზოდს „მე, ბებია, ილიაკო და ილარიონიდან“ თავისთავად ამ ეპიზოდს წენი არა აქვს, ის შესრულდებოდა უზადოდ, მსუფუე, შთამბეჭდავი იუმორისტული საღებავებით. მაგრამ რა დანიშნულება, რა იდეურ-მხატვრული ფუნქცია აქვს მას? რა სოციალურ, მორალურ-ეთიკურ თუ ზნეობრივ იდეალს ემსახურება იგი? ჩვენი აზრით, ერთადერთი ფუნქცია ამ ეპიზოდისა ის არის, რომ მკითხველი გააღიშოს. ესეც არ არის ცუდი, მაგრამ მხატვრული ქმნილების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ღიმილი, მხოლოდ ის იუმორი, რომელიც გააჩნია იდეურ-მორალური დატვირთვა, ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ამოცანის საპასუხო ფუნქცია.

ანალოგიურია ბლის მოპარვის ეპიზოდი, მთელი თავები „შეშა“ და „განში“ „მე, ბებია, ილიაკო და ილარიონში“. ილარიონი და ზურციკა გვიან ღამით წისქვილადან შინ ბრუნდებიან. განიზრახავენ, ილიკოს ბალი მოპარეს. ილიკოს კაცის სიმაღლეზე ხისთვის წაესეამს ერთმანეთში არეული ფენა და ტოტი და ბლის მოსაპარად მისული ზურციკა და ილარიონი ამ საბინძურში ამოიგანჯვლებიან. ამას ისიც ემატება, რომ ილიკო გაიგებს, ბალზე ჭერდები მოვიდნენ და მართილი გატენილ თოვს დააყრის ილარიონს. ილარიონი იტანება ცალკე ტანისამოსის სუნით შეწუხებული და ცალკე მარიალიანი კრილობისაგან. თავში „შეშა“ მტლავნდება, რომ ილიკოს შეშას თერმე ილარიონი იპარავდა. „განში“ მოთხრობილია, რომ ზურციკა და ილარიონი სავენახე მიწის გადაბ-

რუნებაში ეხმარებოდნენ ილიკოს, მუშაობა და-
 ვარათ და ილიკოსაგან თავის დასაღწევად ასეთ
 ზურბს მიმართეს: დოქმა ჩაღეს წერილი, ვი-
 თომ ილიკოს მამის მიერ დაწერილი, რომ ვაშ-
 ლის ძირში ერთი ბათმანი ოქრო მაქვს გადუ-
 ლი. მიწის ბრუნების დროს, ილიკო ბარბა
 გატებს დოქს და წერილს წააწვდება. ილიკოსი
 და ზურციელს დაიბნოეს და განძის ძებნაში
 თითქმის ჭას ვახტრის ეზოში. ილიკოსი და
 ზურციელა სიცილით იგვდებიან.

კითხულობთ ამ ეპიზოდებს და თქვენც გეღი-
 მებათ, იცინით, მაგრამ მეტე? რა რჩება თქვენ-
 ში? რას მიგანიშნებთ ავტორი, რისკენ მოგი-
 წოდებთ, რის გზით ჩავთვებრებთ? რა არის ამ
 ეპიზოდების მორალი? რომ მეზობელმა მეუ-
 ბელს არ უნდა მოპაროს ღვინო, არ უნდა მო-
 პაროს შვემა, არ უნდა მოპაროს ბალი? მაგრამ
 აქ ავტორის აინტერესებს არა ჭურდობის ავტი,
 არა ამ „საქმის“ მორალური მხარე, არამედ
 უბრალოდ იგი ხატავს იუმორისტულ სიტუა-
 ციას, ობუნჯობს, ხუმრობს, რომ მკითხველს გა-
 აღიბოს, გაიცინოს. მაგრამ, ვიმეორებთ, ეს სავ-
 მართის არ არის, ხუმრობა თვითმიზანი არ არის.
 მხატვრულ ნაწარმოებში ღიმილი მხოლოდ მა-
 შინ იძენს ძალას, როცა დატვირთულია მხატვ-
 რული შინაარსით, როცა მას გააჩნია მხატვრუ-
 ლი ფუნქცია.

ნ. დუმბაძის მთავარი გმირები უაღრესად
 ცხოვრებისეული არიან. თითქმის ისინი მწერალ-
 მა სინამდვილიდან მოიყვანა უცვლელად, შეუ-
 ლამაზებლად, თავის ბუნებრივი სახით. მათ არ
 ეტყობათ ზედოცნებები ძალდატანება, ზემოქმე-
 დება, შესწორება-გადაცემა და ისინი ჩაყვინთე-
 ლი არიან ცხოვრებისეულ და მხატვრულად
 მართალ სიტუაციებში და მოქმედებენ ბუნებ-
 რივად, თავისუფლად. მათი ქცევა, მათი მეტყ-
 ევლება დამაჯერებელია, გმირები სადაც და თა-
 ვისუფლად ავლენენ თავის თავს, ნათლად და
 სრულად ხსნიან თავის ხასიათს მკითხველის
 წინაშე. თვითველი თავის მხატვრულ ფუნქ-
 ციას ასრულებს ისე, რომ არ ჩანს მწერლის
 ხელი, მისი იდეურ-მხატვრული ტენდენცია.

ამას ვერ ვიტყვით ნ. დუმბაძის რომანების
 ზოგიერთ პერსონაჟზე, ავტორის ჩანაფიქრით
 მნიშვნელოვანი იდეურ-მხატვრული ფუნქცია
 გვესრება ანატოლის, ამ სახე უნდა გამოხატოს
 სამშველეთ ომის წლებში ზურგში რუსი და ქა-
 რთული ხალხების შეკავშირებისა და ქმური
 მეგობრობის მადალი იდეა. ნაწილობრივ ამ
 მოკვანას კიდევ უბასუხებს ანატოლის მხატვ-
 რული სახე. მაგრამ მას ავლია ის უშეიღობა,
 ის ბუნებრიობა, რაც ასე დამახასიათებელია
 ნ. დუმბაძის გმირებისათვის. ანატოლის მხატვ-
 რული სახე ერთგვარად ტენდენციურია. ავტო-
 რი მოკვიბობობს, როგორ იპოვა ანატოლი ნა-
 ში ბეიანამ, როგორ მოკვიდა ზურგზე და წა-
 მოიყვანა: როგორ იპარაჟენ მისთვის რძეს,
 7. „მნათობი“, № 10.

როგორ ეხმარება სოფლის უკაცოდ დატოვ-
 იყავებს უკვე გამოკეთებული ანატოლი... მაგ-
 რამ ეს მხატვრული სახე მაინც ფერმკრთალად
 გამოთქურება იგი არ არის გახსნილი, მწვენი-
 დანა. ავტორის სურს ანატოლი წარმოგვიდგი-
 ნოს როგორც უშიშარი, კეთილშობილი ადა-
 მანი, კარგი მოქალაქე და კარგი პირთვინა.
 ერთგული თავის მრწამსისა, მტკიცე თავის
 გრძობებში. მაგრამ ანატოლის მხატვრულ სა-
 ხეს ავლია კონკრეტულობა, ინდივიდუალობა:
 მას მწელად დაიმასოვრება, არ განიცდი, იპო-
 ვერ ჩავთვებრება.

ავტორის ნათლად არა აქვს წარმოდგენილი
 ცუცას სახე („მე ვხედავ მზეს“), ცუცა ერთერ-
 თი იმ მზავთავანია, რომლებსაც ომმა თაფ-
 ლის თვეში მოუღწრო და მათი გმრები ომის
 პირველსავე დღეებში დაიღუპნენ. ეს ცხოვრ-
 ბისეული ტრაგედიაა. ბევრმა ქალმა ამ ტრაგე-
 დიას დაუპირისპირა სიმტკიცე, ძლიერი ნების-
 ყოფა, ქმრის ხსოვნისადმი ერთგულება. თავ-
 დადებულნი მხოლოდ, ხოლო ბევრმა დაღუპული
 ქმარი შეცვალა ფრონტზე. მრავალი ქალისათ-
 ვის ამ ტიპიურ სიტუაციაში როგორ მოქმედებს
 ცუცა? მასში ერთბაშად ვრძობა ვაბატონე-
 ბულა, იგი დაჯარულ სიყვარულს კი არ დას-
 ტრის, არამედ უსიყვარულობას, და მზად არის
 ენის დამორჩილდეს. შეიძლება ამ სახის ასეთ-
 ნიარად წარმოდგენით ავტორის სურდა ხაზი
 გაესვა ომის ტრაგიზმისათვის. მაგრამ შედეგი
 მიზანს არ პასუხობს. ცუცა არც ომის წინააღმ-
 დებ ვანწყობს მკითხველს და არც მტრის წი-
 ნააღმდეგ; იგი არც სიბრალულს იწყევს და არც
 სინაშულს.

დამაჯერებლობა ავლია დათიკოს მიერ ხა-
 ტიას ვადაზნენას. რატომ უნდა ვაფიქრა თავი
 დათიკოს ხატვისათვის? რა ამობრავებდა მას,
 როცა თავის სიცოცხლეს საფრთხეში ავდებდა?
 ის, რომ ის კეთილი, მორალურად და ზნეობ-
 რივად მაღალ საფეხებზე მდგომი, მონილი-
 თური პირთვინაა და არ შეეძლო გულგრილად
 ეცქირა წყალწალბეული ადამიანისათვის? არა
 დათიკო ასეთი არ არის. პირიქით, მან თავი გა-
 მოამძლავნა, როგორც სულმადამა, მორალუ-
 რად ნამცუცა ადამიანმა. იქნებ მას ეს საქმეული
 უკარნახა თავის შემართებელმა, ვეჟაძე-
 მა ბუნებამ, დაუდგრომლობამ? დათიკო ვეჟ-
 კაცი არ არის, მას არ გააჩნია მტკიცე ნებისყო-
 ფა. პირიქით, იგი მზდელია, მშიშარია, სუსტი
 ნებისყოფის პატრონია. იგი სიყვარულს გამოქმე-
 ცა ფრონტიდან და რატომ უნდა ვაფიქრა თავი,
 როცა აღიღებულ მდინარეში ვაღებემა? ეგებ
 ხატის მიმართ აქვს დათიკოს რაიმე გამსაკუთ-
 რებელი გრძობა? ერთადერთი გრძობა — ეს
 ის არის, რომ დათიკო ვაჟაერებულა ხატიანე,
 რადგან ხატიამ ხმაზე იცნო დამე ვხად შემთხვე-
 ვით შეხედრილი დათიკო. იქნებ ამით დათიკოს
 უნდოდა თავის დანაშაული გამოესყიდა? მაგ-

რამ დათიკო დეზერტირია, სამშობლოს მოღალატე და კაცის მკვლელი, და იგი ისე სულელი არ არის, არ იტოდეს, რომ ყოველივე ამის გამოსიყვანა არაფრით არ შეიძლება, ეს არ შეიძლება ხატის ვადასარჩენად თავგანწირვითაც. აქ არც ემატია დანაშაული დათიკოს, ჩვენ გვესმის ავტორის, ამით იგი უფრო ამძივებს დათიკოს დანაშაულს. და ავტორის მორალური პოზიცია, რომ სამშობლოს ღალატს და მკვლელობას ვერაფრით ვერ გამოისყდის, ეს დანაშაული არაფრით არ ემატება, — საესებით სწორია, მაგრამ გზა, რომელიც მწერალმა ამ პოზიციის გამოსახატავად აირჩია, არ არის და მაყვრებელი, არ არის ნაყარანები სახე-სახათის ბუნებით.

თავის მთლიანობაში სრული და ჩამოყალიბებულია დედის სახე („შინაინ ღამე“). ეს არის ტრაგიკული პიროვნება, რომელიც უდანაშაულოდ შეეწირა 37 წლის რუმბერსებს. მის სახეში გამოხატულებას მკითხველს კანონიერების დარღვევის, უხეში ძალადობის შემხარავი შედეგი. დედა მართალია დაბრუნდა პატიმრობიდან, გადასახლებიდან, მაგრამ მისი ადგილი უკვე აღარ არის ცხოვრებაში, იგი სულურად და მორალურად გატეხილია, ფიზიკურად დაუბრუნებელია. დედა-შვილი უცხოინ აღმოჩნდნენ ერთმანეთისათვის, ხოლო როცა შეიღმა იგრძნო დედის სიყვარული, როცა ამ უცხო მოხუც ქალში თავის ლეილი მშობელი დაინახა, დედა ზელოდნ გამოეცალა, იგი გაზღაიკვალა.

შამ, რაღა აზრი ჰქონდა დედის დაბრუნებას? დედა-შვილის ურთიერთობით, მათი ერთმანეთოსადმი ვაჟიყვებით და მთელი მათი ბედით, ავტორმა ხაზი გაუსვა ოცდაათიანი წლების დასასრულს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ტრაგიკულ ამბებს, რომლის ეჭო გადაეცა მომავალ ათწლეულებს და მათგანდ აისახა აღმართების ყოფა-ცხოვრებაში, მათს ფსიქიკაში, მთელ მათს სულე რამყარობაში. და ეს სწორია, მართალია, მხატვრულად დამაყვრებელია. როგორც ვთქვით, დედის სახე თავის მთლიანობაში ჩამოყალიბებულია. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი დედის სახის ძერწვისას, დედა-შვილის ურთიერთობის ჩვენებისას ყოველთვის ვერ იკავს ფსიქოლოგიურ სისამართოს. ცალკეული სიტუაციები და დეტალები ნაკლებად არის დამაყვრებელი.

დავიწყით თავიდან, იმ ეპიზოდებიდან, სადაც დედა პირველად გამოჩნდება. „ჩემი ოთახი საესე იყო მეზობლებით. ძინი ვარს შემოხვეოდნენ საწოლს, რომელზეც შეხინის, ჰალარა, საოცრად დაღლილი, თეთრი სახის, გამხდარი ქალი იქნა. იგი ოღანე, ოღანე ოღანეობდა და სესიკი ხმით ყვებოდა რაღაცას. ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია. ჰალარა ქალმა მშვიდად შემომხედა, ცოტა ხანს მიყურა. მერე ისევე განგაზრბო ამბავი. მეზობლები სინანულით

თავებს იწვევდნენ აქეთ-იქით. ჰალარა გულმა უცებ საუბარი შეწყვიტა და ისევე დაიწყებდა, ახლა უფრო ხანგაძლივად და დაქანებით. მერე თვალები მეზობლებისაკენ გაქცევა; მერე უბრალოდ კარებისკენ შემოტრიალდნენ. ოთახში სამაროსებური სიჩუმე ჩამოვარდა. მე შესმოდა სხოლოდ ჩემი გულიცემმა, ვლადის სკამის სულისწამლები ჰრალი, მერე აზავებო. ჰალარა ქალი თვალს არ მავიღებდა, მერე მან შემინებელი თვალებით (ხანგასმა ჩვენია. გ. ვ.) შეხედა ჩემს კარის მეზობელს ვლიკოს. ვლიკომ თავი დაქცენა თანხმობის ნიშნად, მაშინ ჰალარა ქალი ადგა, მას ზელები და ტუჩები უქანკლებდა, იგი საოცრად გავდა იმ ქალს, რომელმაც ამ ოთახში 12 წლის წინ, ღამის ოთხ საათზე გამაღვიძა, პირველი ვადამსახა და მეერდზე მავიკა. მერე იგი წაიყვანა ორმა მამაკაცმა, რომელთაგან ერთი შემინებული ჩანდა, მეორე კი ილიმებოდა და პირი ვერცხლის კბილებით ჰქონდა გამოტენილი. ეს იყო ჩემი დედა. ახლა მე და მას სულ სამი ნაბიჯი გავიღებდა. იგი მოდიოდა ჩემსკენ ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯით, უკვე შესმოდა მისი სუნეკვა, მინდოდა შევებრუნებულიყავი და გავქცეულიყავი, მაგრამ არ შემეძლო, მე უბრალოდ დაეხუტე თვალები და ველოდი, რა მოხდებოდა. მერე მე ვიგრძენი მისი თავი ჩემს მხარზე და გავიგონე ჩემი ჩურჩული: — გამარჯობა, შვილო...

გამარჯობა, შვილო, და ასე განწყავებოდა, დიდხანს, ძალიან დიდხანს, გამარჯობა შვილო... მე მივხვდი, რომ იგი ელოდა მასებს, — გამარჯობა, — გამარჯობა, დედა! — მაგრამ მე ვერ შევძელი.

— გამარჯობათ, ქალბატონო! — ვთქვი და ტირილი დაიწყე.

რამ შეამინა დედა? მან კარებთან ატუხულ ახლგაბრღამი თავისი შვილი შეიციო, ლეილი, შვილი, რომელიც რვა წლისა დაატოვებინეს და თორმეტი წელიწადი ან ერნახა. ბალდი დატოვა და ვაჟაკი დახედა, და რამ შეამინა? დედას შეიძლება ზავიერებოდა, დედა შეიძლება დაბნეულიყო, გაოგნებულიყო კიდევ, დედა შეიძლება ყოფილიყო აღტაცებულიც. ხოლო შეშინებული კი — არა. ასევე, შიმში მივიპყრო შვილი, მინდოდა შეებრუნებულიყავი და გავქცეულიყავი, მაგრამ არ შემეძლო, მე უბრალოდ დაეხუტე თვალები და ველოდი, რა მოხდებოდა. რატომ უნდა გაქცეულიყო შვილი, რა აზრეულებრივ მოსახდნეს ელოდა იგი? მან მოხუც ქალში დედა შეიციო, თორმეტი წლის უნახავი და მისთვის უცნობი დედა. და რატომ უნდა გაქცეულიყო მისგან? ასეთ სიტუაციაში აღმოჩინი ან ადგილზე გაქვადებოდა ელდანაკეში, ან დედისაკენ გაქვანებოდა. მას მეერდში ჩაეცვროდა. გამარჯობა შვილო, — ჩურჩილებს დედა, ჩურჩილებს დიდხანს, ძალიან დიდხანს. მე მივხვდი, რომ იგი ელოდა

პასუსს, — გამარჯობა, დედა, მაგრამ მე ვერ-
შეძელო. გამარჯობათ, ქალბატონო! —
ეთქვი და ტირილი დაიწყეო.

ჩვენი აზრით, სიტუაციის ასეთი გავრცელებ-
დაც მოკლებულია დამაჯერებლობას. „გამარჯო-
ბა, შეილო...“ გამოხატავს ძალიან ჩვეულებრივ,
ყოველდღიურ ყოფით ეთიარებას. მოცემულ
სიტუაციაში დედას არ შეეძლო ასე ეთქვა. იგი
ან აღვიღზე გაქვავებოდა და დელოდებოდა,
როგორ გაექანებოდა მისკენ შეილი და გულში
ჩაეკვროდა, ან თვითონ მიაშურებდა შეილს,
უხმოდ, უსიტყვოდ, ბედნიერებით თავზარდაც-
მული... ან ერთადერთი სიტყვა; რამდელი შე-
იძლებოდა დედას აღმოხედნოდა, ეს აზის
„შეილო!“

ჩვენ გავმისს, რომ ავტორს სურს ხაზი გაუ-
სვას დედა-შეილის გავტობებას და ამით უფ-
რო მშვევედ გვაგვანობინოს მოკლენის ტრავიზ-
ში. „გაუტობების“ ჩვენებას ემსახურება „გამარ-
ჯობათ, ქალბატონოც“. მაგრამ „გაუტობების“
პრინციპულად სწორი მხატვრულ ჩანაფიქრს
მწერალმა ვერ მოუღწია ასევე სწორი კონკრე-
ტული სიტუაცია. ვერ გადმოგვცა იგი ფსიქო-
ლოგიურად სწორი, მხატვრული ლოგიკით ნა-
კარნახები დეტალებით და ამიტომ სწორი მხა-
ტვრული ჩანაფიქრი მწერლის ძალიან თვალბი-
ღულ ტენდენციად იქცა.

გადასახლებიდან დაბრუნებულ დედა ზედაეს,
რომ შეილისათვის ის უცხოა. ამავე დროს
თემერი გამოუტყდება, გულიც მიუვარსო და
დედა შეილს შეევედრება: მეც მიტხარი ის,
რაც შენს გულიცს უთხარი, მიტხარი შეილო,
რომ გიუვარეარ, რომ მთელი სიცოცხლე ერთ-
თად იქნებოდაი. დედას რომ ასეთი გრძობა
და წუხილი გასჩენოდა, ბუნებრივია, მაგრამ ამ
გრძობის შეილისათვის ასე უხეში გამტლავნება
მოკლებულია სიმართლეს, დედა თავის ამ
გრძობაზე საერთოდ სულ რომ არ ლაპარაკბ-
დეს, ბევრად უფრო დამაჯერებელი იქნებოდა.
მე შენც ძალიან მიუვარხარო, — იძულებულია
უმტრაციოს შეილმა დედს.

„— ეციო!—თქვა დედამ და ისევ გაიღიმა.
— ოღონდ...
— გულიც უფრო გიუვარს და სულ მასთან
გინდა იყო. — გამაწვევტრინა მან.
— არა!
— პო!

გულიცო სხვანიარად მიუვარს. გულიცო ახლა
შემოუვარდა, შენ ეი... შენ რამდენი ხანია...“
დედის დამირისპირებით გულიცოსადმი დედა
ჩაყენებულია უხერხულ მდგომარეობაში, მას
„უსამართლოდ“ აღგება ჩრდილი, არც შეილია
უკეთეს დღეში, იგი იძულებულია გულწრფე-
ლობას უღალატოს, მიმართოს პათეტიკას, დეკ-
ლამაციას:

„— დედა, მამატიე, ჩემო საყვარელო დედიკო!
— დაიწყე მე და, რომ არ მებღავლა, კბიღებს.

კბიღებზე ვაპურდი. — მამატიე, რაც ტოყელი
მოგაყუნე, მეც, მამატიემაც. მე მამატიე დედა.
მე შენი გულისთვის ყველაფერს გაიხელოვნე. რა-
საც მეტყვი, ყველაფერს, თუ გინდა ვაცხს მამა-
კლავ, გინდა გულიცს თავს დაეანებემ, თუ
გინდა თავს მოვიკლავ, ოღონდ მამატიე ყველა-
ფერი, მამატიე...“

საერთოდ, ნ. დუმბაძე კარგად იყენებს დია-
ლოგს სახე-სახისათვის შექმნაში, პერსონა-
ჟების წარმოსახვისა და მათი ილუტრ-ფსიქოლო-
გიური დახასიათებისათვის. დიალოგს მის-
თხულებებში დიდი წილი უჭირავს და უმეტე-
სად გამოირჩევა სიმართლით, ბუნებრივობით,
ზუსტად და ხატოვანდ უქასუხებს სიტუაციას.
პერსონაჟის განწყობილება, შედეგია სახის ბუ-
ნებისა და მოქმედი ვარგებობისა. დიალოგში
მელაენდება მხატვრული სახის აზრი, პერსონა-
ჟის ინდივიდუალური სახე, კანონზომიერია,
რომ სახეთა მსგავსების შემთხვევაში გავქმნა
მსგავსი დიალოგები. მაგალითად, სიტუაციური
მანალი, სტრუქტურით, შინაარსობრივი და-
ტვრითი ერთმანეთს ჰგავს ილიცოს და ილა-
რიონის, ზურციელას და სოსასა, ნაწილობრივ
თემერის დიალოგები. ხოლო ზოგჯერ დიალოგ
ზუსტად არ უქასუხებს პერსონაჟის მდგომარე-
ობას, ასაკს, დროსა და ადგილს. გერამი-
ოცი წლისა, მრწიფელი ახალგაზრდაა და მისი
მსგავლობა თუ ზემოთა ომისა და სწავლის მო-
ტივებზე უაღრესად ბავშვურია, პრმიტიულია.

სტუდენტთა ლიტერატურული წრის სხდომა-
ზე, ლექსის ვანხილვისას, ერთ-ერთი წევრი —
არჩილი ასეთ ფრაზას წამოსვტრის:

„— სტალინს მადნეტი აქვს ჯიბეში, თუ რამია,
საქმე?“

იმ დროს, სტალინის სიცოცხლეში, ასე არ-
იტყოდნენ.

გადასახლებიდან დაბრუნდი დედა. ეს ამბავი-
ცხადია, შეიტყო აბიბომ და ერთ დღეს კიბეზე
შებედილი თემერი შინ შეიწვია, ასეთი საუ-
ბარი გაუტბა:

„... — დედამენი ჩამოსულა, გაივიკ! — მი-
თხრა უკებ აბიბომ და თვალი თვალში გამი-
ვარა.

— კი, ერთი კვირაა უკევი! — ექვასუზე მე
და თვალი ავარაიღე.

— რაო, მწყალმა? — არ მომავიკლა თვალი
აბიბომ.

- არაფერი!
- არაფერს არ ყვება?
- არაფერს! — ეთქვი მე და თავი გავიქნეო.
- სულ არაფერს?
- ცოტას რაღაცას!
- მაინც?
- გვიკირდაო!
- მეტე?
- მეტე არაფერის!
- მაინც?

— არც კი ვიცი, რაზე ვიტანებოდით.
 — არაო?
 — არაო!
 — მაშაშენს ხომ არ შეხვედრია?
 — საღ?!
 — იქ!
 — არა.
 — ზემზე ხომ არ უთქვამს რამე? — მკითხა აბიბომ და თელეფონი მოწურა.
 — თქვენზე რა უნდა ეთქვა?
 — ისტ, არ ეუკრთობივარ?
 — კი!
 — რაო? — თქვა აბიბომ და ჩემსკენ გადმოიხარა.
 — როგორ ვადარჩა უც საწყალი!
 — აბა, აბა, — ვაფიქნა თავი აბიბომ და ისევ დაასხა კონიაკი.
 — კიდევ რას ამბობს?
 — შეტს არაფერს. რა უნდა თქვას, შთელი დღე ზის და კითხულობს.
 — რას კითხულობს?
 — რაც შეხედება!
 — აბა ჩემზე სხვა არაფერი უკითხავს? — მკითხა ისევ დადასაბუთებლად აბიბომ.
 და შემდეგ ქვეითი:

— ნახაშდის! — თქვა აბიბომ. — მოიკა! — გამაჩრია უცებ. — დედაშენს ნერაფერს ეტყვი. ჩემთან რომ იყავი, იმასაც ნუ ეტყვი, ხომ იცი, მოიგონებს ძველ ამბებს და გული ეტკინება“.

გასაგებია, რომ აბიბოს აინტერესებს თემურის მეოხებით შეიტყოს პატიშრობიდან დაბრუნებულმა დედამ იცის თუ არა, რომ ის და მისი მეუღლე აბიბოს დასმენით დააპატიმრეს. მაგრამ აბიბო ხანმოკლე კაცია, გამოცდილი ჩეკისტია და ასე აშკარად არ შეუდგებოდა თემურის გამოკითხვას, ამით ხომ აბიბომ თემურისთან ფაქტობრივად გაამყვანა თავისთავი.

სახის დახასიათებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს, თუ შეიძლება ითქვას, „ამოჩემებულ“ სიტყვებს თუ ფრაზებს; ეს სიტყვები, თუ ფრაზები სახეს ანიჭებენ ერთგვარ ნიუანსს. მაგრამ როცა ერთდროულად სიტყვა, თუ ფრაზა ამოჩემებული პერსონაჟებს, ეს უკვე ახალ აღარაფერს სძენს სახეს, არ მიგვიანიშნებს მის რაიმე ინდივიდუალობას, პირიქით: სიტყვიერ დახასიათებაში ერთფეროვნება შეაქვს. ნ. დუმბაძის პერსონაჟები: ილიკო და ილარიონი,

სახლმშობრთველი დომენტი, ზურაიკლა, გერასიმე ბიძია, მეწისქვილე ბეგლარა, აფერინე ბებია და სხვები, დაუსრულებლად ამოჩემებენ მკითხვის საყვარელ ერთდროულად ნიტყვებს და ფრაზებს: „ვაი შენს პატაროს უხედურს“, „შე უპატრონო“ და სხვ.

ნ. დუმბაძის რომანების სიუჟეტი არ არის სწორხაზობრივი, როცა ამბის თხრობაში დაკულია თანმიმდევრობა; როცა მომდევნო ამბავი წინას ვაგაძელდება წარმოადგენს; როცა ამბავი ერთი—მთლიანია და მისი დანაწევრება—დაკლებულია ჰერს. კომპოზიციური მთლიანობა ემყარება საერთო იდეოლოგიურ ანტიკონს, საერთო მხატვრულ გააზრებას. მწერალი პერსონაჟებს წარმოგვიჩენს მრავალფეროვან სიტუაციებში, როცა აუცილებელი არ არის ეს სიტუაციები წარმოადგენდნენ ერთმანეთს უშუალო ვაგაძელდება, როცა თვითმოდამ სიტუაციას შეუძლია თავის ფუნქცია შეასრულოს დამოუკიდებლად. ამასთანავე, სიტუაციების დიდი ნაწილი უოფიით ხასიათისაა. თხრობა იწყება ერთბაშად, მოვლოდნელად და უშუალოდ, გარემოებებისა და სიტუაციების წინასწარი გაცნობა—დახასიათების გარეშე. ასევე ერთბაშად და მოვლოდნელად შემოდინა წარმოგებებში პერსონაჟები და თავიდანვე იმეორებენ თავის ადგილს, ორგანული ხდებიან მხატვრულ ტილოზე. ნ. დუმბაძის კომპოზიციური სტილისათვის და მახასიათებელია „უხილა“, „ნახტომისებურა“ გადასვლები. ავტორი უხვად იყენებს დრამატურგულ ხერხებს, მისი რომანებისათვის ნიშანდობრივია პარაბოლითობა, ეპიზოდურობა. სურათები, სცენები და ამიტომაც მიიკვლევენ ნ. დუმბაძის წარმოგებები გზას ასე ფართოდ სცენისაყენ.

ნ. დუმბაძის რომანები დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს მკითხველებში და არა მხოლოდ ქართველ მკითხველებში. ეს რომანები ამდინებენ თანამედროვე ქართულ პროზას და მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ მის განვითარებაზე. ეს მოკლე რომანი ავალბებს მწერალს, არ დამშვიდდეს მიღწეულით, არ მიეცას თვითკმაყოფილება. მკითხველს სიფრთხილით და გაზრდილი მომთხოვნელობით მოეყოლოს საყვარელ შემოქმედებას. და წერილში გამოთქმული შენიშვნების არსებითი მიზანი სწორედ ეს არის.

ლადო ასათიანი (1917—1943)

ნათქვამია, დრო მწერლის შემოქმედების ყველაზე მკაცრი და შეუშვლადარი შემფასებელიაო. ლიტერატურის ისტორიას ბევრი შემთხვევა ახსოვს, რომ სიცოცხლეში დიდად გახშიანებული ხელოვანი სიკვდილის შემდეგ ნელ-ნელა დაიწყვებას მისცემოდეს. საწინააღმდეგო შემთხვევებიც არაიშვიათად გვხვდება. დაახლოებით, სამი ათეული წელი, რომელიც ჩვენ გვაშორებს ლადო ასათიანისაგან, ცხადია, ჭერ კიდევ არ ახის საყმარისა იმისათვის, რომ დროის გამოცდა ჩაბარებულად ჩაეთვალოთ, მაგრამ ერთი რამ ნათელია და უდავო. ამ ხნის განმავლობაში ლადო ასათიანის სახელი თანდათან იზარდა, მისმა პოეტურმა ქმნილებებმა ძალდაუტანებლად გაიკვლიეს გზა მკითხველისაგან და მშობლიური ხალხის გულში საყოველთაო სიყვარული და აღიარება დაიმკვიდრეს.

ამასთან უნდა აღენიშნოთ, რომ ლადო ასათიანს ქართულ პოეზიაში განსაკუთრებულა ჯერსიდიეკაციულო სახლენი არ შეუტანია, ლექსის ფორმის ნოვატორული ძიებანი დიდ საპასუხისმგებლო საქმედ მიაჩნდა, დროებით მას, თითქმის, თავსაც არიდებდა და, ამ მხრივ, ახალი ნაბიჯების გადადგმას თავის მომავალი პოეტური შემოქმედების პროგრამად სახავდა: მოდერნიზმის გავლენებს ნაკლებად განიცდიდა და უმოთაგრესად მშობლიური კლასიკური და ხალხური პოეზიის ტრადიციებიდან ამოდიოდა. ახლა მწელდება გადაჭრით იმის თქმა, თუ რა გზით წარმატებულა ლადო ასათიანის შემდგომი შემოქმედებითი ძიებანი, მას რომ ხანგრძლივი სიცოცხლე დასცლოდა, რა ახლახალ პოეტურ ქმნილებებში გამოაყვინდა იგი თავის მშფოთარე და დაუდგრომელ სულს, რამდენად გაამდიდრებდა თანამედროვე ქართულ პოეზიას, მაგრამ ის, რისი შექმნაც მან ხუთი-ექვსი წლის დაძაბული შემოქმედებითი

წრომის შედეგად შეძლო, ჩვენთვის ძვირფასია და მისი საგრძნობი ნაწილი თანამედროვე ქართულ პოეზიის ოქროს ფონდში თავის ადგილს იკავებს.

ამ, შეიძლება ჩვენს მიერ შემოთქმულმა მკითხველს „ქრწანისის ყუაყაობების“ ცნობილი სტრიქონები გაახსენოს:

თუ არც ყუაყაოს ცეცხლია და არც ახალი იარა, მა ეს ბებერი ქრწანისი რა ძალამ ააბლდერიალა?

თუ ლადო ასათიანის პოეზია არც განსაკუთრებული ვერსიფიკაციული და არც სხვა ნოვატორული სიახლითა და ძიებებით არ ხასიათდება, მაშ, რაში მდგომარეობს ის საიდუმლო, რითაც პოეტმა ხალხის გულისაგან გზა გააყაფა? ჩვენი ნარკვევის მიზანია — შეძლებისდაგვარად პასუხი გასცეს ამ კითხვას.

• • •

ლადო ასათიანის პოეტური შემოქმედების ცენტრში დგას სამშობლოს სიყვარულის ქრწანტლით ატანილი, სიცოცხლეზე დასარბებული, დაუდგრომელი ბუნებისა და კეთილშობილესულისკვეთების ადამიანი. ასეთია ლირიკული გმირი, რომლის ვეკაცურ ვნებებს — დიდ სიხარულსა და მძაფრ ტკივილებს — პოეტი მთელს მის მრავალფეროვნებაში გამოაყვინდა. ლადო ასათიანის ლექსში ადამიანი ყოველთვის წინა პლანზე დგას. პოეტის ლექსთა კრებულის გადაკითხვისას, ერთი შეხედვით, შეიძლება მკითხველს მოეჩვენოს, რომ ავტორის ქნარი ერთ სიშუე უქრავს, მაგრამ სამშობლოზე შეყვარებული ჰაბუჯი მგონის სულთერ განცდებს თუ ჩიულრმავდება, მის წარმოდგენაში ეს ილუზია თანდათან ქრება და მამინ

იგი გრძნობს რამდენად ფართოა „სალაღობო-სა“ და „ერწინისის უაყაოვების“, „ბარდნა-ლა-სა“ და „ცავერის ბაზრობის“, „სასაფლაოსა“ და „ფიროსმანის მეგობრების“ ავტორის პოეტური ხილვის არე, რომელიც აღბეჭდილია მოტივთა მრავალფეროვნებით, სადაც ზოგჯერ უბრალო, კონკრეტული ფაქტი, პირადი ამბავი, ზოგადადამაინტრობის ხარისხში არის აყვანილი.

თავის პოეტური კრედიო ლაღო ასათიანმა დიდად გახატურებულ „სალაღობოში“ გამოხატა „სალაღობო“. რთული ვანფენილობის ლექსია. მკითხველს ხიბლავს ვაყაყუთის პათეტიკა და მოწოდებლობითი შემართება ამ ლექსისა, ურათოცა და მეორეც ვადამდებუ და აღმაფართოვანებულ.

დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა მცეს, ვაისარჯოს და ბრძოლებში დაიხარჯოს!
გაუმარჯოს საქართველოს შუეს და ზეცას,
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

პოეტური მიმართვა, როგორც მხატვრული ზეგობა, მოწოდებლობითი ტონი, რაც საერთოდ, დიდად დამახასიათებელია ასათიანის პოეზიისათვის, ამ ლექსში გაბატონებულ ადვილს იჭერს. სხვაგან და სხვა ავტორის ხელში ამ-გვარი მიმართვა-შემახილს, შეიძლება თავისი ძალა დაპყრობა და მშრალ დეკლარაციად მსდელიყო, მაგრამ ასათიანის პოეტური სიტყვის შადლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ლოზუნგის მსგავსად ვადმოსროლილი მოწოდება უადრეს ინტიმამდე დაიყვანოს და მკითხველის ფაქიზ გრძნობათა თანახმად გახადოს. ასათიანის პოეტური ფრაზა უშელოა და მხატვრული სიმართლით აღბეჭდილი. ერთი შეხედვით, სულ უბრალოდ ნათქვამშიაქ კი თავს იჩენს ქართული ელასიკური, თუ ხალხური, პოეტური ტრადიციების შემოქმედებითი აღქმა და ახალ ეთარებაში გამოყოფენება. „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს!“... ეს ბრწყინვალე მეტაფორა განა არ ვადვებუნებს ზეთუმის კარებზე დაიდებულ ვოჯაქურხას ფარს, რომელსაც ხანდახან იმის სურვილი უელს — ქარი სმრავს და ადრიალუმს ანდა მოტანილი სტროფის მეორე სტრიქონს წადუკვირდეთ: „ვაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს!“ აქაც ციფ ლითონს, თითქმის სული წადეგა. (გაიხსენით ფრანგელის სიცილი ვაჟა-ფშაველას „ბაგრიდან“).

დაუკარით, ჭერ ზომ სისხლი გვიდგას ძარღვში,
ჭერ ზომ საროს ფოთლები არ ვასცენია,
ჭერ ზომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში
საქართველოს ცხელი გული ასცენია!

„სარო“, „საქართველოს ცხელი გული“ —

დიდი სინათლის დამტევი მეტაფორებია. საერთოდ შთაბეჭდილი მხატვრული სახეებია: „სიბერე ძუ მეგლივით მოგვიტანა!“ და „დარდა ღრუბლებელით ვასივლება“. თუ პირველ მათგანს ანალოგია ქართულ ხალხურ ფილოსოფიურ ლირიკაში მოგვაგვება, მეორე — საყუთრივ, ლაღო ასათიანის მხატვრული აზროვნების ნაყოფია.

„სალაღობოში“ თითქმის მთელი ძირითადი ტექსტი აფორისტული ძალის შემცველი სტრიქონებისაგან არის შედგენილი.

ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში,
მტრის ჭინაზე ცხრაჯერ მწარედ გაიციინებ.
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასათუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ.

არც რიცხვი „ცხრა“ არის ამ სტროფში შემთხვევით მოტანილი. ქართულ ხალხურ ზღაპრებსა და სიმღერებში ეს რიცხვი საკრალურ დანიშნულებას მატარებელია: „ცხრა ზღვა“, „ცხრა მთა“, „ცხრა წყარო“ და ა. შ... ამ სიტყვის პოეტური ხაზგასმით, (ლოგიკური განმეორებებით) სტროფის პირველ ორ ტაბში ავტორი სასურველ მხატვრულ ეფექტს ქმნის და სტრიქონებს შალად შემეცნებითი ღირებულებას ანიჭებს. არანაკლები ეფექტრობით ხასიათდება მომდევნო ორი ტაბიც, სადაც თავს იჩენს ავტორისათვის დამახასიათებელი უშელოება და პოეტური ფრაზის მოქნივების ძალა.

ახლა ორიოდ სიტყვა „შადიანიცა და მახაბელის“ შესახებ. — „დაუკარით და იმღერეთ შადიანი, ფიცხელ ოშში რომ მღეროდა მახაბელი“. ეს ორი სიტყვა ლაღო ასათიანამდე ისტორიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეთა ვიწრო წრისათვის თუ იყო ცნობილი. ლაღო ასათიანმა ვააკოცხლა, აიღარძინა ეს საბუები და მიზიდველი მათი ისტორიული ქვეტექსტი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მისაწვდომი გახადა. ზედმეტი არ იქნება გავისენოთ აღნიშნული ორი სიტყვის ისტორიული წყარო.

თეიმურაზ ბაგრატიონს შემოუნახავს ცნობები „ქართველ სახალხო შემსარულებლებზე: ერეკლე მეორის დამტარებულ ქიზიყელ ქალზე. მახაბელა სახანდარსა და 1795 წელს, აღამაჰმად-ხანის შემოსევის დროს, თბილისში მისი გმირულად დაღუპვის შესახებ!“. მახაბელა სახანდარი“ ერეკლეს კარზე არსებული თეატრის გამოჩენილი მსახიობი ყოფილა. აღამაჰმად-ხანის შემოსევისას თბილისის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც იარაღის ხმარება შედევ-

1 იხ. „მაკენე“, №5, 1969 წ., გვ. 188, „თეიმურაზ ბაგრატიონის ფოლკლორული ჩანაწერები“, პუბლიკაცია ვერამ შარაძისა.

ბია, საგანგებო რაზმი შეუდგენია და მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დიდი გმირობა გამოუჩინია. რაზმის წინამძღვრად სწორედ ის მანჩელი ყოფილა, რომლის შესახებაც თეიმურაზ ბაგრატიონი გვაწვდის საინტერესო ცნობებს. „კვალად მცხოვრებთაგან ტვილისისათა გამოჩნეულ იქნეს კაცნი მამაცინი და მარჯვენი, რომელთა აღიარჩეს წინამძღვრად თავისად კაცი ვინმე მსახობი (რომელსა სახანად უხმობენ). ეს იყო ერთი წარჩინებულთა შესაკრავეთა და მსახობთაგან მეფისათა, მუსიყი და კომედლიანტი. და იყო ესე უფროსი მსახობთა და ცნობილი იყო სამეფოსა სახლსა შინა. ესე იყო გვარეულობითა და სარწმუნოებითაც ქართველი, რომელსა სახელს დებდნენ შინაბულად. ესე მიუძღვნა გუნდსა მას თბილისელთასა მტერსა მიმართ. და უწყრა ხელთა მისთა ბარბითი, ე. ი. დიარა და უკრავდა მას ზედა შვიდანსა, ე. ი. ხმასა მას, რომელსაცა ლხინსა შინა დაუკრავენ ყამსა შინა უმეტეს სიხარულისასა, ვინაიდან ხმა ესე განამხიარულებს მსმენელთა... და შიიტაცეს დროშანი რაოდენიმე მხედრობათა აღა-მამაშვილისათა და მრავალი სპარსთაგანი მოსწყევტნეს“.

„სალალობო“ სამშობლოს სიყვარულის მოტივის ორგანულად ერწყმის უბერებელი სიკაბუჯის იდეალი, თქმცა პოეტი კარგად გრძობს ადამიანის სიციცხლის, ყვრძოდ „მფითიანი სიყვარული“ მსწრაფლწარმოვლობის, ამიტომ მოგვიწოდებს იგი დაუდგრომლობისა და ვაჟკაცური შემართებებისაკენ:

დაუკარით, მოსწარით, თორემ ჰერა...
და სიბერეს ძე მგელივით მოგვიხტება.

და, თორემ მარად შემტევი სიკაბუჯე მხოლოდ და მხოლოდ მის უცხორობლაში პოეებს უძგდავებს:

დაუკარით, რომ ჰმბუნენი ვიყოთ მარად,
რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს!

„სალალობო“ ძირითადი ტექსტი ცხრა სტროფისაგან შედგება. ყველა, ერთადერთი სტროფის გამოკლებით, იწყება ამ ომბიანი პოეტური შექაბილით: „დაუკარით!“ რომელიც მოელს ლექსში თერმეტერ მეორდება და მარადიული უცხორობლისაკენ მოწოდებად ვარსის. ამრგად, ავტორი ამ ომბიანი შექაბილებით დიდ პოეტურ განწოვადებას აღწევს. „სალალობო“ კომპოზიციურად ჰკრავს მისი ორსტროფიანი შესავალი და ორსტროფიანივე დასასრული, რომელიც, როგორც პოეტური თვითშეგონება, თან ერთვის ლექსის ძირითად ტექსტს. ამ ყურადღებას იმერობს ფსიქოლოგიური პარალელი, რომელიც ავტორში, აღუქმანდრე ბლოკისებური პოეტური სითამამით, ცოლსა და სამშობლოს შორის ვაატარა:

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა ატმის ხესავით აფეთქებულ და მორქველ გავიხივებითა...
ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა — ფართოდ გაშლილი და მოხატული თამარ დედოფლის დაბრახივითა.

„სალალობო“ დიდი პოეტური ძაბვის ნაწარმოებია, ისეთი როგორის შესახებაც იტყვიან ხოლმე: მის ავტორს მეტი რომ არა დაეწერარა, სახელდიდებად ესეც უყოფილია. ავტორმა დიდ სათქმელს სათანადო მხატვრული ფორმა მოუხატა.

დაბოლოს, გვინდა ყურადღება შევიჩეროთ ლექსის სათურზე. ლადო ასათიანის ცხოვრების შემავტანე ნიქა ავიაშვილი წერს: „სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ამ ლექსს — „სალალობო“, თავდაპირველად „ასათიანური“ ერქვა. დედანშიც ასეთი სათური აქვს, როგორც ბერძნურ აღნიშნა, აქ სალალობო და თავშესაქცივი არაფერია, ესა აბალგაზრდა ჰართული პოეტის ერთი ვაჟი, ვაჟკაცური, მართლაც „არწივების ასაფრენი“ სიმღერა“. იგივე ავტორი თავის მეორე ნაშრომში კვლავ ეხება ამ საკითხს და ასეთ ცნობას გვაწვდის: „ლადოს ლექსს, „სალალობო“ აღიომამ“ (ივლისსხვადა პოეტი აღუქმანდრე საქთა გ. ჯ) „ასათიანური“ უწოდა. აქ სალალობო და თავშესაქცივი არაფერიათ, თქვა მან. მაგრამ მინც რატომღაც ის პირვანდელი და შეუფერებელი სახელწოდება „მერჩა“, ამ მოსახრებას, როგორც თვით ავიაშვილი ადასტურებს, სხვებიც იზარებდნენ, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი ერთგვარ კორექტეს საჭიროებს. მართლაც, რომ „სალალობო“ თავდაპირველად „ასათიანური“ ერქვა, მაგრამ „სალალობოც“ ხომ ავტორისაგან აქვს მას შერქმეული და არა სხვა ვინმესაგან? მაშ, ავტორს ეს სათურიც გამართლებულად მიანდა. მეორეს მხრივ, რადგან ეს ლექსი, თავის მთლიანობაში, მკაფიოდ გამოხატული ორიგინალით არის აღბეჭდილი, მის სათურად „ასათიანურსაც“ ექნება გამართლება, მაგრამ ხომ შეიძლება ამ ორი სახელწოდების ურთიერთშეთავსება ამგვარად: „სალალობო“ (ასათიანური). ამას იმიტომ ვამბობთ, რომ არ ვეთანხმებით არა ერთგვან ვითქმულ მოსაზრებას, თითქოს ამ ლექსში სალალობო არა იყოს—რა. ლადო ასათიანის მეფრ აქ შექმეული, სამშობლოსათვის თავდადებული გმირი — მახატულა — ვანა სალალობითი (შადიანით) არ შეიძლება სამეფრო-სისიციცხლო ბაქოლაში და დაიღუპა კიდევ?!... „ომი მიანდათ ლხინად — ასეთი იყო გორი“, — ამბობს ერთ-ერთ თავის ლექსში გალაკტიონი. ლადო ასათიანმაც თავის ამ უადრესად საბრძოლო განწყობილების ლექსს ამ ასოციაციებით შეურჩია სათურად

„სალაღობო“ და, ვფიქრობთ, იგი ზედგამოჭრილია.

ლადო ასათიანის პოეზიის განხილვის დასაწყისშივე „სალაღობოზე“ ჩვენ ვინებთ შევიჩინეთ ყურადღება, რადგან მიგვიჩნია, რომ ამ ლექსში ვაერთიანებული მოტივები, — მამულის სიყვარული, სიყვდილ-სიციცხლის პრეტენზია, მარად უცნობლობისაგან ღტობა, ძახილი უწყვეტისა, — პირდაპირი თუ ირიბი ვხიოთ, პოეტის თითქმის მთელ შემოქმედებაში გამოვხატავთ განმტკიცებასა და ხორცშესხმას. ამ მხრივ, შეიძლება გამოვსვინოთ წარმოადგენდეს საყოფაცხოვრებო ხასიათის განრღობი ჩანახატები და სატრფიალო ღირსი ნიმუშები.

სამშობლოს სიყვარული, მამულისათვის თავგანწირვის იდეა ასათიანის პოეზიის ქვაკუთხედია. პოეტი, თითქმის, რაღაც არაჩვეულებრივად, შეიძლება ითქვას, დანატიური სიუაჯრელის გრძნობით არის გამსჭვალული მშობელი ქვეყნისადმი.

პოეტმა დიდი აღმავრებით უმღერა თავის ქვეყნის წარსულსა და აწყმოს, რითაც თავსტომთა შემეცნებაში მომავლისადმი რწმენა გააღვივა.

სამშობლოს გვირგული წარსულის წარმოჩენება საჭირო და დამახასიათებელი ვახდა დროის იმ მონაკვეთისათვის, რომელშიც „ასპინძისა“ და „ბასიანის ბრძოლის“ ავტორს მოუხდა შემოქმედებითი მოღვაწეობა. ეს იყო დიდი სამაჟლო ომის წინა წლები და მერე თვით ომის პერიოდი, როცა სამშობლო კავშირში შემავალ მომე ერებს საშვედრო-სასაიციო-ცხო ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული გერმანიის ფაშისტთან, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს ვუჭერებოდა. პოეტი მშობელი ქვეყნის ისტორიის წიაღიდან აღიზიდავდა მომხდურ მტერთა წინააღმდეგ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლის სურათებს და მათ, მხატვრულად ზორცშესხმულს, სთავაზობდა სამშობლოს დასაცავად ბრძოლის ველზე გასულ თანამემამულეებს. დიდი წარსულის შქონე ხალხს აწყმო და მომავალიც დიდი აქვს, იგი მტრის წინაშე ქედს არასოდეს მოიხრის. ამ ბათობით არის დაწერილი „ქრწინისის ყაყაოები“, „ქებრა მხა ზერხელნიც“, „საჭარ-თველო იყო მათი საოცნებო სახელი“, „ციხის სიზმარია“, „გაიფიქრებ და ვაგახსენდება“, „პირველი მკედლები“ და ორი საგვირო ისტორიული ბაღადა — „ასპინძისა“ და „ბასიანის ბრძოლა“. მათში პოეტური უშუალოებით ცოცხლდება გარდასულ დროთა სახელოვანი ბრძოლის სურათები, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხასიათები, მათი საბრძოლო ყიფნა და შემართება.

პოეტი, თქვენ, არაველებო, გაუმართალო ომიო, თქვენს საფლავებთან მოსვლა და შეტოვნი მოღრეკა მრმინდა... („ქრწინისის ყაყაოები“).

დახატულია ღრმად შთაბეჭდვით სურათი, რომელიც მკითხველის მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება: პოეტი „ყაყაოების ცეცხლით“ ამბინებულ ქრწინისის ველზე დგას და ოცნებაში გაიცილებულ წარსულისაგან იცქირება. აქ წინან მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუბული არაველებო გმირები — სამასი ლომული ვაჟაკი, „შავირობის ვაჟები“, რომლებსაც დღევანდელი დღის მესტიყვე, მათ მიერ ჩადენილი გმირობით შთაგონებული, უბშობს, აღვიძებს, წახმლევ-ნატყვიარ იარებს უსინჯავს:

შავირობიო ვაჟაკო, კრილობა ხომ არ შეგხსნია? ეს სახელი არის თუ მართლა ყაყაოების ცეცხლია? შავირობიო ვაჟებო, ანუ რამ ვაგახალისათ, ეღრილი ხომ არ მოგემათ პატარა კახის ხმალისა?..

„ქრწინისის ყაყაოებში“ ლადო ასათიანმა ქართული ხალხური პოეტური ტრადიციები მოიმარჯვა, ქრწინისის ველზე დაცემული სამასი არაველების უერთა სმენას ოცა ჟურხანის ფარის ელრილი და პატარა კახის ხმლის სიმღერა მიუსადავა. მეტაფორა — „სიმღერა... ხმლისა“ ანალოგიას პოელომს ქართულ ხალხურ სიმღერებში („ამამღერა ხმლიო“).

საგანგებოდ უნდა შევიჩინოთ უერთადლება ყაყაოს სიმბოლოაქებ, რომლითაც ლადო ასათიანის პოეზიის არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა ნ. აგიაშვილმა წიგნში „ქაბუტები დარწნენ მარად“ დაწვრილებით მოკვითბრო ლ. ასათიანის სამი ლექსის („ქართლის გზაზე“, „ყაყაო“ და „ქრწინისის ყაყაოები“) დაწერის ისტორია, ხოლო ამ ლექსების მხატვრულ ანალიზზე განსაქოტრებელი გულმოდგინებით შეჩერდა გ. კანკავი, რომელმაც თავისი მოსაზრებების ასეთი ფორმულარება მოგვცა: „ყაყაოის პოეტურ სიმბოლოაქაში სატრფიალო თემისა და გმირთა სიყვდილის გამოშსახველი სახის შერწყმა მეტად საინტერესო მხატვრულ ხერხს წარმოადგენს. ლექსში (იგულისხმება „ყაყაო“, გ. კ.) სიყვდილის მოტივი პოეტურად დაკავშირებულა სიყვარულთან, ცხოვრების მშვენიერების გამოშსახველ სახესთან“ (გ. კანკავი, „ლიტერატურული ეტიუდები“, გვ. 100). ვფიქრობთ, სწორად მიგნებული მოსაზრებაა. მართლაც და, შევადაროთ ერთმანეთს, ერთს მხრივ, განხილული „ქრწინისის ყაყაოები“ და, მეორეს მხრივ, სატრფიალო ღირსი ისეთი მარგალიტი, როგორიცაა „ყაყაო“. ჩვენს ყურა-

დღეებს უმაღლეს მიზნობას ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ფსიქოლოგიური პარალელი. აღებული ორი ლექსიდან პირველ მათგანში ყველა დახილულ გმირთა სიმბოლოდ არის წარმოდგენილი („ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლზე“), ხოლო მეორეში — ლამაზი ქალის ზატოეან სახეცვალებად:

ძველად აქ ჭარებს უჩემოდნენ,
დაფდაფითა და ბუთითა,
ახლა ყაყაჩო შემომხედა
ლამაზი ქალის შექითა.

ყაყაჩოს მოტივს ეძღვნება აგრეთვე მესამე შესანიშნავი ლექსი — „ქართლის გზაზე“, სადაც ეს უცნაური ყველი სიცივის, უქნობი ახალგაზრდობისა და სიუცარელის მუწყებულ სიმბოლოდ მოჩანს.

ამრიგად, ლადო ასათიანის პოეზიაში ყაყაჩოს სამშავი სიმბოლური დატვირთვა აქვს დაქსრებული; იგი სამშობლოსათვის თავდადებულ გმირის სისხლია, სიცივისა და ბედნიერების მუწყებელი ნიშანია, ლამაზი ქალის სიმბოლური სახეცვალებია. ამ სამგვარი ხასიათიდან ჩვენ უფრო ხალხურად და უფრო კოლორიტულად პირველი მათგანი გვეჩვენება.

ლადო ასათიანმა ლირიკული უშუალოებით და პოეტური აღმადგრენილი ვანიტუდინა მკითხველს საქართველოს გმირული წარსულის ეპიზოდები. ამ მოსაზრების დამადასტურებელი ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია გულის სიამოლიდან გრავალქარივით ამოფრენილი „ცხრა ძმა ზურგელისი“, რომელიც გვიხილავს არა მარტო ვაჭარულად მოქმედ სტრატეგობითა და გადამდები პათოსით არამედ მალაღმბატურ კოლონიაც: შეტაფორულ სახეებით, ფსიქოლოგიური პარალელიზმებით, პოეტური ჰიმერბოლებით, თუმცა ამ სახეებზე ფერის სიმეღლებაც აღარ რჩება, იმდენად დიდია ტყვეობის განცედა.

ეს გაფრენილი ფაფარი, თუ მშობლიური ნისლია?
ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დაჩაბტული ვისია?
საით წვიდნენ ეყება, რად მიადრევეს რაშები,

რაშები თამაშ-თამაში, ომებში ნათამაშები?...
ამ სტროფში პოეტური ფრაზა უკიდურესობამდეა დაწვრილი; პოეტი ფსიქოლოგიურ პარალელს ავლენს „გაფრენილ ფაფარს“ და „მშობლიურ ნისლს“ შორის, რითაც შესანიშნავ შეტაფორულ სახეს ემნის, მთელი სტროფი წარმოადგენს პოეტურ შეკთხვა-შეძახილს, რომლის პასუხიც მომდევნო სამ სტროფშია გაშლილი. მარაბდის ველზე ეს-ეს არის ომის დიდ ქაიშხალს გადაუღვია, უშეხეროდ დარ-

ჩენილი ცხენები დაფრენენ და ქიხინილი სარკვენი მიდამოს. ცხრა ბედაური ცხრა ძმა — ცხრა პატრონს დაეძებს. ცხრავე გმირი უღელდაიღება მტერთან უთანასწორო ბრძოლაში. პოეტი გრძნობს მათთან უშუალო სიახლოვეს ოცნებაში წარმოსახულ სურათთან ფიზიკურ შებებას.

დამოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორის რომანტიკულმა განწყობილებამ გამოიწვია მოვლენათა ჰიმერბოლური გააზრება, მაგალითად, მთელს ლექსში არც ერთხელ არ არის ნახსენები სიტყვა „ცხენი“. მის მაგივრად ვხვდებით: „ბედაური“, „დაჩაბტული“, „თეთრონი“, „რაშები“, „ფაფარაყარილი შერნები“.

მშობლიური ხალხის ისტორიული წარსულიდან ლადო ასათიანს, უპირველეს ყოვლისა, მამულსათვის თავდადებულ გმირთა სახეები იტაცებდა. გმირ ქართველ ქალთა — მიახ წყნეთელის, თამარ ვამლიკაძისა და თინა წავჭილის ხსოვნას უძღვნა მან შესანიშნავი ლექსები: „გაფიქრებ და გაგიხარდება“ და „საქართველო იყო მათი უწმინდესი სახელი“.

მშობელი ქვეყნის გმირული წარსულის თემაზე შექმნა პოეტმა ორი საგმირო-ისტორიული ზალადა: „ასპინძა“ და „ბასიანის ბრძოლა“, რომელთა შინაარსად „ქართლის ცხოვრების“ ეპიზოდები გამოიყენა. არც ერთი და არც მეორე არ წარმოადგენს ისტორიულ-დოკუმენტური წყაროების უზარალო გაღმეგვას, რასაც როგორც ლიტერატურულ მოვლენას დიდი ვერაფერი ღირებულება ექმნებოდა, მაგრამ ლადო ასათიანის „ასპინძა“ და „ბასიანის ბრძოლა“ მხატვრულად ხორცმეხსმულ დამოკიდებულ ნაწარმოებებს წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით იქმნის „ბასიანის ბრძოლაზე“, რომელშიაც ისტორიულმა წყაროებმა მხატვრული ხორცმეხსმე პოეტი. ავტორმა არა ერთი დისამასოგრებელი სახე თუ ეპიზოდი შეიტანა მასში, რითაც მალაღმბატურულ დონეზე აიყვანა ჰეროიკული თხრობა.

როცა პოეტი მახელი ვონების თვალთ უხსოვარი წარსულისაგან იკვირება, იქ მშობლიური ხალხის წარმომავლობას, საუკუნეთა წყველი ადში გადგმულ მის ფესვებს ეძიებს. ვონების სხივი ღრთის წყველიდს არღვევს, იფანტება ბურუსი, ნათდება პრეისტორია, თვალწინ დაგდგებათ უძველესი იბერიელთა სოფელი, ხალიბების პირველყოფილი სამჭედლო, ქართული ფილადის პირველი მწრობელები.

კვირითურთი ვეება, რგადის და რკინის შვედელი და საბერკელი, ვეშაპის ყბასავით: გაუხედნელი. უგანერესი ფილტვები, ჰაერი დაყანებულთ. ბასი: ჰეპა-ქუხილი და ერი აქანებულთ.

ქურაში ცეცხლს ენები — წითელი აბრე-
შუშები,
კედლებზე ახალთ-ახალი ხეთიმეტყურითანი
შეხებები...

ასე იქმნება საოცრად ემოციური, პოეტური
პიერბოლბითა და მონუმენტური ფერწერით
დამწვენებელი ლექსი „პირველი მკვლელები“.
გარდასულ დროთა საგმირო ამბების ვაცო-
ცხლებით პოეტი თავის ქარიშხლიან აწმყოს
ეხმარებოდა და ფიცხელ ბრძოლაში ჩაბმულ
თანამეგობრულებს გამამხნევებელი ყვირით მი-
სძახობდა:

ვახსოვდეს ლამაზონებით განათებული
ასპინძა, —
მამულისათვის ქართველი მტერს როგორ
გაუმასპინძლდა.
(„ქართველ ცხენოსანს“).

აქ სამშობლოს ცნებაც გაფართოვებულ
იყო:

მოსკოვს და თბილის-ქალაქსა წინ
აღეშართე ფარაღა,
დასკვეტე, დაგვგუნე მამა-პაპური ვარაღა“.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ის მოსა-
ზრება, რომ ვითომ, ლადო ასათიანი მხოლოდ
ჩვენი სახელგანთი წინაპრების მომღერალი
იყო და ჩვენს აწმყოზე ნაყლებ შესტკიოდა
გული. ამის ნათესაყოფად საკმარისია დავა-
სახელათ მთელი სერია უშუალოდ აწმყოს
თემებზე შექმნილი ლექსებისა: „ჩემი სამშობ-
ლო“, „ჩემი ქვეყნის ოქროვანა“, „კალმახები
სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე“, „ლენინის
ტომი“, „ახალი წლის ხმა“, ციკლიდან „ძველი
და ახალი ქუთაისი“ („დილით“, „ჩუქურთმის“
მკრედი“), „საჯ. კ. ბ. (მ) მე-18 ყრილობის დე-
ლუგატებს“, „ქუჩა პალმებში“, „მოდით, გეო-
ნერებო, თქვეით ნორიოს ნავთის დიდება“ და ბევ-
რი სხვა.

პოეტს ახარებდა და სასიძღვროდ განაწყობ-
და ახალი ცხოვრების ყოველდღიური მიღწევე-
ბი: ახლად დაჩუქული და აღორძინებული პა-
ლმების ვარაყში ჩამჯდარი ქუჩა („ქუჩა პალ-
მებში“, 1936 წ.), სტალინგრადადღე დღე-გმირთა,
თუ ურალელ სტახანოველთა წარმატებანი („ახ-
ალი წლის ხმა“, 1942 წ.), ახალ ნაგებობათა
კედლებზე ახლად ამოკვეთილი ჩუქურთმების
ხილვა. აი, რეასტრუქციონანი „ჩუქურთმისმკრე-
დი“, ლადო ასათიანის ერთ-ერთი პირველ ლე-
ქსათგანი (1936 წ.):

არ იცის მისმა მკლავებმა დაღლა
და უკაუნებებს, როგორც კოდალა.
ჩუქურთმისმკრედი ასულა მალდა
თეთრი ქვის გულის დასკოდავად.

ნიდაღ ისმის ძახილი და ხმა,
ეშხიანდება შენობის გული,

ეამიდან ეამზე რომ ნახოს ხალხმა
ჩუქურთმა ქვაზე ამოქარგული.

ამეთი უშუალობით განიცდიდა: „პოეტს, ჩვენს
ახალ ყოფას, ახალ სინამდვილეს და შთაგო-
ნებით უმღეროდა მას. ვანა ზემოთგანხილული
„სალაშობოც“, რომელიც ლადო ასათიანის
სამპოგრაფო ლექსად მივიჩნით, ჩვენი დღე-
ვანდელი სინამდვილით არ არის შთაგონებული?
ლადო ასათიანის პოეზიისათვის დამახასია-
თებელია მშობლიური ბუნების მძაფრი ვანცა,
მაგრამ მისთვის უცხოა ბუნების მოვლენათა
პოზიტური კვებება. პოეტი ბუნების სისხლ-
ხორციულად ვანიცდის, როგორც სიცოცხლისა
და სიმღერის მიმნიჭებელ წყაროს:

მე ქალის თმების სურნელს მსჯავსად
ვეტრფი მოხუნული მიწის ოხშივარს,
ამიჩქარდება სისხლი ველური
და ვაეკაცური ლექსი მომწვივა.

ბუნება არა თავისთავადი, არამედ ადამია-
ნის მიერ ხელშეხებული, ორგანულად გან-
ცდილი და სასიცოცხლო ნაყოფის მომცემი.

მე მიყვარს, როცა ყანაში ვახვალ
და მოგაგებებს სიმინდი ლხვარს.

სიმინდის უღვამის დამატობელი სურნელი
ქალის თმითა სურნელის ასოციაციით არის აღ-
ბეჭდილი („მე მიყვარს, როცა ყანაში ვახვალ“,
1938 წ.).

როგორც მ. აგხაიძემ შენიშნა, ლადო ასათი-
ანის პოეზიის მნიშვნელოვანი უბანი უკავია
ქარულ სურათებს. კრებულში „ჩემი ქვეყნის
ოქროვანა“ ამ ხანათის ლექსები ერთი საერ-
თო, ციკლური, სათაურით ვაერთიანდა — „რა
კარგი იყო ბარდნალა“. ეს სათაური პოეტის
ცნობილი ლექსის — „ბარდნალა“ — დასაფ-
ყის სტრიქონს წარმოადგენს და იმაზე მოგვა-
ნიშნებს, რომ ამ ციკლში შესული ლექსები —
„ბაბუაჩემი“, „სოფლისაყენ“, „ლენინური
შემოდგომის სურათები“, „წისკვილი“, „ბარ-
დნალა“, „ცაგერის ბაზრობა“, „ნამკაშურის
წისკვილები“, „პაპიჩემის ლექსებიდან“ — და-
წერილია მშობლიური კუთხის ლამაზი ბუნებისა
და მის წიაღში მოზინადრე ადამიანების იალ-
მართალი ცხოვრების პოეტური აღქმით.

თუ რაოდენ უჭკნობსა და მარად განმახ-
ლებელ სულიერ საზრდოს წარმოადგენდა პო-
ეტისათვის მშობლიური კუთხის თვალისაწიე-
რი, ამას ნათლად ვკვამობთ 1939 წელს და-
წერილ სამსტროფიან ლექსში, რომელსაც ავ-
ტორმა ნიშანდობლივი სათაური მისცა: „სოფ-
ლისაყენ“.

ისევ მომინდა ჩემი სოფელი,
ხალხურ ლექსებით და საკრავებით,
ცხოში მწვანე და უშობელი
და მოკუნტრუშე თეთრი კრავები.

ისევ მოიხიდა ჩემი გალია, ჩემი ველები და ვენახები, აღარ მინახავს დიდი ხანია, გამზრდელის თვალებს დავეჩხვებო.

ისევ ვიბრუნე პირი სოფლისკენ, დიდი ყოფილა ძალა ბუნების, ცოტა ხანს დაუყოფ და მერე თბილისს ვეწვევი ნეღლი სალამურებით.

მალე გაანაღდა პოეტმა ეს სურვილი და ეს დაპირება: „ლენხუმერი შემოღგომის სურათები“ (1939 წ.), „ბარდნალა“ (1940წ.), „ცაგერის ბაზრობა“ (1940 წ.), „ნამკაშურის წისკვილები“ (1941 წ.) და მინიატურა „წისკვილი“ (1939 წ.) — სწორედ ამ უძეგნობი სინედლითა და სინოყვირით არიან აღბეჭდილი, მათში იგრძნობა მომწიფებული ფერმწერლის პოეტური თვალი და დამჭერე ფუნჯი.

ხორბლას სურნელი ასლით კალოებს, მზეც ძველებურად არ იკბინება და უღევიარებთ სავსე ტაროებს ნამით ნაფფერი ოქროს კბილები. („ლენხუმერი შემოღგომის სურათები“).

საოცრად შთამბეჭდავია პოეტური მინიატურა „წისკვილი“. მაღლიანად მიგნებული მეტაფორული ქვეტექსტი აძლევს მას ძალას, იგი სულ ოთხი სტრიქონისაგან შედგება, მაგრამ ბევრ დიდ ლექსს აიწონის:

ვათითარებულა პატარა სხვენი, ობობა ქსელებს აბამს და ლამბავს; და სარეკელს მაღლიან ვენით წისკვილი ჰყვება მოსავლის ამბავს.

ლენხუმერმა შთაბეჭდილებებმა კამაყეთრებული სიძლიერით სამ შესანიშნავ ლექსში — „ბარდნალაში“, „ცაგერის ბაზრობასა“ და „ნამკაშურის წისკვილებში“ იჩინა თავი. სამივე შთაგანი ისეთ პოეტურ ქმნილებათა როგვ განეკუთვნება, რომლებიც არასოდეს არ კარგავენ თავიანთ პირველშობილ ელვარებას. შალვა აფხაძემ შენიშნა: „ბარდნალაში“ ახალგაზრდობის მთელი დღესასწაულია გამოლილი. „ბარდნალა“ განვლილი ბავშვობის სანდუკარი დღეების აღტაცებული მოგონებაა. აღტაცება — ქვეშეცნეული, დიდი ტკივილებით. რაღაც კარგი, რაღაც ძვირფასი, უმწვენიერესი და სულის სწორი გაფრინდა და დაიკარგა, რომელიც არასოდეს აღარ დაბრუნდება.

პეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ, ნეტავი! —

ამოდ მისძახის მას ვაჟაკობაში ახლად დაბეჭდილი პოეტი. რაღაც იდუმალი ტკივილი, რაღაც უთქმელი სევდა ღრუნის მის ფიქრს:

შენ, მამაჩემო, რად დარდობ, რამ დაგისველა თვალები? ან შენ სადა ხარ, დედო; რომ ლექსი გამამბედიანო?!



„ბარდნალა“ წარმოადგენს ერთგვარ პოეტურ აღნუსხვას ყოველივე იმისას, რაც თან ახლდა და ატყუებდა ავტორის ბავშვობას. ერთი შეხედვით, თითქმის უპრაბო ჩამოთვლია, მაგრამ ყოველი სტრიქონი, ყოველი საგანი თუ მოვლენა, ყოველი სახე, შიგადაშიგ ჩართული აღტაცების შეკითხვა-შეძახილებით, ცალ-ცალკე აღებული, თითო ლექსის თემაა. სითბო და სიყვარულია დაგუბებული ამ ჩამოთვლაში. ყოველი სახეს, ყოველ საგანს ამ ლექსში თან ახლავს ავტორის ემოციური განწყობილება, რასაც პოეტი მოხდენილი ებთებებით აძლიერებს: ბარდნალას „ვარდებიანი ბარდნარი ბუნებულთა ნამაზორალია“, სახლის წინ „ნავრიაგალარი კლდარი“ გაუთიარებულა დედა გერ კიდევ „წანლოვე გაუტუხელია“, „გუმარგვის ყანებში მოსახმარი თობი“ „პირგამოპირულია“... შემდეგ ვახსენება ტყეებში თარჯღაქრული ხეებისა და პოეტური თვითშეგონება: „ვერ დავიწყებ, ვინც ვიყვარს, შეყვარებული ღარჩები“... ლექსის ემოციურობას და შთამბეჭდაობას აძლიერებს საგანთა და მოვლენათა ჩამოთვლის დროს ნავთლისხმევი, მინიმულებითი ქვეტექსტები (თუ შეიძლება ეს გამოთქმა ვინმარით):

ვახსოვს, ამტყდარი ავღარი და სარეწველას ბილიკი? ვახსოვს, სოფელი ღარჩვალი და მეწისკვილე დაღარჩვალი? ვახსოვს, ჩვენ ორნი მარტონი და ვარდიგორას ხანძარი და დიდი გუჭუ-ბატონი, თავისი ქაპარ-ხანჯალით?..

იქმნება განწყობილება: ოდესღაც ჩვენც ვეინახავს, ვანვეცილია, დიხავც ვეახსოვს ყოველივე ეს, მზადა ვართ ფიქრში აღვიდგინოთ და ვანეაეროთ ვაგურენილი ბავშვობის ეს სანდუკარი მოგონებები.

ლადო ასათიანის, როგორც ენერული ფერმწერლის შესაძლებლობა ვველაზე კოლორატულად „ცაგერის ბაზრობაში“ გამოვლინდა. ავტორმა შექმნა მოცულობით შვირე, მხატვრულად დიდად ტყვადი ტილო, ვეიჩვენა მშობელი კუთხის ქარისა და ჯამათის საზაზრო თავყრილობა, ლენხუმელთა ყოფა, შრომისმოყვარე და ალაღმართალი ზასაფები, მათი ბარაჩიანი მიწის უხვი დოვლათი, ფერად-ფერად ნატურმორტებად აღბეჭდილი. ვკითხვლობთ ეპიური სიღნეით შესრულებულ, თითხმეტ-მარცვლიანი ტაქეებისაგან შედგენილ სტროფებს და ჩვენს თვალწინ, როგორც მოძარე კინოფირზე, დიდი აერზაურით ჩავვლის ცაგერის ბაზრობის ერთი დღის სანახაობა.

თუ „ცაგერის ბაზრობაში“ ხატვის მანერა რეალისტურია, „ნამკაშურის წისქვილებში“ რომანტიკული ელემენტი უკარგობს. პოეტის გული უფაქიზესი სასიუოეტლო ძაფებით არის მიბმული მშობლიურ მიდამოებს, რომლებსაც ის „განუკერნელი სიყვარულით“ შეუბოძავს და მიუზიდავს. ცეცხლის პირას „გლეხის ბიჭვიით ატარებული“ სიმინდისა და ნამკაშურის საოცნებო წისქვილებზე „ახლადდაფქვილი ხორბლის სურნელი“ პოეტის სულის დაღაღისად ქცეულა. უაღრესად კონკრეტული მოვლენები პოეტურ გამოვლენას იღებს:

თქვენ, წისქვილებო, უნეტარესი შთაგონებების რომ ხართ სადგური, თქვენ, გუმარემის მწვანე ჰალეში ოცნებებით რომ ხართ ჩიდებული, ვერ დამოკვებს დიდი მანძილი, ლექსო, სადავე მომეც ქარების! თქვენს ვაურანდავ ტახტზე ვაზადილი, თქვენს სანახავად მოვჭრე ქარები.

„ნამკაშურის წისქვილებში“ პოეტი უდავოდ თავისთავადია, თუმცა გვიჩინა გვიხსენოთ, რომ იმ ხანად, როდესაც ამ ლექსის სტრაქონები იწერებოდა, ლაღო ვატაცებული იყო ალფონს დოდეს ცნობილი ნაწარმოებთა — „წერილები ჩემი წისქვილიდან“, რომელშიც ერთგვარი შემოქმედებით ბიჭვი მისცა მას ამ ლექსის დასაწერად. აგრეთვე გვიჩინა შევნიშნოთ ერთგვარი სულიერი ნათესაობა მეოცე საუკუნის რუსული პოეზიის დიდ წარმომადგენლებთან: სერგეი ესენინთან და ალექსანდრე ბლოკთან.

როდესაც სულიერ განწყობილებათა ნათესაობაზე ვლაპარაკობთ, ცხადია, არ ვგულისხმობთ უშუალო ლიტერატურულ გავლენებს, ლაღო ასათიანი აქ საკუთარი ნიღდავზე დგას და ის „ქაყები და აღქაყები“, რომლებიც „ნამკაშურის წისქვილებზე“ უფრო ადრე ავტორმა პოემას „კოლხიდაში“ (1939 წ.) ვააცოცხლა. — ქართული ხალხური რწმენის, მისი უძველესი სულიერი საგანძურის — ქართული ფოლკლორის წიაღიდან არიან მომზობილნი.

ქართული ხასიათის პოეტურ ქმნილებათა რიგს განეკუთვნება აგრეთვე ორი შესანიშნავი ლექსი — „გულმათი ჰავჭავაძე“ და „ნადირობის შემდეგ“. ორივე მათგანი ნაიჭყვია ბატონანებით არის აღბეჭდილი. ერთგვლი კოლორიტის განცდით და პოეტური ლექსიციის საგულდავულო შერჩევით არის დახატული არც თუ ისე შორეულდროინდელ ქართულ თვითდასახეობა სარხინო ტრადიციული სუფრა. განსაკუთრებულ შთაბეჭდვაობას ქმნის პოეტური შედარებები: „და ახარფეშამ ფრინველივით გაიანავადა“, „ლექურებივით მოიქნეის სველი ყანწები“, „თავგულოვით ზელში შერჩა ჰრელი ჭინწილა“. პოეტური ხედვის მანერა ამაღლებული და პიბერბოლური, გგონივით,

ოლიმპოს მთაზე გამართულ ლმერთების ნადიზე მოხვდით:

გაქრისეული

სვეს უმოწყალოდ დანდობა... ცეცხლსა მფრქვევლები, მერტივფეებს აღარ შერჩათ ზელში ქვევრები. მოფარდაგულზე გამშლართნენ მსველი კაცები, ლეურებივით მოიქნეის სველი ყანწები.

მაგრამ საოცარია ქართული ღვინის მადლი, რომელიც, თურმე, ზეგნს გროვულ სსამსში — ჭინწილაში — იძენს ღვთაებრივ ძალას და მის წინაშე, არა თუ ადამიანები, უკვდავი ღმერთებიც უძლურნი არიან:

გაჩაღებოდა მალვალაყი თვალი კახურში, და სუფრის ბოლოს ხითხითებდა მთვრალი ბახუსი, თითქოს იტყოდა: „მასხინწელო, ეს რა კაცია, ქვევრებსა ნთქედა და ჭინწილამ ვით წაქეცია!“

ასეთივე ფერადი პოეტური საღებავებით არის შესრულებული ისტორიული ხასიათის მონუმენტური სურათი „ნადირობის შემდეგ“. ფუნჯის ოსტატს შეუძლია შესანიშნავი ფერწერული ტილო შექმნას ამ ნაწარმოების სიუჟეტზე. ნადირობის შემდეგ ტყეში ღამისმთველ მონადირეთა წინ დახოცილი ნადირი ჰყრას: „იბრეში, ვიხვები, არჩევი, დათვებო...“ ღამის სიბნელეში ნაკვერხსლებივით ელავენ ვარეული კამეჩის თვალები.

და თეთრი ეშვებით წყვდიადის ღამხვინი, წვლიდში ეყარნენ ვილური ტახები, წყვდიადში თვალების გადამბრიალებით რაგარაგად ყვებოდნენ შეენახდიანები: — პირველად შემომხვდა ჩვენს ტყეში კანჯარა,

პირველად გამიტყდა ჩემს დღეში ხანწალი სემდნენ და თერბოდნენ და ასე ყვებოდნენ, რომელმა მითგანმა რა მოჰკლა, რა ბედზე, ახარხარებოდნენ, აყუყუდებოდნენ და ღვინოს ასამდნენ სისხლიან თაყებზე.

არის რაღაც პომერული ამ ხარხარში და ღვეან დღიანის აქ აღწერილი ზეიმიც ნადირობის შემდეგ ღმერთების წინაშე მსხვერპლის მიტანის სცენას შვავს.

და ეწუთ თაყები, ვით სსაჯლოზე, ლევატარში გაფრენილ წინულის თვალებით... „ნადირობის შემდეგ“ ვერსიფიკაციული თვალნახარისითაც საინტერესოა ლექსითა ლაღო ასათიანის მთელს პოეტურ შემოქმედებაში. ამ ზომით დაწერილი სხვა ლექსები არცა აქვს პოეტს. აქ ერთმანეთს ენაცვლება თითხებტოორმეტ და თერთმეტმარცვლიანი ტაყები, თმცა ძირითადი ზომა თორმეტმარცვლიანა. ლექსის ასეთი წყობა შემთხვევითი არ არის და

არც ხელოვნური. იგი ლექსის სასაუბრო, თბრობითა კილამ ზუნებრივად მოითხოვა.

ლადო ასათიანი თავისი ორიგინალური ეთიკიდან გააშუქა თბილისის თემა. ლექსში „რუსთაველის პროსპექტი“, რომლის ვარიანტი შევკლილი სათაური ჰქონდა — ჭუნებდა თბილისი, — პეტრმა თბილისი სიყვარული პოეზიის სიყვარულსა და განთქმულ წინაპართა სახელებს დაუკავშირა და მას განზოგადებულ, მეტაფორული ხასიათი მისცა. რუსთაველის პროსპექტზე, როგორც ლადო ასათიანიმ და, ისე მის შემდეგაც ბევრ პოეტს გაუფიქრა, მისი სიღამაზითაც მოხიბლულა; შეათვლის, ჩაბრუნდის, ეახტვების, ბესივისა და ალ. ჭავჭავაძის ჭუნების განლაგებაც ბევრს შეუნახავს, მაგრამ ისეთი პოეტური ასოციაციები არ ვერ აღძვრია, როგორც ლადო ასათიანი. ეს ვარაუდობა ლადო ასათიანის პოეტური ხალხის ორიგინალურ ნიჭზე მიგვიბრუნებს. თითქოს, აღდგარან და მოასწრაფიან განთქმულ წინაპართა ან რძილებს, რომელთა სახელებიც შეუტრქმევიათ რუსთაველის პროსპექტის მახლობლად მდებარე ჭუნებისათვის, რათა ეშხი და იერი ღეშპატონ ქალაქს და მარად გარს უბრუნდეს რუსთაველის სახელობის პროსპექტს, როგორც „უწმინდეს ალაგს“, სადაც სადგურობს ქართული პოეზიის ადგილის დედა.

სეთი შთაგონებით გაივლიდა რუსთაველის პროსპექტზე ლადო ასათიანი და მისი ოცნება იყო — არ მშობლოდა ეს ბედნიერება.

თბილისი სისხლბორცეულად შევიდა ლადო ასათიანის პოეზიაში, როგორც მისი გულის ნაწილი, განუყოფელი და სათავყვანებელი.

შე ვეტრფი ძლიერ თბილისის ჰავას,
ნიკო ფირსმანს და საათნოვას...

შე ვეტრფი მხოლოდ ლამაზის თვლებს,
ლამაზი არის თბილისში ყველა,
და სიყვარული უფრონად მოვრალი,
და შეველა უნდათ ლამაზებს, შეველა..

ტორი და აგენტო, 1535 ტელეგრაფისტი, 3096 ტელეფონისტი,¹ და სხვა მრავალი პირები, რომელთა შეყვანა გონებრივ შრომის მუშაებაში შემადგენლობაში მიზანშეწონილად არ მიგვაჩინია და რომელთა რაოდენობა საქმარისად საგანმანათლებლო ციფრს იძლევა.

მოყვანილ მაგალითთან თვალნათლივ ჩანს, თუ რა გარკვეულ გულებრობას იწვევს გამოთქმა „უპირატესად გონებრივი შრომა“, მოცემულ წიგნში და სხვა ავტორთა ნაშრომებში.

საქმე იმაშია, რომ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო მოსახლეობის აღწერისას სახალხო მეურნეობაში მომუშავე პირებს უფროსი მხრივად ჯგუფად: უპირატესად ფიზიკური შრომის და უპირატესად გონებრივი შრომის მუშაებად და ამ უკანასკნელის გრადუსში, როგორც ზემოთ დავინახეთ, მეტად საქმარისად არიან შეყვანილი ისეთი პირები, რომელნიც არ ეწევიან საკუთრივ გონებრივ შრომას, ანდა პირიქით, ფიზიკური შრომის მუშაება გრადუსში ბევრი ისეთი პროფესიის ადამიანი შეყვანილი, რომელთა შრომის მუშაებაში გონებრივი ფუნქციები. ასეთ ახალ პროფესიების შესახებ საქმარისად ითქვა აღრე.

ამ გულებრობის თავიდან ასაცილებლად, აღნიშნულ პირთათვის შესაბამისი ადგილის გამოსაძენად, ინტელიგენციის განმარტებელი ნიშნის განსასაზღვრავად სხვადასხვა ავტორის სხვადასხვანაირი აზრს ეხედებით ჩვენს ლიტერატურაში. მაგალითად, მ. ნ. რუტკვიჩი² „უპირატესად გონებრივი შრომის“ მუშაებს უფროსი ნაწილად: შედარებით დაბალი კვალიფიკაციის გონებრივი შრომის მუშაები და შიდალი კვალიფიკაციის. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს პირველ ქვეჯგუფს, სადაც შევლენ ცენტრისა და ვაჭრობის მოსამსახურენი, ეწოდოს უბრალოდ „მოსამსახურენი“, ხოლო მეორე ქვეჯგუფს — „სპეციალისტები“. მაგრამ თითონვე აღნიშნავს, რომ განათვალისწინებელი ტერმინის „მოსამსახურენი“ მრავალფეროვნება. მაგალითად, ანკეტურ მონაცემებში მოსამსახურენი ეწოდება გონებრივი შრომის ყველა პირს. ამიტომ გულებრობის თავიდან ასაცილებლად პირველ ქვეჯგუფს ავტორი უწოდებს „მოსამსახურენი არასპეციალისტები“, სადაც ივლისსხმება მოსამსახურენი, რომელთაც არა აქვთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება და თავისი ზოგადსაგანმანათლებლო და ზოგადკულტურულ დონით ნაკლებად განსხვავდებიან მუშათა კლასიდან. ავტორი აქაც აწვდება წინააღმდეგობას და დასძენს, რომ

თუმცა ეს პირები ისევე როგორც მუშები თვისი საქმის სპეციალისტები არიან. როგორც ვხედავთ საკითხი კვლავ გადაუწყვეტი რჩება იმის გამო, რომ სოციალურ-მდგომარეობით ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი მოსამსახურეთ მიეწერება, ხოლო მოსამსახურენი, რომლებსაც ავტორი „მოსამსახურებს, არა სპეციალისტებს“ უწოდებს, ისევე არიან თავისი საქმის სპეციალისტები, როგორც მუშები და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

იგივე უხერხულობას ვხვდებით წიგნში „კომუნისტური მშენებლობა და საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება“, სადაც ინტელიგენციისა და მოსამსახურეთა პრობლემა ერთად აბის განხილული.¹

წიგნში მართებულიად არის გაკრიტიკებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები 1959 წლის მოსახლეობის აღწერის შესახებ და ინტელიგენციისა და მოსამსახურეთა შორის ზღვარის დასადგენად ეს ფენა დაყოფილია ორ კატეგორიად: საკუთრივ გონებრივი შრომის მუშაებად და აღმასრულებელი, მომსახურებრივი შრომის მუშაებად. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება მოსამსახურეთა ის დიდი ნაწილი (ცენტრალური მუშაები, გამოცემული, მოლოკები და სხვა), რომლებიც არ ეწევიან საკუთრივ გონებრივ, სპეციალურ გონებრივ შრომას. თუმცა აქვე აღნიშნული, რომ აღმასრულებელი, მომსახურებრივი შრომის მუშაების სფეროში მუშაობენ აგრეთვე გონებრივი შრომის ადამიანები (საქონელმცოდნეები ვაჭრობაში, ინჟინრები და ტექნიკოსები კაშვარებში და სხვა). გამოთქმა „საკუთრივ გონებრივი შრომის მუშაები“ სრულიად შეეფერება ინტელიგენციის ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ ინტელიგენციისა და მოსამსახურეთა შორის განსხვავებათა დასაზუსტებლად და ამ უკანასკნელის მიწერა აღმასრულებელი, მომსახურებრივი შრომის მუშაებისადმი, ჩვენი აზრით, არ იძლევა ამომწურავ პასუხს და არ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ზუსტად განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ინტელიგენცია და ის პირები რომლებიც არ ეწევიან საკუთრივ გონებრივ შრომას, იმის გამო, რომ როგორც თეო წიგნშია მოცემული, მთელი რიგი გონებრივი შრომის მუშაება მოღვაწეობა შეიძლება მიეწეროს მომსახურებრივი შრომის სფეროს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ, თუ გნებავთ, ექიმის შრომითი მოღვაწეობა. ექიმი თავისი შრომითი ხასიათით უსათუოდ მიეწერება საკუთრივ გონებრივი შრომის მუშაებს, ინტელიგენციის და ამვე დროს იგი მომ-

¹ Итоги Всесоюзной переписи населения 1959 г. Грузинская ССР, М., 1963 г., стр. 117.

² См. Философские науки № 4, 1966 г., стр. 21.

¹ См. Строительство коммунизма и развитие общественных отношений, М., 1966 г., стр. 159.

საბურჯოებს უწევს მოსახლეობის, ე. ი. მისი შრომა შეიძლება მიეწიროს მომსახურებრივ სფეროს.

თანამედროვე პირობებში, როდესაც კომპლექსური ავტომატიზაცია და მექანიზაცია ფებს იკიდებს და შევიდრდება წარმოების ყველა დარგში, როდესაც სულ უფრო მეტად იზარდება მუშების, გლეხებისა და მოსამსახურე კლასურულ-ტექნიკური დონე, წარმოიშობებიან ახალი ტიპის მუშაკები, რომელთა შრომითი ერთნაირი თანაფარდობის პოულობს ფიზიკური და გონებრივი შრომა ან ზოგიერთ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ჭარბობს კიდევაც და რომელთა კულტურულ-ტექნიკური დონე სულ უფრო მეტად უახლოვდება ინტელიგენციის დონეს და რაღაც ავტორები მათ უწოდებენ არაპროფესიულ ინტელიგენციას (რასაკვირველია, აქ არ იგულისხმება, რომ ინტელიგენციის კულტურულ-ტექნიკური დონე უცელელი რჩება და არ ვანიციდის ზრდას), ჩვენი აზრით, არ იქნებოდა შეცდომა, თუ ასეთ ადამიანებს მიეწივრდით „უპრობატუსი გონებრივი შრომის“ მუშაკებს და ამით უფრო დავახუსტებდით დღევანდელ დღეს ჩვენს საზოგადოებაში არსებულ განსხვავებებს სოციალურ ჯგუფებს შორის.

სახელდობრ, უფრო სწორი იქნებოდა, თუ მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას, რომელთა კულტურულ-ტექნიკური დონე ჯერ-ჯერობით შედარებით დაბალია და მათ შრომით მოღვაწეობაში ჯერჯერობით ჭარბობს უპრობატუსი შრომის ფუნქციები მიეწივრდით — უპრობატუსად ფიზიკურ შრომის“ მუშაკებს. უპრობატუსად გონებრივი შრომის“ მუშაკებში გაეაერთიანებდით ყველა იმ მუშას, გლეხსა და მოსამსახურეს, რომელთა შრომითი ჭარბობს გონებრივი ფუნქციები და შრომის მიკანონოს სულ უფრო მეტად უახლოვდება ინტელიგენციის დონეს. და ბოლოს, ასაკუთრები ან პროფესიული გონებრივი შრომის“ მუშაკები, სადაც შევიდოდა მხოლოდ და მხოლოდ ინტელიგენცია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ე. ი. ის ადამიანები, რომლებიც ეწევიან საკუთრივ პროფესიულ გონებრივ შრომას და არა უპრობატუს გონებრივ შრომას.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა თუ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო მოსახლეობის აღწერისას ინტელიგენციის მიაწივრდა საკუთრივ, პროფესიონალურ გონებრივი შრომის მუშაკების რიცხვს და დანარჩენ სოციალურ ჯგუფებს კი ისე განსაზღვრავდა, როგორც ჩვენ ვეაქვს წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში გამოკვეთილად გამოჩნდებოდა, რომ აღნიშნული სოციალური ჯგუფის ქვეშ იგულისხმება მხოლოდ ინტელიგენცია და გვერდს ადგენდით იმ უზუსტობას და უხერხულობას, რომელსაც დღეს ვხვდებით ჩვენს ლიტერატურაში ინტელიგენციის რაოდენობის, ადგილის,

მისი, როგორც სოციალური ფენის განსაზღვრებისას და სხვა საკითხებში.

რადგან მუშებისა და მოსამსახურეთა კულტურულ-ტექნიკური დონე სულ უფრო მეტად უახლოვდება ინტელიგენციის დონეს, ხომ არ შეიძლება გვეფიქრა, რომ ინტელიგენციის წარმომადგენლად ჩაგვეთვალა ყველა ის ადამიანი, რომელსაც აქვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება. მითუმეტეს, რომ ე. ი. ლენინის ინტელიგენციის განსაზღვრებაში ნათქვამია „ყველა განათლებულ ადამიანს“.¹

რასაკვირველია, ინტელიგენციის ძირითად შემადგენლობას წარმოადგენს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები და მისი რიცხვის ზრდის ძირითად წყაროს წარმოადგენს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი, მაგრამ მართო განათლებით არ განისაზღვრება მისი შემადგენლობა და შინაარსი. დღევანდელ დღეს ფიზიკური შრომის მუშაკებში გვხვდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ადამიანები, მაგრამ თავისი შრომის ხასიათით და ადგილით საზოგადოებრივ წარმოებაში ისინი მიეკუთვნებიან მუშათა კლასს. და პირიქით, თუ გავისხენებთ საბჭოთა ინტელიგენციის ფორმირების საკითხს, მისი ჩამოყალიბების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა მუშათა კლასისა და გლეხობის მოწინავე ნაწილის დაწინაურება ზეღმდევანულ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე და განა ახლა არა ვხვდებოდა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მოწინავე ნაწილად დაწინაურებულ ახალ ზეღმდევანულ მუშაკებს, რომლებსაც არა ჰქონ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება და რომლებიც თავისი შრომის ხასიათით და ადგილით საზოგადოებრივ წარმოებაში უკვე აღარ მიეკუთვნებიან მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას და შედიან ინტელიგენციის შემადგენლობაში.

იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მომუშავე ინტელიგენციის მრავალ წარმომადგენელზე, რომელთაც არა აქვთ მიღებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება, მაგრამ თავისი მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებით, ზოგიერთ შემთხვევაში სწობიან კიდევაც უმაღლეს დამთარეებულ სპეციალისტებს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ინტელიგენციის ფორმირებისა და ზრდის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენდა და წარმოადგენს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება, მაგრამ მოყვანილ მაგალითიდან თვალნათლივ დასტურდება, რომ უმაღლესი განათლების დიპლომი არ არის განსაზღვრელი და არ გვაძლევს უფლებას ესა თუ ის ადამიანი მიეკუთვნოს ინტე-

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 7. გვ. 398.

ლივეციის შემადგენლობას. უმაღლესი განათლება როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ და მხოლოდ საშუალებაა ვინებრივი შრომითი მოღვაწეობის კადრების მომზადებისათვის და არ არის ინტელიგენციის რაგების ზრდის ერთადერთი და გააძაფრებელი წყარო, ე.ი. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება ერთ-ერთი საშუალებაა ინტელიგენციის კადრების მომზადებისა და არა მისი განსასაზღვრელი ნიშანი.

რადგან განათლების ცენტრით არ შეიძლება განვსაზღვროთ ინტელიგენცია, ხოლო სოციალური ჯგუფების ერთ-ერთ განსასაზღვრელ ნიშანს წარმოადგენს დაკავებული ადგილი საზოგადოებრივ წარმოებაში, ხომ არ შეიძლება და გვეფიქროს, რომ ამ სოციალური დენის განსასაზღვრავად გვეხმარა გამოთქმა «დაკავებული ადგილი საზოგადოებრივ წარმოებაში» და ინტელიგენციისათვის შემდეგი განსასაზღვრება მიგვეცა: «ინტელიგენცია სოციალური ფენაა, რომელიც შედგება იმ პირთაგან, რომელთა მიერ დაკავებული ადგილი საზოგადოებრივ წარმოებაში, მიუხედავად განათლების ცენტრისა, მოათხოვს საკუთრივ გონებრივს, მაღალკვალიფიციურ, პროფესიონალურ გონებრივ შრომას.» მაგრამ, ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნება თუ ამ განსაზღვრებიდან ამოვიკვლით დაკავებულ ადგილს საზოგადოებრივ წარმოებაში და განათლების ცენტრით გამოწვეულ ვაუტეგობის თავიდან ასაცილებლად შემდეგნაირად განვსაზღვრავთ მას: «ინტელიგენცია არის საზოგადოების იმ წევრთაგან შედგენილი სოციალური ფენა, რომელიც, მიუხედავად განათლების ცენტრისა, ეწევიან საკუთრივ გონებრივს, პროფესიულ გონებრივ შრომას.»

როგორც ვხედავთ ინტელიგენციის შემადგენლობაში ვხვდებით როგორც უმაღლესი, ისე საშუალო სპეციალური განათლების მქონე ადამიანებს და ისეთ წარმომადგენლებს, რომელთაც არ აქვთ სპეციალური განათლება. ეს წარმოდგენს ერთ-ერთ მიზეზს იმ ხარისხობრივი დიფერენციაციისას, რომელსაც ვხვდებით ამ სოციალურ ფენაში და რომელიც შეცნობიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარებისათვის ერთად სულ უფრო ღრმა ხასიათს ღებულობს. განათლებისა და კვალიფიციის დონის მიხედვით საქართველოს ინტელიგენცია რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს. კერძოდ კი, უმაღლესი კვალიფიციის ინტელიგენცია, რომელიც შევა მეცნიერული ხარისხისა და წოდების მქონე პირები. ჩვენი რესპუბლიკის ამ ჯგუფის ინტელიგენცია იმის გამო, რომ მეცნიერება სულ უფრო მეტად იქცევა უშუალო საწარმოო ძალად, ვანიცდის განუხრელ ხარისხობრივ და რაოდენობრივ ზრდას. ისე მაგალითად: თუ 1950 წელს საქართველოში იყო 322 მეცნიერებათა დოქტორი და 1732 მეცნი-

ერებათა კანდიდატი, 1968 წლის დამლევსათვის ამ თანფარდობამ შესაბამისად შეადგინა 856 და 5125, მეცნიერ მუშაეთა მთლიანი რაოდენობა 1950 წელს უდრიდა 4843, ხოლო 1968 წელს კი 16 972.

შემდეგ ჯგუფს შეიძლება მივაწეროთ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები, რომელთა შემადგენლობაში შევლენ: ინჟინერები, ექიმები, პედაგოგები, აგრონომები, ვეტერინარები, ეკონომისტები, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაეები და სხვა სპეციალისტები. ამ ჯგუფის წარმომადგენლები შეადგენენ ჩვენი რესპუბლიკის ინტელიგენციის ძირითად ნაწილს, რომელთა რაოდენობა წლიდან-წლიად მნიშვნელოვნად იზრდება. 1960 წლის 1 დეკემბრისათვის მათი რაოდენობა უდრიდა 106,7 ათას კაცს, ხოლო 1968 წლის 15 ნოემბრისათვის კი შეადგენდა 166 ათას კაცს.²

შესამე ჯგუფს წარმოადგენს საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები, რომელიც ჩვენი ინტელიგენციის ასევე საკმაკმობლად დიდ ნაწილს შეადგენს, განუხრელად იზრდება და თავის შემადგენლობაში აერთიანებს: ტექნიკოსებს, ზოოტექნიკოსებს, ვეტერინარებს, ვეტერინაროსებს, სტატისტიკოსებს, საშუალო განათლების მქონე პედაგოგებს, მედიკოსებს, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაეებს და სხვა. ამ ჯგუფის წარმომადგენელთა რაოდენობამ 1960 წელს შეადგინა 84,5 ათასი კაცი, ხოლო 1968 წელს კი 124,7 ათასი კაცი³

დაბოლოს, მეოთხე ჯგუფს უნდა მივაწეროთ ის სპეციალისტები, რომელთაც არა აქვთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება, ეწევიან საკუთრივ გონებრივს, პროფესიულ გონებრივ შრომას და თავისი ადგილით საზოგადოებრივ წარმოებაში და შრომის ხასიათით მიეკუთვნებიან ინტელიგენციას. დღევანდელ პირობებში ასეთი სპეციალისტების რაოდენობა სულ უფრო მეტად კლებულობს და იზრდება წინა სამი ჯგუფის წარმომადგენელთა რიცხვი. მაგრამ როდესაც ლაბარაკია განათლების ცენტრზე მიზანშეწონილად ჩაივსავლით მათი ცალკე ჯგუფში გაერთიანება, თუცა როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ ჯგუფის წარმომადგენლები თავისი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებით არაფრით არ ჩამოუვარდებიან მეორე და მესამე ჯგუფის წარმომადგენლებს.

გარდა კვალიფიციური განსხვავებისა ინტელიგენციის ფენა იყოფა ქალაქისა და სოფლის ინტელიგენციად, რომელთა შორის ჯერ-

¹ Советская Грузия по ленинскому пути. Статистический сборник, Грузинское отделение издательства «Статистика», 1970 г., стр. 158.

² იქვე, გვ. 124.

³ იქვე.

ჯერობით არსებობს განსხვავება, მაგრამ ეს განსხვავება არ ატარებს კლასობრივ ხასიათს და არ ნიშნავს იმას, რომ ინტელიგენციის ეს ორი ნაწილი არ წარმოადგენს ერთ მთლიან სოციალურ ფენას.

სოციალიზმის დროს არსებული მნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავებანი ქალაქსა და სოფელს შორის განაპირობებს ინტელიგენციის სკედრიითი წონის განსხვავებას ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის. მართალია, კომუნალიზმის მშენებლობის პერიოდში მიმდინარეობს ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის პროცესი და ყოველდღიურად მაღლდება დღეიდანვე სოფლის სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონე, მაგრამ იგი დღეს მაინც ჩამორჩება ქალაქის დონეს, რითაც აიხსნება გონებრივი შრომის მუშაკთა სიმცირე სოფლის მოსახლეობაში. ასე მაგალითად, ჩვენს რესპუბლიკაში 1968 წლის 15 ნოემბრისათვის სამრეწველო საწარმოებში მუშაობდა სულ 37,9 ათასი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი, მათ შორის: 19,4 ათასი უმაღლესი განათლებით და 18,5 ათასი კი საშუალო განათლებით. სოფლის მეურნეობაში კი ამავე პერიოდისათვის მუშაობდა 19,7 ათასი სპეციალისტი, რომელთაგან უმაღლესი განათლება ჰქონდა 9,1 ათას კაცს, ხოლო საშუალო განათლება 10,6 ათას კაცს.¹ ეს მაშინ როდესაც 1969 წლის 1 იანვრისათვის ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 2292 ათას კაცს, ე.ი. რესპუბლიკის მთლიანი მოსახლეობის 49%, ხოლო სოფლის მოსახლეობა უდრიდა 2418 ათას კაცს, რაც მთლიანი მოსახლეობის 51% შეადგენს².

თუ დავეყირადებით მოყვანილ ციფრებზე მონაცემებს, შევნიშნავთ, რომ სამრეწველო საწარმოებში უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები ჰქარბობენ საშუალო განათლების მქონე სპეციალისტებს, ხოლო სოფლის მეურნეობაში კი პირიქით, საშუალო განათლების მქონე სპეციალისტები ჰქარბობენ უმაღლესს. გარდა ამისა, ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მოსახლეობა ჰქარბობს ქალაქისას, სპეციალისტთა რაოდენობა კი სოფლის მეურნეობაში 1,9 ჯერ თითქმის 2-ჯერ ნაკლებია სამრეწველო საწარმოებში მომთმევე სპეციალისტებზე.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ქალაქისა და სოფლის ინტელიგენცია განსხვავდება ერთმანეთისაგან არა მარტო რაოდენობრივად, არამედ განათლების ცენზითაც.

გარდა ამისა, ქალაქის ინტელიგენცია დაკავშირებულია მხოლოდ საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივ საკუთრებასთან, სოფლისა კი სახელმწიფოებრივ და საკოლმეურნეო-კოლმეურნეო საკუთრებასთან. აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტერინების, ეკონომისტების და სხვათა მნიშვნელოვანი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრები არიან. საკუთრების ორივე ფორმასთან დაკავშირებული სოფლის ინტელიგენციის უზრავლესობას გააანინა საკარმიდამო ნაკვეთები, ყოველივე ეს კი განაპირობებს განსხვავებას მატერიალური დონის განაწილების საკუთარში და მატერიალურ მდგომარეობაში. ამრიგად, სოფლისა და ქალაქის ინტელიგენციას შორის განათლებისა და კვალიფიკაციის დონის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების, მატერიალური მდგომარეობის განსხვავებანი გამოწვეულია იმით, რომ ჯერჯერობით სოფელი ჩამორჩება ქალაქს სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობით. მაგრამ მეცნიერებისა და ტექნიკის ფართო დანერგვა სოფლის მეურნეობაში ქმნის ახალ შესაძლებლობებს ინტელიგენციის პროფესიული და კულტურული დონის ამაღლებისათვის. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმაშენობა, სოფლად მიწქაშური შრომის მუშაკთა გაზრდა, სოფლის ინტელიგენციის შეიარაღება მეცნიერული ცოდნით, წარმოქმნის ყველა წინაპირობას ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების, მათ შორის კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავების წაშლის პროცესის დასაჩქარებლად.

შრომის ნაყოფიერების ზრდა, მწარმოებლური შრომის ასეთი შეხამება, რომელიც სულ უფრო მეტად იზრდება კომუნალიზმის მშენებლობის პერიოდში, თანდათანობით აახლოებს ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკებს და მუშებისა და გლეხების შრომაში შეაქვს ინტელიგენტური ჩივები, ერთობ მათ შორის კვლავ შენაჩინებელია არსებითი განსხვავება კულტურულ-ტექნიკურ დონეში და მისი განვითარებაში. როდესაც ხალხის საწარმოო შრომაში ორგანულად შეერწყმება ერთმანეთს ფიზიკური და გონებრივი შრომა და წიშლება არსებითი განსხვავება მათ კულტურულ-ტექნიკურ დონეში, როდესაც კომუნისტური საზოგადოების ყველა მუშაკი დაკავშირებული იქნება მაღალკვალიფიკაციურ გონებრივ შრომასთან, მაშინ ინტელიგენცია, როგორც განსაკუთრებული სოციალური ფენა აღარ იარსებებს და გაქრება სოციალური განსხვავებანი ფიზიკური და გონებრივი შრომის აღმანიშნულ შორის.

¹ Советская Грузия по ленинскому пути. Статсборник, 1970 г., стр. 125.

² იქვე, გვ. 17.

ზაზა ბაჩქალიძე

დიღან ტომასის უაღბლო...

ოთქმის ორმა ათეულმა წელიწადმა განვლო გამოჩენილი ინგლისელი პოეტის, XX საუკუნის უელსელი ბარდის—დიღან ტომასის გარდაცვალებიდან და მისი პოეტური მემკვიდრეობა ჯერაც გამოუღვეველ მასალას აწვდის ლიტერატურის მკვლევარებსა და მწერლებს.

ჯერ კიდევ 1949 წელს ცნობილი პოეტი, ამერიკელი ობიექტივიზმის ლიდერი კენეთ რექსროთი თავის წიგნში — „ახალი ბრიტანელი პოეტები“ წერდა: „თუ ოდენი დომინირებდა უახლოეს წარსულში, დღევანდელ დღეს დიღან ტომასი დომინირებს. ექვს გარეშეა, რომ იგი ახლა ყველაზე გავლენიანია იმ პოეტთა შორის, ვინც ინგლისში მოღვაწეობს დღეს“¹. ამავე აზრს იზიარებს პოეტი რობინ სკელტონი წინასიტყვიანობაში ანთოლოგიისა „ორმოციანი წლების პოეზია“².

ასეთივე აზრისაა დიღან ტომასზე ცნობილი მწერალი, „გაქაჯებულ ახალგაზრდათა“ ერთ-ერთი ოდღერი ჯონ უეინი: „თუ ელიოტი ყველაზე დამახასიათებელი პოეტი იყო 20-იანი წლებისა, ოდენი კი 30-იანებისა, — ტომასი იმავე როლს ასრულებდა 40-იან წლებში“.

ამ აზრს ეთანხმება საბჭოთა ლიტერატურის-მცოდნე, ინგლისური ლიტერატურის მკვლევარი ვ. ე. ივანევაძე. ანალოგიურად განსაზღვრავს დიღან ტომასის როლს საბჭოთა ლიტერატურისმცოდნე ვ. ე. იონკის³.

¹ კენეთ რექსროთი, ახალი ბრიტანელი პოეტები, ვერონა, 1949, გვ. XVIII (ინგ. ენაზე).

² რობინ სკელტონი, ორმოციანების პოეზია, ლონდ. 1969, გვ. 16 (ინგ. ენაზე).

³ В. В. Ивашева, Английская литература. XX век. М., 1967, стр. 338-340.

⁴ Г. Э. Ионки, Английская поэзия первой половины XX века; М., 1967, стр. 87.

ჯერ კიდევ დიღან ტომასის სიცოცხლეშივე, მისი შემოქმედების, კერძოდ კი პოეზიის, გარშემო აზრთა დიდი სხვადასხვაობა შეიმჩნეოდა. ჯოფრი გრიფსონი მის ნაწერს უაზროს უწოდებდა, ჰერბერტ რიდი კი — ჩვენი დროის ნაუკეთესო პოეზიას, უ. ს. ბერკინი რელიგიურ პოეტად ნათლავდა⁴, თუმცა არის მოსაზრებები, რომ მას ლმობითი სულაც არა სწამდა. ვერნონ უოტკინსის სიტყვებით რომ ვთქვათ, დიღან ტომასი ჩვენი დროის უდიდესი პარადოქსია.

ინტერესსმოკლებული არ არის ლიტერატურის მნიშვნელოვანი ფიგურების შესახებ თვით დიღან ტომასის აზრიც, რომელიც ცხრაშტრულის პოეტმა გამოაქვეყნა გაზეთ „პერალდ ოფ უელში“ 1932 წლის 23 იანვარს. „არავინ უარყოფს, რომ ლიტერატურაში ყველაზე მიმზიდველი ფიგურები ისინი არიან, ვის გარშემოც გამოკონილი ამბებისა და ლეგენდების ქსელია დახლართული. ესენი ის ნახევრადმისტიკური ზელოვანნი არიან, ვისი ჭეშმარიტი ხასიათი მოცულაა იდუმალებით“. ნებისით თუ უნებლიეთ დიღან ტომასი თვითონ ვახდა სწორედ ასეთი საინტერესო და ჯერჯერობით ბოლომდე გამოუცნობი ფენოენი ინგლისურ ლიტერატურაში. ასევე სხვადასხვანაირადაა გაგებული და შეფასებული დიღან ტომასის როლი და მისი გავლენა შემდგომ პოეზიაზე.

დიღან ტომასი გარდაიცვალა 1953 წლის მიწურულში, ხოლო 1954 წლის თებერვლის ნომერში „ლონდონ მეგეზინის“ მიმოხილველი წერდა. „ამ ველური და სულგრძელი ხასი-

¹ ჯონ მაკლომ ბრინნი, დღიურები დიღან ტომასზე, ნიუ-იორკი, 1960, გვ. 60, 119, 128 (ინგ. ენაზე).

² ჯონ მაკლომ ბრინნი, დიღან ტომასი ამერიკაში, ნიუ-იორკი, 1956, გვ. 128 (ინგ. ენაზე).

ათის სიკვდილმა, ჩადაც პანეის მსგავსი რამ გამოიწვია ლიტერატურულ სამყაროში¹. ცნობილი პოეტი ჩარლზ ტომლინსონი ამბობდა: „როდესაც ლექსების წერა დაიწყებ, დაახლოებით 1948 წელს, პოეტურ ატმოსფეროში კვლავ დილან ტომასი დომინირებდა“². მართლაც, მისმა თანამედროვე პოეტებმა თვალნათლევ დაინახეს, რომ ლიდერი დაკარგეს, ხოლო ახლომავალი კი მისი ამ ტახტზე შემცველი არ ჩანდა.

დაახლოებით ასეთვე აზრისა იყო ინგლისის ერთ-ერთი გამოჩენილი თანამედროვე დრამატურგი ჟონ არდენი: „შევ ჩამდენიმე წლის წინ ვიწყობებოდი დილან ტომასის გაუღუნაში ისევე, როგორც ვიქტორბო, ბევრი ახალგაზრდა მწერალი ამ დროს...“³

დილან ტომასის გარდაცვალებიდან სამი წლის მანძილზე ინგლისურ პოეზიაში ერთგვარი სტატუს-ჰეო სუფიდა, 1956 წელს კი გამოვიდა პოეტური კრებული „ახალი სტრიქონები“⁴. ამ კრებულმა გააერთიანა ერთი მიმართულების ცხრა საინტერესო პოეტი. ისევე იყენებ ელზაბეთ ჯენინსი, ჟონ ჰოლდენი, ფრიდო ლარკინი, ტომ ვანი, კინგსლი ემისი, ჟონ უეინი, დ. ჯ. ენრაიტი, დონალდ დევი და რობერტ კონქესტი. ამ უკანასკნელმა კრებულს წარუშლავარა წინასიტყვაობაც, სადაც ერთგვარი პოეტური მანიფესტაციით აღვრდა კრებულში გაერთიანებულ პოეტთა მიზნისა და პროგრამის აღზრდებები. პოეტებმა სახელად დაირქვეს „მოძრაობა“ და ამ სახელითვე არიან ცნობილი ისინი ლიტერატურულ კრიტიკაშიც.

რა შეიძლება ითქვას „მოძრაობის“ პოეტების შესახებ და მათ დამოკიდებულებაზე პოეტურ ხელოვნებასთან? საჭიროა მოვიყვანოთ რამდენიმე მოსაზრება რობერტ კონქესტის წინასიტყვაობიდან. იგი უკანასკნელი ამოღების პოეტთა მრავალსიტყვაობით და სენტიმენტალურობით გატაცების მოწინააღმდეგე იყო. მისი აზრით პოეტებს „ჩელს უწყობდნენ ფორმალისტური ტრიუკების და ეზნდოვანი სიტყვების კრებულის შექმნაში. ერთიგულ ხასიათის და ქვეცნობიერების სიღრმიდან წასესხები სხვები კი გულუბრყვილობას და „ბავშვობისადმი ნოსტალგიას“ აღვიძებდნენ“.

ნაწილობრივ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ რობერტ კონქესტის აზრს, რადგან დრო და დრო რომელიმე დიდი ავტორის (იგულისხმება დილან ტომასი) გავლენით მართლაც ხდება

სიღრმე მისი სტილის, მანერის, სახეების და ფორმის გადღევა სხვა ასეთსავე ნიჭსა და უნარსმოცულებული ავტორების მიერ. ცნობილია, რომ „მოძრაობის“ პოეტებს თავისი ამზობება, პირველ რიგში, დილან ტომასის პოეზიის წინააღმდეგ მიმართულად მიანდნათ. ვ. ვ. ივანევა სტატიაში „თანამედროვე ინგლისური პოეზია“ წერს: „როდესაც ჩემთან საუბრის დროს კოლჩესტერში 1966 წლის გაზაფხულზე დონალდ დევი „მოძრაობის“ პოეტთა განწყობილებას იხსენებდა, შენაშნა, რომ პროტესტი, უპირველესად, მიმართული იყო დამძიმებული ქვეცნობიერების ბლანტი პოეზიის წინააღმდეგ — დილან ტომასის წინააღმდეგ“¹.

ერთი წლით ადრე ცნობილი პოეტი, პროფესორი დ. ჯ. ენრაიტი წერდა: „...ტომასის პოეტთა თანამედროვე პოეზიაში შესაძენი და უნიკალური. რასაც იგი გვთავაზობს — ენებასა და რიტმიულ ენერჯიას — არის სწორედ ის, რაშიაც მოისუსტებს თანამედროვე ლექსი“².

„მოძრაობის“ პოეტთა ერთი ნაწილი საკმაოდ ცნობილი იყო, ხოლო რამდენიმე მათგანმა სულ მალე საკმაოდ გამოსაჩენი ადგილი დამკვიდრა თანამედროვე ინგლისურ პოეზიაში. პოეტები — ფილდო ლარკინი, ტომ ვანი, დონალდ დევი, აგრეთვე უკვე სახელმისაწვდომი პროზაიკოსებიც კინგსლი ემისი და ჟონ უეინი ახლა უკვე რეკომენდაციებს აღარ საჭიროებენ. ცნობილი კრიტიკოსი მარტინ დოლსტორთი ამ „მოძრაობის“ პოეტთა ერთ-ერთ წარმომადგენელს ტომ ვანს ბაირონსაც კი ადარებდა. რასაკვირველია, ეს გახვიადებული შედარება არამც და არამც არაა სათვალავში ჩასაღებები. იგი არც გულისხმობს ამ პოეტების აბსოლუტურ იდენტურობას, არამედ მხოლოდ მათი ხასიათის ზოგიერთ დამახებვეებს აღნიშნავს. მაგრამ თვით ასეთი ფაქტი უკვე იმაზე მეტყველებს, რომ ეს გუშინდელი ახალგაზრდა, დამწყები პოეტები სერიოზულ განაცხადს აკეთებენ — რომ სიცოცხლეშივე იწოდონ კლასიკოსებად. უოველ შემთხვევაში, თუ შთაბინად არა, ნაწილობრივ მაინც, მ. დოლსტორთის აზრს ტ. ვანის, ფ. ლარკინის და ამ ჯგუფის პოეტების მალაი ხვედრითი წონის შესახებ ბევრი საბჭოთა და უცხოელი კრიტიკოსი იზიარებს.

ამ ავტორთა ჩამოყალიბება და მათ სახელთა დამკვიდრება ძირითადად სწორედ „მოძრაობის“ ჯგუფში გამოსვლის შემდეგ მოხდა, ესე იგი

¹ დევიდ ლეინზი, ლიტერატურული ესეები, ლონდ. 1956, გვ. 50 (ინგ. ენაზე).

² ბიტერ ორბი, ლაპარაკობს პოეტი, ლონდ. 1966, გვ. 251 (ინგ. ენაზე).

³ იქვე, გვ. 2.

⁴ „ახალი სტრიქონები“, ლონდ., 1956, (ინგ. ენაზე).

¹ В. В. Ивашева, Современная английская поэзия, «Вопросы литературы», М., 1966, № 9, стр. 183-197.

² დ. ჯ. ენრაიტი, 1950-იანების პოეტები, ტოკიო, 1955, გვ. 8 (ინგ. ენაზე).

³ მარტინ დოლსტორთი, პოეზიის გადარჩენა, ლონდ., 1970, გვ. 193 (ინგ. ენაზე).

განვიღო უანასკველ თხუთმეტ წელიწადში. ამ დრომ კი თავისი კორექტივი შეიტანა მათს ახლობაში. 1963 წელს ამავე და კიდევ სხვა ავტორთა მიერ გამოქვეყნებულ კრებულში „ახალი სტრუქტურები — 2“, რობერტ კონტეუსტი წინა კრებულის შესახებ წერს: „მე არც ერთი მწერალი არ შევიყვანე, ვინც ცნობილი გახდა ომის (მეორე მსოფლიო — ზ. გ.) დამთავრებამდე“¹. ეს პერიოდი კი გრძელდებოდა ვიდრე დიდი ტომასის გარდაცვალებამდე, რადგან 1953 წლამდე, როგორც ზემოთ ითქვა, მთელ 40-იან წლებში დილან ტომასის ფიგურა დომინირებდა ინგლისურ პოეზიაში და ახალგაზრდა პოეტების უმრავლესობა მის გავლენაში იყო მოქცეული. „ომის წლებში... ტომასი ფართე იყვანეს, ლიდერად აირჩიეს... ახალგაზრდა პოეტებმა... 2 მოპყვეს ვ. ვ. ივაშევის ჟონ უეინის სიტყვები. ჩარლზ ტომლინსონის ციტატაში ნათქვამია: „ტომასიანების ბოლოს პოეტურ ატმოსფეროში დილან ტომასი დომინირებდა... და, მე ვფიქრობ, მან ბევრ პოეტს ვერ შეაძლებინა საყუთვნი აქვს პოეზია“². 1956 წელს ინგლისელი კრიტიკი, წარსულში „ახალი აპოკალიპსის“ მიმდინარეობის ერთერთი ლიდერი ჯ. ს. ფრეზერი წერდა: „...გარდაცვალებულ დილან ტომასის შემდეგ არც ერთი დომინირებული პოეტური პარაფენა არ გამოჩენილა“³. მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროს, რომ ის პოეტები, რომლებიც რობერტ კონტეუსტის ახალი წარმოადგენდნენ დილან ტომასის წინააღმდეგ მიმართულ ძალას, უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ დილან ტომასის გარდაცვალებიდან (1953 წ.) კრებულის გამოსვლამდე (1956 წ.). ესე იგი ან წელიწადში. ან კიდევ უნდა ვიფიქროს, რომ ეს პოეტები დილან ტომასის ჩრდილქვეშ ჰქნებოდნენ ძის სიყოფის პერიოდში და მხოლოდ მისი სიყვდილის შემდეგ აიშალდნენ ხმა. მაგრამ ასევე რომ იყოს, როგორც ამბობს ვ. ვ. ივაშევა, მათი „მინიფესტის მთელ ტექსტი შეიცარებოდა იმ წამლის ჰაერით, რომლითაც მათ განზრახული ჰქონდათ განეკურნათ პოეზიის ავადმყოფობა“⁴.

მაშასადამე, იმ ამოცანას — ინგლისური პოეზიის ლიდერად გახდომას, რომელიც მათ განიზრახეს ჯგუფურად განგზორციელებინათ, — იგი ვერ გაართვეს, დილან ტომასმა კი, რომელ-

საც კონკრეტულ გეგმად არავითარი „მსხველდელ მოვლენის“ პროგრამა არ გააჩნდა, მაინც შეასრულა ეს როლი 40-იან წლებში და „როგორც ირყევა, შემდეგმყოფი ხოლო“⁵ „მოძრაობის“ პოეტებმა რომ მომავალში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მაღაწიეს მაღალ პოეტურ მწვერვალებს, ამას უნდა უმაღლოდნენ ისევე და ისევე საყუთარ, პოეტურ ხელოვნებასა და ბუნებრივ ნიჭს, აგრეთვე „ოღნავ“ შეცვლილ აზრსაც. იგივე რობერტ კონტეუსტი „ახალი სტრუქტურები — 2“-ის წინასიტყვაობაში უკვე უკან იხევს: „წინა კრებულში რომ ეამბობდი, პოეზია მეტაფორულად გადატვირთული არ უნდა იყოსო, ყველა სახის პოეტურ ნიმუშს და მთლიანად პოეზიას კი არ ვგულისხმობდიო“⁶.

ისევე როგორც „გაქარებულმა ახალგაზრდებმა“ პროტესტის გამოსახატავად არასწორი გზის აირჩიეს გამო მალე ამოსწერეს თავიანთი თავი (აქ მათი ოსტატობა კი არ იგულისხმება, რადგან ბევრი წარზომადგენელი ამ ვუთების ახლაც წარმატებით განაგრძობს შემოქმედებით მოღვაწეობას, არამედ ცდა, პასუხი გაეცათ საყუთარი თავისა და თანამედროვეობის მიერ წამოყენებულ კითხვებზე). „მოძრაობის“ პოეტებსაც იგივე დეჰმარათა. მათი ხელთეება, თუმცა შედარებით ადვილი გასაგები იყო, მაგრამ პრიმიტიული და ეიწრო ინტერესების სფეროთი იფარგლებოდა. „...და ინდივიდუალიზმით იყო გამსჭვალული მიუხედავად „მოძრაობის“ პოეტთა მთელ დეკლარაციებისა, მათი პოეზია შორს იყო ეპოქის დიდი პრობლემატიკისაგან“⁷. დილან ტომასი კი მათთვის მხოლოდ საბაბი იყო საყუთარი შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად. „დილან ტომასის პოეზია მხოლოდ მომდევნო წლებში იქნა გამოცხადებული, პირველ რიგში, „მოძრაობის“ პოეტთა მიერ „უხედლოვნად და ნაიზრახურად“. რასაც, რასაკვირველია, ძნელია დაეთანხმო. 40-იან წლებში ტომასის პოეტური წყობის სირთულე არ შეიშნებოდა“⁸. პირიქით, როგორც ზემოთ ითქვა, ის იყო ყველაზე მოქალაქური პოეტი ომისა და განსაცდელის ეამს ინგლისელი პეიოთველისათვის.

„მოძრაობის“ მწერლები თავის თავს „ემატიკოსებს“ ეძახდნენ და ამბობდნენ, ჩვენი პოეზია უფელგვარ მისტიკურსა და ალოგიკურ ძალდატანებას მოკლებული უნდა იყოსო. ამიტომაც ამ კრებულში მოთავსებული მათი ლექსები ცივი და უსიტოცლო იყო, თუმცა მომდევნო წლებში მათმავე პოეტურმა

¹ „ახალი სტრუქტურები 2“, ლონდ., 1963, გვ. XXV:1 (ინგ. ენაზე).
² В. В. Ивашева, Английская литература, XX век, М., 1967, стр. 338.
³ პიტერ ორრი, ლაპარაკობს პოეტი, ლონდ., 1956, გვ. 16, (ინგ. ენაზე).
⁴ ჯ. ს. ფრეზერი, პოეზია ამჟამად, ლონდ., გვ. 16 (ინგ. ენაზე).
⁵ ვ. ვ. ივაშევა, დასახ. ნაშრომი, გვ. 342.

¹ „ახალი სტრუქტურები — 2“, ლონდ., 1963, გვ. 14 (ინგლ. ენაზე).
² ვ. ვ. ივაშევა, დასახ. ნაშრომი, გვ. 342.
³ ვ. ვ. ივაშევა, დასახ. ნაშრომი, გვ. 338.

ბუნებამ იმარჯვა. მათ სიცოცხლე დაუბრუნეს საკუთარ პოეზიას, მისი ერთერთი ძირითადი ელემენტის — მრავალსახეობრიობის შეტანით, რაზედაც მებრუნელებს ამ ჩვეულის მოწინავე მწერლებს ფილიპ ლარკინის, ტომ განისა და სხვათა პოეზიარობა.

„მომარაობის“ პოეტებმა პოეზიას ჩამოაშორეს ერთ-ერთი ძირითადი თვისებათაგანი — ემოციონალურობა და მგრანობელობა. რასაკვირველია, არ შეიძლება პოეზია თავისი ახალგაზრდა ავტორების ორიგინალურობის • წყალობით სულ ასეთ ჩიხში მომწყვედველი ყოფილიყო. „მომარაობის“ პოეტების უმეტესობის ნიჭი და გეგმავება ბუნებრიობისა და ნამდვილი მრავალსახეობისა და მძლავრი პოეზიის მხარეზე იყო, რასაც მათ შემდგომში მიაღწევს კიდევ. ამაზე მებრუნელებს მათი მომდევნო კრებულები, მათი ავტორების ორიგინალურობისა და ჩამოშორება ერთი-მეორისაგან და უპირველეს ყოვლისა, ამ ჩვეულისაგან.

ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აქვე წარმოიშვა რეაქცია. ეს იყო 1957 წელს „მომარაობის“ პოეტთა საწინააღმდეგოდ მიმართული პოეტური კრებული „მეურჩიები“¹, თუმცა ამ კრებულში გაერთიანებული ავტორების სახელით (ჯონ პოლი, დევიდ რაიტი, ვერნონ სკენელი, დენი ებსი, ჯონ სილკინი, მ. ჰემბერჯერი, ჯ. სმილი, ა. კრონინი, უ. პრაის ტერნერი), წინასიტყვაობაში ი. პოუარდ სერკენტი ამბობდა, ჩვენ არავის წინააღმდეგ არ ვართ დარაზმდები, მით უმეტეს არა ვართ „მომარაობის“ პოეტთა წინააღმდეგ, მაგრამ თვით ის პოეტური პრინციპები, რომლებიც მათ იარაღად გამოიყენეს, სწორედ „მომარაობის“ პოეტების კონცეფციებს ეწინააღმდეგებოდა. „მომარაობის“ პოეტთა ლოკავური უფროსი, უგრძობრობით ლექსს მათ დუმიტრისბრავს საკუთარი შეხედულებები. მათ განაცხადეს, გრძნობის გამოსატყვისა არ გვეშინიათ და არც ნაზრის სტილში ფორმალური დისციპლინის წინააღმდეგი ვართო. მართალია, არც ისინი იყვნენ მებრუნელებით ძალზე გააღტვირთულ ლექსს, მაგრამ უკვე თავისთავად დილან ტომასის წინააღმდეგ მიმართული პოეზიის საპირისპირო, ახალი პოეზიის წარმოშობა დილან ტომასის „რეაბილიტაცია“ ნიშნავდა (თუ რასაკვირველია, დილან ტომასს ეს ესპერანგობოდა). ასე თუ ისე, ამ ორ ჩვეულის შორის არსებული უთანხმოება გაღრმავდა და გადავიდა პერიოდის ფორმალურზე, თუმცა ეს ყველაფერი წყლის ნაყვას უფრო წააგავდა, არც ერთი და არც მეორე ჩვეულის წარმომადგენლებს ამ პერიოდში რაიმე ფასეული და ღირსშესანიშნა-

ვი არ შეეჭმნიათ. „რაც უნდა მწვავე ყოფილიყო მათი სიტყვიერი წინააღმდეგობა, პოეტები ერთნაირად შორს რჩებოდნენ ცხოვრებისაგან — წერს ე. ე. ივანევა და ისევ მისსავე აზრს თუ განცხადებით — არც ერთი და არც მეორე ჩვეულის გარდატეხა არ მოუხდენია ინგლისური პოეზიის წინსვლაში, თუმცა მათ პოზიტიური ელემენტი შეიტანეს რეალიზმისათვის ბრძოლაში, მაინც ვერ წამოაყენეს მოწინავე იდეებით სისხლსავე და მაღალმატავრული პოეზია.

ამ ორი ჩვეულის პოეტთა შორის არსებული წინააღმდეგობის უსაფუძვლობაზე ის ფაქტიც მებრუნელებს, რომ 1963 წელს გამოშულ ზემოხსენებულ წიგნში „ახალი სტილიზაციები — 2“ გაერთიანებული არიან „მომარაობის“ და „მეგრადიის“ ჩვეულის პოეტები. — ბევრი მათგანი უკვე საბელტრეკული და დამოუკიდებელი ავტორიტეტის მქონეა, ამ კრებულშივეა ტედ პოუზის, ინგლისის თანამედროვეობის ყველაზე საინტერესო პოეტის ლექსებიც. ამავე კრებულში მოხვდა წარმადგენელი მწერლების ერთი ჩვეულისა, რომელთა, ზემოდასახელებულ მიმართულებისაგან დამოუკიდებლად გამოვიდა „ჩვეულის“ პოეტთა სახელით. „ჩვეულის“ გაერთიანდა რამდენიმე სრულიად დამოუკიდებელი და განსხვავებული ხმისა და ნიჭის პოეტი, რომელთაგან ყველაზე სახელმძღვანელონი არიან ედვარდ ლიუსი-სმიტი (წინასიტყვაობის ავტორი), ფილიპ პობსპაუმი (ბოლოსიტყვაობის ავტორი), ალენ ბრანდონი, ადრიან მიჩელი, ჯორჯ მაკბეთი, დევიდ უივილი, პიტერ რედგროუვი, მარტინ ბელი. ეს პოეტები გაერთიანდნენ 1954 წელს, თუ ამას გავითვალისწინებთ შეიძლება ვწოდოს. ისინი ერთად იკრიბებოდნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ თანხმად ლექსებს. მათ არ ჰქონდათ არც მანიფესტი, არც საერთო შეთქმა და არც პრეტენზია — შეეჭმნათ რაიმე ახალი მიმართულება. მათი აზრები (განსაკუთრებით ე. ლიუსი-სმიტისა და ფ. პობსპაუმისა) ზოგ რამეში „მომარაობის“ პოეტთა აზრს ეხმარებოდა, ზოგში კი — „მეგრადიისას“. ახასიათებლად წინააღმდეგობანიც. ისინი ამბობდნენ, რომ პოეზია რაციონალურია თუ გენეზისში არა, ლინგვისტურ გაფორმებაში მაინც, ესე იგი, პოეზია დისკუსიის საგანი შეიძლება გახდეს. ძალზე მნიშვნელოვანია ლექსის კითხვა ზმამდლა, ვინაიდან პოეზია მებრუნელების ფუნქციაა ყველა ლექსი ასე თუ ისე დაკავშირებულია ობიექტურ სინამდვილესთან; პოეზიის კრიტიკა უნდა იყოს კონსტრუქციული, ესე იგი ობიექტური და კე-

¹ კოეპოლური ეარგონის ტერმინია და უდავლად პირტუვის აღსანიშნავად გადატანილი — აღმინები, რომლებიც არც ერთ ჩვეულის არ ეკუთვნიან.
9. „მართობი“ № 10.

² ე. ე. ივანევა დასახ. ნაშრომი, გვ. 343.
³ ივლისსმება ეს ლიუსი-სმიტი. იხ. „ჩვეულის ანთოლოგია“, ლონდ; 1963. (ინგ. ენაზე).

თიღანწყოზილი და ამავე დროს მომავლის ორიენტაციაც უნდა დასახოს.

ამ ცნობილი აზრების ხაზგასმა ტუვილად როლდ შობდა „ჩვეულის“ პოეტთა კრებულში, რადგან მათი უახლესი წინამორბედები ბევრ ცნობილ კუმარიტებს იერიყებდნენ ნებისთ თუ უნებლიეთ.

ამ სამი დოკუმენტების მოღვაწეობის შეპირისპირება ცხადყოფს, რომ დიღან ტომასის შემოქმედება, რომელიც მათი პოლემიკის საზაბი და „საზარბოდელო ლელო“ გზადა, უნებურად სტიმულატორად მოეცლინა, პოეტის გარდაცვალების შემდეგ, ბრიტანეთის პოეზიის თუ რაში გამოთხატა კერძოდ მისი ეს როლი, ამაზე ჭეშმით მოგახსენებთ. აქ კი ვსარგებლობ შემთხვევით, რათა მცირედ გადაუხვიოთ თემას, ლიტერატურული და, კერძოდ, პოეტური ვაგლენის პრაბლემასთან დაკავშირებით. სინტერესოდ მიმაჩნია, მოვიყვანო ინგლისელი მწერლის ჯეიმს რიგის სიტყვები: „ვეფქრობ, პოეტზე ვაგლენას უნდა ახდენდეს მთელი პოეზია და თუ აღმოჩენ, რომ რომელიმე პოეტი ამყამად, ვთქვათ, დიღან ტომასის შესამჩნევ ვაგლენაშია მოქცეული, მაინც გამოდის, რომ მასზე საკმაო ვაგლენა არ მოუხდენიათ სხვა დინარჩენებს. მე არა ვეფქრობ, რომ ასეთი ვაგლენების ვაგლენა-ძიება მიმომხილველთათვის ძალზე სასარგებლო იყოს, თუმცა კი ეს ძალზე ვაგრცელებულია“¹.

რეკი მიზანი არ არის ამ თავისებურ აზრთან დევა და ან დათანხმება, მაგრამ შინდა შეგნიშნა, რომ, სწორ შემთხვევაში პოეტთა მხატვრული სახეების თუ შეთოდების ასოციაციური ნათესაობის ფონზე, აგრეთვე იმ უდავო კუმარიტებს ფონზე, რომ მთელი პოეზიაც ახდენს ვაგლენას პოეტზე. მაინც შეუძლებელია ავადიო ტრადიციულ (შეიძლება ვაგლენა) გზას და ეეჭვობთ ვაგლენის ფესვები არა მთელს ლიტერატურაში (ეს ამით საქმეა), არამედ ერთ ან რამდენიმე ავტორში.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თითოეული ეპოქის მწერლებს ან პოეტებს ყოველთვის ჰყავთ ლიდერი, რომელსაც თუ არ ბაძევენ ყველაფერში, ყოველ შემთხვევაში, უკან მიჰყვებიან. ვაგლენარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღევანდლამდე XX საუკუნის ინგლისურად მოღაპარავე პოეტურ სამეარბოზე ყველაზე დიდი ვაგლენა სამეა უდაღესმა ფიგურამ მოხდინა: ესენი არიან: ტ. ს. უელიოტი, უ. ბ. იეიტსი და დიღან ტომასი.

ზემონსენებულ „ჩვეულის“ პოეტთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პიტერ რედგროფს. სწორედ ის შეიძლება ჩაითვალოს დიღან ტომასის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ

მემკვიდრედ. მინ თანამედროვე ინგლისური პოეზია რამდენიმე შესაბამისი ლირიკული ნიმუშით ვაამიღირო. მას ვააჩინა ვაამონის დიდი უნარი და ენერგია. იგი შეესაბამება ვაგლენის პერიპეტიას თუ ადამიანის სულიერი ვანდის ანარეკლს. მისი პოეზია ყურადღებას იპყრობს ლანდშაფტის ცალკეული ელემენტების აღქმის განსაკუთრებული სიჭაბლითა და სიმადრით. მდიდარი ლექსიკონი ვააჩინა და ვარგადაც იყენებს სახეობო დატვირთულ პოეტურ სიტყვებს, თუმცა ზოგჯერ რიტორიკულობაც ახასიათებს ხოლმე. ძალზე დამახასიათებელია მისთვის ცხოვრებასთან სიახლოვე, სიციცხლისა და სიკვდილის პრაბლემის დაყენება პოეზიაში. ლექსების კრებულში „შემკრებნი“ (ლონდ. 1959) მოთავსებული საუთოსო ლექსში „სიკვდილას წინააღმდეგ“ ასახულია ადამიანის მძიმე ყოფა. იქვე ვღერს იმედი იყენი შვილების მომავალი კეთილდღეობისა. შთაბეჭდილია ამავე კრებულში მოთავსებული ლექსი „ატომური თავდასხმის შემთხვევაში“, რომელშიც ჩანს შიში ატომური ომისაზე, ადამიანის ფიზიოლოგიური ვანდებუ, მისი დამოკიდებულება დაღუპული ბუნების მიმართ, შეურიგებლობა მომავლის დატალღურ ვაგებასთან. სწორედ აქ არის პარალელი პიტერ რედგროფისა და დიღან ტომასის შემოქმედებათა შორის.

ბრიტანეთის თანამედროვე პოეზიაში, სრულიად თავისებური ადგილი უჭირავს და როგორც მისი უკანასკნელი კრებულის ვაგლენების, ყველაზე პერსპექტიული პოეტი უნდა იყოს ტედ პიუზი, ძალზე ნიჭიერი და შემოქმედებითად მოწიფელი ავტორი, რომელიც ავტორული მერამდენ წელიწადს ერთმეორეზე უკეთესი ლექსების კრებულს აქვეყნებს. „პირველი ლექსი კრებულისა“ „შეარღნი წიბაში“ (მისი პირველი კრებულის, ზ. გ.) ჯ. მ. ჰოკინსის და დიღან ტომასის შემოქმედების ვამოძაბლია. პოეტი მოვითბრობს, ამავეს ადამიანისა, რომელიც ყოვისპირულ წიბაში მძიმედ მიიწევს წინ, ტალახში ველობა. ეს ადამიანი საკეარველ პოლარულ ურთიერთდამოკიდებულებაშია შევარღენთან ცაში, რომელიც თაისუფლად ვამოკიდულია სიერეში და ვაგლენისკერის მას შშიელი თვლით“².

¹ ტედ პიუზი. ყოჩანი: ყორნის ცხოვრებდან და სიმღერებიდან, ლონ., 1970 (ინგ. ენაზე). ყოჩანი — სიმბოლო ყოველგვარი ადამიანური სიივისა—იგი სიბობს ყველას და ყველაფერს, დასკინის თავის შემქმნელ ღმერთს, რომელიც მას ასწავლის თქვი სიტყვა „სიუვარულიო“, ყოჩანი კი ვერ ამბობს. მაგრამ კუმარიტება უყველია და იგი ყოჩანს სძლევა, ყოჩანი იღვრება.

² ჯ. ლ. რიზენტალი. ახალი პოეტები, ნიუ-იორკი, 1967, გვ. 226 (ინგ. ენაზე).

¹ პიტერ ორრი. ლაპარაკობს პოეტი. ლონდ., 1966, გვ. 207 (ინგლ. ენაზე).

ბუნებრივი ინსტიქტების გამარჯვება, ცხოველების ნაკადის ბიოლოგიური ახსნა, ბუნების სიღრმიდან აღებული მრავალფეროვანი სახეები, ხშირად ნატურალისტური მეტაფორები, სიმბოლური ზედა გაიპტლებს დილან ტომასის შემოქმედება გაიხსენო.

თუმცა პიუზი მეტაფორებით არ არის ვატაცებული და არ ექცევა მათ ტყვეობაში, მაგრამ მთავარი, რაც ამ ორ პოეტს განასხვავებს ერთმანეთისაგან, ის არის, რომ ტომასის აღამიანი ბატონობის ცხოვრებასა და ბუნებაზე, ფლობს მას, ტედ პიუზისა კი — მხოლოდ უპირისპირდება.

ტედ პიუზის პირველი კრებული „შევარდენი წვიმაში“ 1957 წელს გამოვიდა. იგი რაიმე ჰქონდა ნასესხები, ან ვისიმე ერთგული იყო „შევარდენი წვიმაში“, ეს, პირველ რიგში, დილან ტომასი და ჯ. მ. პოპკინი იყვნენ¹, წერს პიუზზე პოეტი ელიზაბეთ ჯინინგსი, ახლო წარსულში „მობრახობის“ პოეტთა წევრი.

პიუზმა ორმოცდაათიანების გამოფიტულ პოეზიაში მძლავრი ენერჯია და ბუნების კანონების უძლველოობის სიმბოლიკა შეიტანა. ადამიანი მას ხშირად ალეგორიულად გამოჰყავს სოცელოთა სამყაროს ბინადრად და ბუნების კანონებს უკვემღებარებს. თუმცა სახეობრივი სიმრავლით იგი პირველ ხანებში ჩამოუვარდება დილან ტომასს, მომდევნო ლექსებში თავის ქვეცნობიერ წინამორბედსავე კი შეიძლება გვეუთანაზროს.

ასაკვირველია, ძნელია ტედ პიუზს მთლიანად დილან ტომასის მიმდევარი ვუწოდოთ. მაშინ ის დიდი პოეტი აღარ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ მან საკუთარი გზა მოიხაზა და ალერგორიული სახეობითა და ანიმალისტური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებით უკვე საკმარის დიდი სახელი დაიმკვიდრა თანამედროვე ბრიტანულ პოეზიაში. მაგრამ ყველაფერს რომ თავი დაჯანებოთ, სწორედ ისეთი სახის პოეზიამ დააყენა იგი თანამედროვეობის პოეტთა მოწინავე რიგებში, რომლითაც დილან ტომასი ასე მარჯვედ მოქმედებდა.

დილან ტომასის მეგვიდრეხადემა ამა თუ იმ ზომით შეიძლება ჩათვალოს, აგრეთვე, ბრინ გრიფიტსა, ჯორჯ მაკბეითი, ტედ უოკერს, ბრინ ჯონსსა და სხვები.

განსჯიფთებით მნიშვნელოვანი იყო დილან ტომასის როლი თანამედროვე ბრიტანული პოეზიის წინაშე იმის გამო, რომ მან ახალი სული შთაბერა თავისი მშობლიური უელსიდან გამოსულ პოეტებს და ბევრს კი უბრალოდ სტიმულაც კი მისცა შემოქმედებასათვის. როგორც თავის დროზე ახალგაზრდა დილან ტომასმა ახლებურად აინთო პოეზიის მოყვარულთა

გულები უელსის მთებიდან მონაბერი სოსს სურნელითა და უელსის სანაპირო კლდეებს მოხეტიაელები ტალღის ხმურით, ისევე ახალი გაზრდა უელსელმა პოეტებმა ახალი ელექტრის შემადგენ ბრიტანულ პოეზიას. მათ შორის ამჟამად განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ ბრინ გრიფიტსი და „მეერიცების“ ჯეფთან ერთად ასპარეზზე გამოსული პოეტი დენი ებსი. ესენი ინგლისურად მოლაპარაკე უელსელი მწერლები არიან.

როდესაც ლაპარაკია რომელიმე პატარა ერის ეროვნული კულტურის წვლილის შესახებ მსოფლიო ლიტერატურის ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ლიტერატურის რეალურ ფასეულობაზე ლაპარაკი — თუ რა სულიერი ღირებულება გააჩნია ამა თუ იმ პატარა ერის ლიტერატურას კაცობრიობის ჰუმანური იდეების სამსახურში.

ტერმინები შოტლანდიური ან ირლანდიური ლიტერატურა დიდი ხანია დამკვიდრებულია ბრიტანულ ლიტერატურაში, არა ერთი და არა დიდი და მწივარი ფიგურა წარმოიშვა ამ ერების ეროვნული კულტურის ტრადიციებზე. არა ერთმა დიდმა ტალანტმა გაიხარა ამ ერების ეროვნული თვითმოყვადობის ფესვებზე. საეპარისია დაჯასახელოთ ისეთი ტრადიციები, როგორც არიან მეოფრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში შოტლანდიელები რომერტ ბერნის და უოლტერ სკოტი. რომლებმაც უზარმაზარი წვლილი შეიტანეს ბრიტანული ლიტერატურის სავანძეში, ირლანდიელია მეოცე საუკუნის ერთერთი განუმეორებელი ფენომენი ჯეიმს ჯონსი, ვისი მეგვიდრეხადე კიდევ მრავალი თაობის ლიტერატორთა კვლევისა და ინტერესის სფეროდ დაჩაჩებდა. ირლანდიელები იყვნენ XIX და XX საუკუნის შემავრთებელი ღერძი, დრამატურგი ბერნარდ შოუ, აგრეთვე, ცნობილი მწერალი შონ ოკეისი. ამ მწერლების ღვაწლი უსახლდროთა და მათი როლიც სათანადოდ და დაფასებული ბრიტანული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

მაგრამ თანამედროვეობამ, როგორც ყოველთვის, თავისი კორექტივი შეიტანა კაცობრიობის ისტორიის განვითარების დიალექტიკურ პროცესში. დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე კანონზომიერება ერების, მათი კულტურისა და სახელობის, ლიტერატურის დაახლოება-დაშორების ტენდენცია მძლავრად მიედინება. ერთი მხრივ, ერებს აინტერესებთ ერთმანეთის კულტურულ თუ სულიერ ცხოვრებაში გარკვევა და ამ მიზნით უახლოვდებიან ერთმანეთს, ამ სიახლოვეს კი აღწევენ თარგმანის საშუალებით (ამან განაპირობა მსოფლიო ლიტერატურულ ბაზარზე როგორც ტენციური ასევე მხატვრული თარგმნილი ლიტერატურის არსებული ზრდა), მაგრამ ამავე დროს ერებს, რაც უნდა პატარები იყვნენ ისინი, სურათ თავიან-

¹ ელიზაბეთ ჯინინგსი, პოეზია დღეს, ლონდონი, 1961, გვ. 41 (ინგლ. ენაზე).

თა საკუთარი სიტყვა თქვენ კაცობრიობის ისტორიის რიტმის შესაბამისად და ცდილობენ შეზობელი შრავალიტიკოვანი ერების კულტურისა და ლიტერატურის ჩრდილით არ მოექცენ. წმინდა მავალითა აფრიკელი ქვეყნებიც, რომლებშიც ახლანდელი მიიღეს დამოუკიდებლობა, ისინი ინგლისურ ან ფრანგული ენების გარდა თავიანთ მშობლიურ ენაზე იწყებენ ლიტერატურის შექმნას, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ეს პროცესი იქ, სადაც ერთგვარი კულტურა მრავალი საუკუნის ისტორიას ითვლის.

ამის აღნიშვნა იმისათვის დაგვირღია, რათა ხაზი გავგვესვა თანამედროვე ბრიტანულ ლიტერატურაში ზელახლა აღორძინებული უელსური ლიტერატურისათვის.

უელსური ლიტერატურა, ძირითადად პოეზია, საუკუნეებს ითვლის. დიდი ხნის განმავლობაში უელსური ლიტერატურა ზეპირი ხალხური ბალადებისა და ზღაპრების სახით მხოლოდ უელსურ ენაზე არსებობდა. 1284 წელს უელსის უმეტესი ნაწილი ინგლისის შეფუძნების მფლობელბაში მოექცა. უელსელები იძულებული გახდნენ ინგლისური ენა ესწავლათ. ერთი საუკუნის შემდეგ უკვე როდესაც ინგლისში ჩამოყალიბდა ლიტერატურული ენა და მისი ნორმები (ჯეფრი ჩოსერის), დაიწყო ორენოვანი ინგლისურ-უელსური ლიტერატურის ისტორიაც. (ეს მოხდა განსაკუთრებით ჰენრი მეშვიდეს მეფობაში — 1485-1509). 1571 წელს გამოქვეყნდა პირველი უელსური წიგნი, რომლითაც დაიწყო ანგლო-უელსური პროზა. ეს იყო, მართალია, არა მხატვრული ნაწარმოები, სამოქალაქო სამართლის მოკლე გადმოცემა, მაგრამ მაინც ანგლო-უელსური პროზა.

პირველი ანგლო-უელსური ლექსი არის „ჰამინ ზეციური დედოფლისადმი“, ხოლო მეორე „ჰამინ ინგლისის დედოფლისადმი“ (1587), რომლის ავტორი იყო შირის კიფინი (1555-1598).

ტერმინი ანგლო-უელსური პირველად გამოყენებულ იქნა 1772 წელს ივენ ევანსის მიერ (1731-1788).

1 ზელახლა, რადგან, როგორც ამბობს უელსელი მწერალი და ლიტერატურის მეცნიერი ჩაიონდ გარლიკი „აღიღებული უელსურია ლიტერატურა არის ისევე ძველი, როგორც რომელი ზანა, და თანამედროვე, როგორც დღევანდელი დღე“ („მომღერალი სახლი“, ანგლო-უელსური პოეზიის ანთოლოგია, ლონდ. 1969, გვ. 19. (ინგ. ენაზე).

2 ჩაიონდ გარლიკი. ანგლო-უელსური ლიტერატურის შესავალი, კარდიფი, 1970, გვ. 19. (ინგლ. ენაზე).

უელსური ლიტერატურა დიდი ხნის განმავლობაში თავისი დიდი მეზობლის ჩრდილქვეშ არსებობდა. მას ჰყავდა, რასაკვირველია, საინტერესო წარმომადგენლებიც, მაგრამ ისინი უმნიშვნელონი იყვნენ. მეტყობამეტვ საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ედვარდ ტომასმა (1878-1917) ახლებურად ჩაახედო და სექსტიკურად განწყობილი ინგლისელები თავისი საშობლოს — უელსის პოეტურ სულში და ის საუკეთესო, რაც კი უელსელ ბარდებს საუკუნეების განმავლობაში უტარებიათ, მან ერთბაშად გამოაჩინა თავისი მძლავრი ნიჭის წყალბოთ. სწორედ მისი პოეზიით დაინტერესებული ა. ჯ. პრის-ჯოუნსი. 1917 წელს აქვეყნებს კრებულს „უელსელი პოეტები“.

მაგრამ ჰემშარიტი იმპლსი უელსური ლიტერატურის აღორძინებას მისცა დილან ტომასმა. ტუვილად კი არა აქვს 1969 წელს ლონდონში გამოსულ უელსელი პოეტების ნაწარმოებთა კრებულს საერთო სათაური „მომღერალი სახლი“¹, ხოლო წინასიტყვაობაში ნათქვამია: „იგი ისე ეპყრობოდა ყველაფერს, ინგლისური ენის ჩათვლით, როგორც სათამაშოს, რომელიც დღერამა მისცა საზებრად თავის შეილებს — პოეტებს... ეს პოეტი (დილან ტომასი, ზ. გ.) კი უველაზე შესანიშნავი იყო მის (დმერათის, ზ. გ.) ინგლისურად შოლაპარაკე ძეთა შორის, რომელიც კი უელსის წარმოუშვია საუკუნეთა მანძილზე“².

უკვე ჩამოყალიბებული და აღორძინებული უელსური ლიტერატურის ხვედრითი წონა საკანონობად გაიზარდა. ამაზე მეტყველებს მრავალი ახალგაზრდა უელსელი ავტორის პოეტულარიობა ინგლისური პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელთა გვერდით, რაშიც დილან ტომასმა, უელსური ახალგაზრდა პოეტების მედროიმეც, უხარამზარია რილი შესარულა.

სხვადასხვა დაჯგუფებათა პარალელურად 50-იანი წლების ბრიტანულ პოეზიის ჰყავდა გამოკვეთილი ინდივიდუალური ტალანტის მქონე დემოკრატიული მსოფლმხედველობის პოეტები, რომლებიც ჰუე მაკდიარმიდის ტრადიციებს აგრძელებდნენ. ესენი იყვნენ კრისტოფერ ლოგი და პიტერ ტემპსტრი. მათი მალალი ჰემანტურია იღებოთ გამსჭვალული პუბლიცისტური შემოქმედება შეადგენს ინგლისური მეშარტებზე ფრთის პოეზიას. მაგრამ ამ პოეტთა შემოქმედება ცალკე კვლევის საგანია.

როდესაც „მომართობისა“ და „მეფერიკის“ ჩვეულის პოეტთა პოლემიკა მიწყნარდა, თავისი

1 ახლებულია დილან ტომასის ლექსიდან „გვიმრის პოეტები“.

2 „მომღერალი სახლი“, ანგლო-უელსური პოეზიის ანთოლოგია, ლონდ., 1969, გვ. 19. (ინგლ. ენაზე).

სიტყვა თქვა „ჩვეულება“. ცალკეულმა ახალგაზრდა პოეტებმა დაჩვეულებათაგან დამოუკიდებლად შექმნეს პოეტური ხელოვნების მშვენიერი ნიმუშები და დაამკვიდრეს ავტორიტეტული სახელები. ადრეული თაობის პოეტები (რობერტ გრეივი, ს. დ. ლიუსი, ედიტ სიტუელი, ტ. ს. ელიოტი და სხვები) კი წარმატებით განაგრძობდნენ თავიანთ მოღვაწეობას. როგორც მოსალოდნელი იყო, დამყარდა ერთგვარი გაწინასწორებული მდგომარეობა — პოეზიამ დაკარგა აბრტალობა და გამოძახებულა (ნუ გამოედევნებინ იმ აზრს, თუ რამდენად შეუწყო ხელი ამ გაიანული მდგომარეობის შექმნას ზემოხსენებული „შოპრაობის“ ჩვეულის პოეტთა პოზიციამ, ვინაიდან, თუ ბოლომდე რამეკტრები ვიქნებით, სწორედ ეს ჩვეულები იყო წამყვანი 50-იან წლებში), როგორც ამბობდა ცნობილი იტალიელი კრიტიკოსი კარლო მარო ფრანკოტო თავის სტატიაში — „სეველიანი პიუზა“, „პოეზია აღარ სადღებდა... პოეტური კრებულები ტიპოგრაფიულ ხარქებს ძლივს ფარავენ — ჩივიან გამოშვებულები¹, მართლაც „ბოლოქარი“ პოლიტიკის შემდეგ ერთბაშად დამყარდა სიჩუმე. პოეტები პოეზიით ვეღარ ირჩებდნენ თავს (ს. დ. ლიუსი — ფსევდონიმით დეტექტიურ რომანებს წერდა, ტ. ს. ელიოტი გამოშვებული იყო, უფრო ახალგაზრდები — დ. დევი და ტ. ვანი ლიტერატურულ კრიტიკას მისდევდნენ და უნივერსიტეტებში მოღვაწეობდნენ, დ. ჯ. ენაიტმა მთელი მსოფლიო შემოიპარა და ინგლისელი პოეტების ანთოლოგია მხოლოდ ტყვიით გამოსცა ინგლისურ ენაზე. ზოგიერთი ავტორი ბი-ბი-სი-ში მუშაობდა, მსგავსად დილან ტომასისა. პოეტთა ზმეში მიჩნუმა, აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა რომელიმე პოეტის კრებულა. დაეცა პოეტთა პროფუქციონა.

როგორც ჩანს, 50-იანმა წლებმა ვერ მონახა თავისი გზა ლიტერატურულ პროცესთა ლაბირინთში და რეაქციამაც არ დააყოვნა. თუ 40-იანმა წლებმა მოგვცა დილან ტომასი, როგორც ლიდერი, 50-იანმა ვერაინ წამააყენა მის ადგილზე.

დაიწყო 60-იანი წლები. ადამიანის კოსმიურმა ვაფრენებმა მთელი კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო. ინგლისური პოეტური სიტყვაც კი სდუმდა, გარდა ერთი-ორი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი შემთხვევისა.

და აი, მოულოდნელად, 1965 წელს, ლონდონში, „ალბერტ პოლში“ ტარდება პოეზიის კითხვა. ცოტა ხანში პოეტურმა კრებულებმა, უმეტესად ახალგაზრდა ავტორებისამ, პირდაპირ წაიღეს წიგნების ბაზარი. ახალგაზრ-

დებს უკვე ჩამოყალიბებულმა პოეტებმაც (ჯ. მაქეთი, ე. ლიუსი-სმიტი და სხვ.) უძვეეს მხარე და სულ ცოტა ხანში, პოეზიის დიდი აღმავლობა დაიწყო. ზედინედ იბეჭდებოდა პოეტური აღმანახები თუ კრებულები. პოეტური სიტყვის პირიზონტზე გამოჩნდა სულ ახალ-ახალი სახელები.

ამავე პერიოდში ახალგაზრდების მთელი ყურადღება მიიპყრო ეოკალურ-ინსტრუმენტულრმა კვიარტეტმა „ბითლზ“-მა. მალე მისი პოპულარობა გასცდა ლეიბლულს და მთელს მსოფლიოს მოედო. რა საერთო იყო ამ ორ მოკვლენას შორის, ადვილი ვასაგები ვახდებდა თუ ერთმანეთს შევადარებთ ახალგაზრდა პოეტების ლექსებსა და „ბითლზის“ სიმღერათა შინაარსს. ყველაზე სექსუალურად განწყობულ მკითხველსაც და მსმენელსაც კი არ ვაძვირებდა დაიჭვროს, როცა ორივე მათგანს სოციალურ თემებზე ავლერებული სტატიონებს აღმოუჩენს. „ბითლზი“ ყველასათვის ადვილად ვასაგები, ხშირად პრიმიტიული და უხეში პირდაპირობით, პოპულარული სიმღერა-ბალადის ფორმა აწვდიდა მსმენელს მისთვის ნაცნობ და მჭირედ ახლადღებულ განცდებს; — იყო ეს სიყვარული და ამაღლებული გრძნობები, თუ სიღუბნიერ და მარტოობა უეცარიელ საზოგადოებაში, ასეთივე შინაარსისა იყო ახალგაზრდა პოეტთა ლექსებიც. ეს ორივე ფორმა მსმენელთან უშუალო კონტაქტის დამყარების საშუალებას იძლეოდა და მხოლოდ ამას ისახავდა მიზნად. ასეთი ანსამბლების ქვედა უცხად მოედო მთელს ბრიტანეთსა და მსოფლიოს, ასევე აღორძინება დაიწყო ინგლისურად მოლაპარაკე საშყაროში აქამდე მიჩნუებულმა პოეზიამ.

რა თქმა უნდა, მხოლოდ „ბითლ-ანსამბლები“ შექმნა ეს არ გამოიწვია პოეზიის აღორძინება, არამედ, როგორც ჩანს, უფრო ობიექტურმა ფაქტორებმა: სოციალური უსამართლობის გაძლიერება-გამწვევა და ამის ნიადაგზე აღმოცენებული კრიზისი, როგორც პოლიტიკაში, ასევე კულტურაში, იმპერიალისტური ომებისათვის მხარდაჭერა ზურგუზილი მთავრობების მიერ და ქვეყნის მოწინავე ადამიანების რეაქცია-პროტესტი ამის თაობაზე, ლიტერატურის, კულტურის სადავეებთან ომის შემდეგ დაბადებული ახალგაზრდების მოსვლა, გამწვევა მამების იდეოლოგია და შეიღების დაკარგულ არწყნის შორის. მამებმა მოსპეს ფაშისში, მაკრამ ანაზე შორს ვერ წაივდნენ, ხოლო რასაც პირდაპირ თვითანთ შეიღებს, ბედნიერ ცხოვრებას, სამუშაოს, მშვიდობას, ვერ უსრულებენ. წარმოიშვა სრულიად ახალი სახის პოეზია „ორალური პოეზია“¹, როგორც ამბობს პოეტი ელვარდ ლიუსი-სმიტი. მარტინ ლოუსუ-

¹ Карло Марно Франдзеро, Тоскливая пауза, «За рубежом», № 24, 1963.

¹ ე. ლიუსი-სმიტი, ლევერპულის სკენა ლონდ., 1967, გვ. 3 (ინგლ. ენაზე).

თბილისი 1970 წელს წერდა: „მართალია, რომ უკანასკნელ რამდენიმე წელში ახალი სახის პოეზიამ შექმნა ახალი სახის აუდიტორია. ეს აუდიტორია ახალგაზრდაა... იგი მოელის, რომ პოეტმა თანამად ილაპარაკოს, არ შეეშინდეს ვპოეტიებისა და იმისა, რომ იგი საშუალო კლასების პირობითაა სენტრინტების სიმბათიას არ იწვევს“².

1967 წელს ინგლისში წარმოიშვა „ლივერპულელთა პოეზია“ — დანიშნული მოსამხრეად და ხმამაღლა წასაკითხავად. მისი მთავარი წარმომადგენლების ბრაიენ პეტენის, როჯერ მაკგონუს და ადრიან პენის გარშემო იკრებოდა ახალგაზრდა პოეტთა მთელი პლუადა. პოეზია აღმავლობის გზაზე დგება. სამოცდაათიან წლებში პოეზია აქტიურად ნაბიჯებით შედის. ჯერ ერთი წელი გვიდა სამოცდაათიანებისა და სულ ახალ-ახალი სახელები გაისმის ბრიტანულ პოეტურ სამყაროში. პოეტები წერენ თავიანთ განცდებზე, საკუთარი „მეს“ სუბიექტური ანალიზიდან გადადიან საყოველთაო საწყისებზე.

2. მარტინ დოდსფორთი, პოეზიის გადარჩენა, ლონდ., 1970, გვ. 5 (ინგ. ენაზე).

სოცედილისა და სიცოცხლის თემაზე. მათთვის ნაცნობია ვიეტნამისა და, საერთოდ, რმის თემა; ჯერ ადრეა იმის თქმა, თუ რა უნდა წავლენ ეს ახალგაზრდა ავტორები, მაგრამ ერთი რამ უნდა იყოს, მათ ახალი სუნთქვა შთაბერეს მიძინებული პოეზიის სულს ბრიტანეთში.

ატომური რმის საშიშროებასა და საყოველთაო იმედგაცრუების ფონზე ახალმა ტალღამ ახლებური გავება მისცა ძველ პრობლემებს, საჭირო გახდა გამოსავლის პოვნა, ხმამაღლა სალაპარაკოდ დანიშნულმა პოეზიამ მათ ურთიერთგავება შედარებით გაუიღვილა. მათი თემები, თავისთავად მრავალფეროვანნი, მანც ადამიანური, პეშანური იდეების გამარჯვებას უშლერიან. ასეთივე იყო თავის დროზე დილან ტომასის პოეზიაც.

მართლაც, აირღლიო დილან ტომასისა, რომელიც თავის დროსა პეშანურობითა და უსახდერო სულით, მზად იყო დეტია ყველა იდამიანას ემოციები და განცდები და ვისი პოეტური სიტუციაც საზრდოობდნენ მისი თანამედროვე ახალგაზრდა პოეტები, ჯერაც გადმოჰყურებს თავის ახალგაზრდა თანამოქალაქებს პოეტური რლიმბის სიმბლიდან.



ქართველი ხალხის გმირული ბრძოლების ისტორიიდან

დამოუკიდებლობისათვის გმირულად მებრძოლ ქართველ ხალხს მრავალი დამპყრობელი დაუმარცხებია. ამოხრებელთა შორის ყველაზე დიდი ზიანი საქართველოს თურქებმა მიყენეს. ჯერ კიდევ XI საუკუნეში თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს კავკასიისა და, ვერძოდ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლის შეთაფრობით, ქართველებმა შესძლეს თურქობის წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიის ხალხთა დარაზმვა და მტერზე არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

XIV საუკუნიდან მივიღ მახლობელ აღმოსავლეთს თურქი-ოსმალელები დაემუქრნენ. ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ ოსმალები საქართველოს მიტაცებას შეეცადნენ და ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილს მოადგნენ. ამ მხარის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე შეცნობიერული კომუნიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრ. ენგელსი მიუთითებდა, რომ ახალციხის გზით თურქებს შეეძლოთ შესულიყვნენ კავკასიის ყველაზე მკვებად ადგილებში¹.

XVI საუკუნეში ოსმალთა გაძლიერებულ შემოტევებს საქართველოზე მოჰყვა სოხოსტას ომი (1545 წ.) ქართველთა დამარცხება, 1550-1552 წლებში ტაოსა და არტანუჯის ხელში ჩაგდება, ხოლო საუკუნის ბოლოს მესხეთ-ქაჭხეთის დამპყრობა, ამიერიდან „საქართველოს მოსწყდა და მის ეროვნული კულტურის შემოკლებებში აღარ მონაწილეობდა ქვეყანა, რომელიც საქართველოს ტერიტორიის ერთ შემადგენელს შეადგენდა“².

მიტაცებულ მხარეში დამპყრობლებმა ცეცხლითა და შახვილით იწყეს მესულმანური სარწმუნოების გავრცელება, კულტურისა და განათლების კერების წგრევა, მოსახლეობის შევიწროება და ა. შ. ოსმალთა ბატონობის ხანაში დაქვეითდა და დაკნინდა ერთ დროს ეკონომიკურად ძლიერი და კულტურულად დიდად დაწინაურებული ჩვენი სამშობლოს ეს კუთხე.

შემდეგ მტერმა კიდევ მეტ წარმატებას მიაღწია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, იმერეთის ციხეებზე დაიპყრა და დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს ხარკი დაავსარა.

ქართველი ხალხი არასოდეს არ შეტყობია ამას და გმირულად იბრძოდა თავისი ძველი მიწა-წყლის დაბრუნებისათვის. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ამ ამოცანის გადაჭრას რუსეთის მხარდაჭერასა და სამხედრო დახმარებას უკავშირებდნენ.

XVIII საუკუნიდან რუსეთის სახელმწიფო ძლიერ ძალად იქცა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთ-თურქეთის ინტერესები ამიერკავკასიაში ერთმანეთს დაუპირისპირდა.

ამ დროისათვის საქართველო დანაწილებული იყო რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად აღმოსავლეთ საქართველოში — ქართლ-კახეთის სამეფოში ერეკლე მეორე მტკიცე ღონისძიებებს ახორციელებდა ლეკთა თარეშის ასალაგმევად და ირან-ოსმალეთის ბატონობისაგან ქვეყნის ნაწილების განსათავისუფლებლად, დასავლეთ საქართველოში სოლომონ I გმირულად ებრძოდა თურქებს და საქართველოს ამ დამპყრობლებთან განთავისუფლებას რუსეთის დახმარებას უკავშირებდა.

1768 წლის 23 ივნისს რუსეთს ვამგზავრებულ მიწისმე ქუთათელის ელჩობას ზელმწიფოსათვის იმერეთის სამეფოს მფარველობაში მიღება და ფინანსური დახმარება უნდა ეთხო-

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 9, стр. 450-451.

² ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია სახელმძღვანელო, თბ., 1948, გვ. 235.

ვა, სამაგეროდ იმერეთის მეფე მოსალოდნელ ომში რუსეთის მხარეზე გამოსვლას აღუთქვამდა და ამ სამხედრო კავშირის დროს ვალდებულებას აღებდა გუთნავენსელებიანა თურქებთან საგან შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეები და ამ ადგილებიდან მტრისათვის ჯარის მიღების საშუალება მოესპო.

რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიამ გადაწყვიტა ომში ჩაება ქართლ-კახეთიც, რუსეთი მზად იყო დახმარება გაეწია მათთვის ფულითა და არტილერით.

რუსეთ-თურქეთის ომის წინ საქართველოსთან მიღწეული ეს შეთანხმება სამხედრო კავშირზე, ორივე მხარის ინტერესებს შეესაბამებოდა.

28 ნოემბერს რუსეთ-თურქეთის ომიც დაიწყო. ამან რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ შევეთხად შეცვალა. ყიზლარის კომენდანტმა, საიმპერატორო კარის ბრძანებულებისამებრ, მაქსიმე აბაშიძე 1769 წლის 6 იანვარს პეტერბურგში გაგზავნა, ხოლო 14-16 იანვარს არქიმანდრიტი (მაქსიმე აბაშიძის თანსლებით) და ქართულ პესალთა პოლკის ოფიცერი ზეაბულოვი (ქობულაშვილი) ნ. პანინის წერილით იმერეთისაკენ გამოისტუმრდა.

ნ. პანინი იმერეთის მეფეს თურქთა წინააღმდეგ საკუთარი ძალებით დაეყრდნობოდა გამოსვლას საზოგადო. მაქსიმე აბაშიძის პეტერბურგში ჩასვლისას კი, შესაძლებლობის ფარგლებში, იმერეთისათვის დახმარების გაწევის გადაწყვეტილებების მიღებას პირდაპირად. კანცლერი სოლომონს ერეკლე მეფის მიმხრობასაც ავალდებდა.

სოლომონ პირველი კარგად ითვისებდა შექმნილ ვითარებას და რუსეთისაგან მხოლოდ საიდუმლო დახმარების მიღებას არ სჯერდებოდა. რუსეთიდან დამხმარე ჯარის მოსვლის შემთხვევაში კი 20 ათასი ჯარისკაცის გამოყვანის პირობას ღებდა¹.

1769 წლის 21 მაისს თბილისში თათბირზე შეიყარნენ სოლომონ პირველი, ერეკლე მეორე და ხეაბულოვი. ქართველმა მეფეებმა ერთობლივი მოქმედების წინასწარი გადაწყვეტილება მიიღეს და რუსეთის წარმომადგენელს თურქეთთან ომში ჩაბმის კონკრეტული პირობები წაუტყენს². ასეთ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ცნობების შეგროვების რწმუნებით აღმურავილ კ. ხეაბულოვთან შეუძლებელი იყო. მეფეებმა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, პეტერბურგში გასაგზავნად საგანგებო ელჩები

შეარჩიეს (სოლომონმა — დავით კვიციანი, ერეკლემ — არტემ ანდრონიკაშვილი). ქართველი მეფეები რუსეთს სთხოვდნენ დამხმარე პოლკს. ამივე დროს მაქსიმე აბაშიძემ რუსეთის მთავრობა საქართველოში საეკსპედიციო ჯარის გამოგზავნის საჩუქრად იანოზაში დაარწმუნა.

საეკსპედიციო ჯარის შემადგენლობა განისაზღვრა სამი ასეულითა და საეველ არტილერიის სამაგირენქიანი ქვემეხებით შეიარაღებული რაზმით (სულ 411 კაცი)³. კორპუსის მეთაურად გრავი ტოტლებენი დანიშნა. რაზმის შედგენა ყიზლარში უნდა მომხდარიყო.

რუსეთი საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამოდიოდა, როცა თურქეთის წინააღმდეგ საქართველოს ომში ჩაბმას გვაგზავდა, მაგრამ ობიექტურად საქართველოსათვის ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოში წარმოგზავნილ — ტოტლებენსა და მოურავოვს ქართველ მეფულ-მთავართა ძალეების შეკავშირება და სავარო ძალით თურქეთის საზღვრებში შუკრის მოგვარება ეცსტეზობდომ იმერეთა მეფეს თურქეთის წინააღმდეგ საკუთარი ძალებით უნდა ებრძოლა. მცირე რუსული რაზმი წამახალისებლის როლში უნდა გამოსულიყო. უფრო გარკვევით ნ. პანინის სიტყვები ვესურათებენ რუსეთის პოლკის ზრახვებს: «...была бы душа здешняя, а тело грузинское».

შექმნილა ვითარებამ ქართლ-კახეთის მეფე სამცხის დაბრუნების რეალობაში დაარწმუნა. ახალი ძალის გამოჩენას ერეკლე ჰარ-ბელაქის დაპყრობასა და ქართლ-კახეთში „ღვკიანობის“ მოსპობასაც უკავშირებდა.

სოლომონი, რუსთა ჯარის შემწეობით, ურჩი თავადების და მთავრების დამორჩილებას, ოსმალთაგან მიტაცებული ქართული ადგილებს დაბრუნებას, დამპყრობლებს იმერეთიდან სრულიად გაძევებას გეგმავდა.

რუსეთი კი ქართველთა ომში ჩაბმით ღიქრობდა მტრის დიდი ძალების კავკასიის ფრონტზე დაბანდებას და ამით ომის მთავარ ასპარეზზე (დნეპრი, დონი, ყუბანი) მდგომარეობის შემსუბუქებას⁴.

1769 წლის აგვისტოში რუსთა ერთი საექსპედიციო კორპუსი (411 კაცი 6 ქვემეხებით) გენერალ-მაიორ ტოტლებენის მეთაურობით

¹ Грамоты, I, стр. 20-26.

² იქვე, გვ. 22-26.

³ იქვე, გვ. 426-427.

⁴ იქვე, გვ. 428-429.

¹ ЦГВИА, ф. 20, оп. 47, д. 4, ч. I, лл. 1-3.

² АВПР, ф. Сношения России с Грузией, оп. 110/3, д. 11, л. 40.

³ Грамоты, I, гв. 429.

დარილის ხეობით საქართველოში შემოვიდა. ერეკლე ქართველი ყაროთ სტუმრებს საქართველოში სამხედრო ვახუე მიიყვანა. სოფ. კობთან დიდი აღლუმი გაიმართა.

რუსეთის ყარის შემოსვლამ საქართველოში თავზარი დასცა ამიერკავკასიის ხანებსა და ერან-ოსმალეთს.

1769 წლის 29 აგვისტოს ტოტლებენი თბილისში ერეკლე მეორეს შეხვდა, რათა ქართლ-კახეთის სამეფოს ომში ჩაბმის საკითხი გადაწყვიტა, რაც მას (მოურავოვსაც) ინსტრუქციით ევალებოდა. ამიერ ინსტრუქციით იგი ერეკლეს ომში მიმხრობის შესახებ პირველად სოლომონს უნდა მოთხოვნიერბოდა. მაგრამ ქართლ-კახეთის მეფის აქტივობამ რუსეთის წარმომადგენლებს გადააწყვეტინეს ერეკლესთან უშუალო მოლაპარაკების დაწყება. მით უმეტეს, რომ კობუსის ამოცანა იყო ქართველთა ძალების შეკავშირება თურქეთის წინააღმდეგ.

ერეკლე მზად იყო დახმარებოდა სოლომონ პირველს, მაგრამ იქვე მოითხოვდა, რომ რუსეთს ვაშლივხაგნა ზუთთასიანი დამხმარე ჯარი (დახმარებამდე 1500 კაცი მინც) და სპეციალისტები არტილერიის გასამართავად და წიაღისეულ სიმდიდრეთა დასამუშავებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უარს აცხადებდა თურქეთის წინააღმდეგ გამოსულყო, რადგან გამოგზავნილი რაზმი გამარჯვებისათვის არასაკმაოდ მოახნდა.

ტოტლებენმა, სიმპერატორო ყარის დაუცხავად და ინსტრუქციის დარღვევით, დაზარებულმა ერეკლეს 1500 კაცის გადმოყვანისა და დანარჩენებზე მთავრობის წინაშე შეამდგომლობის პირობა მისცა. ასე შევიდა გენერალი რუსეთის ძირითადი ამოცანა — ქართული სამეფოების თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის განხორციელებას და დუნაის ფრონტზე რუსეთის სამხედრო გამარჯვების გადვილების მიღწევას.

დანაობრების შესასრულებლად გენერალმა ყოზლასსა და ასტრახანში მიიორი რატვიერი (რატვიერი) ვაგზავნა. მაგრამ 29 ოქტომბერს ტოტლებენი და მოურავოვი რუსული რაზმით იმერეთიდან ცხინვალში დაბრუნდნენ, იმერე-

თის მეფე კი, თურქეთისა და დაღიანის წინააღმდეგ გახდებულ ბრძოლაში მიატოვეს რუსეთის ყარის იმერეთიდან წასული ჯარითადად თურქეთის წინააღმდეგ ომის გზის უზრუნველყოფაში აიხსნება. ტოტლებენ-მოურავოვის მთავარი საზრუნავი ამ დროს შედარებით ძლიერი ქართლ-კახეთის ომში ჩაბმა იყო, მაგრამ 1769 წელს ახალციხეზე თურქეთის წინააღმდეგ დაშტობა ვერ განხორციელდარადგან რუსეთმა ვერ უზრუნველყო საქართველოში დამატებითი ყარის გადმოყვანა.

1769 წლის დეკემბერში ტოტლებენი იძულებული შეიქნა წასულიყო რუსეთში ყარის გადმოსაცხადად. 1770 წლის 6 იანვარს იგი სამი ასეულთა და კახელებით შიზღოვიდან საქართველოში დაბრუნდა, 1770 წლის ზამთარში საქართველოში მყოფი რუსეთის ყარის რიცხვი 1228 კაცამდე გაიზარდა. ეს მიიჩნეობოდა იყო, რადგან იმპერატორის ბრძანებით საქართველოში საექსპედიციო ყარის რაოდენობა 3767 კაცამდე იყო ნაყვლისხმევი.

რუსეთის მთავრობის მიერ საექსპედიციო ყარის რაოდენობის გადოლებზე პრინციპულმა თანხმობამ ერეკლეს ომში ჩაბმა გადაწყვიტინა. ქართველი მეფე სურამისკენ დაიძრა ტოტლებენთან შესაერთებლად და ახალციხეზე გასალაშტობლად.

აღსანიშნავია, რომ რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომში თურქეთის წინააღმდეგ ქართველთა ჩაბმამ ეერობაში ვარყვეული მთაბეჭდილება შექმნა.

ბუნებრივად გამოიყურება ახალციხეზე ლაშტობის ერეკლესეული გეგმა. იგი კარგად ითვალისწინებდა მოკავშირე მზარეთა (რუსეთ-იმერეთ-ქართლ-კახეთის) ერთობლივ მოქმედებას, ლაშტობის წინამატების შემთხვევაში თურქეთის ზღვიდან ეცხადებოდა მოხერხებელი სამხედრო სტრატეგიული პლანდარმი; წინააღმდეგ შემთხვევაში კი მტერს საშუალება ეძლეოდა შეეი ზღვის სანაპიროების მიმართულებით საომარი მოქმედების წარმოების შემთხვევაში მოეშალა რუს-ქართველთა ზურგი. რუსეთისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო ახალციხეზე ლაშტობის გზის გეგმა, რადგან ქართული სამეფოებისათვის ერთობლივი მოქმედების უზრუნველყოფასთან ერთად მტრის ძალების დაბანდება და დივერსიების მოწყობა აქვდანიყო მოსალოდნელი.

¹ რუსთა საექსპედიციო კობუსი საქართველოში მხოლოდ მავალითის მისაცემად და წასახალისებლად იყო გამოგზავნილი. Грамоты, I, ст 87.

² Грамоты, I, ст. 47.

³ Грамоты, I, 64-65.

⁴ Грамоты, II, в I, стр. 14; Грамоты I, 447-448.

⁵ იხ. მოურავოვის 1769 წ. 12 ოქტომბრის წერილი. Грамоты, I, 74.

¹ ЦГВИА, ф. 20, оп. 47, д. 4, ч. I, лл. 217-220. გ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

² ЦГВИА, ф. 393, л. 406.

³ ЦГВИА, ф. 20, оп. 47, д. 4, ч. I, лл. 181-183.

⁴ В. Потто, Кавказская война, т. I, СПб, 1887, ст. 89.

ახალიცხეზე ლაშქრობის გეგმა მესხეთის დაბრუნების იმედს იძლეოდა, რაც იმერეთისთვის სასარგებლო საქმე იყო; ამით იმერეთზე თავდასხმის კერა მოიშლებოდა და იმერეთის ციხეების ოსმალთაგან განთავისუფლების პერსპექტივაც ისახებოდა. მაგრამ, ხელთების (გორთან) თათბარზე სოლომონმა ახალიცხეზე ლაშქრობის გეგმას მხარი არ დაუჭირა, თუმცა პრინციპულად წინააღმდეგობა არ ჩაწია. კიდევ მეტა იმერეთის პოლიტიკურ შესჯერებას ქართლ-კახეთის სამეფოს ამ ომში მონაწილეობისაგან ჩამოცილებაც კი განუზრახავთ. ამის მიზეზი ძნელი შესაცნობი არ არის. სოლომონი შეხებულს იმერეთის საკითხებზე თვლიდა და უნებართვლოდ შიანდა ამ მხრივ ერეკვლს პრეტენზიები. მეორეც, იმერეთის ციხეებში მოკალათებული თურქი მეციხოვნეებისა და დიანის მოხალდნული შემოსევა ახალიცხის ლაშქრობაში იმერეთის აქტიური მონაწილეობის საშუალებას არ იძლეოდა. პირველი რიგის ამოცანად, საფუძვლით სამართლიანად, სოლომონს იმერეთის ციხეების განთავისუფლება ესახებოდა და ამიტომაც, თუმცა კარგად ითვალისწინებდა თურქთაგან ახალიცხის განთავისუფლების პერსპექტივას მხოლოდ იმერეთის მხრიდან, აღსადგებად ახალიცხის ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების სურვილს, როგორც მოურავოვის ცნობიდან ჩანს, თვით ერეკლეც თანაუგრძნობდა სოლომონს ამ საკითხში და მას მხოლოდ დაღიანთან ზავის დადების შემდეგ ჰქონდა იმედი სოლომონის ამ ლაშქრობასთან შეერთებაში. ამასთან რუსთა რაზმი იმერეთსა და ქართლ-კახეთს შორის საცილობლად იქცა. რაზმის საკუთარი საშეღობელის ინტერესებისათვის გამოყენების სურვილი უთანხმოებას აძლიერებდა; რაკი ერეკლე შეეცოლა იმერეთისათვის გამოგზავნილ რუსთა კორპუსის გამოყენებაში სოლომონს, მას დიდილიმპიტურად უჩივის (ქიხოსრო აბდლაძის პირით) ლაშქრობაში მონაწილეობაზე ხელი აეღო.

ახლა რაკი ზენთვის რუსეთის პოლიტიკის საიდუმლო მხარე ცნობილია, ჭაბახსრო აბდლაძის რჩევა საშარბილიანი ჩანს. სამეფოებისათვის რომ ცალკე რაზმები გამოგზავნილიყო რუსეთის მიზნების განხორციელებას მეტი შანსი მიეცემოდა. ადგილობრივი ინტერესებით იჩრდილებოდა საერთო საქმე.¹

¹ Грамоты, I, В. 1, 64. ერეკლეს წერილი რუსეთის სამეფო კარისადმი, სისუსტის მიუხედავად სოლომონი თვითონ ფიქრობდა „სათაბაგოს“ დაკავებას (იხ. Грамоты, I, ст. 20).

² Грамоты, I, 219.

³ ი. ცინცაძე, ორჯ საბუთო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 1768-1774 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომში, ენიციკის მოამბე, №3, 1940 წ., გვ. 468.

1770 წ. 17 მარტს სურამში შტრუბელმა ტოტლებენს შეუდარადა ერეკლე მეორე შეიღო ათასი კაცითა და სამი ქვეშევრდით, ხოლო რჩილ-ათასი კაცს მეფე უხალგის ხანაში მოელოდა. 124 მარტს შეერთებული შხედრობა ბორჯომის ხეობისაკენ დაიძრა და ქვიშხეთში მივიდა.¹

ტოტლებენი არ ჩქარობდა ახალიცხისაკენ დაძვრას. 6 აპრილს მან თავის შთაგრობას სამსახურდიან განთავისუფლება სთხოვა.²

1770 წლის 14 აპრილს რუს-ქართველთა ჯარა სადგერში იდგამ ტოტლებენმა, ერეკლეს რჩევის მიუხედავად, თავისი რაზმის ნახევარი და 3 ზარბაზანი სადგერში დატოვა და 15 აპრილს, უმოკლეს გზით აწყურისაკენ აიღო გეზი, მდ. შვეი წყლის (აბორჯომელთა) გაყოლებით. იქით-კენ დაიძრა ერეკლეც. ისინი საკირესთან შეერთდნენ და ერთიანი ძალებით 17 აპრილს შეადღისას აწყურის ციხე აღყაში მოაქციეს. ტოტლებენს აწყურთან ჰყავდა 800-მდე რუსი ჯარისკაცი და ჰქონდა რვა მცირეყალიბიანი ქვეშევრდ.³

აქ უთანხმოებამ იჩინა თავი მეფესა და გენერალს შორის, ძირითადად ლაშქრობის გეგმის გამო.

აწყურის ციხის აღყა ტოტლებენის კაპრიზი იყო და წინასწარ განწირული. მცირეყალიბიანი ქვეშევრდით ციხის იერზეთი ალებს ტოტლებენისეული გეგმა, ბუნებრივია, მარცხით უნდა დამთავრებულყო. ეს გეგმა დიდი მსხვერპლის ვალეზას და დროს ითხოვდა, რადგან ციხის ვარნიზონს ვარედან დაზარაების მიღება შეეძლო. აწყურის აღყის ტოტლებენისეული გეგმიდან ირკვევა, რომ 17-18 აპრილს ციხისათვის ბრძოლა წარმოებდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან. ახალიცხიდან მომავალი გზა ჩაუკეტავი იყო. არსებული ვარემოცვა მტერს საშუალებას აძლევდა ციხეში შეეგზავნა დაზარალებული და საჭურველითა და სურსათით.

გაბეძული და სწორი იყო აწყურის ციხის ალების ერეკლესეული გეგმა. მეფე კარგად ითვალისწინებდა ბორჯომის ხეობის სიმაგრეების ალებს შიულ სიძნელეს და გენერალს უმტყციებდა, რომ ამ ციხეებისათვის გვერდო აეჭკიათ, გარეშე შეშხვედრი მტრის ძალებს დაეძარცხებინათ, დაეჭრაოთ ვარშემო სოფლები და მეციხოვნენი გაეშარტოებინათ და ამით შეუძლებელი გაეხადათ მათთვის სასმელ-საჭმლის მიწოდება. ისინი ვერც მამუელ ძალებს მიიღებ-

¹ ЦГВИА, ф. 20, оп. 47, д. 4, ч. III, лл. 49-52.

² ЦГВИА, ф. 20, оп. 47, д. 4, ч. III, лл. 49-52.

³ ЦГВИА, ф. ВУА, д. 2194.

⁴ Грамоты, II, В 1, 28.

⁵ Грамоты, I, 251-254, ლეოვის მიერ ბაღდადის ციხის ალებს აღწერა.

დნენ და ბოლოს შიმშილ-წყურვლით ღონეში-
დილი მტერი იძულებული იქნებოდა დაპირი-
ლებულყო. ამ გეგმით სიჭირი იყო მტრის
ზურგში ღრმად შეჭრა და ციხის სრული გარე-
მოცვა.

ტოტლებენი კი ჯიბით უმტკიცებდა ერეკ-
ლეს თავისი აზრების ქვეშაბრტყებს, ერეკლეს
სხვა გზა არ ჰქონდა, იგი იძულებული იყო მიე-
ლო გვერდის გეგმა.

როგორც ირკვევა ციხის აღების ტოტლებენი-
სეული სამხედრო-ტაქტიკური შეცდომით კარ-
გად უსარგებლია ახალციხის ფაშას და 18 ა-
რილს 2000 კაცი შეუგზავნია ციხეში.¹

რუს-ქართველთა შეერთებულმა ლაშქარმა
აღუა შეშორტყა ციხეს, შავრამ ქართული დუ-
ღებით ნაგები კედლები კაკალივით ისლტტებენ
ყუბარებს.

უშუალოდ ალყის შემდეგ, 19 აპრილს ტოტ-
ლებენმა ბრძოლის ველი მიატოვა და აწყურ-
დნენ წამოდნა. ამ მოვლოდნელმა ამბავმა, შე-
აერთო ქართველები. ერეკლემ სურსათითა და ცხე-
ნების საკვებით უზრუნველყოფა აღუთქვა.

— ამპერატორის ბრძანება ანა შაქეს ვიოზო
ახალციხის საფაშოში. მტერი ძლიერია და თან
მრავალიცხოვანი, ამიტომ ჩვენი მცირე ძლე-

ბით მასთან შებმა სავსია, — მოუტრია ბოლოს
გენერალს.

მამინე მოთმინებლად გამოსულ გორგჯი, ბა-
ტონიშვილს მამისთვის აღფრთოვნილი უთქვამს:
«დაანებე თავი. წაეთრიოს სადაც უნდა, ჩვენ
მარტონივ გაემარჯვებთ მტერზე და შავას თავ-
ზედ ლაფს დაეასამოთ».²

ტოტლებენის მოქმედებას ქართველთა ჯარში
უწესრიგობა მოჰყოლია, ხოლო მტერი გამხნე-
ვებულა.

«...ჩვენმა ჯარმა რა მსცნა, დიღსა და გა-
მოთოქმელსა დრტინებასა მიეცნეს. და მტერთა
იხილეს და სცნეს. დიდად განიხარეს და სიმკნე
მიიღეს»³ წერდა ერეკლე გოლიცინს.

რუსის ჯარის უკან დაბრუნებით გაყვარე-
ბულმა ქართველებმა ვერ შენიშნეს ორტყების
მეორე ციხის კარის გახება და იქიდან 500 ზეიმ-
რის გამოჭრა. ელენებური შეტაკებით მტერმა
უბრატესობა მოიპოვა, სამოცდაათი მოლაშქრე
ტყვედ იგდო და ციხეში შეიყვანა. სწორედ ამ
დროს მოვიდა ერეკლე მეფე, რომელმაც
შესძლო ჯარში წესრიგის აღდგენა და მეომრების
გამხნეება. ქართველები გვერდნენ მტერს და
აიძულეს ისინი ციხეში ჩავეტილიყვნენ.⁴

მტერს ეგონა, რომ ქართველთა ჯარი უკანვე
გაქვევებოდა ვიწრო ზეობით, სადაც მტერს შე-
ვლო იოლად გაემარჯვა. ერეკლემ სწორად
განსჯირტა ოსმალო-ლყათა ზრახვები და ვადას-
წყევლა ბრძოლში ახალციხისაკენ გაჭრა და
მტრის შეყვანებით უკანდახეული რუსის ჯარის
სამშვიდობოზე გაყვანა.

ამ ვადაწყვეტილების მიღების შემდეგ ერეკ-
ლემ ჯარს ასე მიმართა: «ქართველებო! რუსები
უკანვე წაივლენ. ეს იყოღმთ, ჩვენი დაბრუნე-
ბა უკან არ იქნება, ამიტომ, რომ თუ რუსეთის
ჯარს ოსმალო მოეწია, დიდს ენებას მისცემს და
მას უკან გაქვევებულნი ოსმალო-ლყენი საქართ-
ველოს გავეიხობებენ. ამისათვის უჭოხბესია
ჩვენი აქ გაწყვეთო».

მეფის ასეთმა ნაბიჯმა მტრის სარდლობა
შეაცდინა; ბორჯომის ზეობას თავი ანებეს,
ქართველთა ჯარს გამოუდგნენ და ასპინძასთან
მისთვის გზის ვადაჭრა ვადაწყვეტეს.

ამ დროს ერეკლეს ყაიხებმა აღუწყეს ახალცი-
ხის ფაშის პასანის ბრძანებით ახალქალაქ-ბერ-
თისის შეციხოვნე ჯარების აწყურისაკენ ამო-
რკეება. ამ ცნობის მიღებისთანავე ერეკლე
დაიწუნდა, რომ აწყურის ციხის აღება არსე-
ბული ძალებით შეეძლებელი იყო, მყისვე მო-
ხსნა ალყა და რაკეთის გზით დასძრა თავისი

¹ Грамоты, II в. I, 29, Грамоты, I, 461-463.

² Грамоты, II, В I, 29, იხ. გოლიცინისაღ-
ში მიწერილი ერეკლე მეფის წერილი.

³ Грамоты, I, 220-221.

⁴ სურსათის ნაყლებობის მომიჯნეების უსა-
ფუძვლობა დისტორფება ტოტლებენის 1779
წლის 6 აპრილის პატყათ. სურსათის ნაყლე-
ბობაზე უტრადღების გამხვილება გენერალმა
იწყო 19 აპრილს ბრძოლის ველის მიტოვების
გამართლების მიხნით (იხ. ЦГВИА, ფ. 20,
оп. 47, д. 4, III, лл. 49-52). გენერლის შტა-
ბში შედგენილი აწყურის ოპერაციის ვეგმაც
ცხადბყოფს, რომ ტოტლებენს 18 აპრილს ციხის
აღება ვაუფიქრება. ამასთან, სადგერში გენერ-
ლის მოქმედება და 6 აპრილს სამსახურიდან
განთავისუფლების თხოვნა მის ღალატს უტყ-
ველს ხდის. ავად. პ. ბეტკოვმა და პრთუ.
ს. კაკაბაძემ მოგვეცეს აწყურის ოპერაციის ყაღ-
ბი ახსნა (იხ. П. Г. Вутков, Материалы... გვ.
281-282, ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია,
თბ., 1922 გვ. 208). ვ. შაქარაძემ საფუძვლიანად
უარყო ეს მოსაზრებანი (ვ. შაქარაძე, ასპინძის
ბრძოლა, თბ., 1957, გვ. 89).

¹ ი. გოგებაშვილი, ასპინძის ომი, თბ., 1902,
გვ. 10.

² Грамоты, II, в. I, 29.

³ Грамоты, I, 105-106; Грамоты, II, в. I, 29.

მედრობა წინ — ასპინძისაკენ.¹ ახალციხის ფაშა ქართველ მხედრობას გამოუდგა. მან ახალქალაქისა და ხერთვისის ციხეებიდან სასწრაფოდ 1500 კაცი გამოაყენინა. მიშველ ქართველთა მხედრობის გზის გადასაქრელად.²

როკეთის გზაზე დამდგარი ქართველი ჯარი ძნელად საეღო გზის გამო ნელა მოძრაობდა. საჭირო იყო უღელტეხილამდე რაც შეიძლება სწრაფად მიღწევა, რომ მტერს არ მოეწყო ასე დიდი მანძილზე გაქმულ ქართველთა ლაშქრისათვის.

ერთკელ მახვილი გონებით მიხვდა, რასაც აპარებდა მოწინააღმდეგე. მტერს განზრახული ჰქონდა ქართველთათვის ასპინძის ხეობაში შეეკრა გზები, ერთი მხრით, ახალქალაქ-ხერთვისის შეიკოვნენ ქარების წინ დახვედრებით, ხოლო, მეორე მხრით, აწყურ-ახალციხის გარნიზონების ზურგებიდან შემოეტყუა.

19 აპრილს, ნაშუადღევს, ქართველთა მოწინავე რაზმმა სოფელ იდუმალას მიაღწია, აქ მათ 1500 კაცისაგან შემდგარი ახალქალაქ-ხერთვისის შეიკოვნენ ქარები შემოხვდა.² ქართველი ჯარის მთავარი ნაწილები ჯერ კიდევ უკან იყო დარჩენილი. ავიგარდსაც მტერმა უხებულად აღვილას მოუწყო და მოულოდნელად მიიტანა მასზე იერაში. ღიცებელი ომი ვაიხლდა. მკორე-რიცხოვანმა მოწინავე ჯარმა ვერ გაუძლო მტრის გაფორებულ მოწოლას და საშინელი დამარცხება იყო მოსალოდნელი, მეფის საარაო მოქმედება რომ არ ეხსნა ქართველები განსაკუთრებისაგან. ერთკელ პირადად გაექანა რამდენიმე ჩინებულითა და შინაყმითა თვისთა და შევიდითა ხეცსურითა, განსწირა თავი თვისი და ეკეთა ფიცხელად, ვიდრე სიკვდილამდე ფეხვეს ყოველი მეფესა-თანა მყოფნი ქართველ-კახნი მხნე და უმეტეს შევიდნი იგი ხეცსურნი; თუმცა თავადნი მრავალი სახელოვნად გაისარგნენ. ვარნა განერცულვისათვის დავიდუმე; ამჟამად უკანადაცა ჯარნი მეფისანი, რომელნიცა იყვნენ გზის სიფიროვისაგან ვანგრძელებულ, მსცნეს რა მეფისა ესე ვითარებანი, ივინიცა შეუღწენ და ვეთონიმე მამაყენი კაცნი მობრუნდნენ მეფესა-თანა და იქმნა ბრძოლა ძლიერი...³ სწრაფად გასრისეს პირველი გუნდი და ისე გულ-მოღვიინედ დაუწყეს ჩეხვა მტრის მთელ მწყობრს, რომ მოწინააღმდეგის ლაშქარი აირია და სასტიკად დამარცხდა. დიდი გმირობა გამოიჩინა ლუარსაბ ვანჩაძემ, რომელმაც ირთა

ბრძოლაში განგმობა თერქი დეღბაში! მტრის ჩარიდან ნახევარმა მოასწრო გაქცევა; ზრევერქი იქვე დარჩა დეპრილი და დეპრილი; ამ მხრე სანიშნავმა გამარჯვებამ ვაფთოლდა ქართველი მხედრები. მაგრამ მთავარი განსაკუთრებული ჯერ კიდევ იყო იყო. ამ ბრძოლიდან ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ ერთკელს მოახსენეს ახალციხიდან ოსმალო-ლევთა მათსიანი ჯარის გამოსვლა, რომელიც მალე ასპინძის მიდამოებში შემოვიდოდა.⁴ დიდლილ მხედრობას ჯერ არც კი დასვენა, რომ ერთკელს საომრად მომზადებულა ბრძანა. ქართველთა ჯარი 4 ათასამდე მოლაშქრეს ითვლიდა, მაგრამ აქედან ნაწილი სურსათისათვის იყო გაგზავნილი, ზოგი დაქრილი და ავადმყოფი იყო. ამასთან, ეს მხედრობა, სამუხებაროდ, მხოლოდ ქართველთაგან რაღაც შედგებოდა. მათ რიგებში იყო 1000 ბორჩღოლი ენლი თათარი, რომელთაც ერთკელ საუკუბით ვერ ედობოდა, მოურავივის ცნობით, ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა მიუღია მხოლოდ 3000 ქართველს. ერთობ კრიტიკული მდგომარეობა იყო. სწორედ ასეთ დროს იხენდა ხოლმე თავს ერთკელს საარაო სარდლური ნიჭი და ქართველებს სამშობლოსადმი თავდავიწყებელი სიყვარული. საფიცარ მეფეს კარგად ესმოდა, რომ უთანასწორო ბრძოლაში აუცილებელი იყო მოხერხებული პოზიციების დაჭერა. ნიჭიერმა მთავარსარდალმა კარგად ამოაჩინა ადგილმდებარეობა. ქართველებმა გაიარეს იდუმალა და ასპინძის მიდამოებს მიმართეს. ეს გორაკები ჩამწყობებულნი იყო იდუმალასა და ასპინძის შუა, მტკერის მარჯვენა ნაპირას. მტკერასა და ასპინძის შუა დარჩენილი იყო ორიოდე კილომეტრის სივანის ვაკე, რომელსაც ხეილიმას ეწოდა ერთკე: აი სწორედ ეს სერები აირჩია მეფემ და იქ ჩაასაფრა ქართველი დევამორები. ერთკელმ თავისი ლაშქარი სამ ნაწილად გაყო: მარცხენა ფრთა თავის ვაჟს გიორგის ჩააბარა, მარჯვენა ფრთის სარდლობა თავის სიძეს თავად დავით ორბელიანს მისცა, ხოლო ცენტრში თვით მეფე დიდდა. ბატონიშვილს მეფემ უბრძანა, რომ მხოლოდ ვასაქიის დროს გაეწია დახმარება თავისი ლაშქრით.

ქართველი არწივები ჯერ კიდევ არ დაბანაკე-

¹ 3. ცხელითელი, ლუარსაბ ვანჩაძე ასპინძის ომის გმირი, „ივერია“, 1893, № 113.

² ერთკელსა და მოურავივის ცნობით, მტრის 4-ათასიანი კორპუსი მოსულა ასპინძისთან (Грамоты, I, 29-30, 107); ტყვეების ჩვენებით კი ახალქალაქისა და ხერთვისისაკენ მომავალ ერთკელს ნაიამ ფაშამ დაადგინა რვაათასიანი ჯარი, რომელთა რიცხვიც იხანი იფთოვებოდნენ (Грамоты, I, 463, ერთკელს მიერ რუსეთში გაგზავნილი ტყვეების პასუხი უიზლარის კომენდანტისადმი).

³ Грамоты, I, 107-108.

¹ Грамоты, I, 106-107, Грамоты, II, в I, 29.

² იქვე.

³ ჭმნილი ომან მდივან ბეგისაგან, მეფობა ირაკლი მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა, ქართლის ცხოვრება დასაბამი-თვან შეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, სანატკეტერ-ბურღს, 1854, გვ. 492.

მელოყენენ ასპინძის მღვდლებზე, რომ ოსმალო-ლუკათა რეაქციური ლაშქარი გამოჩნდა ახალციხის მხრიდან. მწუხრის ეპის მტერმა ხელოვნის ველს მოაღწია, მაგრამ დამემ მოუღწრო და ომი შემდეგი დღისათვის, 20 აპრილისათვის გადაიდო.

ერეკლემ კარგად გაითვალისწინა მომენტის მთელი სირთულე და გადასწყვიტა მტერებზე დოსთენის ხიდის აყრა, ჭერ ერთი, ქართველთა მხედრობა „მტრის სვევანაში“ იბრძოდა და თურქებს უფული მხრიდან შეეჭლოთ მამველი ძალების მიღება; მეორე, მტერის მარცხენა მხარე უშეტესად თურქებით იყო დასახლებული.1 გაჭირვებისას თურქებს აქედანაც შეეძლოთ მიგლოთ დასმარება, ხოლო ხიდის აყრის შემთხვევაში ეს შესაძლებლობა უსპობოდა მტერს; შესამე, სხვა მამველი რაზმებიც შეეცდებოდნენ ამ ხიდზე გადმოსვლას, და ბოლოს, როდესაც ქართველები შეავიწროვებდნენ მტერს და ლტოლვილი მოწინააღმდეგე დოსთენის ხიდს მიჰყვებოდნენ, ხიდის ჩაშლა ზარდაცემი იქნებოდა მტრისათვის.

შებინდებისას მეფემ თავისთან იხმო სამი საეკლესიო ვაჟაკი — აღბაბა ერისთავი, სვიმონ მუსხარაძე და ხელია ბორჩალოვი — „ჩინებული და მამაკი უფლისა საქართველოსა“

1 ცნობილია, რომ შაჰ-აბასმა, როგორც მის წინა დროის ყველა მტაკებელზე უფრო ნიჭურმა და თანმიმდევრამ დაბეჯრებულმა, საქართველოს წინააღმდეგ საუკუნოვანი ბრძოლა წაწორად შეადგინა და, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ღებდნის ქვემო წელში თურქმანულ ტომში „ბორჩალო“ წამოსახლა, რითაც „ქართლის აღსაყდო მოარღვია და ქვეყნის თავდაცვის უნაკიანობას ერთის დაკერით დამბლა დასცა“ (წ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ფრთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა შიჯანზე, საქართველოს ისტორიის საციობები IV, 1967, გვ. 127).

2 ქართველი მემატიანე („შედგვი კახეთის ცხოვრებისა“) ცდება, როცა წერს: „ღამეხა მას (19 აპრილს, ვ. ქ.) გამოვიდნენ უკვე ნახევარნიცა ზიდისა ასპინძისასა და ნახევარნიცა ლაზობდნენ შეოტესა დღესა გამოსვლად“ (ქართლის ცხოვრება დასაბამითიან მეცხრამეტე საუკუნემდის ნაწ. მეორე საცებეტებური, 1854, გვ. 506, აგრეთვე საქართველოს ცხოვრება, ზ. კიკინაძის გამოცემა, 1913, გვ. 286). ერეკლეს წერილები, ზაალ ორბელიანის ნაამბობი, ტყვეთა ჩვენება და სხვა არ მიუთითებენ მტრის ჭარის ნახევრის გადმოსვლაზე, რაც შეეხება დოსთენის ხიდის მოშლის ცნობას, ყველანი ადასტურებენ (Грамоты, II, I, 29-30).

შინა და ამცნო მათ, რათა აყენონ ხილა ასპინძისა.1

სამშობლოს სასიქადელ მღვდლებმა დღესუფლად „სრულყვეს ყოველივე ბრძანებულთ მღვდსა“; მათ მოხერხებულად აუარეს გვერდი მტრის შენეერთებს და ხიდი ოსტატურად დახერხეს. საეპარისი იყო რამდენიმე მეომარი შემდგარიყო ხიდზე, რომ იგი ჩაქეუყოყო. ამავ დროს მეფემ მცირე რაზმი გადაარჩია, რომედლიც მიერ დღეს ბრძოლის ველზე უნდა გაჭრილიყო და მტერი საბრძოლველად გამოეტყუებინა.

მოშუადღედა, მაგრამ ომს დასაწყისი არ უჩანდა. ბრძოლის ვარაღებისათვის სულ მცირეოდენი ვარაუდობა იყო საჭირო. მალე გავიწინა საბაბიც, ერეკლეს მიერ წარგზავნილ ქართველთა მცირე რაზმს მტერი დაედგინა და ბრძოლის ველზე გამოვიდა.

ოსმალები სრულით უახლოვებოდნენ ქართველთა საფარს, მაგრამ სერებს ოსტატურად ამოუვარებულ ქართველთა ლაშქარს ვერას აკლებდნენ. მტერი დამედუბული იყო, რომ ქართველთა მხედრობას მთლიანად ჩაივლებდა ხელში. ამ იმედს ისიც უძლიერებდა, რომ ქართველების მხარე ჭერ ერთი თოფიც არ გავარდნილიყო. თურქებმა ეს შიშს დააბრალებს და გული მიეცათ, მაგრამ სულ მალე გამოიკვია, რომ ეს ხერხი იყო და არა შიში. აი, მტრის ჭარი სათოფეზე მიუახლოვდა ქართველთა საფარს, ერეკლემ ნიშანი მისცა მხედრობას, დაიჭება ქართველთა თოფებმა და თოქმის ყველა ტყვია თავის დანიშნულებას ეწვია, ასე ვარაუდობს რამდენიმე ხანს, მტრის მოწინავე რაგები შეთხებდა ხმლით იერბის მიტანა მტერს არ შეეძლო, რადგან ქართველები, ჭერ ერთი, ხმალი ძლიერ მარჯვენი იყვნენ და, რაც მოვარია, ისინი მღვდლობი ადვილებიდან სულ ადვილად ამოსიხებდნენ ახლო მისულ მტერს.

მოწინააღმდეგის ჭარი თანდათან მცირებოდა. მტრის სარდლობა დაწმუნდა, რომ მიუვალ პოზიციებზე ქართველებს ვერადერს დააკლებდა, ხოლო თავის ჭარს კი შეაფუტდა, ამიტომ გადასწყვიტა უფარ დაეხია, ჭარი ასპინძის (დოსთენის) ხიდზე გადაეყვანა, მტერის მარცხენა მხრით ევლო, მეტე ფონი ეპოვნა სადმე, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე გადასულიყო და ქართველებზე ზურგიდან მიეტანა იერიში. მტერმა უფარ დახევა იწყა, თქმცა თოფის სროლას არ აკლებდა. მასმე ერეკლეს ბრძანებით ქართველი მხედრობა წამოიშალა და თოფის სროლით ველზე დაეშვა. მტერმა რაკი დანახა, რომ ქართველები ველზე ჩამოდიანო, შედგა, შე-

1 ქართლის ცხოვრება, ნაწ. მეორე, 1854, გვ. 506, აგრეთვე, საქართველოს ცხოვრება, ზ. კიკინაძის გამოცემა, 1913, გვ. 286.

ბობრენდა და ქართველთა ლაშქართან შესაბამე-
ლად გამოქანა. მოწინააღმდეგენი მიუახლოვ-
დნენ ერთმანეთს, შეეჯახნენ და თითქოს ადგილ-
ზე შედგნენ, მხოლოდ ზღვების ტრიალსა და
ჩხარა-ჩხურზე იტყობოდა, რომ თავგამებრებით
აბრძოდნენ. თურქებს კიდევ ჰყავდათ ისეთი
ნაწილები, რომლებსაც ყერ ბრძოლაში მონა-
წილეობა არ მიეღოთ და ახლა ისინი თანდა-
თანობით ებებოდნენ ბრძოლაში. მტერმა თა-
ვისი შთავარი ძალები ქართველთა ცენტრს და-
უშინა, გვეგონებოდათ, მტრის წარი მოახრბო-
სა ქართველებს. კრიტიკული მომენტი დადგა.
მემაჩვენებენ ფრთის სარდალმა დაეთ ორბე-
ლიანმა, ვაჟო თუ არა მეფის განსაცდელი,
ძლიერად წამოსწია წინ მარჯვენა ფრთა და
მტრის წინააღმდეგ უძლეველ ძალად აღიმართა.
გარკვეული ჩანაფიქრის გამო მარცხნა ფრთა
ბრძოლაში ვერ კიდევ არ ებებოდა. ქარის სიმ-
ტკიცე რომ შეენარჩუნებოდა, ერეკლემ ნაცად
ხერხს მიმართა და აღმაფართოვებელი, იმე-
დიანი ხმით შესძახა:

„გულოვანო, მხენო ქართველნო! ასეთი
ომი ჰგონებდნენ ბრძოლი არ არის, ყარგად ვაარ-
ჩეთ, დანახეთ, რა სიკვდილის ღზინი არის
დღეს... გვიჯობს მამულისათვის წმინდა სიკვ-
დილი... ვიდრე დამარცხებული შინ დაბრე-
ნება!“

მეფის სიტყვებზე ვარტყა ქარი, აუღიო მათ
სამშობლოს მოსიყვარულე გულები და ამაღლა
ისინი იმ ზომამდე, როცა თავდადება და თავ-
განწირვა ადამიანს ნეტარებად მიიჩნია.

ქართველებმა ძალები მოიკრიბეს და ვანმა-
გებით ეკეთენ მტერს, რომელსაც ახალ-ახალი
ძალები ემატებოდა. ძალების სიკარბემ გამოარჯ-
ვების სასწრაფო თითქოს მტრისაკენ ვადაზარა.
ქართველებს ზარდაცემი ეპი დაუდგათ. ბრძო-
ლა უფრო ფიცხელი და შეუპოვარი ხდებდა.
უცებ მტრის ლაშქარს მოწუდა ათასი ცხენოსა-
ნი ლეკი და ხმალომწედილი ნივთავით გამო-
ქანა ქართველებზე იერიშის მოსატანად. ლეკ-
თა რაზმს წინ მიუძღოდა ახოვანი ევაქაყო,
მშვენიერ ბედადურ მადარა, 24 წლის კობა-
ბეღალი (მალაი), პირველ მეორად ცნობილი
მოელს დაუსტანში. კობა მისმა ბედადრმა
კარგა მანძილზე დაწინაურა, იგი სწრაფად შე-
მოიჭრა ბრძოლის ველზე და ერეკლეს უბოძდა
ორთა ბრძოლაში. რამდენიმე ვეჯაკმა ხმალზე
ვაიკა ხელი, მაგრამ უბრძლახისა და შვადის-
ჯრის ომების ეტერანმაყ არ დაეუოენა, თა-
ვისი ბედადრი მოსწყობა ადგილიდან და ვაიჭ-
რა ლეკთა ბეღლის შესახებრად დადგა სა-
შინელი წამი. გაქანებელი მხედრები ერთმა-
ნის მიგვრჩნენ. ერეკლესა და კობას ხმალმა
ერთდარულად იღლა ჰაერში. კობას ეღვირე
ხმალი მარჯვედ აიკლინა ერეკლემ და თავისი

ბასრი ხმალი (ნადირშაჰის ნაწიქარი) მთელს სი-
ძლიერით მტერს თავზე დასახლიშა, იაქრიალა-
სისხლმა, თავგაბობილი კობა ბეღლი და თავის
ბედადრს მოსწყდა და მიწაზე ვაშლანაოდა.
ამის შემდეგ მემატიანების თქმით: „ამისვე ილ-
ტუოდნენ ოსმალ-ლეკი და მოუდგნენ ქართ-
ველ-კახნი და უმრავლესნი ოსმალ-ლეკი მოს-
წყვიტეს“²

სახელოვანი მეფის, საარაყო მამაცობით აღ-
ტაცებულმა ქართველმა მხედრებმა ხმალს ხელი
იყრეს მამა-პაპურად, ვაითკეებელი ძალით
დაეკრინენ მტერს და უწყალოდ „დაფრწუნს
მათნი წყობანი“ (მესიცი). მომხდურნი შედრენენ
პანიკამ მოიკცა. დამპყრობთა რიგებ, ისინი ვე-
ლარ უძლებენ ვალომბეულ ქართველ მეო-
მართა თებრუდამხევე შემოტევას. მტრის
შობლოდ ერთადერთი იმედად ის შერია, რა-
გორამე დოსთენის ხილს მიადწიოს, ქართველ-
თა მხედრობას მტყვრის ვაღმა ნაბირზე ვა-
ასწროს, მაგრამ მათ რა იყოდნენ, რომ ქარ-
თველებს სასიქიდლო მეფე, „აღმოსავლ-
თის ღობი“, მინიმ ბრძოლაში ნაცად სარდა-
დი ამისთანა წინაუხედაობას თავის დღეში არ
ჩაიდენდა; უკან დახეული მტრის წარი ის-
ის იყო ხილს მიუხლოვდა და რამდენიმე ოსმა-
ლო-ლეკი მხედარი ხილზე შედგა რომ ხილი
მტყვარში ჩაინარცხა, ხილზე მიწველარ ოსმალ-
ლო-ლეკებს სხვა ვა არ ჰქონდათ და იჭულებოდა
შევიქმნენ მტყვარში ვაღაცენილიყვენ.

აბრილი იღვა, ლანქერი იყო და მტყვარი აბო-
ბოქრებული მიჰქუდა. ოსმალ-ლეკებმა უწესრი-
გოდ ასობით ცვიოდნენ აზვირთებულ მდინა-
რეში, მემატიანეების თქმით „...რომეღობაჲ სი-
კისისითა ეროს ასარ-ხედ არ ვანელო, მისგან
კიდე ყოველი მოსწყვიტნეს და მრავალნი
წყალე შთასიკვიდნენ და მოიშოვნეს, ვინაი-
ღან იმ ჟამს მტყვარი განდიდებულ-იყო ამისა-
თვის ვერ უძლეს მშვიდობით განრინება
მტყვრისაგან“³ ან კიდევ „...და მოიშოვნეს
უშვარეს წყალთა შინა ორისა-ათასისა ლეკნი და
თათარნი...“⁴ მტერმა ბრძოლის ველზე 4000
მოკლეული დასტოვა, ასობით აღიდებულმა

1 ომან ზერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორი-
სა მეფის თეიმურაზის ძის, ქართლის ცხოვრება
დასაბამითგან მეტერამეტე საუენემდის,
ნაწ. მეორე სანკატერბურდს, 1854, გვ. 492, აგ-
რეთვე, Потто, исторический очерк кавказ-
ских войн, 1899, ст. 111.

2 ომან ზერხეულიძე, დასახ. ნაწი, გვ. 492.

3 ომან ზერხეულიძე, დასახ. ნაწი, გვ. 492.

4 შედეგი კახეთის ცხოვრებისა, გვ. 506; აგ-
რეთვე, მასალები საქართველოს ისტორიისათ-
ვის შვედრილი ბატონიშვილის დავით გიორგი-
ძისა და შისი ძმებისა 1744-1840 წ., ტფილისი,
1906 წ., გვ. 17.

მტკვარმა შთანთქმა, მხოლოდ 20-25 მგებარი თუ გადაურჩა და მოასწრო გაქცევა.¹

ბრძოლის ელზე მტერმა დიდი სიმდიდრე დასტოვა. ქართველებმა წელი იგდეს 25 საბრძოლო დროში. ტყვედ წამოიყვანეს 57 ოსმალელი. ამ ბრძოლაში ოსმალეთ-ღვთა მრავალგამოცხილ წინაშელოლა მზე ჩაეხვეწა. დაიღუპა მტრის კორპუსის მთავარსარდალი, 12 სანჯაყის შვლობელი, ყულიანის, კარცხლისა და ოლთისის ფაშები, ამოწყდა თითქმის მთელი ახალციხის ბეგობა, ერეკლე პანინისადმი გავზავნილ წერილში დახცილთა შორის ასახელებს — თურქთაგან: არტანუჯის ბეჭირბეგს, გოლა ფაშას, შავშეთის ბეგს, ყაშილ ბეგს, ტარს კარის ბეგს, არტანის ბეგს, სუფაგუხანს და სხვ. ლეითაგან აქ ვარდა კობა ბელაღისა (მალაილა), დიხოკრან სხვა შესანიშნავი სარდლები: ყოყა ბელაღი, უსუფ ბელაღი, ჰაქიმამედ ბელაღი, მუსა ბელაღი და სხვ. დაღუპულად თვლიდა ერეკლე ყუმუხის მთავრის შვილს ჰაქი გაკარის, სულთანის შივრ წინაწარ თბილისის ფაშად დანიშნულს, რადგან ამ უკანასკნელის ცხენი მეფეს მოჰყვარეს.

წელად თუ ვინმე დაიჭერეს რა რიგ იაფად დაუჭდა ქართველებს ეს ბრწყინვალე გამარჯვება. ამ ბრძოლაში ქართველებმა მოყვლულთა სახით 25 კაცი დაკარგეს, ხოლო დაჭრილი იყო რამდენიმე ათეული კაცი, მოკლულნი კარცხეთის ცნობილი გვარის არც ერთი, ხოლო დაჭრილებს შორის იყო ორი სარდალი — ალექსანდრე ციციშვილი და იესე ერისთავი.²

ბრძოლაში თავი გამოიჩინეს ერეკლე მეფემ და დავით ორბელიანმა. ლუარსაბ განაშაქმ და აღბანაბა ერისთავმა, სვიმონ მუხრანბატონმა, ხელდა ბორჩალოელმა.³

წყაროთა შეჯერების საფუძველზე ირკვევა ზოგ სხვა მონაწილეთა ენაობაც, ესენია: გიორ-

ვი ბატონიშვილი, ბესარიონ ვაზაშვილი (რამელმაჰ პოემა უძღვნა ამ ბრძოლას), მეფეთაშვილთა, სოლომონ თაბახნიშვილი, მეფე ერეკლეს მდივანბეგი ზაალ ბარათაშვილი, ზაალ ორბელიანი, თავი ელიზბარ ფალავანდიშვილი, დემეტრე ჯამბაყურ-ორბელიანი, დავით დემეტრეშვილი, ბერულა კობახიძე, სოლომონა ჰატელაშვილი, სულეიმან ყათარჩი (მას ებარა შვიტის საჯდომი ცხენიც და უჯლიდა ირავლის ბარკის ჯორებს), მეფის მკურნალი ექიმი ანტონა (და არა ივანე, როგორც ეს რ. ერისთავს უწყობია) უარაშვილი.⁴ შემთავანემ არ შემოგვიჩინა ამ

¹ გ. ბატონიშვილის უმოქმედობის ორბელიანისეული ახსნა უსაფუძვლოა, რადგან ირკვევა, რომ ის მეფის საიდუმლო დავალებით მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა ჩამოეღო-ყო ბრძოლაში.

² იოანე ანტონ ვიულდენშტედტის ოსხულეზიდან, რომელიც მან საქართველოში მოგზაურობას მიუძღვნა (ტ. 2), ვეგუბლობთ, რომ XVII ს-ის 70-იან წლებში საქართველოში უკვე პოინათ ყვავილის საწინააღმდეგო იმუნტეტის გამოსამუშავებელი პრეპარატი (სამწებარო, გერმანულ სწავლულს არ დაუსახებელია ამ ქაღალქი ექიმის ენაობა. ქართველი ექიმის ენაობის ძიების მცდელობაც კი არაა 1958 წელს გამოცემულ საქართველოს მედიცინის ისტორიაში, რომლის ავტორები არიან: მ. სააკაშვილი და ა. ველაშვილი (ტ. III, წიგნი მეორე, თავი XI, ყვავილის საწინააღმდეგო აკრა, გვ. გვ. 188-200). ეს მით უფრო საინტერესოა, რადგან ინგლისელმა ედუარდ ჯენერმა მხოლოდ 1786 წელს შეძლო ყვავილის აკრის ცდების წამოწყება, მაშინ როცა ქართველ ექიმს ჯენერზე ბევრად აღზე შეუქმნია არა მარტო მეცნიერული მოძღვრება ყვავილის აკრის (ერეკლეს მბრძოლეთაში „ყვავილის აკრა“) შესახებ, არამედ, როგორც ვიულდენშტედტა წერს, ცხოვრებაში პრაქტიკულადაც წარმატებით განუხორციელებია იგი (1712 წ. მისიონ მას უნახავს 100 ბავშვის შეღვევანი აკრა).

ეს სასწავლო მოქმედი ქართველი ექიმი იქნებოდა ბრძოლის განთქმული, მეფე ერეკლეს მისაწერი ექიმი ანტონ უარაშვილი, რომელიც ასპინძის ბრძოლისას თან ახლდა მეფეს. ერეკლეს შვილიშვილის, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ალექსანდრე ვახტანგის-მე ჯამბაყურ ორბელიანის ნაწერებში მასზე ნათქვამია: „ექიმი ანტონ უარაშვილი ბატონიშვილს გიორგის ძალიან ჰყვარებოდა; მეფე ერეკლესაც ხომ რასაკვირველია, მთელი სახლობისა და ოჯახის აქამიც ეს უოფლია, ფრანგი ყათარცილის სარწმუნოებისა, დღეს იმის ქათარცილები ბევრნი არიან აქ“ (იხ. ეტრნ. „მნათობი“ 1869 წ. 263, გვ. 4-6; იხ. ჯამბაყურ-ორბელიანი, ასპინძის ომი, 1770-საქ).

¹ Грамоты, II, в., 30; ტყვეების ჩვენებით კი მათსაიანი კორპუსიდან ახალციხეს 10 კაცი-ღა დაბრუნებულა (Грамоты, I, 463).

² Грамоты, II, 30.

³ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში მუშაობისას რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის შემცველ ფონდში წავაწყდიეთ ერთ მუცად საინტერესო ცნობას ხელდა ბორჩალოელზე. რუსეთის წარმომადგენელი კონსტანტინეპოლში ბელგაყოფი 1785 წლის ივლისით დათარიღებულ რუსეთის, სხვათა შორის, სამმპრატორო კარს ატოვებინებს: ახალციხიდან მოვიდა ხმა, რომ სახელგანთქმულმა ხელდა ბორჩალოელმა ყარსის აღიღებთ დაარბია, ასევე ჯაიხეთი და დაბრუნებისას კრილოვისაგან ვარდაიცივალაო 1785 წლის ივლისი.

შეიძინა გვირგვინი ხევისკურთხევის სახელგამთავროს, რომლებიც მეფესთან ერთად ეკავებოდნენ მტრის „ფეხსაღმად, ვიდრე სიკვდილამდე“, ჩვენ არ ვიცით იმ ჩინებულ „მეფის-თანა მყოფნი ქართველ-ქათა“ ვინაობაც, რომლებიც „სახელოვნად გაისარჯნენ“. „გარანა განგრეცელისა-თვის დავიდუმე“ — ამ სიტყვებით იმართლებენ თავს მემარტაბელები.

ზაალ ბარათაშვილის ახსნა, რომ იჩვენის დამარცხება შეუძლებელი იყო, ამიტომ რომ რაც გამორჩეული ვაჟ-კაცები იყვნენ საქართველოში: თვადლები, აზნაურები, და გლეხ-კაცები იმ დღეს სულ იქ იყავით, ამისათვის იმედს ვქონდა, რომ უფრო გავიშარჯებდით“-ო, სწორი არაა. სწორედ ქარის სიმრავლეს არ გამოუწვევია ქართველთა საბრძოლო განწყობილება, ქართველთა საბრძოლო განწყობილება შექმნა, პირველ რიგში, მშობლიური მიწა-წყლის ნანგრევებზედქველი ქართული კულტურის აკანის — მესხეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლის გრძობამ, ქართველთა მამულისადმი სიყვარულმა; ამას ზედ დაერთო ტოტემების ლაღატი, რამაც ვაუთაცეცა მათ „ჭირსა შიგან გამაგრების“ აუცილებელი გამოარჯების გრძობა. აგრეთვე, გამოარჯვა ერეკლე მეფის საბრძოლველად ნიჭმა, მტრის სრული განადგურების ერეკლესეულმა გეგმამ.

ასპინძის ბრძოლა ქართველი ხალხის გმირული ისტორიის კიდევ ერთი ბრწყინვალე ეპიზოდი იყო. ქართველმა ხალხმა დიდების შაჰ-აფანდელით შემოსა ასპინძის გმირები და განსაკუთრებით ამ გამარჯვების სულის ჩამდგმელი და შებაირახტერ ერეკლე მეორე.

ბესარიონ ვაბაშვილმა, რომელიც უფრო მოწმე იყო ამ ისტორიული გამარჯვებისა, დაწერა პოემა „ასპინძისათვის“, სადაც დიდების შაჰ-აფანდელთან შეწყველი დავით ორბელიანის გმირობა.

ასპინძის გმირებს შთაგონებული სტრაქონები უძღვნეს რაფიელ ერისთავმა, ალექსანდრე ორბელიანმა და ლადო ასათიანმა.

ასპინძისთან მტრის ძირითადი ძალების განა-

დგურების შემდეგ ქართველებს ახალციხისაკენ ვხე ვახსნილი ქონდათ და შემდგომი სამომავლო ოპერაციების გამოს უსაზღვროს მტრისკენ მიმდებარე ისახებოდა, მაგრამ ტოტემების სიყვარულიდან სიკვლეო დაბრუნებამ და მისმა ზრახვებმა ეს შეუძლებელი გახადა. ძლევამოსილმა ქართველმა მხედრობამ 21 აპრილს ასპინძისში შეიკვინა, მეორე დღეს ახალქალაქისაკენ გაემართა, ეს მხარე დილაშქრა და დღი წადავლით, განახლებ-თრიალეთის გზით, 29 აპრილს (12 მაისს ახალი სტილით) თბილისში დაბრუნდა. სოლოლაკის დაღმართზე ჩამომავალ ქართველ მხედრობას, დედაქალაქის მოსახლობა აღფრთოვანებით შეხვდა. თბილისი გამარჯვებას ზეიმობდა.

ქართველთა ენერგიულმა წინააღმდეგობამ და ერეკლე მეფის აქტივობამ ტოტემებს ხელი ააღებინა განზრახვაზე, მას ქართლში აღარ დედგომებოდა.

ასპინძის ლეგენდარულ ბრძოლას უმედვოდ არ ჩაუვლია ქართველებისათვის. ევერ არაა, რომ იმერეთის ციხეების შედარებით იოლი განთავისუფლება ასპინძისში თურქთა დამარცხებამ განაპირობა.

ასპინძის ბრძოლის შემდეგ რუსეთის სამეფო კარმა საქმის გამოსწორება ტოტემების ნაცულად სუბსტირის-დანიშნებითა და ფოთზე გალაშქრებით სცადა, მაგრამ უშედეგოდ: ევერ განზრცივლად რუსეთის სამხედრო ძალით დარიალის ზეობით გადმოსვლასთან დაკავშირებული რუსეთის დიპლომატიის მიზნებიც. შედეგითიდან შზარად ომის საფრთხე და ავსტრიის საეკუო პოზიციის რუსეთს აიძულებდა დაკმაყოფილებულიყო 1771 წელს მოპოებული წარმატებებით (ყირიმის დაკავება) და თურქეთთან ზავი დედო.

ზავის შემდეგ საექსპედიციო კორპუსიც საქართველოდან გაიწვიეს.

თურქი დამპყრობლებისაგან მიტაცებული სამხრეთ საქართველოს განთავისუფლების საკითხი, რასაც ქართველი პატრიოტები ერეკლესსა და სოლომონის მეთაურობით ამ ომის ამოცანად საზავდნენ, ევერ გადაიჭრა.

რუსეთის დახმარებით მიტაცებული მშობლიური მიწა-წყლის მცირე ნაწილი ქართველმა ხალხმა მხოლოდ მე-19 საუკუნეში თურქეთთან გადახდილი ომებით დაიბრუნა.

¹ „ფორნალი „მნათობი“, 1869 წ., მარტი, გვ. 11; ალ. ქაშაყურ-ორბელიანი; ასპინძის ომი 1770-სა.

პერმან მელვილის „ტაიპი“ და „ომუ“

თანამედროვეთა შორის პერმან მელვილის პოპულარობა მისი პირველი რომანების „ტაიპისა“ (1846) და „ომუს“ (1847) გამოსვლით დაიწყო. განსაკუთრებული წარმატება ატლანტის ოკეანის ორივე მხარეზე ხვდა წილად „ტაიპის“. სამხრეთის ზღვების ეგზოტიკურმა სამყარომ — უჩვეულო პანორამებმა, წარმართთა ადამთა — წესებმა, შიშველმა ქალწულებმა და ბამბუქის ტაძრებმა — მოაქალოდა მკითხველი. „ტაიპის“ ხატებით აღსავსე სტატიები უძღვნეს უოლტ უიტმენმა, ნათანიელ ჰოთორნმა, ასეთივე აღტაცება გამოხატა ჰენრი ლონგფელომ თავის დღიურში. მაგრამ აღფრთოვანებამ პირველ ნაწარმოებებს რომ მოჰყვა, დიდხანს ვერ გასტანა: თანამედროვეებმა მელვილი სათავგადასავლო რომანების ავტორად მიიჩნიეს მწერალ გამართობად მკითხველები და გამომცემლები კვლავ სათავგადასავლო რომანს, სამხრეთის ზღვების ენჭულთა ეგზოტიკური სამყაროს „სასწაულეს“ ელოდნენ, მელვილმა კი მათ მიაწოდა ფილოსოფიურ-პოლიტიკური რომანი-ალეგორია „მარდი“ (1848), რომელიც ძალზე თავისებური კომპოზიციით გამოირჩეოდა. მძაფრი კრიტიკისათვის, რომელიც ნიღაბს ხდიდა „თავისუფალ ამერიკას“ მწერალს თავს დაესხნენ. უფრო დიდი აღშფოთება მოუყვა მის შედეგს „შობი დიკს“ (1851), რომელშიც ამერიკელი საზოგადოებრივი ცხოვრება ალეგორიებისა და სიმბოლოების ნაკადად მოედინება. რომანი „პიერის“ (1852), გამოსვლის შემდეგ კი მელვილი გვიად გამოაცხადეს და საბოლოოდ ზერგი შეაქციეს.

მკაცრი იყო ლიტერატურული ამერიკის განახენი: მან არ ენო დიდი მწერლის ტაღანტი. რა ყველასაგან დაიწყებუი მოკვდა, მის სიკვილს მხოლოდ „ნიუ-იორკ ტაიპის“ გამოცხმებრა. მასში მოთავსებუი მოკლე ნაკრო-10. „მნათობი“, № 10.

ლოგი იუწებოდა „ვინმე პენრი მელვილის გარდაცვალებას“.

ამერიკელი რომანტიზმის საოცარი გენიოსის ტრავიკულ ცხოვრებას ემიგრამად შეიძლება წაფემძღვროთ მარკ ტვენის არანაკლებ ტრავიკული სიტყვები: „მხოლოდ მკვდრებს აქვთ სიტყვის თავისუფლება, მხოლოდ მკვდრებს აქვთ ნება სიმართლის თქმისა. ისევე როგორც ყველგან, ამერიკაშიც სიტყვის თავისუფლება მხოლოდ მკვდარსა აქვს“.

თავის თანამედროვე საზოგადოებასთან მელვილმა კონფლიქტი პირველსავე ნაწარმოებებში გამოავლინა. „ტაიპი და „ომუ“, ერთი შეხედვით, წმინდა ავტობიოგრაფიული სათავედასავლო რომანებია, რომლებსაც საფუძვლად სამხრეთის ზღვების ენჭულთაზე ავტორის მოგზაურობის შთაბეჭდილებები დაედო.

1841 წელს მელვილი მიეწყო ვეშაპსანდირო ხომალდ „აკუმენტე“, რომელიც წყნარ ოკეანეში მიემგზავრებოდა სამი წლით. 1842 წლის ივლისში, როდესაც „აკუმენტმა“ ჩაუშვა ღუზა მარკიზის ერთ ერთ ენჭულ ნუკიპიკას ყურეში, ვეშაპსანდირო ტომის გრინთან ერთად მელვილი ხომალდიდან გაქცა. მათ დეზერტირობაში საოცარი არაფერი ყოვილა, რადგან „აკუმენტის“ 23 წევრიანი ეკიპაჟიდან ეამეტმა მუზღავრმა დატოვა ხომალდი. გაქცევის მიზეზი უხეში მოპყრობა, სურსათ-სანოევის უკმარისობა იყო.

მელვილსა და მის მეგობარს ენჭულის ბეობებში დასახლებულ ტომებზე საკმაოდ ბუნწი ინფორმაცია ჰქონდათ. მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ტაიპებს კანიბალთა მძეინვარე სახელი ჰქონდათ გავარდნილი, ხოლო მათი მუზობუი გაპარების ტომი ტაიპის მოსისხლე მტერი, სიკეთისა და სტუმართმოყვარეობით იყო განთქმული. ლტოლვილებს გზა დაებნათ და ტროპიკულ ბარდებში გაებნენ. შემდეგ,

როგორც იქნა, გავიდნენ ველზე, სადაც ის ტომი ბინადრობდა, რომელთან შეხვედრასაც გავრბოდნენ. მითღა ვასაოცრად, ველის მხოვრებლები ძალზე გულთბილად და სტუმართმოყვარულად შეხვდნენ თერთ აღმამანებს. კანიბალებთან სტუმრობითა დაშინებულმა ტომებში მეორე დღესვე მოახერხა გაქცევა. მომავალმა მწერალმა კი პოლინეზიელ კანიბალებთან ერთ თვემდე დაყო.

მელვილის თვალწინ გადაიშალა უღამახესი ქვეყანა, მისი რომანტიკული ხეობები, ატეხილი ქალები და აფეხვებული ველები, ნაგაფლუები და ჩანჩქერები, ქოქოსის ხეების ჩრდილოვან ტოტებქვეშ უწყსროვოდ მიმოფანტული, ყვითელი ლერწმისაგან წნული ქოხებით. ასეთივე მშვენიერი იყვნენ ამ მაღლიანი ველის მკვიდრნი. შთა შვეწნოდათ განმრთელი სხეული, თვთრად მოვლვაზე კბილები და ოქროსფრად მოლალაზე კანი. პერმან მელვილი მთელი არსებით შეეწყო პრიმიტიულ ცხოვრებას და შეივსო განმრთელობის სიამე. იგი ეცნობოდა წარმართთა იდუაწესებს, მონაწილეობდა მათს რელიგიურ დღესასწაულებში. ამ განმართებულ ველზე ჰყოფა მელვილმა პირველად სიმშვიდე. თუმცა სულ სამიოდე კვირა დაყო მან სტუმართმოყვარე „კანიბალებთან“, მაგრამ სამუდამოდ დარჩა მის მესხვრებაში ტაიბის წარმტაცი ველო, რომელიც მით უფრო იღვრადღვრად ესახებოდა, რაც უფრო აუტანელი ხდებოდა „ცივილიზებული ველურობა“. მას დაუკავშირა მწერალმა თავისი ოცნება უელასო საზოგადოებაზე.

„ტაიბის“ პოლინეზიელ კანიბალებთან ცხოვრების მოკლე ეპიზოდი დაელო საფუძვლად. მელვილმა მოგზაურის ნიღაბი აიფარა და დაწვრილებით აღწერა ტაიბთა ყოფა, შექმნა ცოცხალი და დამაჯერებელი სურათები კუნძულის მოსახლეოა მატერიალურ ცხოვრებაზე. „ტაიბის“ მოჩვენებითმა ეთნოგრაფიულობამ მეთხველი დააბნია. მელვილის დანამედროვეება წიგნი მიიღეს, როგორც მოგზაურის სარწმუნო ანგარიში მარკიზის კუნძულებზე 4 თვის ყოფნის შესახებ. „ტაიბის“ გამოსვლის შემდეგ მელვილი ერთხმად აღიარეს ანთროპოლოგად და მარკიზის კუნძულებს ექსპერტად გამოაცხადეს. ეთნოგრაფიულობა ამ წარწომების ერთ-ერთი მთავარი ღირსებათაგანია, თუმცა ავტორი თვით არ იყო დაინტერესებული ამით. ისიც არის ვასათვალისწინებელი, რომ სამი კვირის განმავლობაში მწერალი (მან ხომ ნამდვილად 3 კვირა დაყო ტაიბის ველზე) რა თქმა უნდა, საფუძვლიანად ვერ შეძლებდა ტაიბთა ყოფა-ცხოვრების შესწავლას. მელვილმა საკუთარ შთამბეჭდილებებს სხვათა ნაწერებთან ნასუსხებდა ფეჭტებიც მიუმატა, ზოგი რამ თვითონ შეთხზა. მელვილს არ დაუსახავს მიზნად მკითხველისათვის გა-

უხარებინა თავისი შთამბეჭდილებები პოლინეზიის კეთილშობილი ველურების შესახებ. წიგნი უშუალოდ დაკავშირებულია მელვილის თანადროულ უმნიშვნელოვანეს პრობლემატთან. დღეს უკვე სავსეო არ არის, რომ „ტაიბის“ დოკუმენტური ნარკვევი არ ვახლავთ, იგი უტოპიაა. ნაწარმოების იდეურ-მეტატრული საფუძვლის ჩამოყალიბებაზე გადაწყვეტი ზეგავლენა იქონია XIX საუკუნის 40-იანი წლების ამერიკის მკაცრი სინამდვილის გამოცდილებამ და სოციალურმა ექსპერიმენტებმა. მულვილი თავის რომანტიკულ უტოპიას მაშინ ქმნიდა როდესაც XIX საუკუნის შუაწლების სინამდვილემ დაამსხვრია ოცნებები, რომლებიც შთაავიწებდა ამერიკელ რევილუციონარ მებრძოლებს, ჩააშო ნათელი რწმენა ამერიკის ბედნიერი მომავლისა.

რესპუბლიკის ახალგაზრდობის პერიოდში ამერიკელებს მტკიცედ სწამდათ, რომ თავისუფლებამოძოვებულ ქვეყანაში შეიქმნებოდა ბედნიერი და პარმონიული საზოგადოება. ახალგაზრდა რესპუბლიკის პირველი ათეული წლები იძლეოდა საბაბს ამგვარი ოპტიმიზმისათვის. ამერიკელთა რწმენის განმტკიცებას განსაკუთრებით უწყობდა ხელს საუკუნის დასაწყისის ამერიკული სინამდვილის ზოგადრთი სპეციფიკური თვისება, სახელდობრ, ვეებერთელა თავისუფალი მიწების არსებობა. ამ ფაქტმა შექმნა ილუზია ამერიკის ეკონომიური და პოლიტიკური გაფურჩქნის უსასრულო შესაძლებლობისა. თავისუფალი მიწის დიდი რეზერვი იმის საფუძველი ვახდა, რომ ამერიკა საუკუნის დასაწყისში უმთავრესად ეთარბებოდა, როგორც ავარარული ქვეყანა. კაპიტალიზმი შედარებით ნელა მიიწვიდა წინ და ამდენად არ შეიძლება ბუკეთაზიული საზოგადოების წინამდგეგვრები ისეთი სიმძაფრით გამომცლავებულყო, როგორც ეს მოგვიანებით მოხდა. სამრეწველო რაიონებში ხელფასი დიდი იყო, ხოლო უმუშევრობას არ მოსდევდა ისეთი საზოგადოებრივი კონფლიქტები, რაც დამახასიათებელი იყო ინგლისისათვის. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე ამერიკის შერკთებულ შტატების ინტენსიურმა ეკონომიურმა განვითარებამ, რომელიც დაიწყო ე.წ. დამოუკიდებლობის მეორე ომის შემდეგ (1812-1814). ასე, რომ, 10-20-იანი წლების ამერიკული სინამდვილის უარყოფითი მხარეები დაჩრდილული იყო ბრწყინვალე წარმატებებითა და პერსპექტივებით. მაგრამ პირველი ათეული წლების გულმბრკვილი ოპტიმიზმი ხანმოკლე აღმოჩნდა. XIX საუკუნის შუაწლების მკაცრმა სინამდვილემ არ გაამართლა საუკუნის იმეება.

30-იანი წლების ამერიკაში კაპიტალიზმის სწრაფი წინსვლა იწყება და თანდათან ირდევია პატრიარქალურ-ფერმერული წყობა. საუკუნე-

ნის დასაწყისში ჩასახვის პროცესში მყოფმა წინააღმდეგობამ თანდათანობით დასრულებული სახე მიიღო. 30-იანი წლების მეკაცმა სინამდვილემ უღმობილად გააქარწყლა ამერიკელთა ილუზიები და ოცნებები. უკიდურესად მწვავედმა მიწის პრობლემამ — ამერიკის ისტორიის მთავარი საკითხი, მონები უქანუდებიან მონათმფლობელებს, არჩაქული სისწრაფით მრავლდება ამოლიციონისტური საზოგადოებები და ღალატის ამერიკული საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა ხდება. ამერიკელი ლიტერატურის ისტორიკოსი ვან ვიკ ბრუქსი 30-იან წლებს ასე ახასიათებს: „მხვენელ-მთესველთა სამყარო წარსულს ბარდობდა და აღვალა უთმობდა სამყაროს, სადაც გაბატონებული ძალა ფულს ეკავა, სადაც ყოველისშემძლე ღალატმა მისი მსგავსად სუფევდა ქვეყანაზე. ძველი ბატონობა ამერიკა კვდებოდა“.

სიმდიდრის მოხვედრამ შთანთქა ამერიკელთა ყოველი კეთილი ზრახვა, ინტელექტუალურმა ინტერესებმა შეიანა პლანზე გადახალცილა რუსოს, ვოლტერის სახელები კი, რომლებითაც ასე იყვნენ დაინტერესებულნი და აღფრთოვანებულნი ამერიკელები — წერს ვან ვიკ ბრუქსი — ფაშ სიტყვებად გადაქცა. ამერიკელები მართო უფიცი კი არ გახდნენ, არამედ თავხედი და მეგზხარები.“

30-იან წლებში მომხდარმა ცვლილებებმა განაცვიფრა ვაშინგტონ ირენიგი, რომელიც ამ დროისათვის საზღვარგარეთიდან დაბრუნდა თუმცა ირენიგი, სავრთოდ მზარს — ექვრდა ინიციატივანიობას, მას აწინებდა ქვეყნის ინტელექტუალური სიღარიბე. 30-იანი წლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით გაკვირებული კუმერი 1833 წელს ნიუ-იორკიდან შობილებს სწერდა: „აქ ყველა ლაბარაკობს ფულზე ან მის უქონლობაზე. რას უნდა მოელოდეთ ვარჯს ასეთ ქალაქში, რომლის ყველა მისწრაფება და ზრახვა მიმართულია ფულის შოვისაკენ“.

ასეთივე შთაბეჭდილება მოახდინა 30-იანი წლების ამერიკამ მეორე დიდ რომანტიკოსზე, ბრაიენტზე, რომელიც, ირენიგის მსგავსად, ამ დროისათვის დაბრუნდა სამშობლოში.“ ნიუ-იორკში დაბრუნებამ დიდად გააიჭრუა იმედი — წერდა იგი 1836 წელს — ეტყობა აქაურ მკვიდრთა ყოველგვარი აზრი ჩახშობილია სიმდიდრის მოხვედრის სურვილით. ყოველ შემთხვევაში, აქ სხვა არაფერი ლაპარაკობენ“.

ტრადიციული ილუზიები ამერიკაზე, როგორც თავისუფლებისა და იდეალური დემოკრატიის ქვეყანაზე, აღვიღს უთმობდა ამერიკული ცხოვრების ნამდვილ სახეს. ზანთა მონობა, ინდიელთა ამოწყვეტა, ღალატის გაღმერთება, დაპყრობითი ომები, ფინანსიური ეგოცენტრიზმი, პოლიტიკური ავანტიურისზმი — ია განსაზღვრავდა ამერიკის სინამდვილეს.

1837 წელს ამერიკას თავს დაატყდა კრიზისი. კრიზისის დამანგრეველმა შედეგებმა სობოლოოდ გაფანტა ამერიკელთა ილუზიები, თითქმის მათი ქვეყანა დასოფეველი იყო ვერტონის ეკონომიური და სოციალური წინააღმდეგობებისაგან. კრიზისმა უბიძგა მათ ცხოვრების გარდაქმნის პრაქტიკული გადაწყვეტისაკენ. ამერიკელები იძულებულნი გახდნენ ცხოვრების ახალი წესი მოეხახათ, 40-იან წლებში ტარდება მრავალი უტოპიური ექსპერიმენტი. ამ ექსპერიმენტებს ამერიკელებსათვის ცხოვრების ისეთი მაგალითი უნდა ეჩვენებინა, რომელიც ბევრად უფრო უკეთესია და ამაღლებულ პრინციპებს ემყარებოდა. ვიღერ მათი ცხოვრების განსაზღვრელი ყალბი და უღმობილი პრინციპები იყო. ბევრ შტატში შეიქმნა კოლონია, ზორციელდებოდა უტოპიური ლონისბიებები. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა ფურციერისის პროპაგანდას. თანამედროვეთა შორის დიდად პოპულარული იყო კოლონია „ბრუკ ფარმი“ რომელიც ტანსკენდენტალისტმა ჯორჯ რობინ დაარსა ბოსტონის მახლობლად. კოლონისტების მიზანმიყრით შექმნათ თავისუფალ და-ბუნდირ ხალხთა კოლონია, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა მანკური საზოგადოებისაგან და ცივილიზაციის ყალბი ევრებისაგან განთავსდებოდა.

1844 წელს მეორე ტრანსკენდენტალისტმა ამოს ოლივტამ დაარსა კოლონია ფრეტლენდის“ სახელწოდებით. 1845 წელს ჰენრი თორომ ჩაატარა ექსპერიმენტი „ქარგიცხოვრების“; იგი ორი წლის განმავლობაში განმარტობდა უოლდენის ტყეში, ცხოვრობდასაკუთარი ხელით აგებულ კოხში, ხელი იღო მატერიალურ კეთილდღეობაზე. 1847 წელს თორო კვლავ დაუბრუნდა ცივილიზებულ სამყაროს და დაწერა წიგნი „უოლდენი ანუ ცხოვრება ტყეში“, სადაც მკითხველს გააცნო თავისი ექსპერიმენტი და მკაცრად გააკრიტიკა თავისი თანადროული სინამდვილე.

ამერიკელი რომანტიკოსები, თუმცა ისინი სინამდვილეს მძაფრად აკრიტიკებდნენ, მაინც სკეპტიკურად განეწყვნენ სოციალური ლონისბიებებისადმი. ჰენრი თორომ რომანი „უოლდენი ანუ ცხოვრება ტყეში“ თავისი ექსპერიმენტის დასამტკიცებლად შექმნა, ამერიკელმა რომანტიკოსებმა კი არ მიიღეს სოციალური უტოპია და ანტიუტოპიებით გამოეხმურნენ მას.

1848 წელს გამოვიდა ფენიმორ კუერისის „კოლონია კრატერზე“, რომელშიც ნაიწვენობა სოციალური უტოპიებზე დაფუძნებულ ექსპერიმენტებს განუზოკიცებლობდა.

მეორე დიდმა რომანტიკოსმა ნათიიელ პოთორნმაც თავის რომან „ბლიატდეილი“ (1852) გააკრიტიკა რეფორმატორთა ცდა შეექმ-

მნათ სრულყოფილი საზოგადოებრივი წყობა არსებული სინამდვილის პარობებში.

უტოპიური ღონისძიებებისადმი ამერიკელი რომანტიკოსების კრიტიკული დამოკიდებულება არ იყო გამჭირვალად მიყვებულნი. მათ შეამჩნიეს, რომ რეფორმატორთა მოძრაობა არ სცილდებოდა კაპიტალისტური წყობის ჩარჩოებს.

არც პერმან მელვილი ცდილა ამერიკელებსათვის ენჯენებინა მართებული ცხოვრების წიშეში ან საზოგადოების გარდაქმნის გზა. მელვილი, უპირველეს ყოვლისა, ისწრაფოდა სიანათლებზე გამოტანა ცივილიზაციის მანკიერება პოლინეზიის ველურთა იდეალური ყოფისა და პურტუგალიური საზოგადოების დაპირისპირებით, ზოლო, ამისდა ყველად, ფარული პოლემიკა გაიმართა ტრანსცენდენტალისტების მოძღვრებასთან.

მელვილი დიდი სითბოთი და სიყვარულით გვიხატავს პოლინეზიის მცხოვრებლებს, მიაჩნტ, მაქმევიით სათნო და ენობისწყევარე ხალხს. პურტუგალიური ცხოვრების ნორმებსა წინააღმდეგ ზრინალი გამსჭვალულ მწერალს მისწონს ეს უბრალო ადამიანები, რომელთა ერთიერთობა ადამიანურ საწყისებზეა დაფუძნებული.

მელვილი დაწვრილებით აღწერს ტაიბთა საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაგრამ ამ ცხოვრების ველა მხარეს ერთიანი სისტემით როდი ვაღმოვცევს. მწერალი არ ცდილობს სისტემატური ენობები მოგვაწოდოს ტაიბის საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე. მან ვერ გაიგო ტაიბთა საზოგადოებრივ ურთიერთობის არსი. რასაკვირველია, სამი კვირის განმავლობაში ამას ვერც შესძლებდა. მელვილის მიერ აღმატულ სურათს ავლია მთლიანობა. იგი ყურადღებას ამახვილებს ველურთა საზოგადოებრივ შეგნებაზე, მორალზე, ზიზლავს ველურთა ის თავისებება, რომლებიც დიდი ხანია დაკარგა ცივილიზებულმა ადამიანმა. ტაიბები პუნებასათვის შეუზღუდვანი და თავისუფალნი, შშვიდნი და თავდაპირინი არიან. უყვართ ზუნება, შზე; მათ არ ახასიათებთ სიყალბე და ფარისევლობა.

მელვილი აღფრთოვანებით გვიყვება უბრალოების, სისადავის, ფიზიკური სილამაზისა და შინაგანი პარმონიის ამბავს. ისინი საოცარი ურთიულვანებით გამოირჩევიან, ყველაფრს მიგაშრულად და შეთანხმებულად აკეთებენ, მათთვის უცხოა შულო და მტრობა. ტაიბებო მტკიცე სიყვარულით შეედლებულ ერთ ოჯახს შეადგენენ. ისინი თავისუფალნი არიან ცივილიზებული საწყაროს ინსტრუქტორისა და საზოგადოებრივი მოვლენებისაგან, მათ არ გააჩნით სასამართლო, კანონები და არც პოლიცია ტაიბებს არა აქვთ ქურდობის შიში და არასოდეს ჰკეტავენ სახლებს. უყვნიეთ ლაქმეშიც კი მათ ვარლია ბინებში შინაეთ და აზ-

რადაც არ მოსდით თუ შეიძლება მკვლელობა არსებობდეს ქვეყნად. არაეინ ისევე წესრიგის დარღვევისათვის, ისინი ბედნიერი პარმონიის პირობებში ცხოვრობენ.

ტაიბები ბუნებასთან პარმონიულად არიან შერწყმულნი. ისინი ისევე თავისუფლად გრძნობენ თავს წყალში, როგორც ხმელეთზე. ბუნებაა მათი ერთადერთი სიმდიდრე.

მელვილს იზიდავს ტაიბთა უბრაუება, პირველყოფილი ფიზიკური ენერგია, სიკეთისაყენ ღტოლა. მათ არ იციან სიმდიდრისა და სიღარიბის კონტრასტები, ფული, საყვთრება აქ არ იყო არც ერთი იმ საშინელ გამოკონებათაგანი, რომელიც ცივილიზებულმა ადამიანმა შექმნა თავისივე ბედნიერების საზიანოდ. ამ ველზე არ იყო საგირავნოს კრედიტორები, არც გამარტესტებული თამასულები... არც ღარიბი ნათესავები იყვნენ, არც საცოდავი ქვრივები (რომელთა შვილები შიშშილით კვლებიან საქველმოქმედო დაწესებულებებში), არც მათხოვრები, არც სავალო ციხეები... ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, არ იყო ფული ეს სათავე ყოველგვარი ბოროტებისა.

სწორედ ტაიბის იდეალურობა ხდება მელვილის სოციალური კრიტიციზმის საშუალება. ტაიბის ველი. — სადაც არ არის საყვთრება, ფული, ექსპლოატაცია, სადაც არ არის თანამედროვე ცივილიზაციის ის ინსტრუქტები და საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც, მელვილის აზრით, კაცობრიობას ბედნიერსა და თავისუფალ ცხოვრებას უშლის ხელს, — შკაცრი განაჩენია მელვილის თანადროული ცივილიზაციისათვის.

„ცივილიზაცია“ და „ბარბაროსობა“ მელვილის ნაწარმოებში ორი ერთმანეთისაღმე დაპირისპირებული საწყაროა. სიტყვა „ცივილიზაცია“ ზმირად ვხვდებით „ტაიბის“ ფურცლებზე. ამ სიტყვაში ავტორი გულისხმობს ყოველივე იმას, რასაც აღუშფოთებია იგი.

მელვილის თანამედროვე ცივილიზაცია დაფუძნებულია სიკრუესა და უსამართლობაზე, ადამიანთა ურთიერთობაში ფეხმოყიდებული სიყალბე. ერთი სიმდიდრისაყენ, ძლიერებისაყენ მიიღტვის, შეორე კი სილატაციისა და შორჩილებს შონა ხდება. „ბარბაროსთა“ საწყაროში კი ნამდვილი, კეთილი ადამიანები არიან, მათი ურთიერთობა ადამიანურ საწყისებზეა დაფუძნებული. მათ ახასტროს აზრადაც არ მოსდით იშოქმედონ ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის წინააღმდეგ. ისინი ცხოვრობენ ქობებში. რომლებსაც თვით ამაბენ, იცაშენ ტაბუს, რომელსაც თვითონ აშალებენ. ველურები ბეგრად უფრო ბედნიერი არიან, ვიდრე მათი „განათლებული ევროპიელები“. მათი ბედნიერების საფუძველი ის არის, რომ სრულიად თავისუფალნი არიან ცივილიზებული საზოგადოების მავნე ტენდენციებისაგან.

კანაბალიზშიც კი არ აყენებს ჩრდილს ტა-

იპის იდეალურობას, „ბარბაროსობის“ ამ ბნელ მხარესაც კი შევლილი ცივილიზაციის მანკიერების საშიშროებლად იყენებს. მართალია, ტაიპები ღრეობის დროს დამარცხებულ მტერს ჰამენ, მაგრამ განა ცივილიზებული ადამიანი თავის საკუთარ მოქალაქეებს უფრო ცუდ დღე-ღამეს არ ავადებს? შევლილ იმდენი შავალითი მოპყვას ცივილიზებული „ბარბაროსობისა,“ რომ ტაიპთა კავთამობა უბრალო გასართობად გვეჩვენება.

„მე ვკითხვობ, ნუთუ ადამიანს ხორცის ჰამა ბევრად აღემატება იმ ჩვეულებას, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ მისდევდნენ განათლებულ ინგლისში? ამ ჩვეულებების თანახმად, სახელმწიფო დამანაშავედ აღიარებულს, ან შესაძლოა, ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება პატროსნება, პატრიოტიზმი და სხვა ამგვარი „საშინელი ცოდვები,“ უზარმაზარი ნაჯახით კეთოდნენ თავს, შიგნულთაბას გამოუღებდნენ და ცეცხლში ისროდნენ... ეშმაკისეული ხელოვნება, რომელსაც ჰვენ ეხდათ სიკვდილის მთესველი ყოველგვარი მანქანის გამოგონებაში, გაუთავებელი ომები და დამსჯელი ექსპედიციები, ეს ყველაფერი საქმარისა იმი-სათვის, რათა ადამიანი გამოგაცხადოთ უვალაზე უფრო სისტიკ ცხოველად დედამიწაზე.“

შევილი ადვრთოვანებით აღწერს ველურთა შიშველი სხეულის სილამაზეს, იმას, თუ რაოდენ უფრადღებას უთობენ, განსაკუთრებით ქალები, კანის, კბილების მოვლის, გულრთა ფიხიერის სილამაზე ცივილიზებული ადამიანის გვიცხების საშუალებად არის გამოყენებული. შერაბი მათს მოწონისა და დიოერ, მზისაგან აღანძულ სხეულებს ცივილიზებულ ადამიანთა შევარდნილ გულ-ჰეკრდსა და ვიწრო მხრებს ადარებს და უბრატერსობას პირველს ანაქებს.

მისიონერთა მონათხრობებში ტაიპები წარმოღვენილი იყენენ უმეცარ წარმართებად, რომელნიც რელიგიური დღესასწაულების დროს თითქოს ადამიანს მსხვერპლად სწირავდნენ და სხვა ათასგვარ სისაძაღლეს სჩადიდნენ. შევილი უარყოფს მისიონერების მიერ ტაიპების წინააღმდეგ წამოყენებულ ახეთ ბრალდებას. ტომი ისწრება ტაიპთა დღესასწაულებს და რწმუნდება, რომ ეს დღესასწაულები საშობატლოდ გამოსული ხალხის უბრალო თავყარობაა. მათს ტაძრებში ტომი ხშირად ზედაეს ღმერთისადმი მიძღნილ შესაწირავსაც: ობმოკიდებულ ნაყოფებს, თუშ-ცა ტაიპების რელიგიური მსოფლმხედველობა ტომისათვის იდეალურობით იყო მოცული, მაგრამ იგი მაინც ივიდა იმ ლოგიურ დასკვნამდე, რომ რელიგიის საკითხებს ტაიპები უბრალოდ ევადებოდნენ: თავიანთ უცნაურ წეს ჩვეულებათა აღსრულებაში ისინი ბავშვურ ვართობას ზედადნენ

შევილის მიზნად არ დაუსახავს ეჩვენებინა „ბუნებრივი ადამიანის“ უბრატერსობა ცივილიზებულ ადამიანის წინაშე. ის არღელვებდა „ბუნებრივი მდგომარეობას“, რათა დავიკროს-პირებინა იგი მოტივენლობით შერყვნილ, მოგებისა და მოხვევის სურვილით შეპყრობილი თანდართული საზოგადოების ადამიანისადვის. შევილი აქებს უბრალო და ქანად არსებობას, რითაც ეფანშება ეს ევარტოსის, რომლის მოძღვრებაც ათასგვარი სახეცელიუბით, დიდად პოპულარული იყო ტრანსცენდენტალისტების ეპოქაში. მაგრამ შევილი უბრალო პოლემიკას მართავს ტრანსცენდენტალისტების დოქტრინისათვის: „უცან ბუნებისსაყენ-რაც დაფუძნებული იყო იდეალისტურ ნი-დავაზე.“

დასაწყისში ტომი ისწრავდის გაქცევის ვეშაპსანადირო ხომალდ „დოლიდან“, რათა სიშშვიდე შოიპოვის განმარტებულ ველზე. იგარტებობს მზიან ზეობებსა და წარმართთა რიტუალებზე. ეს ოცნებები ისევე ავიციტების ტომის, როგორც ისმაილს კუზიანი ვეშაპის ლანდი. მარჯობის კუნძულები ჯადოსნურ ასოციაციებს აღუძრავს მას, როდესაც „დოლიმ“ მარჯობის კუნძულებისაკენ აიღო გეზი, ტომში დიდად გახარაჰამს თვალწინ წარმოუღდა აუვაიებული, მწვანეანი ჩაფლული, ტროპიკული მზით გამობარა კუნძულები, ქოთოსის პალმის ქალები, მზიური ველები. იგი მთელი ასტეებით მიისწრავდის გაქცევის „დოლის“ უფრულ ცხოვრებას და თავი შეაფაროს წარმტაც ველებს. „ტაიმი“ ტომის უმყოფილებით იწყება, ექვსი თვე გაშლილ ზღვამს დაბ, წარმოღვივ შეითხველო, ექვსი თვის განმავლობაში არ იხილო ჰმელეთი... თავს ზვეით ცაა, ირგვლო ზღვა და სხვა არაფერი... უცვე რამდენიმე კვირაა, რაც სანოვავის მარავი-გავცოთავდა. არ დავერბა არცერთი ცალი კარტოფილი, იამსის ნაყოფიც გავცოთავდა. ვაქრბანანის წვნიანი მტენებიც, რომლებიც ერთდროს ამშვენებდა ჰემის გემის კინოსა და შუბანს, დაბ, ჰვენ აღარაფერი შევერრა კახაქისა და ორტობობისა ვარდა... ნეტავ ერთი ხალხი მაინც დაგვანანება, ერთხელ მაინც შეგვასუნრტა-მივის სურველებსა ნუთუ ჩვენს ირგვლო სულ არ არის სიმწვანე... ო, როგორ მაინდა კვლავ ეხილო ცოცხალი მიწა.“

ტომი ხომალდიდან გაქცევის აპირებს და ემებს საპატო მიზეს დეზერტრობის ვასამართლებლად. გაქცევის მიზნად ტომი კაპიტან პიხას სისასტიკეს ასახელებს. მაგრამ შთავარბ მიზეში კაპიტნის სისასტიკე კი არ იყო, არამედ სურვილი იმისა, რომ დაბრუნებოდა „ბუნებრივი მდგომარეობას“ და პრაქტიკულად შეაოწმებინა ტრანსცენდენტალისტების მოწოდება: „უცან ბუნებისსაყენა.“

„დოლიზე“ უფერული ცხოვრების შემდეგ შვიანე ტაიპიზე სიცოცხლე ერთ-ორად უფრო მიმხლებულია, მაგრამ ეს მიჩვენებითია. ტომო პუნებასთან შეტყობის უნებარესს ექსტრას გარეცდის. მას მოსწონს პოლინეზიელების ზნე-ჩვეულებათა უბრალოება, ვაჭობა, რელიგიური დღესასწაულები, მაგრამ მალე ბეზრდება პრიმიტიული ცხოვრების სიმშვენიერე მისი წარმოდგენა ღარიბდება, აზრი იფერფლება და გულს სულიერ საზრდოს ველარ აწოდებს.

მელვილს არასოდეს ხიბლავდა პრიმიტიული ცხოვრებისაგან მიზრუნების სურვილი. თუმცა იგი განაცხადებდა იმ ფაქტმა, რომ „ველურ“ გაცილებით უფრო ბედნიერია, ვიდრე თეთრკაყოფილი ევროპელი“, მას არც კი უღიჭრია, რომ სამუდამოდ დარჩებოდა მათთან. ეს ხომ ჯონების უარყოფა იქნებოდა. მელვილს ესმის, რომ ისტორია განუყოფელია პრაქტიკაში. XIX საუკუნის აღმართი, რომელმაც განათარება ართული გზა გაწვლი, ვერ დაუბრუნდება პრიმიტივს. ველურისათვის უცხოა პატრუ-მოყვარება, ანგარება, მაგრამ მისთვის ამავე დროს უცხოა შემოქმედებითი აღმადრენაც, აზრის ძიებაც. შეუძლებელია უკულმა დაატრიალო ისტორიის ჩარხი და ვადაბალისო აღმართები პრიმიტიულ ყაიდაზე რელიგიოზოტრეზისათვის ეს ერთადერთი ცდა იყო იმისა, რომ ვანეზორციელებთან უტობია და შექმნათ დედამიწაზე ყველაზე უფრო სრულყოფილი წყობა. მათ კეთილშობილური მისია ივისტეს, შავრამ სრულყოფილი საზოგადოებრივი სისტემის მისაღწევად არჩეული საშუალებები შედარის იყო.

თავდაპირველად ტომო მთელი არსებით ისწრაფვის თავი შეაფაროს განმარტებულ ველს, რათა მოიპოვოს სიმშვიდე. მაგრამ მან მალე დაინახა, რომ არც ამით შეიძლება მიღწეოი ნამდვილ ბედნიერებას. თუკი ამ უკანასკნელს საზოგადოების სოციალური ბედნიერება არ უღვეს საფუძვლად. ამათა ინდივიდუალური ცდები ბედნიერების მოპოვებისა. ეს იდეა შემდეგ მელვილის რომან „პიერში“ ეითორდება და ამ წიგნის გაგების ერთ-ერთი გასაღებია. ტომო უარყოფს როგორც პრიმიტივს, ისევე სინამდვილიდან გაქცევას და სიხარულით ტოვებს კუნძულის მცხოვრებლებს.

აღმართმა არ უნდა ეძებოს თავშესაფარი უცხო სამყაროში. მელვილი ამ იდეას სიმბოლურად გამოხატავს: სხვა სამყაროში გაქცეული ტომო ჟესს იზიანებს. ჟესის ტყვილი აწუნებს მას ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტებში. თავდაპირველად ტაიპთა მეგობრული მოპყრობით და ველუები სტუმართმოყვარეობით თავბრუდამხვეულ ტომოს იარა თანდათან უშეშდება, მაგრამ ჟესის „საიდუმლო ტყვილი“ კვლავ ეწყება, როდესაც შემთხვევით თელს მოპყრავს მოკლულ მტერთა

თავებს. მას შიში იპყრობს, ვრძნობს, რომ სწავლითონო ტყვეობა შეიძლება სამყაროდ აღმოაფრდეს. ტომო რწმუნდება, რომ უნდა ღოდ ვასიებულ ფესს ვრწმუნდეს. უშეშელს აუცილებელი საექიმო დახმარება კი მხოლოდ ტაიპის მთებს მიღმაა შესაძლებელი. საქმარისა ტომო გაიქცეს ტაიპის ველიდან და ეეროპულ ზომალზე აღმოჩნდება, რომ მას მსწრაფლ უქრება ჟესის ტყვილი.

როცა ტომომ გაქცევა დააპირა, მას წინ აღუდგნენ ტაიპის ზნეჩვეულებათა გეშავები. ტომო მათთვის აღმართი რადია. მათი ვაგებით იგი კაცობაათაა დრეობის სამსხვერპლოა. ტომოს უკან მოსდევენ ცალთვალა ბელადი მოუშოვ და ამ ველის რელიგიის ქურთუმები. ვაფთრებული დენისას ისინი ვერიაან: „რუნი, რუნი“, რაც სიკვდილს ნიშნავს ტაიპთა ენაზე. აქ, როგორც მელვილის ყველა სხვა ნაწარმებში სახეებსა და მოვლენებს დამატებითი მნიშვნელობა ენიჭება. მარტეომ, უბრალო მოხეტიაე ველურმა, ტომოს მხარზე ხელი დაადო და გამოკვეთილად წარმოთქვა ორი ინგლისური სიტყვა: „დღა“ და „სახლი“, მარტეო თვალცრემლიანი ეშვიდობება ტომოს, მისი ცრემლების მიზეზი მარტეო შეილობლთან განმარტება როდია, არამედ იმის შეგნებაც, რომ ტაიპის მიღმა ბევრად უფრო ართული სამყარო არსებობს და იმ ქვეყნიდან მოსული მათთან სამუდამოდ ვერ დარჩება. სამყარო, რომლისკენაც ტომო მიიღტეს, მოითხოვს უსიტყვო კამიტულაციას (ტაიპები მზად არიან სვირანგებით შეალამზონ ტომოს სხეული). ზალა სამყარო კი, საიდანაც იგი გაბრბს. ყოველნაირად ცდილობს წინ აღუდგეს მის განზრახვას („დოლის“ კაიტიანი ჭილდოს პიირდება, თუკი ისინი ორ დეზერტერი მეზღვაურს დაიტყრენ).

ტომო უარს ეუბნება მეტეორანგე კორკის, რომელსაც სტრს თავისი ოსტატობა ტომოს სხეულზეც სცადოს. მის უარს საფუძვლად უღვეს საესებით ვასაგები შიში: დასვირანგებულ დამკარგავს „სახეს“ თავისი საზოგადოებისათვის. მარტეო კორკი კი არა, კუნძულის ყველა მცხოვრები, თვით კირი-კორი და ბელადი მეხვეცი კი აიძულდნენ მას მოისვირანგოს სხეული. აქ ტომოს გადაწყვეტილება კელმინაციის აღწევს. იგი არ ურჩევდება იმ აზრს, რომ შეინარტუნოს ფიზიკური არსებობა საკეთარი მე-ს დაყარვის ფასად. ტაიპები შეურაცხყოფლი არიან იმით, რომ ტომო უარყოფს ველის ადამ-წყისებს. „კანავა“ (ადგილობრივი მცხოვრები) შენ არსად ვაგიშვებს — ეუბნება მარტეო ტომოს, როცა ეს უკანასკნელი მას გაქცივის ვეგმას ვაეცნობს — შენ ხომ ტაბუ ხარ. რატომ არ მოგწონს აქაურობა? რამდენიც გინდა მოი-მოი (იძინე) აქ ბევრია კაი-კაი (საქმელი). ბებრია ვაიპინი (ვოკონები). ო, კარგი

ადგილია ტაბისი არ მოგწონს? მაშ, რატომ მოხვედრე? თუ რაღაც ეშინიათ ტაბისისა, ამიტომ არ მოდიან აქ.”

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ტომოს ტყვეობიდან ტაბისი კი არ ათავისუფლებს არამედ სწორედ უცხოელი კარაკოა, რომელსაც ურთიერთობა აქვს ნუკუქივაზე დასახლებულ ყველა ტომთან და მათ შორის, ტაბებთანაც.

იმ ხანებში, როცა მელვილი ტაბზე იმყოფებოდა, ეს ველი ნეიტრალური და ცივილიზაციისაგან ხელშეუხებელი იყო. ვერობის ხომალდები, მათი კაპიტანობით დანიშნულნი, თითქმის არ შედიოდნენ ტაბისა ურბში, ხოლო მეზობელი ტომებთან მტრული დამოკიდებულება მათ უფლებას არ აძლევდა საკუთარი ტერიტორიის გასცლოდნენ. ან კი რა მისცა ცივილიზაციამ მარკოზის კუნძულების მცხოვრებთ? „მე დაგრწმუნდი, — წერს მელვილი, — რომ ევროპელებთან ხანმოკლე ურთიერთობამ კი წარუშლელი კვალი დაინახა ნუკუქივას მცხოვრებლებს... კუნძულის მცხოვრებლებისათვის უკეთესია საშუალოდ დაჩინენ განცხრომაში მყოფ წარმართებად, ვიდრე, სანდვიის ბედურულ კუნძულების მცხოვრებთა მსგავსად, ტრისტრანები ვრქეთ და ვერ კი გააკონ ამ რელიგიის ნაწილად არის, ცივილიზებულ ცხოვრების ყველაზე საზიზარო მანკიერებისა და ბოროტობა მსხვერპლი ვახდენ.

პოლინეზიის იდილიურ სამყაროში შემოიჭრნენ დაუპატიებელი ოკეანის ვაღმელი სტუმრები და ძალადობით დაიწყეს თავიანთი რწმუნის გავრცელება, „პარაზიტობა“ სწორედ იმ ფეისებების მოსპობა, რითაც ღამაზნი იყვნენ.

სიძულელითა და რისხვით არის გამსჭვალული წინის ის ადგილები, სადაც მოახლოვდითა მისიონერთა, ამ ფარისებულ ღეთის მსახურთა მოვლიწებთა. „მე წარმოვდგინა არ მქონდა — წერს მელვილი, — რომ იქ დარჩენილი აბორიგენები ახლა იმდენად აჩიან ცივილიზებულნი და გატრისტრანებულნი, რომ პირუტყვად გადაიქცნენ. ეს კი ნამდვილად ასეა. მათ ლაგამი ამოსდეს, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, ახლა ისინი შორხილად დადიან უგუნურნი ცხოვრების მსგავსად, და შიათრევენ სულიერი მოძღვრების ეტლს“.

კერძოხელი ტროპიკული ცის ქვეშ ამაყად დადიოდა ბუნებისათვის თავისუფალი და შეუზღუდავი, ცივილიზაციით შეუბილწვია პოლინეზიის მეორეი. მაგრამ მოვიდნენ დაუპატიებელი სტუმრები და ცეცხლითა და მახვილით აიძულეს ელცათ მათი ღმერთი. მათ თან მოიტანეს ათასგვარი სნეულება, ვახრწნილება, სოკიდლი და თავისუფალ ხალხს თავს მოახვიეს თავიანთი ყალბი შორხილი. მათი დამანგრეველი მოქმედება კატასტროფული სისწრაფით ვრცელდებოდა სამხრეთის ზღვების კუნძულებზე. „რას უნდა მოელოდეს ცივილიზაციისაგან პოლინეზიის მკვიდრი? გულისტკი-

ვითი კითხულობს მწერალი. — მას შეუძლია განავითაროს მისი ვინაობა, ააბალოს მისი ახარი, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ? ხალხმე, მაგრამ იგი ვახდებდა კი უფრო მეტნიება? დავ, ამ კითხვის პასუხი ერთ ღმრის მკვიდროდ დასახლებული და აუვაკებული პავიის კუნძულებისა და ახლა ავიდმოვდი, შვიერი და ვადაგვარების გზაზე დამდგარი მისი მოსახლეობის ხვედრი იყო.“

მელვილი თვით ვახდა მოწმე მისიონერთა თვალმაქცობისა, რომელთა ღეთისმსახურება მაისავე კეთილდღეობას ხმარდებოდა. პოლინეზიელთა ნასახლარებზე მრავლდება მისიონერთა ლამაზი ვილები, ადგილობრივი მკვიდრნი კი დაუპატიებელი სტუმრები ხლებდნენ საკუთარი მიწა-წყლისა. „სამაგიეროდ; მისთვის ნვეული ირონიით დასძენს მელვილი, — ბრწყინვალე წარმატებაა მიღწეული, წარმართობის საზიზარობა ადვილს უთმობს კეთილშობილურ ქრისტიანულ წესჩვეულებებს. ბნელი ველური კეთილმა ევროპელმა შეცვალა.

მელვილიმა იწინასწარმეტყველა კოლონიური ექსპანსიის ტრაგიკული შედეგები, ცალკეულ შემთხვევებში კი თვით ვახდა მოწმე მარკოზის კუნძულებზე ცივილიზაციის დამანგრეველი მოქმედებისა“ ის ბელტრული ხალხი! სამინელების მკვრის იმის ვაფიქრებაც კი, თუ რა ცვლილებებს მოუტანს მის ბედნიერ არსებობას უახლოესი წლები, და შესაძლოა, როცა ცივილიზაციის ყველაზე დამღუპველი მანკიერება და ბოროტება ველიდან საშუალოდ განდევნის შვიდი ცხოვრების სიხარულს, დიდსულთა ვინაობა ვინაობა აუწყებენ სამყაროს, რომ მარკოზის კუნძულები საბოლოოდ ქრისტეს რაყულზეა მოჭედილი. კათოლიკური სამყარო აღტაცებაში მოვა. ღმერთო, შენ უშველე სამხრეთის ზღვების მცხოვრებლებს!“

მელვილის მომდევნო უტოპიური რომანი „ომე“ ავანიშნის გმირის თავგადასავალს ტატიზე; ოკეანეთის ძირითად მოსახლეობაზე მისიონერთა გამხრწნელი ვაგენია „ომეში“ უფრო თანმიმდევრულად არის დახატული.

მელვილი ტატი მისი ისტორიის იმ დრამატულ მომენტში ინახლა, როდესაც ფრანგმა კოლონიზატორებმა ბოლო მოუღეს თავიანთი ინვალისედი კოლეგების ბატონობას და, თუმცა ამ უკანასკნელთ დიდი წინააღმდეგობა გასწიეს, ტატიის დედოფალი პომარე IV მინე აიძულეს საფრანგეთის პარტიკტორატი ეცნო. ინვალისედი მისიონერები დიდხანს ბატონობდნენ ტატიზე. ისინი აველირას ვასანთლებდნენ“ მოველინენ ტატიის. კუნძულის მცხოვრებნი შიშისა და სიძულელიის შერეული გრძნობით უცქეროდნენ თეთრ მომხდურებს, რომლებიც ასე უხეშად დაუპატრონენ მათს ადგილებს. წინააღმდეგობის გაწევის ყოველგვარი ცდა იარაღის ძალით იქნა ჩახშო-

ბილ. ინგლისელმა მისიონერებმა სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოაცხადეს ტაიტიზე. კუნძულები თითქმის დაპყრობილი ჰქონდათ ინგლისელ კოლონიზატორებს. როდესაც 1836 წელს ფრანგი კათოლიკი, მისიონერები გადმოსახლდნენ და ახლა მათ მოინდომეს ადგილობრივ მცხოვრებელთათვის თავზე მოეხვიათ თავიანთი დამპყრობლური სურვილები.

ფრანგი მისიონერებიც, მათი ინგლისელი კოლეგების მსგავსად, „ველურთა განათლებიანია“ ნიღაბს ამოეფარნენ. სინამდვილეში კი ისინი გამოგზავნილი იყვნენ საფრანგეთის საზღვაო სამინისტროს მიითვებთ, რათა ხელს შეეწყობათ ფრანგი კოლონიზატორებისათვის კუნძულის დაპყრობაში. ინგლისელი მისიონერებიც, ცხადია, ადვილად არ დასთმობდნენ პოზიციებს. ინგლისის კონსულმა პრინარდმა, რომელიც ტაიტის უგვირგვინო შედეგ ითვლებოდა, დღევანდელ პომარე IV საჯან აიღო ნებართვა კუნძულიდან ფრანგი მისიონერების გაძევებისა. თვით ტაიტელებიც დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ფრანგებს. მათ ისინი „ეთელ-მოსურნეებას“ არ აღიარეს. ვითარება ვარუთელდა, კონფლიქტში საფრანგეთის მთავრობა ჩაერია და ერთი მუტა შიშველი ხალხის დასამორჩილებლად ოთხი შეიარაღებული ფრეგატი გამოგზავნა, აღმორაღ დეპუტი ტუარის მეთაურობით. პრინარდმა ინგლისური პროტექტორატის დამყარება ვერ შესძლო, აღმორაღი დეპუტი ტუარმა კი საბოლოოდ აიძულა პომარე IV საფრანგეთის პროტექტორატი ეცნო.

ასეთი რთული ვითარება იყო კუნძულზე, როდესაც იქ მეღვილი იმყოფებოდა. იგი მოწმე გახდა ტაიტელთა და ფრანგ კოლონიზატორთა შეიარაღებულ შეტაკებისა, ინგლისელ და ფრანგ მისიონერთა კონფლიქტისა.

მისიონერების ხანგრძლივი და მუდმივი გავლენის შედეგად, ტაიტელებმა დაკარგეს უწეულა კარგი თვისება. თეთრმა მოზღვრებმა ყოველგვარი საშუალება გამოიყენეს თავიანთი რწმუნის უპირატესობის დასამტკიცებლად. და საშუხაროდ, ველურებმა მალე ისწავლეს მლიქვნელობა, ჩხუბი, რომისა და ბრუნდის ხმა. მათ წარმატებით ათვისეს „განმანათლებულთა“ ყველა მანკიერება.

მეღვილი დაუნდობლბა მისიონერთა მიმართ. იგი ზიზღით ლაპარაკობს იმაზე, თუ რამდენი ზიანი და ბოროტება მოუტანეს თეთრმა კოლონიზატორებმა მადლიანი ველების მცხოვრებლებს. მათ შემოიტანეს სხვა და სხვა სწულები, რომელთა არსებობაზე ტაიტელებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ. „რომ არაფერი ვთქვათ ლოთობისა და პერიოდული ეპიდემიების შედეგებზე, უვადობა და სხვა მოვლენებზე, მე მხოლოდ იმ ავადმყოფობას აღვნიშნავ, რომელიც შეიჭრა ტაიტელთა ოთხი მე-

სამედი უბრალო ადამიანების სისხლში და ამათუ იმ ფორმით გადაეცემა ერთიდან მეორეს“ — წერს მეღვილი.

ამ გამანადგურებელი ავადმყოფობით შეძარწუნებულ ადგილობრივ მოსახლეებს ავადმყოფები მისიონერებთან მიჰყავდათ და, როდესაც ეს უკანასკნელნი ქადაგებას კითხულობდნენ, ტაიტელები გააფთრებულნი ყვიროდნენ: „სიცრუეა, სიცრუე, თქვენ ჩვენს ვადარჩენენ გველამარაკებთ, ჩვენ კი ვცვდებით, ჩვენ არავითარი შეგლა არ გვინდა უწეს სიცოცხლის შენარჩუნება ვესურს სად, ვის უწველა თქვენმა სიტყვებმა? მომარე მოყვდა და ჩვენც ცვადებით თქვენი წყველი დაავადებების გამო. გვამყოფთ ჩვენთვის, მოგვმორდიო!“

ტაბათა სიღამაზესა და ჟანსად სხუელს აღტაცებაში მოჰყავდა მეღვილი. ტაიტის მცხოვრებნი კი მნიშვნელოვანდ ჩამოუვარდებიან მათ სხუელის აღნავობითა და ფიზიკური განვითარებით. ტაიტელთა ფიზიკური ვადამენების გამო მეღვილი სინანულით წერს: „წუხილს მგერდა ის, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ბევრი იყო ავადმყოფი და მძინჭი. ისინი რომელიც საშინო დაავადების მსხვერპლნი იყვნენ, ეს დაავადება აზიანებს კუნთებს და ძვლებს. ეს საშინო სენი, როგორც ბევრი სხვა, არ იყო ცნობილი, ვიდრე არქიპელაგი თეთრებმა არ აღმოაჩინეს.“

მისიონერებმა დიდი შრომა დახარჯეს სამხრეთის ზღვების კუნძულებზე ქრისტის რჯულის ვასავრცელებლად. ისინი — საეკლესიო პოლიციას* გზავნიდნენ ზელცებებით, რათა მრევლი ეკლესიაში შეერგათ. ძალზე მწვავეა ინგლისელი მისიონერის ქადაგების ისწერა. იგი ცდილობს რეპუტაციი შეუღლახოს თავის მეტოქეებს — ფრანგ კათოლიკე მისიონერებს და თავისი მრევლი მათ წინააღმდეგ ააქანოსოს. მეღვილის სატირული კალამი აქ განსაკუთრებულად მკვეთრია. იგი აშიშვლებს ინგლისელი და ფრანგი მისიონერების დამპყრობლურ, ურცხვ მეთოდებს, ურთიერთ შორის დეას: „ჩემო კეთილი მეგობრებო, მე ძალზე მოხარული ვარ, რომ თქვენ გვხვდეთ და თქვენთან საუბარი შემიძლია. კეთილო მეგობრებო, ძალზე ცუდი საქმეებია ტაიტზე. იძულებულ ვარ ვიტყვი, პომარე წავიდა... კუნძული უკვე თქვენ აღაზ არის. ხოლო ვი-ვი (ფრანგები) თქვენთან წე ილაპარაკებენ. არ უყურით მათ... დაბ, მე ვიცი არ იზამთ ამას... ისინი ზომ — ეს ბოროტა ვი-ვი უახილებს კრებულთა სულ მალე ამ ადამიანებს იძულებენ წავიდნენ, მოვლენ ბერტანიდან (ბრიტანეთი) გემები ქუხილით და ისინი წაილენ, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე წე ვილაპარაკებთ. დროს დაველოდოთ, კეთილო მეგობრებო.“

ამ ქადაგების კითხვისას უნებლიედ გვაგონ-

დება მამა მეტლიხა და ზანგი მოხუცის ქად-
გებები „მოხი დიკიდან“.

მეღვილი ნათლად გვიჩვენებს, რომ ქრის-
ტიანობამ ღრმად ვერ გაიდგა ფესვები ტა-
იტელთა გულეებში, ისინი ქრისტიანები მხო-
ლოდ სიტყვით იყვნენ, სინამდვილეში კი კვლავ
მამათა და პაპათა რელიგიის მიმდევარნი დარ-
ჩნენ. „ალბათ, დედამიწაზე არ მოიძებნება ისე-
თი ხალხი, რომელსაც უფრო ნაკლებ აინტე-
რესებდეს ქრისტიანული მოძღვრება, ვიდრე
პოლინეზიელებს — წერს მეღვილი.

მისიონერების მოღვაწეობის მამხილებელი
პათოსით აღსავსე „ტაიპის“ და განსაკუთრე-
ბით კი „ომეს“ ფურცლებმა აღაშფოთა გამო-
ცემელი. მეღვილი იძულებული გახდა შეერ-
ბალებინა ან ამოეღო მკვეთრი გამოთქმები
მისიონერთა მიმართ, მაგრამ წიგნი მაინც კო-
ლონიალიზმის შრისხანე მამხილებელია.

მეღვილი გულისტკივილით წერს, რომ ბურ-
ჟუაზიული ცივილიზაციის ძალადობის შედე-
გად ტაიპის პატრიარქალური ცხოვრება გან-
წირულია დასაღუბავად. ოკეანისგალმელი
სტუმრები იტრებოდნენ შინაურ საქმეებში,
შეურაცხყოფდნენ მათს ეროვნულ გრძნობებს,

ასწობდნენ საუკუნოებრივ ეროვნულ ტრადი-
ციებს, მათ პირველად უჩვენეს სისასტიკის
გაყვეთილი. ტაიტელთა ეროვნული ტანსაცმე-
ლი, რომელიც განსაკუთრებული სილამაზით
გამორჩეოდა, და, რაც მთავარია, კარგად
იყო შეხამებული ადგილობრივ კლიმატს, აკრძა-
ლეს მისიონერებმა, როგორც „წარმართული
და უზნეო“, მათვე აკრძალეს ციკეები — „ქევა-
რები“. კუნძულის მცხოვრებნი ფარულად ციკე-
ვავდნენ, ჩუმად აწყობდნენ დღესასწაულებს.
ისინი იძულებულნი გახდნენ პირმოთნეობა
და ფარისევლობა ცრუწმიდანობა გამოეჩინათ,
რათა თავიანთი კულტურა გადაერჩინათ.

მეღვილი შწუხარებით წერს, თუ რაოდენ
შემცირდა არქიპელაგის მოსახლეობა და სი-
ნანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ახლო
მომავალში იგი აღიგეება პირისაგან მიწისა.
მწერალს წინასწარ ესახება ტრაგედია იმ ხალ-
ხისა, რომელიც ისპობა და იხრწნება. მეღვი-
ლი უბრალო ხალხის ქომავად და დამცველად
გამოდის. მან სუსტ ხალხთა შევიწროება და
განადგურება გააკიცა, რითაც შეეხო იმ პრობ-
ლემას, დღესაც რომ აწუხებს და აღულებს
მთელ მოწინავე კაცობრიობას.

მინიორ კვანდაკვა

ას პრესის დღე

წიგნი III

წამოხილას მანძილი

პა, სოფელი...

...და მინც ეს არის გუშინდელი დღე
ა. რე მზო

მართლაც რა ზნე ჭირს ამ დალოცვილ წუთისოფელს! წაგვიღებს რაღაც შემთხვევას და, ვინ იცის, საიდან სად გავიყენებს გზას. იმასაც ვი არავინ გკითხავს ვინდა თუ არა ეს. ან რატომ უნდა გკითხონ, როცა საჭიროება მოათხოვს ამას!

ეს უსაშველო ომი რომ დამთავრდა, ერთი სული მქონდა შინ დაებრუნებულიყავი, მაგრამ, აგერ თქვენც ხედავთ, რომ ვარჯიშობდამ ისევ უცხოეთისაკენ მიქცია პირი. ამბობენ, ყველა გზა ქვეყნის დასასრულისაკენ მიდისო, შეიძლება ეს მართლაც ასეა. აი, მე გული თბილისში მიმიწევს, მატარებელი კი ბერლინისაკენ მიმიჰანებს. ასე თუ ვაგრძელებ, ვინ იცის, „სოფლის ბრუნვა“ საიდან სად ამომალოდინებს თავს. იმასაც ხომ ამბობენ, უმოკლესი გზა საკუთარ თავისკენ მსოფლიოს გარშემო გადისო. ეგ ვერაფერი ნუგეშია, მაგრამ რას იზამ! იმ გზას ახლა ბერლინისაკენ მივუვარ. თან ეს ოცდაათი ახალბედა მოარგმნელი მიმყვება და ისეთი ფიცილ-ხივილი აქვთ ეაგონში ატეხელი, რომ ყურთასმენა აღარ არის.

მე დანჯარასთან ვდგევარ და ბუნების ფეხ-აღმულ სურათებს ვაყურებ. მატარებელი და ველ-მინდვრები თითქოს ერთმანეთს გაურბიან. ბრველივ ყველაფერი მოძრაობს: ცის გუმბათიცა და დედამიწიც. გგონებთა მთელი ქვეყანა ერთი წერტილის გარშემო ბრუნავსო.

ხინდახან დაღლილი ორთქლმავალიც შეკვივლებს და ისევ გრძელდება ყველაფერი...

სხვა საქმე რომ არაფერი მაქვს, გუნებაში ბორბლების რიტმულ ხმაურს ტიციანის სიტყვებს ვაყოლებ:

მივალ, მივდივარ და მივიმღვრი
თან საქართველოს მიმაქვს ოცნება...
თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა მემღვრება, როცა საქართველოც უკან მრჩება და ოცნებაც. მართალია, ფიქრით ისევ იქა ვარ — თბილისში, ოჯახში, ნათესაებებთან და მეგობრებთან, მაგრამ სინამდვილეს რომ ეუბრუნდებო ის ფიქრები ორთქლმავლის მილიდან ამოსროლილ კვამლივით მეფანტება ასეთ დროს კი ლიანდაგზე ბორბლების რახარბები უფრო ძლიერდება.

— ბერ-ლი-ნი... ბერ-ლი-ნი... ბერ-ლი-ნი...
თითქოს ვარჯიშით მესმის ამ ხმაურში და, ისევ ამ „სოფლის ბრუნვას“ მინდობილი, შორილიად მივყვები რკინის ორ ბარალელურ ხაზს, რომელიც არსად არ ეკათდება...

...სულ რამდენიმე თვის წინ მოკავშირეთა არმიები ბრძოლით მიიწევდნენ ბერლინისაკენ, ახლა კი ყველაფერი ეს დამთავრდა. იმ ას ერგასის „წყლით რღუნამაც“ გადაიარა, არვისს მრისხანება დაეცა, მაგრამ საქმეს მინც რა გამოილედა იმ ვაობრებულსა და გატილილ-ბულ ქვეყანაში, მით უმეტეს, გერმანული ენის მცოდნეთათვის.

გერმანიაში სახელმწიფო-ადმინისტრაციულ

იბეჭდება შემოკლებით.

საქმეებს მაშინ ზომ მოკავშირეთა არმიები ვანაგებდნენ. მოსახლეობასთან ურთიერთობის მოსაწყობებლად მათ უამრავი მთარგმნელი სჭირდოდათ. ეს უმწიფარი გოგონებიც იღობათ, ამიტომ გაიწვიეს უცხო ენათა ინსტიტუტებიდან, საჭიროებამ რომ მოიტანა, ყველას წამოუსყეს ხელი და ბერლინის გზას გაუყენეს. რაი უმრავლესობა ვოგოები იყვნენ, მარკოვა ჩვენს ვაგონს „დედათა მონასტერი“ შეაკრქვა, იმათ „კეთილშობილ ქალწულთა ბატალიონი“.

ახალწვეულები ჭერაც ვერ შეგუებოდნენ სამხედრო ფორმას. განსაკუთრებით — ვოგოები. იყო ერთი მუდმივების მორგება, სარკვევითან ტრიალი, ვასწორ-გამოსწორება. ხალხთი ზოგს დიდი ჰქონდა, ზოგს პატარა, ვოგოებს უხეში წაღების ტარებაც ეხამუშებოდათ. თითქმის არც ერთმა არ იცოდა პილოტურის წესისამებრ მორგება, სამავიეროდ ბიჭები ისე ამავად გამოიყურებოდნენ, გეგონებოდათ რომ გაბაბლილი გვარდიელებია...

...მე და მარკოვმა მოსკოვიდან ვასვლისთანავე დაიწყეთ ამ „კეთილშობილ ქალწულთა ბატალიონის“ ინსპექცია. შევიდოდით თუ არა რომელიმე კუბში, ადლუშის მიმღებ სარდალით დავიძახებდი:

— გამარჯობათ ვოგოებო! როგორ მოეწყვეთ? სამხედრო ჩვეებისა მათ ჭერ არა ეცხობთ, რა, ძლივს ამზანაზნებოდნენ, გულკეთილად შემოგვეცინებდნენ და თავიანთის ჩაბურტყუნებდნენ:

- არა გვიშავს რა!..
- არც ისე ცუდადა!..
- ვცხოვრობთ როგორღაც!..
- როგორც ჩემებთან მადონებს შეეფერება,
- წამოიძახა ერთმა მათგანმა.
- სახელები...
- ლენა — დაასწრო ყველას ისევ იმ „მადონამ“. მერე სხვებიც მიჰყვნენ:
- მარია!..
- ლუკრეცია!..
- კლავია!..

სხვა კუბშიც იგივე განმეორდა:

- გამარჯობათ ვოგოებო! როგორ მოეწყვეთ?
- გმადლობთ, კარგად!..
- როგორც მოგვიჩვენებდა!..
- რა გვიშავს!..
- სახელები?
- ვერონიკა!..
- დამა!..
- ვალინა!..
- ნინა!

ერთ-ერთ კუბში შეხვედრა რამდენადმე განსხვავებული იყო, შევალეთ კარი და მივესალნე თუ არა, ერთი ხელიკივით მოქნილი, კესპარა ვაგონა წამოხტა, პილოტური მოხდენილად მთავდო თავზე, გასწორდა, სამხედრო

სალამი მომკა, მაგრამ მაინც უმტყუნა და თრთინასკივით დაიწრიაინა:

— გამარჯვებას ვისურვებთ, ამხანაგო მართო!..

- როგორ მოეწყვეთ?
 - ჩინებულად, ამხანაგო მართო!
 - განწყობილება როგორია?
 - როგორც საჭიროა, ამხანაგო მართო!..
- ისევ გამუშებული იდგა, იძულებული გავხდი განკარგულმა მიმეცა:
- თავისუფლად!..

ხელი კი ჩამოუშვა, მაგრამ მაინც „სმენაზე დიდგა“.

- თქვენი სახელი? — ეკითხე მას.
- იმ კუსპარამ ზელი ისევ მოსხლებით მიიტანა საფეხქელთან, რაც შეეძლო გაიჭიმა და უფრო თამამად წამოიძახა:
- აღელაიდა, ამხანაგო მართო, ისე კი აღას შეძახინ!..
- თუ, ვინ დაგანათლა ასე გრძელი და ისიც გერმანული სახელი?
- მამამ, ამხანაგო მართო! მსახიობი იყო, შილერის „ვერაგობასა და სიყვარულში“ თამაშობდა, ეს ფრიცული სახელი მოეწონა და მე შემეჩქვა.

აქ სული მოთქვა და უფრო დაბალი ხმით დღემატა:

- სამწუხაროდ, რა თქმა უნდა!..
- სად არის ახლა მამაშენი?
- დაიღუპა ფაშისტ ინტერვენტებთან ბრძოლაში, ამხანაგო მართო!..
- დედა?

— დედაც, ამხანაგო მართო, — ჩაილაპარაკა მან გაბზარული ხმით და ცრემლმორთეულმა ძლივს წარმოთქვა:

- ქალაქ სმოლენსკზე მტრის თვითმფრინავების თავდასხმის დროს, ამხანაგო მართო!..

ვინანე ასეთი კითხვები რატომ მიეციე-მეთქი და სიტყვის ბანზე ავდებთ ვცადე:

- ეს გეარდიული წესები სად გასწავლეს?
- მთარგმნელთა ინსტიტუტში, ამხანაგო მართო!..

ამას რომ ამბობდა ცრემლები უკვე დაბლბით ჩამოსდიოდა სახეზე.

მე ახლაც თვალწინ მიდგას იმ პატარა ვოგონას სინათლთა და მწუხარებით სავსე თვალები. თან დოსტოევსკის „СЛЕЗНИКА“ მახსენდება, საშირკველში რომ ერთი წყეთიც მოხედეს ტაძარი არ ამენდებო. ზოგჯერ იმაზეც ვფიქრობ:

- საერთოდ რაც იმ ოპის დროს ცრემლი დაიღერა, ყველა ერთად რომ შეგროვდეს, ნეტავი ის ას მრგასის დღე ისევ განმეორდება?
- ცეარი ცვარს ვცა და ზღვად იქცაო. — ამბობენ ჩვენში.
- იქნებ ეს იყოს ამ კითხვის პასუხი...

... სხვები უკვე ნარებზე ისხდნენ, ანა კი ისევ გაბიძვრული იდგა და ტუჩები უცხაბებდა. მინდობდა ეს უსიამოვნო განწყობილება გამეფანტა და უკებ გადაეწვრტა:

— ამხანაგო ადელიდა, თქვენ ამ „კეთილ-შობილ ქალწულთა“... ზოდისი... „შთარგმნელთა ბატალიონის“ ზემდევად უნდა დაგინიშნოთ, რას იტყვით ამას?

ერემილთან სახეზე ბავშვურმა ღიმილმა გადაურბინა, ზელი ისევ საფეთქელთან მიიტანა და რაც შეეძლო, სხარტად გამოკვეთა:

— მზად ვარ სამშობლოს სამსახურისათვის, ამხანაგო მაიროსო...

მერე დანარჩენ კუბებშიც შევედით და გამოუტყვადეთ, რომ ანა იქნებოდა მათი ზემდევა ყველა სიამოვნებით შეხვდა ამ ცნობას. სამხედრო წოდებაც მაშინვე მიანაცხეს, თანაც არც მეტად, არც ნაკლებად: გენერალი ანა რას იზამდა, „გენერლობა“ შეიფერა, ხმა ოდნავ დაბობხა და გამოშტეტვლებაც უფრო მკაცრი მიიღო.

მას აქვთ მე და მარკოვი სალამს პირველი ვთავაზობდით, რადგან იგი „გენერალი“ იყო, ჩვენ კი მხოლოდ მაიორები.

იცოდა მარკოვი მარკოვი შორის ბიჭებიც რომ იყვნენ და ამ წრეშიაბრტლა „გენერალს“ ვკითხე:

— ვაყვები სად არიან?

— უკანასკნელ კუბებში შევყარეთ, ამხანაგო მაიროსო, საპირფარეოს გვერდით. — შიშასუხა მან.

— რატომ უკანასკნელში, ბიჭებს ჩაერავთ?

— როგორც უმეტირესობას, ამხანაგო მაიროსო...

ბოლოს „გენერალ“ ადის თანხლებით იმ „დამარჯულ უმეტირესობასთანაც“ შევედით, დიდა ვერაფერი ბოლრა ბიჭები იყვნენ, მაგრამ მინც ძალიან სიმშაბათიანი...

— როგორ მოეწვევით: — მივეცი შათაც სტანდარტული კითხვა:

ძლიერ აზიზდნენ ადგილიდან და პასუხიც დაავიანეს. ეტყობოდათ არც თუ ისე კმაყოფილი იყვნენ. მერე ერთმა, ზედმეტად ჩასუკმებულმა ვაჟმა გაუხდა:

— არა გვიშავს რა, ამხანაგო უფროსო, მაგრამ ზუთნი ვართ ოთხადგილიან კუბებში.

— გეყოფა, ბაღბაგ, შენ უოველთვის ასე წუწუნებ ხოლმე. — დატუქსა ადამ „სახლოვანი მწერალი“. — ხომ იცი, ერთ-ერთი თქვენგანი მოსიგე იქნება, საფეშოვანე კი, წესდების მიხედვით, ძილი ნებადართული არ არის!...

ეს, აღბათ, „ბაღბაგაც“ იცოდა, მაგრამ „გენერალ“ ადის მაინც შეუბრუნა:

— მით უმეტესს კარგი დასვენება გვცირდება...

— სულ დასვენებაზე რომ ფიქრობ, იმითმ ხარ ასე გაბერილი, — დატუქსა ადამ მოწუწუნე „ბაღბაგი“.

ეს საქმე ადვილი მოსაგვარებელი იყო. მე და

მარკოვი ორნი ვეცაით ოთხადგილიან კუბებში და „ბაღბაგს“ წინადადება მივეცით ჩვენთან გადმოსულიყო. ჭერ იუარა, მერე დამაინძლა, მაგრამ მაინც არ გადმოსულა.

თოხაზე სიარული...

ის დამე მე და მარკოვმა თურთად გავეთენეთ. რას არ მივედ-მოვედეთ, რა არ ვილაპარაკეთ, ცისაც და ბარისაც, საინტერესოც და უინტერესოც. ისე, ტუყილა, თორემ ამდენი სალაპარაკო რა გვექონდა მე ძილისაგან თვალი მებმობდა, მაგრამ იმის გამერებას მაინც არ დააღვა საშუელი. ერთხელ რომ მოხსნა გუდას თავი, აღარც გაათავა...

ამბობენ, ადამიანს ჭირი და ვარამი ალაპარაკებსო. მარკოვს ამის გარდა სხვა უბედურებაც ჭირდა.

— მე ისეთი საზოხადარი ხასიათი მაქვს, — მითხრა მან — უნდა რამეს ვაყეთებდე ვლაპარაკობდე ან მეძინოს. სხვაგვარად ყოფნა ან ფიქრი არ შემიძლია. ასეა, ძილი, ზოგს ტენის ქაველი აქვს ატეხილი, ზოგსაც — ენის. თუ საქმე არაფერი მაქვს და არ მძინავს, სულ ვლაპარაკობ, რადგან ჩემშივე თავთან მარკოვ დარჩენის შემინია. ხომ გავიგონია არა კეთილ არს ყოფნა კაცისა მარტოო, ძველი რომაელებიც ამბობდნენ, „ვიი მარტოყოფითო“, სხვებსაც ეგონათ, კაცი რომ მარტო დარჩება, ეშმაკიც მაშინ შეუნდლებო. მე უბედურს ეშმაკიც არ შეკარება, თორემ სულ ენის ქვერით დავიღებდი ცაზე. ისე კი, ნამდვილი ცოდვის ტრიპოლა: თვალებს ვხუჭავ და თავს ძალას ვატან, მაგრამ, საქმეში ხარ! ძილი არ შეკარება, არც ფიქრი მომდის თავში, თითქოს ცარიელ სივრცეში ვარ. დრო კი თავისა გზით მიედინება. იცი თუ რა საშინელია? დროც ხომ სიციარეულა, რასაც რამეთუ ვავსებთ: საქმით, ძილით ან ფიქრით, მაგრამ როცა საქმე არაფერი მაქვს, არც შეძინება და არც ფიქრი მომდის თავში ისე მგონია, სრულ სიციარეულში ვარ. ამასაც ისე ვამბობ, ვარ-მეფი, თორემ ვერც ვკარანობ საერთოდ ვარსებობ თუ არა. აღბათ სიკვდილიც ასე მოდის: ჭერ ფიქრი წაგერთმევა კაცს, მერე გონია, საკუთარი არსებობის შეგრძნებასაც ჭკარავაც და ვინისვენებ წიაღსა შიგან ამბაშისასა, სადაც არც ერთი გვირდება და არც შეორე...

... დენის პირის მომხდარი აფეთქების შემდეგ არც ჩემთვის იყო უცნობი აზრისა და ფიქრების ამგვარი ეობრაცია სიციარეულში, მაგრამ იმათ მაინც ვერ დავეთანხმები, რომ ამბობენ, ყველაზე ნეტარ ცხოვრებას ის ატარებს, ვენც არაფერზე არ ფიქრობსო. მე თუ მკითხავთ, ფიქრის გარეშე ცხოვრება ავადმყოფო-

ბა — რამე ძლიერი ტრავმის ან სულიერი სიღატაკის შედეგი. ადამიანი ის არის, რასაც ფიქრობს. ამიტომაც, რომ ფიქრი ზოგს ხელოვნებად მიიჩნია, ზოგსაც „უღიგესი ოსტატობა“. უფიქრებოდ დრო, მართლაც ცარიელ სივრცეში დინება იქნება და ცხოვრება სტიქსის აშშორებულ ქაობად გადაიქცევა.

როგორც ჩანს, მარკოვიც ამგვარ ქაობში იტანჯებოდა.

— ეს ჩემი ბრალიაო, — ამბობდა თვითონ. წლების განმავლობაში ფიქრებს მხოლოდ დაღუპულ ცოლშვილის ამბები მოჰქონდა, ამას სიგიჟედ მიეფიქვო, ვედილობდი არაფერზე არ მეფიქრა, თავს ძალას ვატანდი, ვწვავლობდი, ვტანჯებოდი და საშინელ ფიქრებს ცოფიან ძაღლებზე ვფიქრობდი თავიდან. ახლა კი არავითარი ფიქრი, მხოლოდ სიცარიელე, თუმცა დამ-დამოხილ შიშაც უხედავ კომპარტულ სიზმრებს.

შემეცოდა ეს გაუბედურებული კაცი და ამიტომაც ვეცადე როგორმე მხარი ამება მის ლაგამწაყრელ ლაბრადასათვის. მართალი ვითხატა, ჭერ გამიჭირდა, ძალიანაც გამიჭირდა, მაგრამ სხვა გზა რომ არ მქონდა, როგორც შემოდო ისე აუღებ მხარი მის ქადაგებას. ბოლოს, ერთი გრიძლად დეამთქნარე და განიჩენილ ვამოუვტრანე:

— ეხ, გენადი, გენადი, რამდენი ხანია გიყნობ და მაინც ვერ გავიგე რა კაცი ხარ შენ? კარგი თუ ცუდი?

„უცნობო სახეზე“ რაღაც უცნაური დიმილი ავხატა და ისე თქვა:

— დიდი ამბავი! ეს შენ კი არა, მეც ვერ გავიგე. რომ შეკითხვები რა კაცი ხარო, აბა, რა ვიცი რა კაცი ვარ! რაც უფროსებს უნდათ ისა ვარ, სხვა რა უნდა ვიყო?! ცხოვრებაში მთავარი ის არის, თუ როგორ ხარ მოგეყმენ უფროსები. ჩემის მხრივ, მეც თავი მახსოვს სულ სხვის მიერ ნაჩვენებ ხარს მივყევები. ბავშვობიდან დღემდე საკუთარი სურვილით არაფერი მიყვები. ჭერ იყო და შშობლების ხარს მივყევობდი, მერე მისწავლელები, ახლა კი უფროსებისა. საერთოდ ასეა, ჩემი ძეო, რა ხარსაც მოგეყმენ იმას უნდა ვაყვებ. თუ კარგს, შენც კარგი იქნები, ახალა — ცუდი...

აღლუში დირამაში...

მე კიდევ ერთხანს ვიწრიალე ნარზე. ძილი ვატეხილი მქონდა. ვერც ფიქრებს მოვუყარე თავი, თითქოს უველიფერი დიარღვა და დაიშალა. მერე გულმა ისევ შინისაყენ გამოიწია, მომწატა ჩემი თბილისი, უნივერსიტეტი, ოჯახი, ნაენობ-შეგობრები, კარგად უთქვამთ, ოჯახი გულის სამშობლოაო; ფიქრებით კი იმ სამშობლოსაყენ ვაიქიანე, მაგრამ ამას რა ძალა

მქონდა, როცა მატარებელი ისევ ისე ჭიულად მიყვებოდა თავის „ხარს“ ბერლინისაყენ...

მერე, როგორც იქნა, ვიღმა მუცე ჩამოვარდი: არ ვიცი დიდი ხნით თუ არა. ის ვინა, რომ რაღაც უვიროლიმა ვამომავლიდა. ინსტინქტურად წამოვხტი, მაგრამ აზრი ვერ მივატანე რა მოხდა. ფარდა გადავწიე. დანქარას დილის რიყრავი მოდგომოდა, კუბეში კი ჭყრავ უნელოდა. გაიციტლებული მარკოვი ნარზე იჯდა და იმ სიზნულეში ვიღაცას რჭულს უხსენებდა:

— ვინ ოხერი ხარ, ასე დღიადღრიან რომ გვაღვიძებ, შეიშალე თუ რა?! — გავიგონე მისი ლილილი.

ერთხანს სიზნულე ჩამოვარდა, მერე კარებზე ფრთხილი კაცები გაისმა. მარკოვი სულ გაცოფდა:

— უჰ, მე შენი! — წამოიძახა მან და ფეხზე წამოხტა... გავალ ახლა და ვინც არ უნდა იყოს, ვაგებთქაე ცემით...

— დიცი, მე გავალ და ვნახე ვინ არის. შენ დაწვეტი და ნუ ყვირი, თორემ ხალხს ვადარე...

მარკოვი ისევ გავორდა ნარზე. მე კარი გამოვადე და ბინდ-ბუნდში ძლივს გავარჩიე რომ იქვე ახლო ადა იღვა. დამინახა თუ არა, გეარდელი ოფიცერივით გაიქიმა და ჰმის ამოღება არ მავალა, ისე სხაბა-სხუბით მომახსენა:

— ამხანაგო მათორო, მთარგმნელთა ბატალიონი „დედათა მონასტერი“ ვარდა ღენა ვორთოკოვსი, გაწყობილია დილის ამოკითხვაზე. ვორთოკოვსი, აქოდა ასობარტი ვარო, არ დოემორჩილა ჩემს ბრძანებას! მოვახსენებთ გენერალს... ფუჰ... ზემდეგი ადელიადა შემოლოვა... თორმე, ნუ იტყვი, ადამ ამ ძაღლუთენია წამოტყრია თავისი „ბატალიონი“ და ე. წ. „დილის ამოკითხვაზე“ გაუმწყრივებია დერეფანში... გამეცინა, მაგრამ მაინც ვუსაყვედურე:

— ასე აღერ რომ წამოშლილხარო, ხის ტოტზე ხომ არ გეძინათ ბედურებით. ან ეს „აღლუში“ რა საჭიროა მატარებელში?

— ასეთი წესი იყო მთარგმნელთა სასისწავლეებელში, ამხანაგო მათორო, — თქვა ოდნე დაბნეულმა ადამ.

რა უნდა მექნას რაკი „გენერალი“ ადა ასე გულმოდგინედ იყავდა სამხედრო წესებს, მეც გავეყვი „კეთილშობილ ქალწულთა აღლუში“ მისაღებად. ცხადია, არც იმით სიამოვნებდა ვარიყრავამდე რომ წამოყარეს საწოლიდან, მაგრამ რა უნდა ექნო, თუკი „გენერალს“ ამგვარი წესი მქონდა შემოღებულ!

— აბა, გოგოებო, სენა! დასწყვილა ადამ და მცირე პაუზის შემდეგ დუმატა:

— სხვათაშორის, ბიჭებსაც ეხება! ზოგი მართლაც ვასწორდა, მაგრამ „დიდულური მწყობრი“ მაინც არ გამოვიდა.

— უჰ თქვენი, ვასწორდით-მეთქი, — ვაბარახა ადა.



არც ამ ბრძანებამ გასჭრა:

— სწორება მარცხნივ:

თავი ზოგმა მარცხნივ მოაბრუნა, ზოგმა მარცხნივ, მეგრე, როგორც იქნა, უველამ მარცხნივ მოიხედა და აბა «ცერეზონიული ნაბიჯებით» წამოვიდა ჩემსკენ. ეს ისე სასაცილო იყო, რომ თავს ძლავს ეკავებოდი, მაგრამ მეც აღსაყვით გაივიძიე და სამხედრო სალაშო მივეცი.

— ამხანაგო მთიარო, — მომახსენა მან, — ბატალიონი «დღღათა მონასტერი» ოცდაათი დღეაქაიისა და ხუთი მამაკაცის შემადგენლობით, სახეზეა...

რაც საქმე საქმეზე მიდგა, აღარც მე ვაწყვენიე და სამხედრო წესის მიხედვით მივესალმე:

— გამარჯობათ, ამხანაგებო!

როგორც ჩანს, გოგონებმა გადაწყვიტეს ადამისთვის «ფერიათ» ასე დილაადრიან გავლიშების გამო და ეშმაკმა იცის, ვინ რა დიობა:

— გაგიმარჯოთ!

— სალამი!

— დილა მშვიდობისა!

— გუტენ მორგენ!

— ბონ ფურ!

სხვამ კიდევ რაღაც სხვა და ერთად ისეთი დომბალი გამოვიდა, რომ სასწრაფოცხეთილმა აღამ შებლზე იტყვიდა ზელი. უნდოდა ისევ დაეტყუა ის «რაიანელი დღღაკაეები», მაგრამ შევანერგე:

— არა უშვავს, დასაწყისისათვის ესეც კარგია, შეუდექით ამოკითხვას...

აღამ მძინე მუშტი მოუტენია თავის ბატალიონს და ტუჩებიც ისე გააცვაცუნა, ეტყობოდა გუნებში რაღაც «მამაკაციური» გაიფიტრა...

...ამოკითხვა უფრო არეულ-დარეულად ჩატარდა. აბა გვარებით კი არა, სახელებით იძახებოდა მათ. ისინიც, რაც შეეძლოთ, ურევდნენ თავიანთ «გენერალს», გოგონებიცა და ბიჭებიც, — მარბა!

— ვარ!

— ლიდიას!

— გახლავართ, ჭვარდასო!

— პოლიანა!

— აგერ ვარ და მძინავს!

— სუხანას!

— ვერ მხედავ? — გააბრტყელა სათვალეში ანმა გოგონამ და თან ღრმა რევერანსი გააკეთა. აბა გაბრაზდა:

— დღე ვინმეს ვხედავ, აი... მარინას!

— რომელი მარინა?

— ცხვირბაჭუთა!

— ცხვირბაჭუთა შენ თვითონ ხარ!

— გალიანა სქელ...

კიდევ კარგი რომ ენაზე მომდგარი სიტყვა ბოლომდე არ ამოცუნდა, თუმცა უველა მიხვდა რაც უნდა ეთქვა და საერთო საცილი ატყდა.

— გენერალი კი არა ჩერებოდა ხარ შე უღღღერი შენა, — შეუბღვირა გალიანამ.

ჭერი ბიჭებზე მიდგა.

— ვიქტორ ბრეციაინი!

— ვარ!

— პატი!

— აქ ვარ, თქვენი მაღალკეთილშობილებე!

— პატაშონი!

— წარმოიდგინეთ, რომ მეც აქ ვახლავართ!

— ბალზაკ!

«სახელოვანმა მწერალმა», როგორც იქნა, მიქნარება ჩაათვა და ძლავს ამოღერდა:

— რა ვუვიტებ, ხომ ზედავ რომ აქა ვარ!

— რას გუვებარ შე ჩანჩურა, გაისწორე ხალათი!

— ეს შენი საქმე არ არის!

აღას ბრაზი მოგვიდა.

— ინიშნები რიგვარზე მოიხედე!

— მორიგე კი არა აღვიტანტი არ ვინდა? — გამოაქაეა «ბალზაკმა».

აღას სულ ზაღრანის ფერი დაეღო:

— თუ ბრძანებას არ შევასრულებ, ჭურჭლები რეცხეავ შენ მოგიწყვს დღეს!

გამახსენდა საზენიტო არტილერიის სამხედრო სკოლაში რომ ლეიტენანტი ჩმურაკი ჭურჭლების რეცხვით ვეცხიდა და მინდოდა «ბალზაკს» გამოვსარჩლებოდი, მაგრამ «გენერალ» აღას პრესტიჟის შელახვას მოვერდი. აღამ კი ამასობაში ამოკითხვა დაამთავრა და ბრძანა:

— თავისუფლად!

ბიჭებმა დემონსტრაციულად დაამოქნარეს და თან ისეთი ზეშეილი ატყვეს, რომ გოგონებს სიცილი წასკდათ. აღასაც გაცუნდა, მაგრამ არ დაბნა და გამოაცხადა:

— დოკლამიებს შეუძლიათ ისევ დაწვენ და იძინონ... გასკლომამდე... გოგონებმა მაშინვე თავ-თავიანთ ეტყუებს მიაშურეს.

— «გენერალი» აბა ჩემთან დარჩა.

— ლენა ეორანკოვა რითი დავსაჯოთ ამხანაგო მთიარო, — მომმარბა მან.

მე აღარც მახსოვდა რომელი იყო ეს ლენა ეორანკოვა, ამიტომაც ვეითხე:

— ლენა რომელია?

— აი, უველაზე ლამაზი რომ არის, ასპირანტი, — ვითომ განმიმარბა აღამ.

— არ ვიცი, რითი დავსაჯოთ, რაც ასპირანტი, ამჯერად ვაბატოთ. მერე კი ენახოთ.

— არის ევაბტოთ! — წამოიძახა აღამ, ჯარისკაცულად შეტრიალდა და ისიც თავის ეტყუში შევიდა...

...ბიჭები რატომღაც დერეფანში დარჩნენ. ისინი ვაეხარებით ლამბაკობდნენ და თან «ბალზაკს» აქუებდნენ: «მიდი, მიდი, უთხარო!» შევატყვე რაღაცის თქმას რომ ამირებდნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ. მაშინ მე თვითონ მივედი მათთან და ვკითხე:

— რა ვაწყებთ, ბიჭებო?!

ჭერ გაიშდნენ, მერე წინ «ბალზაკი» წამოიწია, ამოაშული ხალათი გაისწორა და აბა

გენერალით იმანაც სამხედრო წესით თქმა მოინდომა:

— ნება მომეცით მოგმართოთ, ამხანაგო უფროსო!

— ბრძანეთ!

ხელმძღვანელობით შემდგომში მომზადდა საქართველოს ისტორიაში აშკარად მომუშავე ათეულობით მეცნიერი მუშაი" (გვ. 11). ესაა და ეს ნუთუ ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის დამსხურება ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე, მათ ჩოლო მხოლოდ იმით ამოაწურა, რომ მათ გაიარეს მეცნიერული წრთობა: ი. ჯავახიშვილთან და მათი ხელმძღვანელობით მომზადდა ათეულობით მეცნიერი მუშაი? ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობამ თვისობრივად ახალი და ფრიად მნიშვნელოვანი უტანა შექმნა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, მათ მიერ შემუშავებული კონცეფციები და დებულებებუღვრესაც სახელმძღვანელოდ რჩება საქართველოს ძველი და შესასრულებების ისტორიის შემსწავლელთათვის და ნუთუ მათმა ერთერთმა მოწაფემ და შემყიდვრემ სხვა ვერაფერი გაიმეტა მათთვის? თუმცა არა, უნდა ველიართ, რომ შემდეგ გვერდზე ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი კიდევ არიან ნახსენები: ლაპარაკია იმაზე, რომ დაიწყო შეშაობა ისტორიის სახელმძღვანელოების შესაქმნელად საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის და შემდეგ წერია: „ამის შემდეგ შეიქმნა, სხვათა შორის, ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის ცნობილი სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიაში, რომელსაც სტალინური პრემია მიენიჭა“. იმ ამ ორი გამოჩენილი მეცნიერის მთელი შეფასება.

რაკილა ამ საკითხზე ჩამოვარდა ლაპარაკი, შე შეინტერესებს, რით ახსენებ, რომ ამ წინასიტყვაობაში არავითარი ასახვა, (თუნდაც ისე ვაყრიოთ, როგორც დასახლებულმა სახელმძღვანელომ) არ მოვა ნ. ბერძენიშვილის რედაქციით ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემულმა საშუალო სკოლისა და დამხმარე სახელმძღვანელოებმა? მაგრამ ეს კიდევ არაფერი, მე უფრო პრინციპული კითხვა შეზადება: ყველა-სათვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოს ისტორიის მრავალტომეულზე მუშაობა დაიწყო ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობითა და თაოსნობით, მისი მეთაურობით შედგა ძირითადი პრინციპები, დაიწყო-ყველაზე მძიმე და შრომატევადი საწყისი სამუშაოები, სამკობლად ბევრი რამ ვაყვითა კიდევ. ნუთუ მისი ეს მუშაობა ასე უკვალოდ უნდა დამარტულიყო, ნუთუ ის იმის ღირსი მაინც არ იყო, რომ თუ სარედაქციო კოლეგიის წევრთა შორის შეე არ-შია შემოკლებული მისი გვარი არ იქნებოდა, „წინასიტყვაობაში“ მაინც ყოფილიყო ნახსენები მისი ღვაწლი.

ახლა შევხედოთ ს. ჯანაშიას ღვაწლის შეფასებაზე. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმ პარაგრაფში, რომელიც სპეციალურად ეწოდება საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ისტორიოგრაფიის მის შესახებ არის ლაპარაკი. იქ, 72-ე გვერდზე მოცე-

ზულია ს. ჯანაშიას ღვაწლის მოკლე დახასიათება, აღნიშნულია ის ძირითადი პარაბლები, რომლებიც მისი უწრადღების ცენტრში შექცა“. ერთი შეხედვით, თითქოს იქ სასაყვედურო არაფერია, მაგრამ თუ საქმეს დამდეგ ხაზებდავთ, დავინახავთ, რომ ეს მოლაღ ისე არაა. საქმე ისაა, რომ „ნარკვევების“ I ტომში საქართველოს ძველი ისტორიის პერიოდიზაცია, ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დახასიათება, ქართლის საზოგადოების თავისებურებანი, გეოგრაფიული წყობილების დასვლის და ფეოდალური ურთიერთობის განვითარების მთავარი, მაკისტრალური ხაზი ფაქტურად მთლიანად ს. ჯანაშიას კონცეფციის მიხედვით არის ვაყვითებული და ეს კი არსად აღნიშნული არაა, თუმცე სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ხაზგასმით აღნიშნული.

შეიძლება გვიბახუბონ, რომ ს. ჯანაშიას შრომები ტექსტში თავთავის ადვილსაა ვამოყენებული და მითითებული. ს. ჯანაშიას ცალკეული შრომა მართლაც საქმიოდ ბევრგან არის დამოწმებული, მაგრამ ცალკეულ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით და არსად არაა აღნიშნული, რომ ძირითადი დებულებები მას ეკუთვნის. უფრო კონკრეტულად: 486-ე გვზე აღნიშნულია, რომ ს. ჯანაშია და სხვა მეკლევარნი იმ ახრისა არიან, რომ სიტყვა „გენოსი“ სტრატონი ხმარობს სხვადასხვა სოციალური ფენის აღსანიშნავად; იმავე გვერდზე მოტანილია ს. ჯანაშიას მოსახრება, რომ იბერიაში საერთო ქონება უნდა ჰქონოდა მხოლოდ მოსახლეობის მეოთხე გენოსს; 491-ე გვზე აღნიშნულია, რომ მეოთხე გენოსის წარმოქმნის ახსნიას ს. ჯანაშია იხრებოდა იმ ახრისავენი, რომ ეს გენოსი, ანუ ლაოზე სამხედრო არისტოკრატის მიერ თემების დაპყრობის ვზით უნდა წარმოქმნილიყო; 493-ე გვზე მითითებულია, რომ ს. ჯანაშიას ახრით ლაოზე შეიძლება ქართულ გულეს უდრიდეს, მაგრამ არსად არის ნათქვამი ის, რომ ბირჯვლად სწორედ ს. ჯანაშიამ განსაზღვრა ელენისტური ხანის ქართლის საზოგადოება, როგორც ვარდამავალი ტიპის საზოგადოება, სადაც თანაარტებობენ და ერთმანეთს ებრძვიან წარმოების სხვადასხვა წესები, რომ სწორედ ს. ჯანაშიამ აჩვენა ამ საზოგადოების ძირითადი ნიშნები, მისი სტრუქტურა (მეთემე გულეობა, სამეფო საგვარეულო, სამხედრო-საგვარეულო არისტოკრატია და მთლდამი დამორჩილებული თემები, ტაძრები და ქტრუმობა, ხალხის ძირითადი მასის თავისუფლება და სამეურნეო დამოკიდებულება, ამასთან მონაბის არსებობა) და ს.გ. (იხ. ს. ჯანაშიას შრომები: „ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში“, „ადრეული ფეოდალიზმი“, „საქართველო აღჩინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“). პრინციპულად იგივე სერათია „ნარკვევების“ I ტომის 497-498 გვერდებზე, მაგრამ მითითებულია არა ს. ჯანაშია, არამედ გ.

მელიქიშვილის წერილი „ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი“, არსადა ნათქვამი, რომ ქართლის საზოგადოების განვითარების შემდგომი გზაც, რომელიც „ერის“ დიფერენციაციის, მისი დაყოფის სახით მიდიოდა, ს. ჭანაშია გარკვევა, თუმცა ეს დიდუბლზე გამეორებულია „ნარკვევებში“ (გვ. 498), 638 გვ-ზე ნათქვამია, რომ ქართლში განვითარების მაგისტრალური ხაზიც თემის დაშლისა და გათიშვის, თემური ურთიერთობის რღვევის გზით მიდიოდა. მაგრამ ეს ხომ ს. ჭანაშიას კონცეფციის დედაბოლია, აქ კი ასევე გ. მელიქიშვილის წემოსხეხნული ნაშრომია მიითებულა. სხვათაშორის, აქვე უნდა შევნიშნათ, რომ აღნიშნულ წერილში ს. ჭანაშიას კონცეფცია საკმაოდ სრულად არის წარმოდგენილი. ეს ვასაგებია, მაშინ გ. მელიქიშვილს ს. ჭანაშიას მეცნიერულ ავტორიტეტს სჭირდება, რადგან იგი ფაქტურად გამოდიოდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულა შეხედულების წინააღმდეგ, ანტიკურ საქართველოში მონათმფლობელური ურთიერთობის არსებობის შესახებ; ამას გარდა, ეს წერილი სპეციალისტთა შედარებით ვიწრო წრისათვის იყო განუთვნილი, რომელმაც ისედაც კარგად იცოდა, რომ მელიქიშვილი ფაქტურად ახალს არაფერს ამბობდა, და მხოლოდ ს. ჭანაშიას აღნიშნული კონცეფციის აღორძინებას ახდენდა აქ კი, „ნარკვევებში“ სულ სხვა ვითარება შეიქმნა. ს. ჭანაშია, მისი შრომები, ცალკეულ უფრო წერილთან საკითხებთან დაკავშირებით მიითებულა, ისე რომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას ამ ცალკეულ საკითხებზე ჰქონდა გამოთქმული მოსაზრება. ხოლო საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების საერთო სურათი, მისი ძირითადი გზები და განვითარების მაგისტრალური ხაზის გარკვევა „ნარკვევებში“ ამ თავის ავტორს ეკუთვნის. თანაც, თუ ვინმე სპეციალისტაგან უსაფედეოდ რატომ ჭანაშიას არ უთითებო, უმასუბლად, იმ წერილში რომელსაც სქოლიოში უვითებთ, ჭანაშია დამოწმებული მაქვსო. სხვათაშორის, გარჩევის დროს მან ასევე გვიმასხვა, მაგრამ არ გვეგონია ეს სწორი მეთოდი იყოს: ისეთ შემთხვევებში ნაშრომში, როგორცაა „ნარკვევებში“ უშეალოდ უნდა იყოს მიითებულა ამა თუ იმ დებულების ავტორი, მით უფრო როცა წიგნი ფართო მკითხველისთვისაც არის გამიზნული, არასპეციალისტი არ დაიწყებს მიითებულა ლიტერატურის ძებნას, მით უფრო სამეცნიერო სტატიებისა და მას შეეძენება ყალბი წარმოდგენა, რომ ეს კონცეფცია ყალბი გ. მელიქიშვილს ეკუთვნის. ვინ იცის, იქნებ მიითებების ასეთ თავისებურ ხერხს ეს მიზანი იქნეს?

ბელ სხვადასხვა ტომთა ქართულ ტომებთან გაიგივებაზე. ამასთან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველა ეს გაიგივება პირადად გ. მელიქიშვილს ეკუთვნის, რადგან, მკერე-გვირგვინისის გარდა, მიითებულა მხოლოდ მისი შრომები («Наири-Урарту», «К истории древней Грузии» და სხვ.). ამევე დროს ამ გაიგივებათა დიდი ნაწილი სხვადასხვა მეცნიერის მიერაა შემოთავაზებული, ხოლო ქართულ ისტორიოგრაფიაში ისეთ ტომთა გაიგივება, როგორცაა დაიუხი-ტაოელები, ელბა — კოლხები, ეფრატუხი-ბიძეებები, ივანა (იხი) — ჰენიოხები, აგრეთვე ქვეყანა ელარგეთის ელარდასთან გაიგივება, დაწვრილებით აქვს გარჩეული ცნობილ უჩარტოლგს პ. უშაკოვს რამოდენიმე წარცლილურ სტატიაში. მაგრამ სარეცენზო წიგნში პ. უშაკოვის (ან სხვა რომელიმე მეცნიერის, ვისაც ეს იდენტიფიკაცია აქვს) ხსენებაც არ არის. თუმცა არა, ერთგან, პ. უშაკოვი მიითებულა. საქმე ეგება უჩარტულ წყაროებში დასახელებულ ქვეყანა „ლუშას“ თუ „ლუსას“. ჩვენ უკვე ნახსენები გვექონდა აქად. გ. მელიქიშვილის მოსაზრება კოლხეთში მიითებ ტომთა ჩამოსახლების შესახებ; ამ კონცეფციის ერთერთი არგუმენტი მტკიცება, რომ ლაზებიც ცენტრალურ კოლხეთში სამხრეთ-აღმოსავლეთის მთიანი მხარეებიდან არიან ჩამოსახლებული, და რომ მათი თავდაპირველი ადგილსაცხოვრის იხსენიება უჩარტულ წყაროებში სწორედ „ლუშა-ლუსას“ სახელით. ჩვენ თავის დროს არ გაიგინარეთ სახელწოდებათა „ლაზი“ და „ლუშა-ლუსას“ დაკავშირების საბუთაობა და ამ როგორც ჩანს თავისი პოზიციის განსამტკიცებლად, გ. მელიქიშვილმა მიითებლია პ. უშაკოვის ავტორიტეტი. იგი წერს: „გამოთქმულია მოსაზრება (პ. უშაკოვი), რომ მათი (ლაზების, ნ. ლ.) სახელწოდება შეიძლება ვერ კიდევ უჩარტულ წყაროებში ამ მხარეში მოხსენიებული ლუს(ა) // ლოს(ა)-ტომის სახელწოდებებიდან მომდინარეობდეს“ („ნარკვევები“, 1, გვ. 540). უფრო ადრე (გვ. 383) იგივეა ნათქვამი და აქ პირდაპირ არის მიითებულა პ. უშაკოვის ნაშრომიც: „საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები არქეოლოგიის დარგში“ (საქ. საზ. მუზეუმის შიამბე, ტ. X-B, 1940); მაგრამ, აქ საქმე უკრიოზულ შემთხვევასთან გვაქვს: ესაა ერთადერთი შემთხვევა, როცა პ. უშაკოვი მიითებულა, ირკვევა კი, რომ უშაკოვს არც ერთი სიტყვა არ აქვს ლაზისა და ლუშა-ლუსას იგივეობაზე. ამ რას წერს პ. უშაკოვი: გამოთქმა „ქვეყანა ლუშა“ „...ამ ხარის გვიყარნახებს, რომ სიტყვა „ლუშას“ ქვეყანა ულუსხმევა დინასტიკა, ან ტიტული. მაგრამ, მთავარი ისაა, რომ, როდესაც სარდურის ქრონიკებში ვკითხულობთ: „ლუშა, კოლხეთის ქვეყნის ხალხს შეეფ“, ჩვენ ემთხვევათ განმარტებას, თუ რატომ მისი წი-

ამევე რიგის კიდევ რამდენიმე მაგალითი:
 1) სარეცენზო წიგნში საკმაოდ ვრცელადაა ლაპარაკი უჩარტულ წარწერებში დასახელებულ

ნაბრებს მიერ არასდროს და არსად კვლახის ქვეყანა მოხსენებული არ არის, ის ამოფარებულია აღწერილობით გამოთქმას: „ქვეყანა ლუმა“. უფრო სარწმუნოა, რომ „ლუმა“ კოლხის მეფეების ტიტული არის და თუ „ლუმა“ კოლხებისათვის მეფის ბრძანება, ხალხებისათვის სიტყვა ასე უღვივებ (ან ალუსი) იმხანად მთავარს, მბრძანებელს“ (იხ. პ. უსაკოვის დასაბუღებული ნაშრომი, გვ. 250; იგივე აზრი გამოვრებული აქვს ავტორს შრომაში «К походам урартийцев в Закавказье, ВДИ, № 2 1946, გვ. 36-37). შესაძლოა არ დავეთანხმებით პ. უსაკოვს ტერმინ „ლუმა“ ვაგებაში, მაგრამ, რომ იგი არსად „ლუმა-ლუსას“ ლაზებთან არ აიგივებს, ეს სასურველი ცხადია.

2) თავის ადრეულ ნაშრომში «К истории древней Грузии» აკად. გ. მელიქიშვილი ქართლის სამეფოს წარმოქმნის ასეთ სურათს გვიხატავს: ეხება რა ძვ. წ. VI-IV სს... არქეოლოგიურ მასალაზე და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით იგი ფიქრობს, რომ ქართლში ამ დროს იყო რამოდენიმე მსგავსი ერთეული, ტომთა გაერთიანება, კავშირი (крупные объединения вартских племен), რომელთა შორის მიმდინარებდა ბრძოლა. ამ ტომთა კავშირებში იყო ძალიან დიდი საჭრითი ძალთა განვითარებისა, ღრმა ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია, არსებობდა სამხედრო-გვაროვნული ზედღეობა. მაგრამ ეს მანერ ტომთა კავშირები იყო (გვ. 272-273). მხოლოდ უფრო გვიან, ამ ტომთა კავშირებს შორის წარმოებული ბრძოლის შედეგად IV-III სს. მიჯნაზე წარმოიქმნა ქართლის აღრეკლასობრივი სახელმწიფო (გვ. 283).

„ნარკვევების“ I ტომში სურათი უკვე განსხვავებულია: ეხება რა აწმენილურ ხანას (ძვ. წ. VI-IV სს) ავტორი ტომთა კავშირებზე აღარ ლაპარაკობს, არამედ აღნიშნავს, რომ „ამ დროს ისტორიული იბერიის (ქართლის) ტერიტორიაზე უნდა არსებობდეს ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები“ (გვ. 435), ხოლო ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე შეიქმნა ერთიანი აღმოსავლურ ქართული (ქართლის, იბერიის) სამეფო (გვ. 436).

ჩვენ ეს უკანასკნელი დებულება მართებული გვეჩვენა და ავტორს, ცხადია, აქვს უფლება დროთა ვითარებაში შეიცვალოს შეხედულება ან თუ ამ საკითხზე, მაგრამ საქმე ისაა, რომ წინააღმდეგობა შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს უკანასკნელი დებულება თვით აკად. გ. მელიქიშვილის ეკუთვნის — მითითება აქ არავითარ არავიხეობა. სინამდვილეში კი ეს დებულება მას არ ეკუთვნის. იგი დაახლოებით ერთნაირულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გამოთქმული იყო ჩვენს მიერ 1965 წ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიანზე (სხვათაშორის, ჩვენ საგანგებოდ გავა-

კრიტიკეთ გ. მელიქიშვილის ადრინდელი შეხედულება) და პროფ. ი. ლორთქიფანიძის მიერ 1966 წ. მის საღვთობო დისერტაციაზე ვაქნებთან, თუ ჩვენი მოხსენება მოლოდინს სწორედ მოგვეყენებელი არ უფიქრა (თუმცა ეს ოფიციალური სესია იყო და თეზისები გამოქვეყნდა), ი. ლორთქიფანიძის ეს დებულება უკვე მესამე წელია, რაც გამოქვეყნდა მის წიგნში „ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო“.

3) 529-532-ე გვერდებზე მოთხრობილია იბერიისა და რომის ურთიერთობა ანტიონიანის დინასტიის ხანაში, კერძოდ იმპერატორების ადრიანეს და ანტონინე პიუსის დროს; აქ ლაპარაკია საეკლესიო ურთიერთობებზე, რომელთაც დაწერილობით და საკითხისადმი აღლებურად მიდგომის საფუძველზე პირველად შეხვო მ. ინაძე 1955 წ. გამოქვეყნებულ შრომაში „იბერიისა და რომის ურთიერთობა ახ. წ. II ს. პირველ ნახევარში“ (ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1). და აი, აქაც თავისებური წესია მითითებისა: 529-ე გვერდზე აღნიშნულია: 134 წ. ფარსმან მეორეს, როგორც დიონ კასიუსი გვატყობინებს, მოუწევია აღმა და დიდი შესვლა რომისა და ბაიონის სამეფოებზე, სიტყვას „გვატყობინებს“ აქვს სჭოლია ნიშნები, ხოლო სჭოლიაში მითითებაა დიონ კასიუსის ინგლისურ გამოცემაზე და შენა დაგ წერია: „მდრ. მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 322“, ხოლო შემდეგ გვერდზე სჭოლია ნახსენებია, რომ მ. ინაძეს სწორად ვერ გვუვია წყაროს ჩვენება იმპერატორის მიერ ფარსმანიასათვის მიცემული რაზმის რაოდენობაზე. ვამოძიებ, რომ მ. ინაძეს მხოლოდ დიონ კასიუსის ცნობა მოაქვს, და რაზმის რაოდენობაზე ლაპარაკობს, ხოლო ის, რომ შეიძლება ანტიონიანელო რთული სიტუაცია მის მიერაა განხილულ-გაანალიზებული, რომ საკითხების მთელი რიგი აღლებურადაა ნახევენები, რომ ვასწორებულა ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მცდარი შეხედულება ფარსმან მეორისა და ადრიანეს ურთიერთობაზე, რომ თავისი ადგილი აქვს მიიწილი დიონ კასიუსის ცნობას ფარსმანის რომში სტუმრობაზე, ეს ყველაფერი მ. ინაძეს კი არ ეკუთვნის, არამედ „ნარკვევების“ ამ ნაწილის ავტორს — აქაც არაა დავიწყებული მის წიგნზე «К истории древней Грузии» მითითება. შამ ისეთივე მეტოდი მითითებისა: წერილმან, მეორეხარისხოვან საკითხებზე მითითება არის (მომასალაზე ვერ უსაყვედურებ. ამ ავტორს საერთოდ არ უფიქრებია) მაგრამ ბიბლიოთეკის საკითხები, მთავარი დებულებები საერთოდ არის ვასალებული.

4) 478-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ ძვ. წ. I ს. დასაწყისში უნდა მოხდარიყო ადიღური ტომის — ჩიქებს შუამოსევა, რომელნიც ჯერ ადრე კვავებების მიერ დაყვავებულ ტერიტორიაზე დასახლდნენ; მითითებულია — გ. მელიქიშვილი, «К истории древней Грузии» მ-

შასაღამე, გამოდის, რომ ის დაკვირვება, რომ ყოველი ადრე სხვიან სახლობდნენ და ძვ. წ. I ს. დასაწყისისათვის შვიი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩამოსახლდნენ აგრეთვე გ. მელიქიშვილს ეკუთვნის. სინაპტიკულში კი ამაზე წერდა ჭერ კიდევ კოსტინგი პაული-ვისოვს ცნობილ ენციკლოპედიაში, ხოლო დამწერლობით ეს საკითხი განხილული აქვს პ. ინგოროყვას თავის წიგნში „გვიორგი შერაქლე“ (თბ., 1954, გვ. 125).

ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, ნათქვამი საკმარისია. ჩვენ არ დავიწყებთ ამ მოტანილი ფაქტების კვალიფიკაციას, ეს ისტორიის ფაქტებს სცილდება და შეცნობილი ეთიკის სფეროს განეკუთვნება. და, თვით მკითხველმა შეიფასოს, რამდენად მართებულია ასეთი მეთოდი წინამორბედთა თუ კოლეგთა ნაშრომების მიმოხილვისა და რამდენად სწორად ამცნობს „ნარკვევებს“ I ტომის ფართო მკითხველს ქართულ ისტორიკოსთა ღვაწლსა და მონაწილეობას შრომობიერ ისტორიის შესწავლის საქმეში.

ვფიქრობთ, რომ ამ მოტანილი ფაქტები საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად დაბალ დონეზეა შესრულებული „ნარკვევების“ I ტომის ის ნაწილი, რომელიც ჩვენ განხილვის საგნად გავიხადეთ, რამდენად შეუფერებელია იგი იმ ამოცანებისათვის, რომელშიც ამ გამოცემის წინაშე არის დასახული.

საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ კიდევ შემდეგი მიმდინარე წლის „მაინეს“ პირველ ტომში გამოქვეყნდა ბიბლიოგრაფიული ცნობა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I და V ტომების შესახებ, რომელსაც ხელს აწერენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები ედუარდ მენაბდე და გრიგოლ მარგიანი, კერძოდ I ტომის მიმოხილვა ე. მენაბდეს ეკუთვნის. მართალია ეს მიმოხილვა მიზნად არ ისახავს გამოსული ტომების უოველმბრევე შესვლას, მაგრამ პირველი ტომის მიმართ არ არის გაცემული არავითარი შენიშვნა. მკითხველს ფიქნება შთაბეჭდილება, რომ ეს ტომი მართლაც მრავალ სახლეს შეიცავს, იგი ასახავს ქართულ

ისტორიოგრაფიის თანამედროვე დონეს და მასში არავითარი ხარვეზი არაა, მას არ გაანინია არავითარი ნაკლი. ამავე დროს ეს ბიბლიოგრაფიული ცნობა გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც საქართველოში განხილვაზე, როგორც აღვნიშნეთ, სპეციალისტებმა „ნარკვევების“ I ტომს მხოლოდ უარყოფითი შეფასება მისცეს და მის მიმართ მრავალი პრინციპული შენიშვნა გააკეთეს. ამას გარდა სპეციალისტისათვის, წიგნის წაკითხვისას, ცხადი უნდა გამბედაოყო, რომ ამ ტომში საკმაოდ ბევრია საკამათო დებულება, შეცდომა, ხარვეზი და რომ იგი ვერ ასახავს ქართული ისტორიოგრაფიის თანამედროვე დონეს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს ბიბლიოგრაფიული ცნობა შედგენილია არასპეციალისტის მიერ; ე მენაბდე საკმაოდ ფართო დიაპაზონის მეცნიერია იგი მუშაობს ზეთების ისტორიაზე და ამავე დროს ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, როგორც თანამედროვე ისტორიის, კერძოდ სურთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი. მაგრამ მის მრავალმხრივ ინტერესთა მიღმა დარჩა საქართველოს უძველესი და ძველი ხანების ისტორია, მას ამ საკითხებზე არასოდეს არ უშეშვია და გასაგებია, რომ ის ვერც შესძლებდა ისეთი ნაშრომის კვალიფიკაციურ შეფასებას, როგორცაა „ნარკვევების“ I ტომი. ჩვენ მხოლოდ ვაკვირვება გვინდა გამოვთქვათ იმის გამო, რომ პატივცემულმა ე. მენაბდემ თავს ილგა იმ საქმის შესრულება, რომელიც მას კომპეტენციას სცილდება და შევასწავნოთ მას კვალიფიკაციის ცნობილი იგავი მეწილისა და სპეციალისტის შესახებ. რაც შეეხება იმას, რომ „მაინეს“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ზელოვნების ისტორიის სერია ასე დამურებით გამოეხატება „ნარკვევების“ აღნიშნული ტომების გამოსვლას და კერძოდ პირველ ტომს პრინციპში დადებითი შეფასება მისცა, ეს საესებით გასაგები ვახდება, თუ გავიხსენებთ, რომ „ნარკვევების“ მთავარი რედაქტორი, I ტომის რედაქტორი და ძირითადი ავტორი და „მაინეს“ აღნიშნული სერიის რედაქტორი ერთი და იგივე პირია — აკად. გ. მელიქიშვილი.

ნოდარ ლომოვიძე





ვეფხისტყაოსნის ხელნაწიკები და მათი მცენიერული აღწერილობა

ფილოლოგიური მცენიერების თანამედროვე დონეზე არქეოგრაფიულ სამუშაოებს, განსაკუთრებით კი ხელნაწერთა აღწერილობებს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ. მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული ძველი ხელნაწერების აღწერა თავისთავად უკვე ნიშნავს გამოწველილი შეისწავლო ხელნაწერი როგორც ისტორიულ-ლიტერატურული, ასევე ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური თვალსაზრისით. ამიტომ დღეს, როდესაც გამოქვეყნებული არ არის ტექსტების უმრავლესობა, ძველ ხელნაწერთა და ისტორიულ დოკუმენტთა აღწერა, მათი კოდიკოლოგიური შესწავლა ფილოლოგ-ტექსტოლოგთა საქმიანობის პირველი და აუცილებელი პირობაა.

ხელნაწერთა არქეოლოგიური შესწავლა მუდამ დაკავშირებული იყო ფილოლოგიასთან, ტექსტოლოგიასთან, წყაროთმცოდნეობასთან, ძველი შვერლობის კარდინალური სივითხების შესწავლასთან. წყაროთმცოდნეობის პირველი რიგის საკითხები — ხელნაწერის დროისა და წარმოქმნის ადგილის განსაზღვრა, გადამწერისა და მისი ვარჯისიანობის დადგენა არქეოგრაფიის პირობად საქმიანობაში შემოდის. ამიტომ არქეოგრაფია (განსაკუთრებით კი ძველი ხელნაწერებისა) როგორც მეცნიერება ისტორიულ, ფილოლოგიურ და ლინგვისტურ მეცნიერებების თანშესაყართან დგას, დასახელებული დისციპლინების მონაცემებს იყენებს და აერთიანებს წყაროთმცოდნეობასა და ტექსტოლოგიასთან. სწორედ ამიტომ არქეოგრაფია, ზოგადად, ისტორიოგრაფიის დამხმარე მეცნიერებაც არის და, ამავე დროს, კონკრეტულად, იგი დამოუკიდებელი მეცნიერებაც არის, რომელსაც საკუთარი შესასწავლი ობიექტები აქვს და საკუთარი მეთოდები და ხერხებიც.

თანამედროვე ქართული მეცნიერული არქეოგრაფია სულ რამდენიმე წელიწადს ითვ-

ლის და სახელოვან აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერთა (განსაკუთრებით საზღვარგარეთულ კოლექციით) აღწერა სისტემატურად (შეიძლება ითქვას) XIX ს. 80-იანი წლებიდან იწყება.

1882 წელს პროფ. ალ. ცაგარელი პალესტინური საზოგადოების დაავლებით მოგზაურობს პალესტინაში და სინას მთაზე და 1883 წელს აქვეყნებს წიგნს — „Памятники Грузинской старины на земле и Сине“, რომელშიც აღწერილია დასახელებულ კოლექციითა ქართული ხელნაწერები.

აკად. ნ. შარი 1898 წელს გაემგზავრა ათონზე, იქაური ქართული ხელნაწერების შესასწავლად, გაეცნო რა მათ იგი კოტა მოგვიანებით (1903 წ.) წერდა: «...Для меня стало ясно, что нельзя издавать афонских материалов не порывшись в Синайской и Иерусалимской библиотеках за новыми данными для поколения, а особенно правильного освещения собранных в Ивере текстов» (предварительный отчет).

მართლაც, 1902 წელს ივ. ჯავახიშვილთან ერთად ნ. შარმა შეისწავლა და აღწერა იერუსალიმისა და სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციები (აღწერილობანი გამოქვეყნდა საქმოდ მოგვიანებით).

საქართველოში ხელნაწერთა კატალოგიაკო და აღწერა XIX ს. მიწურულიდან და XX საუკუნის გამოყრდებიდან იწყება. აკად. ვეჟოიძე თაყაიშვილმა 1902-1908 წლებში გამოაქვეყნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობის ორაგზორდილი ტომი. 1908 წელს სახელოვანმა ისტორიკოსმა თედო ჟორდანიამ გამოაქვეყნა სავალსით მუხეზმის ხელნაწერთა აღწერილობის ასევე ორი ტომი. აქვე უნდა გავიხსენოთ იმავე კოლექციის დ. კარიჭაშვილის აღწერილობაც, რომლითაც შეივსო თ. ჟორდანიას შრომა. 1912 წელს აკად. კ. კეკელიძემ შეისწავლა გელათის მონასტრის (ახლანდელი ქუთაისის მზა-

სარგის ციხეში, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, 1970 წ.

რეპროდუქციის მუხევის) კუთვნილი ხელნაწერები და რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა გამოაქვეყნა. აღწერილობა არ დაბეჭდილა. XIX-XX სსუკ. ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ ცალკეული ხელნაწერების აღწერილობების შესახებ ჩვენ არაფერს ვამბობთ.

გამოქვეყნებული აღწერილობების შემდეგ ცხადია ვახდა, რომ ქართული ხელნაწერები მეტად საინტერესო მასალას იძლევა არა მარტო ძველი ქართული მწერლობის საკითხების გასარკვევად, არამედ ბიზანტიური (და არა მარტო ბიზანტიური) ლიტერატურის ისტორიისათვისაც. ამიტომ ინტერესი ქართული ხელნაწერებისადმი ძალიან გაიზარდა. აღსანიშნავია ის დიდი ღვაწლიც, რაც საზღვარგარეთელმა ქართველოლოგებმა პ. ბეტერსმა, რ. ბლეიკმა, ე. გარიტმა, ი. ასფალგმა, ი. ბრაუნმა და სხვებმა გააკეთეს უცხოეთში დაცული ქართული ხელნაწერების აღწერის საქმეში.

მაგრამ ძირითადი საშუალო წიანი ვასაყეთვლები იყო და სწორედ 1939 წელს აჯად. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით დაიწყო სისტემატური მეცნიერული აღწერა დღევანდელ ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციებისა. დღესდღეობით გამოსულია 17 ტომი, იმ ბრინციებშია აღწერილი, რომლებში შემთავდა ჯერ კიდევ 1939 წელს და შემდეგ საშუალოტრად მუშაყ. დებოდა.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა მიზნად ისახავს ამათომ კოლექციის ყველა ხელნაწერის აღწერას, შინაარსის ვახსნას და შესაძლებლობის ფარგლებში სისტემაში მიყვანას. დღეს ამ საშუალო ხელმძღვანელობა კ. კეკელიძის ხელმძღვანელობის ხელნაწერთა ინსტიტუტ და, რადგანაც ეს საშუალო ჯერ ბოლომდე მიტანილი არ არის, ამიტომ ცალკეული კოლექციის ხელნაწერების თემატრად დალაგება და მათი თემატრად აღწერა ჯერ არც დაწყებულია, თუმცაღა პირველი ნაბიჯები ჯერ ექვთიმე თაყაიშვილმა ვადადგა, როდესაც მან მხოლოდ საერო შინაარსის ხელნაწერები აღწერა (მათ შორის ვეფხისტყაოსანი) წერაკითხვის კოლექციისა და შემდეგ ე. გარიტმა, რომელმაც სინას შთის 36 ხელნაწერი აღწერა. ე. გარიტმა მხოლოდ ბიბლიურ, ავთოგრაფული და პატრისტიკული შინაარსის ხელნაწერები გამოარჩია და აღწერა. ამ მხრივ ე. გარიტის მიერ შესრულებული საშუალო საინფორმაცია.

ხელნაწერთა თემატიკური აღწერილობა საკურო და აუცილებელია, იგი აღწერილობებში მეორე რიგის საშუალო ვულისხმობს. ამიტომ, შუნებრივად, ვარკვეულ სიმწერეობთან არის დაკავშირებული. თემატური აღწერილობა ვულისხმობს ცალკეული სპეციალისტის საფუძვლიან მუშაობას საკითხთა ერთ წრეზე. და იმ მიღწევათა მთლიან ვათვალისწინებას, რაც მეცნი-

ერებას აქვს აღნიშნულ საკითხზე, ამაყე ტროს, თემატური აღწერილობა ვულისხმობს, რომ ე. წ. შაგი საშუალო, პირველად აღწერილობა, ყვე შესრულებულია, რომ აღარაფერი ვთქვათ ბიბლიოგრაფიულ სისტრულებზე.

ამ რამდენიმე ხნის წინ გამოქვეყნდა სარგის ცაიშვილის შრომა „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“ — ორ წიგნად. მეორე წიგნი მთლიანად შოთა რუსთაველის დიდებული პოემის — ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების (ფრაგმენტებისაც) აღწერას ეძღვნება.

ვეფხისტყაოსანი და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები მეტად იყო ქართული ფილოლოგიის და ლიტერატურათმცოდნეობის ყურადღების ცენტრში. თითქმის ყველა თაობის მკვლევარი იყენებდა მათ, მაგრამ ისინი, როგორც წესი, იფარგლებოდნენ ცალკეული საკითხების კვლევით და პოემის ტექსტის ვანეთათარების ისტორიას არ სწავლობდნენ. ვეფხისტყაოსნის ტექსტის კვლევას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. მაგნამ, მიუხედავად ამისა, პოემისთან დაკავშირებული ყველა ტექსტოლოგიური საკითხი მონოგრაფიულად შესწავლილი ჯერ-ჯერობით მანინე არ იყო. სწორედ ამის პარდაპირი შედეგია, რომ უქანასხელ დრომდე არ გვექონდა პოემის ტექსტის კრიტიკულ-მეცნიერული გამოცემაყ.

ს. ცაიშვილის, რომელიც წლებს განმავლობაში მუშაობს ვეფხისტყაოსანზე, მიზნად დღესახავს ტექსტოლოგიის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად პოემის ტექსტის ისტორიის ყოველმხრივი შესწავლა და ტექსტთან დაკავშირებული პირითიან ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების ვარკვევა. ამისათვის მას ბეჭითად დაუხმრეკია ჩვენი სიმკვლეულსაცაყებო, საფუძვლიანად შეუსწავლია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მთელი მეკვიდრებობა, თითქმის მთლიანად ვათვალისწინებია არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და მოყვია სლიდური ნაშრომი, რომელიც ფატიურად არის ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის შესწავლის პირველი მონოგრაფიული ცდა.

პირველი წიგნი, როგორც თვით ამბობს ავტორი, „ეოთრთული ხასითისაა და ეხებობა ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის ძირითად საკითხებს, ვეფხისტყაოსნის რედაქციებს“. წიგნში საკითხების ვადმთვლება ხდება შემდეგ თანმიმდევრობით. ა). ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის შესწავლის საკითხები წარსული საუკუნეებიდან დღემდე; ბ). პოემის ტექსტის წარმოშობა-ვანეთათარება და ძირითადი პლასტების აღმჩენა; გ). პოემის ძირითად რედაქციათა ვამოყვლა და კლასიფიკაციის ნიშნები; დ). ცალკეულ რედაქციათა შიგნით ქვერედაქციებისა და ხელნაწერთა ურთიერთმიმართების ვარკვევა; ე). ვეფხისტყაოსნის

ხელნაწერების თავისებურებათა ზოგადი დახასიათება; 2). ხელნაწერთა რედაქციების შესწავლის მნიშვნელობა პოემის მახასიათებელი შედგენილობა-მოცულობის გასარკვევად; 3). ვეფხისტყაოსნის ინტერპოლატორთა საქმიანობის და მათი მუშაობის დროისა და მათი ვინაობის დადგენა და ა. შ. ყველა ეს საკითხი განხილულია იმ ეტაპების შესაბამისად, რომლებზეც რუსთველოლოგიური შეცნობების განვითარებას ახასიათებს. ცალ-ცალკე არის განხილული ვახტანგის პერიოდი, თვითმარბ ზაქარიაშვილი, ვეფხისტყაოსნის მეორე — 184; წლის გამოცემა, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა და მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები XX საუკუნის დასაწყისში (ნ. მარი, ს. კაკაბაძე, იუსტ. აბულაძე), კ. კვიციანიძისა და პ. ინგოროვას გამოცემები (1934 და 1953 წწ.), 1937 წლის გამოცემა და სხვ.

შრომის ძირითადი ნაწილი მიძღვნილია პოემის ტექსტის რედაქციებისადმი. ამ მონაცემთში კარგად ჩანს, თუ რამხელა მუშაობა ჩატარებია ავტორს.

ვეფხისტყაოსნის 160-მდე ხელნაწერია დღესდღეობით ცნობილი. მათი მნიშვნელობა რუსთველოლოგიისათვის, რა თქმა უნდა, ყველაზესი ერთნაირი არაა. მაგრამ მათი, ე. ი. ყველა ხელნაწერის, ერთიერთობის მიმართება, თითოეული მათგანის თავისებურება და შეცნობებულ დიფერენციალს ამომწურავად შესწავლილი და მინიშნებული არ იყო. ს. ციციანიძის შრომის დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ავტორმა მოახერხა ზღვა მასალაში გაკვეთილიყო და მოცემა ხელნაწერების შეცნობებულ კლასიფიკაცია, დაჯგუფებინა ისინი რედაქციულად და დაემყარებინა მათ შორის კანონზომიერება. ავტორმა ეს შეძლო როგორც პროლოგის მიხედვით, ისე ძირითადი ტექსტისა და ჩანართ-დამატების მიხედვით.

პოემის ძირითადი ნუსხების მიხედვით ს. ციციანიძის პროლოგის სამი ტიპი გამოყო. მყარად, რა თქმა უნდა, პოემის რედაქციულ თავისებურებათა დადგენა მარტო პროლოგის მიხედვით არ შეიძლება გადაწყდეს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ავტორმა აქცენტი პოემის შუა წელზე გადაიტანა. მან გამოწვლილ-გამოწვლილი და შეუდარა ხელნაწერების მონაცემები ერთმანეთს, განსაკუთრებით სტრუქტურული შედგენილობის მიხედვით და დასკვნა: „პოემის შუა მონაცემთა შედგენილობის მიხედვით ქმნის ოთხ რედაქციულ ჯგუფს: 1. პირველი ანუ უმოკლესი რედაქცია პოემის შუა მონაცემისა (ჩანართები ა პლასტიდანი); 2. მეორე რედაქცია პოემისა (ჩანართები ა და ბ პლასტიდანი); 3. მესამე რედაქცია პოემისა (ჩანართები, ა, ბ და გ პლასტიდანი); 4. მეოთხე

რედაქცია პოემისა (ჩანართები ა და ბ პლასტიდანი).

ავტორი თავის დასკვნებს ნაყოფსაყოფად დეტალურად ახასიათებს თითქმის ყველა წესს, ხას, განსაკუთრებით ვრცელ ზერდება ე. წ. ზახსაველ, არტანუჯელ ხელნაწერებზე, ამავე დროს ეახტანგის 1712 წლისა და 1841 წლის გამოცემებზე, ახასიათებს მათ და სათანადოდ განსაზღვრავს მათ წონასა და მნიშვნელობას რუსთველოლოგიაში.

ს. ციციანიძის ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის მკვლევანი მთლიანად ეძღვნება პოემის ხელნაწერების აღწერილობას. სარკვევითი ნაშრომში სულ აღწერილია და მოკლედ დახასიათებული 192 ხელნაწერი და ფრაგმენტი. აქედან 160 სრული ნუსხაა და დანარჩენი კი (ე. ი. 32) ფრაგმენტი.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების უმრავლესობა, რომელთა აღწერილობა წიგნშია წარმოდგენილი, ადრეც იყო სპეციალური მუშაობის ცნობილი და სხვადასხვა ავტორების მიერ აღწერილი. შესაბამისად ისინი გამოქვეყნებულიყო სხვადასხვა პუბლიკაციებსა და გამოცემებში. ს. ციციანიძის ყველა ნუსხა — მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო თავისი გამოკვლევის (პირველი ტომის) მიხედვით რედაქციულად დალაგა და ხელახლა აღწერა.

ს. ციციანიძის აღწერილობანი, უკვე არსებული და გამოქვეყნებულ აღწერილობებთან შედარებით, უმრავლეს შემთხვევაში უფრო ვრცელი, დეტალური და ამომწურავია, რაც შემთხვევაში კი, როგორც თვით ამბობს, „პოემის რიგი ხელნაწერი ამჟამად აღწერილი და გამოქვეყნებულია... ჩვენ მიერ აღწერილი პოემის ხელნაწერთა ერთი ნაწილის ტექნიკური აღწერილობანი... სწორედ აღნიშნულ სპეციალურ გამოკვლევებს ეყრდნობა“ (გვ. 207).

წიგნი ძირითადი ექვსი ნაწილისაგან შედგება, ამავე დროს წინ უძღვის ვრცელი შესავალი და ერთვის რუსულ ენაზე ასევე ვრცელი ჩებუქმე. პირველ ნაწილში აღწერილია ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციების შემცველი ხელნაწერები (სულ 43 ხელნაწერი). — მეორეში — ვეფხისტყაოსნის ვახტანგისხელის რედაქციის შემცველი ხელნაწერები (სულ 88); მესამეში — ვეფხისტყაოსნის შერეული (კომპლექსური) რედაქციის ხელნაწერები (სულ 11); მეოთხეში — ვეფხისტყაოსნის არტანუჯელის ვარიანტის ხელნაწერები (სულ 12); მეხუთეში — ხელნაწერები, რომლებიც მომდინარეობენ ვეფხისტყაოსნის მეორე (1841 წ.) გამოცემიდან (სულ 6) და მეექვსეში — ვეფხისტყაოსნის ფრაგმენტები (ეპიგრაფიკა, მინაწერები) — (სულ 32).

ავტორს შეეშინებია აღწერილობის საკუთარი თვალსაზრისი, რომელიც რამდენადმე ცილიდება სამეცნიერო ლიტერატურაში მიღე-

ბულ და გავრცელებულ თელსაზისს, და მის მიხედვით აღწერია ყოველი ხელნაწერი. ავტორის აღწერილობის მოდელი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: I. ხელნაწერის ნომერი (და იქვე რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ლტერია); II. ავტორი, სათაური და თარიღი (რომელიც ფრჩხილებშია); III. ტექნიკური აღწერილობა (რომელიც ხშირად უფრო მეტია, ვიდრე ტექნიკური აღწერილობა); IV. ტექსტის დასაწყისი და ბოლო; V. ავტორისეული კომენტარები ტექსტის რედაქციულთანზე; VI. შენიშვნები და VII. ლიტერატურა. ყველა ხელნაწერი დაახლოებით ამ ქარგითაა აღწერილი. უნდა ითქვას, რომ ავტორისეული კომენტარი სრულია ვა ამომწურავი (ძირითადად აღებულია მისივე პირველი ტომიდან) და ნათელ წარმოდგენას აღწერს ხელნაწერის შესახებ. ასევე თითქმის სრულია ლიტერატურაც, წიგნს ერთეის საჭირო მეცნიერული აპარატურა.

საერთო ნომრების გვერდით, საკუთარი ჩიგითი ნომერი; ბ) ხელნაწერის შიფრი და ჩიგითი ყველაგან გასულიყო ცალკე სათაურად, ქვედა, როგორც ეს წიგნის შიფრე ნაწილშია; გ) ხელნაწერის ტექნიკურ აღწერილობაში და ცუდიყო ერთგვარობა მაგ. ზოგან წერია „ქაღალდი ევროპული“, ზოგან კი „ქაღალდი, ევროპული, ჭეიანიწინაინი“). დ) ხელნაწერის საწყისი სტრუქტონი ან სტრუქტონი უნდა მოტანილიყო ყველაგან (მაგ. არ არის გვ. 32, 35).

მეორე, ბევრი ხელნაწერის აღწერილობა (განსაკუთრებით სამხარეთმცოდნეობის მუზეუმისა) სარეცენზიო წიგნში ქვეყნდება პირველად. ამიტომ სასურველი იყო ხელნაწერის აღწერილობა სრული ყოფილიყო, თავისი მოგვიანო მინაწერებითა და შენიშვნებით რაც საშუალებას მოგვცემდა წარმოვედგინა ხელნაწერის ისტორია თავისთავად. შესამე, ჩვენი აზრით, ყოველგვარი ავტორისეული კომენტარი, ტექსტთან თუ ხელნაწერთან დაკავშირებული, სასურველი იყო გასულიყო შენიშვნების რუბრიკის ქვეშ, როგორც მიღებულია ყველა აღწერილობებში. ასევე, ტექნიკურ აღწერილობებში ჩართული კვლევა უნდა გასულიყო შენიშვნებში. მეოთხე, ავტორი არ იცავს ერთგვარობას ვადამწერთა ანდერძების პუბლიკაციის ადგილის თაობაზეც. იგი ხან შენიშვნებში გადააქვს (გვ. 149), ხან ავტორისეულ კომენტარებში (გვ. 143), ხან კომენტარების წინ (გვ. 147) და ხან კი — ცალკე. საერთოდ მიღებული წესის მიხედვით, რომელიც ხელნაწერთა ინსტრუქტის მიერ გამოქვეყნებულ აღწერილობებში შეკრალ არის დაცული, ჭერ ვადის შენიშვნები, შემდეგ ანდერძები და შემდეგ მინაწერები. სარეცენზიო წიგნში ეს პრინციპი დაცული არ არის და ერთგვარობაც დარღვეულია.

ერთი სიტყვით, ს. ცაიშვილის წიგნი „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“ რუსთველოლოგიური მეცნიერების კარგი შენაძენია. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ პოემის ტექსტის ისტორია გათვალისწინებულია მთლიანად (სხვა საკითხია დასკვნებში ეთანხმებით თუ არა) და ძირითადი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხები თვითმყოფილია ერთ მოწოდებაშია. ყველა ხელნაწერი დალაგებულია რედაქციულად და მოცემულია მათი აღწერილობა.

აღნიშნული შენიშვნები, როგორც ვთქვით, ეხება აღწერის ტექნიკურ მხარეს და იგი ოდნავადაც ვერ ამტობს იმ დიდ სამუშაოს, რომელიც გაწეულია სარეცენზიო წიგნის შექმნისათვის. ს. ცაიშვილის წიგნი „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“, რუსთველოლოგიური მეცნიერების კარგი შენაძენია.

სარეცენზიო წიგნისადმი ჩვენ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა და სურვილი. ჩვენი შენიშვნები ძირითადად არქეოგრაფიული ხასიათისაა, აღწერილობების ტექნიკურად გაფორმებას უფრო შეეხება. პირველი: რადგანაც წიგნი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა თემატიკური აღწერილობაა, ამიტომ საჭირო იყო აღწერილობებისათვის დამახასიათებელი და აუცილებელი მომენტები, რომლებიც საერთოდ ყველას მიერაა გამოიარებული. ზედმიწევნითი სიზუსტით ყოფილიყო დაცული კერძოდ: ა) აუცილებელი იყო, ფრჩხილებში მიიღწე ხელნაწერებს ჭეიანიად საერთო ჩიგითი ნომერი და ცალკეულ რედაქციულ ქვეყნებს კი,

მიხილ ქავთარია

ნაშრომი მოხვედრა სოფლის მეურნეობის შესახებ

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ოქაბის ისტორიის შესწავლას საქართველოში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. საოქაბო ყოფის ძირითადი საკითხების კვლევას ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიიქცეს ყურადღება ჩვენი კულტურის მემკვიდრეებმა, მაგრამ სოციალური ურთიერთობის სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან ერთად ოქაბის ფორმითა შესწავლას სისტემატური მეცნიერული ხასიათი მიეცა ნაბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან. აქედან მოყოლებული, ნაბჭოთა კავშირის სხვა ეტაპებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიეცა კავკასიის ხალხთა უოფისა და ევლტურის, მათ შორის დასახლებული პრობლემის შესწავლის საქმესაც. ეს ინტერესი გამოწვეული იყო იმით, რომ კავკასიის ისტორიულ-გეოგრაფიული ვარემისა და ეთნიკური შემადგენლობის მრავალფეროვნება ბევრ თავისებურებას წარმოაჩენდა. ამასთან, კავკასიის, კერძოდ, ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს მთიანეთში შედარებით კარგად შემოგვინახა ყოფის ტრადიციული ელემენტები.

ჩვენს წინამორბედ მკვლევართაგან, რომლებიც შეხებნან საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხებში სოფლის ურთიერთობის საკითხებს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს XIX საუკუნის მეორე ნახევარი ნ. აბაშიძე და ნ. ხიზანიშვილი, რომელთაც ამ პრობლემის შესწავლისა და მის მეცნიერულ საფუძველზე დაკვირვების საქმეში პირველი სერიოზული ნაბიჯები გადადგეს; ხოლო ნაბჭოთა პერიოდის მკვლევართაგან მ. კოსენი და რ. ხარაძე, რომელთაც თავიანთი ფუნდამენტური გამოკვლევებით ის ახალ სიმაღლეზე აიყვანეს.

საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხების საოქაბო ურთიერთობის საკითხებს არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა ეთნოგრაფთა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელმა ვალერიან ითონიშვილმა. ამჯერად გვინდა შევჩერდეთ მის ერთ-ერთ მონოგრაფიაზე, კერძოდ ამოხვევებს: „სოფლის მეურნეობა“, რომელიც 1970 წლის ბოლოს გამოსცა გამომცემლობა „ნაბჭოთა საქართველოში“.

ნაშრომში თანმიმდევრულადაა განხილული საოქაბო ყოფისთან დაკავშირებული ისეთი ძირითადი საკითხები როგორც: ოქაბის შემადგენლობა, ქონება და მეურნეობა, მშობრელობის სისტემა, შრომის ორგანიზაცია, ურთიერთ დამოკიდებულების ნორმები და რიტუ-

ალი, ოქაბის გაყრის წესი და ქონების განაწილების პრინციპი.

ნაშრომში ეთნოგრაფიული მასალის, ლიტერატურული წყაროებისა და სარჩევო თუ სხვა დოკუმენტური მონაცემების საფუძველზე კიდევ ერთხელ არის დასაბუთებული, რომ ხევში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, ოქაბის ვაბატონებულ ფორმას პატარა, ინდივიდუალური ოქაბი წარმოადგენდა. მათ გვერდით კი არსებობას განავრცობდა დიდი, განუყოფელი ოქაბები, რომელთაც აღნიშნულ პერიოდშივე გადმოწამის სახით შემოინახეს თავი.

ოქაბის ფორმების დასადგენად, ნაშრომში ასახული წერილობითი დოკუმენტებიდან, განსაკუთრებით საყურადღებოა 1774 წელს ვრჯელ მეორის ბრძანებით შედგენილი არაგვის ხეობის აღწერა. ეს დოკუმენტი მთიანეთ-გუბა მყართან ერთად ხევისაუკ მოიცავს, როგორც უოფილ არაგვის საერისთავოს. მასში აღწერილობა ასეთი პრინციპითაა ჩატარებული: დასახლებულია კომლი და მასში შემავალი თავი, ამასთანავე ჩამოთვლილია ამ თავების სახელები. კომლი ერთ შემთხვევაში ერთ თავს შეიცავს, ხოლო მეორე შემთხვევაში რამდენიმე ასეთ თავს აერთიანებს. ზოგჯერ ცალკეა ნახსენები მამა და შემდეგ თანმიმდევრულადაა ჩამოთვლილი თავები. ოქაბის სრული შემადგენლობა კი დოკუმენტში არის აღბინჯებული.

სარეცენზო შრომის ავტორი ითვალისწინებს რა აღნიშნულ დოკუმენტზე გამოთქმულ მოსაზრებებს (ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი) აქრებს მას მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალასთან და დასკვნის, რომ თავი იყო ცალკეული უფროსი მამაკაცი. ერთ შემთხვევაში ოქაბი, კომლი ერთი თავისაგან შედგებოდა, ე. ი. ერთი წყვილი ცოლ-ქმრისა და მათი შვილებისაგან შედგებოდა; მეორე შემთხვევაში — რამდენიმე თავს აერთიანებდა ე. ი. რამდენიმე წყვილი ცოლ-ქმარი და მათი შვილები ერთ ჰერტევე განავრცობდნენ ცხოვრებას. ამგვარად, XVIII საუკუნის მეორე ნახევარი, ხევში პატარა, ინდივიდუალური ოქაბების გვერდით დასტურდება დიდი, განუყოფელი ოქაბების არსებობა.

ზემოთ აღნიშნული აღწერა არაგვის ხეობისა — განსაკუთრებით იმთ იქცევს ყურადღებას, რომ ის მონოგრაფიაში განხილულია ეთნოგრაფიული მასალის შექმნა, რაც საშუალებას გვაძლევს XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან უწყვეტლევ გადადგენით თვლი ხევში ახალი საოქაბო ერთეულების წარმოშობისა და განვითარების, შემდეგ კი მათი დაშლისა და ახალი

ვალერიან ითონიშვილი, მოხვევების საოქაბო ყოფა, გამომცემლობა „ნაბჭოთა საქართველო“, თბილისი 1970.

სოციალური ერთეულების — პატრონიზმის ჩამოყალიბების მთელ პროცესს.

როგორც ნაშრომიდან ვეცნობით, პატრონიზმი როგორც სოციალურად ჩამოყალიბებული ერთეული ხევაში, ისევე როგორც ეს საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ეთნოების მაგალითზე დასტურდება, (მ. კოსენი, რ. ხარაძე, ალ. რომაძე), საოჯახო თემის სეგმენტაციის შედეგად შექმნილია, ხოლო მათ ეპოზიციზმად ოჯახში იქმნება ზემოთ ხსენებული თავები მკვიდრდებოდა; და შემდეგ, საოჯახო თემი, რომელთაც ხევიმ გადმონათესის სახით XIX საუკუნის ბოლომდე მოაღწიეს, საბოლოოდ ისპობა აქ კაპიტალისტური ურთიერთობის შემოჭრისა და განვითარებასთან ერთად.

ავტორი პატრონიზმიზე სიტყვას აღარ ატყუებს, მისი მხოლოდ მცირედი მონახაზით კმეათფილდება, და ეს ვასაგებია, ის სცილდება ნაშრომის ძირითად ამოცანებს. ეტიკრობთ, ავტორი პატრონიზმის ცალკე გამოკვლევას მიუძღვნის, რაც არგანულად დეკავშირდება სარეცენზიო ნაშრომს და მეტი სისრულით წარმოგვიჩენს მოხვედების წარსული სოციალური ყოფის საკითხებს.

მოხეტრი გადმონათეობა ფორმით შემონახული საოჯახო თემის ძირითად ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ამათგან, ადგილობრივი გეოგრაფიული გარემოსა და ბუნებრივი პირობების გამო პირველი მეტად შეზღუდულად იყო წარმოდგენილი, ხოლო მეორეს განვითარების მეტი შესაძლებელი ჰქონდა.

ხევიშია რა მოხვედების საოჯახო ყოფის საკითხებს აქ განსვენებული მეკლევიარი, პროფ. რ. ხარაძე, XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში მოხეტრი საოჯახო თემის ძირითად ეკონომიურ საფუძველად მეცხვარეობას მიიჩნევდა. ის კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით მიუთითებდა, რომ ოჯახის ძირითად ქონებას წარმოადგენდა წერილეთება საქონელი; ზემოთ აღნიშნულ პერიოდში ხევიში იყენენ ოჯახები, რომლებიც 3000-მდე სულ ცხვარსაც კი ფლობდენ და მისი მთელა-პატრონობით დეკავებული იყო ოჯახის წევრ მამაკაცთა უმრავლესობა. ამგვარად რ. ხარაძემ უმთავრესად უტრადლება ვამახილა XIX საუკუნის მეორე ნახევარზე, იმ პერიოდზე, როდესაც მოხვედების ეკონომიკა ძირითადად მეცხვარეობაზე იყო დამყარებული. ამასთანავე, მოხეტრი ოჯახი გვერდში ამოუყენა თუშური და ქიზილთურ საოჯახო თემები, რომელთა ეკონომიკასაც, ისევე როგორც ზემოთ აღნიშნული პერიოდის ხევიში, მეცხვარეობა განსაზღვრავდა. ვ. ითონიშვილმა, აღნიშნული ეპოქის ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად, გაითვალისწინა რა აღრიანდელი მონაცემებიც (ეთნონიმიკური ხალ-

ხური გადმოცემები, მატერიული კულტურის ძეგლები, XVIII საუკუნის სტატისტიკური მასალები), ოჯახის შესწავლის ქრონოლოგიური ჩარჩოები საგრძობად ვასტაროფი და ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე დაასაბუთა, რომ XIX საუკუნის ბოლომდე არსებული დიდი ოჯახი წარმოადგენდა საოჯახო თემის გადმონათეობის სახეობას, რომელიც არსებობდა მეცხვარეობისგან განსხვავებულ სამუერნო პირობებშიც. ოჯახის ძირითად კომპონენტების შესწავლით ირკვევა, რომ შუა საუკუნეების ხევიში ძირითადად დიდ ოჯახებად ცხოვრების წესი ყოფილა გავრცელებული, სადაც მძღავრად იყო შესული ფეოდალური ურთიერთობის ელემენტები. ამ პერიოდის მოხეტრი ოჯახის ძირითად ეკონომიურ საფუძველს მსხვილეთება მესაქონლეობა წარმოადგენდა, რადგან ზამთრის სამოერების უქონლობა მეცხვარეობას მეტისმეტად ზღუდავდა. მოსახლეობა ძირითადად მსხვილეთება საქონელს ამრავლებდა, ცხვარს კი იმდენს იყოლებდა, რის გამოზამთრების საშუალებასაც ადგილობრივი გარემო და ზამთრისთვის მომარავებული საკვები მარავი იძლეოდა. ცხადია, ასეთი ჩაოდენობის ე. წ. „ბავური ცხვარი“ ოჯახის ეკონომიკაში მეორე ხარისხიანი, დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზღვარი ედებოდა ცალკეულ თემთა შორის კარჩაველობას, იხსენება მათ შორის თავდასხმების საშიშროება საქონლისა თუ სხვა დოვლათის მიტაცების მიზნით, მოხვედებს საშუალება ეძლეოდა ისარგებლონ ჩრდილო კავკასიის ზამთრის სამოერობით. ყოველივე ამან განსაზღვრა ხევიში მსხვილეთება მესაქონლეობის ხარჭე მეცხვარეობის ზვედრითი წონის ზრდა. ცხადია, ოჯახის ეკონომიკაში მსხვილეთება მესაქონლეობის ადგილს მეცხვარეობა იჭერდა. მაგრამ ეს ხევა მამინ, როდესაც საქართველოს მთიანეთში და მათ შორის ხევიში იჭრება კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტები. მეცხვარეობა თავის მხრივ ხელს უწყობს მოხეტრი ოჯახში კაპიტალისტური ელემენტების დანერგვას, ოჯახის წევრთა ეკრამომსაკეთებულ მიდრეკილებას, რაც გადამწყვეტ როლს ასრულებდა დიდი, განვითარებული ოჯახების საბოლოოდ დასლის საქმეში.

გადმონათეობი ფორმით შემონახულ საოჯახო თემში მმართველობის სისტემა სოლიდარობის პრინციპზე იყო აგებული. შოობა ოჯახის ყველა წევრს შორის თანაბრად იყო განაწილებული, ხოლო მისი სეგმენტაციის დროს ქონებაც მოწილებებზე თანაბრად იყოფოდა. ოჯახში უფროსობა მიწოდობდა ჰქონდა ხნით უფროსს, მაგრამ ამ საქმეში ხნით უფროსობა განსაზღვრედი არ იყო; მთავარი იყო ეთნოგენების უნარი ოჯახის მართვის საქმეში. ოჯა-

ზის უფროსი თავისი სიტყვით და საქმით მაკალითის მიმცემი უნდა ყოფილიყო ოჯახის სხვა წევრების მიმართ.

ცხადია, მოკლე ხარეცენიო წერილში ძნელია დეტალურად შეჩერდეს ყველა იმ საკითხებზე რაც ნაშრომშია დასმული. ვედიკრობო, აღნიშნულიც ცხადყოფს ნაშრომის დიდ მნიშვნელობას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ის ორგანულად და დაკავშირებული ავტორის მიერ ადრე გამოცემულ მონოგრაფიებთან: „ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან“ და „ხევი ძველად და ახლად“, ამ მონოგრაფიებთან ერთად სარეცენიო ნაშრომს საგრძნობლად აფართოებს მოხვედრების სოციალური ყოფის კვლევის სფეროს.

ნაშრომთან დაკავშირებით გვაქვს ზოგიერთი შენიშვნაც:

1. ხეცს თავისი ისტორიის მთელ მანძილზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა, ერთი მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთთან, ხოლო მეორე მხრივ, ჩრდილო კავკასიის მეზობელ რაიონებთან. ყოველივე ამის შედეგად მოხვედრების ყოფისა და კულტურის ამსახველი მთელი რიგი საკითხები ახლო პარალელებს პოულობს როგორც ქართულ, ისე ჩრდილო კავკასიურ მასალასთან. ამდენად, ნაშრომი გაცალუბით მოიგებდა თუ მოყვანილი იქნებოდა:

შესადარებელი მასალა, მასში დასმული საკითხები განხილული იქნებოდა ქართულ-კავკასიური მასალის შექმნე აქ კი უფროტი მსოფლიო ხევი იფარგლება, მაშინ როდესაც უზვად აქვს საკუთარი ეთნოგრაფიული მასალა და, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არაერთი გამოკვლევა უძღვნა ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების საოჯახო ყოფის საკითხებს.

2. ნაშრომს არ ახლავს ოჯახების გენეალოგიური სქემები, ასეთი სქემები კი შეიძებულს უფრო ნათელ წარმოდგენას მისცემდა ოჯახის შემადგენლობაზე, ოჯახის წევრებს შორის ფუნქციების განაწილებაზე, შრომის ორგანიზაციის ფორმებსა და საოჯახო თემის სეგმენტაციის შემდეგ ახალი საოჯახო ერთეულებს ჩამოყალიბებაზე.

3. სასურველი იყო ნაშრომს დართოდა საცხოვრებელი ნაგებობების, საოჯახო ინვენტარისა და სხვა ყოფის ამსახველი ილუსტრაციები, რაც მას მეტ თვალსაჩინოებით მხარეს შემატებდა.

ჩვენს მიერ გამოთქმული შენიშვნები ვერ ჩრდილავს წიგნის დადებით მხარეს, მის მნიშვნელობას გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ მისი გამოცემით კარგი სამსახური გაუწია ჩვენს ისტორიულ მეცნიერებას.

ბ. გამყარელიძე

6 857/198



საქართველოს
ხალხთა ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფან 80 333.

ИНДЕКС
76128

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ